ბიზანტიური მწერლობის ქრესტომათია

(XIII ს. – XV ს. ნახევარი)

ტომი IV

თბილისი-1996

ბიზანტიური მწერლობის ქრესტომათია

IV ტომი

(XIII ს. — XV ს. პირველი ნახევარი)

თბილისი
1996 წ.

პასუხისმგებელი რედაქტორი

ლიანა კვირიკაშვილი

ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

რეცენზენტები

ლილი ხევსურიანი

ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი

ნათელა ვაჩნაძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ISBN 978-9

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინათქმა

გვიანი, თითქოს უკვე დამავალი ბიზანტია არ ცხრება მნათობთა საჩინოებით. ამ პერიოდის XIII – XV საუკუნეებით შემოწერა გამართლებული ჩანს იმ პრინციპითაც, იოანე დამასკელის „გარდამოცემაში" მკაცრი პოსტულატის სახეს რომ იღებს: „ნუ შევსცულით (*ს.ლ.* ნუ გარდავჰკდებით) საზღვართა საუკუნეთა" (792 *A*). აკად. სიმონ ყაუხჩიშვილის „ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიაში" XIII – XV საუკუნეები განხილულია როგორც „იმპერიის დაშლის პერიოდი"[1].

ისევ და ისევ პიროვნების როლსა და ადგილზე მინდა შეეაჩერო მკითხველის ყურადღება. წინამდებარე (IV) ტომი „ბიზანტიური მწერლობის ქრესტომათიისა" ისეთი დიდი ავტორების თხზულებებს შეიცავს, მარტო მაქსიმოს პლანუდესი რომ დაებადა ბიზანტიურ ცივილიზაციას, ეს საუნჯე იკმარებდა მისი ქებისმეტყველებისათვის. იქნებ ახალი ბევრი არ შექმნილა, მაგრამ წარმოიდგინეთ იმ შემოქმედთა წმინდა გასაჭირი, კლასიკური ბიზანტიური პოეზიის დონე რომ უნდა შეენახათ, ხოლო ეს მადლი უფროისად დამარხულობისა და რამდენადმე განგრძობისაც სულ სხვაგვარი სინათლეა ბიზანტიელისთვის, რომელსაც თვისი რუდუნებულის ანონიმურობა ესახელება. ისევ ფერებაა რწმენის, ერთიანის და დიადის, ისევ ქრისტეა „სიტყვის საფუფვნეულო" (თეოდორე დუკა ლასკარისი) და სულიწმინდის მადლი ეფინება წყობილ სიტყვას, განსამარტებლად ქების სიტყვით ნახმევსა და თითქოს უფრორე განუმარტებელს, გალობას, მაღლად ქადაგებას (ბაზგასმულად: წიგნიერთათვის), რომანს, მატიანეს და სხვ. და სხვ., შეკრულს ანგელოზური სიტყვის სინაზით და ძალმოსილებით. ნიშანდობლივია, რომ ისიხასტური ლოლიაკიც სიმშვიდისა (თუ ისიხაზმს შორიდან შევხედავთ) სწორედ ამ პერიოდში გამოიკვეთა, როცა ქრისტეს სარწმუნოებისათვის მეტალრე გაჭირდა წყნარი კარემოს მომუშაკება.

---

1. სიმ. ყაუხჩიშვილი, ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, თბილისი, 1963 წ., გვ. 276-278.

ამიერიდან ეს თარგმანები, ღირსებისამებრ მეტ-ნაკლებად დაფასებულნი, ალბათ ქართული მწერლობის საკუთრებად იქცევიან. ხოლო ერთი რამ არის კიდევ საინტერესო. ქართველმა მკითხველმა XIII-XV სს. ქართულ მწერლობაზე, სხვა პერიოდებთან შედარებით, ბევრად ცოტა იცის საქართველოს ისტორიის მაშინდელი ჟამიანობის გამო და ეგების თავის ენაზე ამეტყველებულ მაქსიმოს პლანუდესს, გრიგოლ პალამასს და სხვა ბიზანტიელ ავტორებს გამორჩევითაც მიაგებოს მადლიანი გულისყური.

იამბიკონნი ახალ-კვირიაკისანი*

	დღეს წარმოდგება სულ სიტკბოება მადლის
3	მასპინძლობისთვის შესაგრძნებელთა ტომთა,
	მით გაზაფხულის აღორძინებას სიტყვა
	შეიწყნარებს და დამწყაზრებულად ჰმატებს
6	უცხოდ სანათელს ნათლიერებას ცისას,
	მიწის მოსართავ ათასფეროვან ყვავილს,
	მისაფუძვლადმდე ყოვლად სიმცხრალეს ზღვისას
9	და სასიკეთოდ წარმოგზავნილთა ქართა,
	ყველა წყაროს და მდინარეს, სულდგმულს ყოველს.
	კაცნო, მისდიეთ საზეოდ დღეთა შთენილთ,
12	ნუ მოისწრაფებთ[1] და წარმოდეგით ბრძნულად
	და ოხჭანისაც ნუ მიიტაცებთ სასჯელს;
	ხოლო ჩვენ, მთქმელნი აწ ძალისაებრ ჩვენის,
15	სატფურებისას ვჰმობთ აღლაღებულ სიტყვას
	და გწერთ აქედან თქვენს საგალობელ ქებას.

---

* ეს თხზულება (დედანი) ბატონ იგორ შევჩენკოს მონაპოვარია ხელნაწერის აშიებიდან. გადმოგვცა ქალბატონმა ნათელა ვარნაძემ, რისთვისაც ფრიად მადლობელნი ვართ.

1. აქ ბერძნულში სიტყვის წმინდა ქართული ნიშატი გამოსჭვივის: დაშთენილ დღეთა მოსწრაფება. ყოველ შემთხვევაში, სწორედ ასეთ მაგალითებს კრებდა ბატონი სიმონ ყაუხჩიშვილი „სიბრძნე ბალაპვარისას" ბერძნული ტექსტის წარმომავლობის კვლევისას.

უცნობი აეტორის „ღმერთისმშობელის მიძინების ხსენებაზედ, ანუ ფრთების სინაზე“

მხრებჩამოყრილს უმძიმარი ტვირთით,
ქარშიც როგორ შეგინახავს, დედა,
ეგ სიმრთელე უნაზესთა ფრთეთა,
სამფარველოს რომ უზოგავ მირთმად.*
ნუ მიჰრიდებ შთამომობას შენსას,
ნუ იბურავ განშორების რიდეს,
რაგინდ წვიმა სატკივარით სცრიდეს,
მიმქრალი მზეც შენს ამოსვლას ესავს.
სადედო ფრთა აგიზიდავს ქარში,
ორთავ ქვეყნის სატკივარით გეწვის,
თავის თვალშიც რომ შენიშნოს ბეწვი,
მოჰხედე კაცს, ანგელოზთა არჩევს.
ასე როგორ შეგინახავს, დედა,
ეგ სალბუნი უნაზესთა ფრთეთა.
წამებული აწ ჩვენ თანა ჰგიე,
შეგვინდობ და შეიწყნარებ ლოცვას,
რადგან მხოლოდ ერისათვის მოცლას
ცად ღმრთისმშობლის მიძინება ჰქვია.
გულზეც ჩვენთვის დაიკრიფე ხელი,
ვით სატირალს ამქვეყნიურს ჰშვენის;
თორემ ისევ ჩვენ თანა ხარ ცხადლივ,
მთლად სამყაროს შენი უბე იტევს;
რაგინდ წვიმა სატკივარით სცრიდეს,
ნუგეშინით უსუბუქებ ადრე.
ალბათ ჰაერს გაუყავი, დედა,
სიმძიმილი უნაზესთა ფრთეთა.

---

* *ს.ქ.*: რომ ყრმათათვის შეგძლებოდა მირთმად.

თეოდორე დუკა ლასკარისი

გვიანი ბიზანტიის მგალობელია. მის ჰიმნოგრაფიულ კანონთან ერთად აქ ვათავსებთ მისსავე ნაშრომს „საღმრთოთა სახელთათვის", რომლის მიხედვითაც იგი იმდენადვე დიდი ხელოვანია, რამდენადაც დიდი მეცნიერი, და ჩვენ ვხედავთ, რომ მეცნიერებისა და ხელოვნების შეზავების ის ძველი ტრადიცია, რომელსაც თუნდაც ერთი ბერძნული სიტყვა ἐπιστήμη (უდრის ხელოვნებასა და მეცნიერებას ერთად) გამოავლენს, ბიზანტიის აღსასრულამდე აღწევს. საღმრთო სახელდების პრობლემებს ლასკარისი თავადვე შემოსწერს შესავალში.

გალობანი ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისანი
პარაკლიტონიდან
უგალობდითსა
ძლისპირი: ეტლთა მფლობელი.

მწუხარებათა მოკერძებისაგან დაუზამთრდა ჩემს სულს საწყალობელს და ღრუბელნი განსაცდელთანი გულს მიფარავენ, სძალო ღმრთისაო, ხოლო შენ, რომელმან ჰშევ ნათელი საღმრთო და საუკუნეთა უწინარესი, მისანათელე მე ნათელი სიხარულისა.

უთვალავთა ურვათა და ჭირთა და განსაცდელთაგან და მტრად მოკიდებულთაგან ახსნილი, ყოვლად უხრწნელო, მძლევარითა ძალითა შენით ვიგალობებ და ვადიდებ შენს აღუწერელ თანაობას სატკივარს შინა და შენს ნუგეშინისცემას ჩემდამო.

აწ მონდობილ ვარ და მოვევლტი შენს ძლიერს საფარველს და შენი საგრილისკენ ვრბი მრთელი სულით და მუხლს ვიდრეკ, დედავ-ბატონო, და ვტირი და ვკვნესი, რომ უბადრუკს თვალი არ ამარიდო შენ, ქრისტიანთა სანავემან შესავრდომელმან.

არ დავიდუმებ უცხადესთა დიდებათა შენთა ღაღადებას, ვინათგან, თუ შენ, ქალწულო, ყოველ ცისმარე არ მიწინამძღვრე და არ შემავედრე ძეს და ღმერთს შენსას, სხვა ვინ დამხსნის ესევითარის ღელვა-გვემულებისა და საშინელთა საბრხეთაგან.

განგვარინენ განსაცდელთაგან მონანი შენნი, ღმრთისმშობელო, რათა ყოველნი შემდგომად ღმრთისა შენ მოგეკლტოდეთ ვითარცა წინამდგომელს და დაურღვეველს საფარს.

კეთილი თვალით მოჰხედე, ყოვლად საგალობელო ღმრთის დედაო, ჩემი სხეულის ბოროტს ურვილებას და განმიკურნე სულის ტკივილი.[1]

განძლიერდასა

ძლისპირი: შენ დამამყარებელო.

განკაფული ყოველთაგან, მე, სატკივრიანი, მოგძახი, რათა მიმწიფო მეოხებას, მგზებარეო წინამდგომელო, მონა შენი, გლახაკი და უპოვარი, რომელი შენს შეწევნას ვითხოვ მგზებარედ.

აწ ჭეშმარიტად საკვირველ ჰყავ ჩემ ზედა საქმე-კეთილობანი შენნი, ქალწულო დედავ-ბატონო, და წყალობანი შენნი და ამათ გამო გადიდებ და გიგალობებ და ვაქებ შენს ღვწოლას დიდსა და უზომოს.

განსაცდელთა ნიაკარის გამო დამიზამთრდა, დედავ-ბატონო, და მწუხარებათა ღელვამ დამანთქა, მაგრამ მიმწიფე შენს ხელს, გამოწვდილს ჩემდა საოხად, რომელი ხარ მგზებარე შემწე და წინამდგომელი ჩემი.

ჭეშმარიტად ღმრთისმშობელად აღგიარებ, დედავ-ბატონო, რომელმან სიკვდილის ძალი უჩინო ჰყავ და ვითარცა განმაცხოველებელმან მე, დახსნილი ჯოჯოხეთის საკრველთაგან, ოღონდაც მედინი, მიწაზედ აღმომიყვანე სიცოცხლისათვის.

უფალო მესმასა

ძლისპირი: შენა ხარ ქრისტე.

სხვაგან მე რაღა შველა ვპოვო? საით ვივლტოდე? სადღა ვცხოვნდები? ვოი, რა საოხი-ღა მექმნეს მგზებარე იწროებათა შინა ცხორების და ღელვათა შინა! შენ მხოლოს გესავ, შენთვის უშიშად მონდობილ ვარ და შენით თავს ვიწონებ და შენს საგრილს შევუვრდები, გადამარჩინე.

---

1. ეს ორი ტროპარი (მუხლი) მეორდება ყოველი გალობის ბოლოს.

შენი წყალობის ტკბილ მდინარეს, მდიდართა ნიჭთა რომ დაამცვრევს ყოვლად ბედშავსა და გლახაკს სულს ჩემსას, რომელი განსაცდელთა და განკაფულობის სახმილით არის გზებული, ვადიდებ და მისთვის ვმყვირალობ და, რომელი ხარ ყოვლად უმანკო კრავაი, შენს საგრილს შევუვრდები, გადამარჩინე.

შენ — უმანკო, შენ — ქალწული და შეუბღალავი, მხოლოი მყავხარ ზღუდედ უბრძოლად, საფარად და ფრიად საგრილად, საჭურველად მაცხოარების; ნუ ამითვალწუნებ მე, უსაშველოს, იმედო უსასოოთაო, უღონოთა თანამბრძოლო, ხორცდაწრეტილთა შეწევნაო და ხარებაო.

ვითარ შევძლებ, დედავ-ბატონო, ღირსად გამოვთქვა შენნი წყალობანი, რომელნი ვითარცა წყალი გარეშემოევლებიან მარადღე ჩემს სულს საშინლად განკაფულს. აჰა ესერა განგება შენი და საქმე-კეთილობა, რომელთაც უგონოდ მოვაკლდი მე, საწყალობელი.

ღამითგანსა

ძლისპირი: რაჲსათჳს განმიშორებ.

სამადლობელად გიღაღადებ: გიხაროდენ, დედავ-ქალწულო, გიხაროდენ, ღმრთის სძალო, გიხაროდენ, ღმთეებრივო საგრილო, გიხაროდენ, საჭურველო და ზღუდეო დაურღვეველო, გიხაროდენ, საფარო სამეოხო და სამაცხოარო შენდამო შემოვრდომილთაო სარწმუნოებით.

მოძულეთა ჩემთა ამაოდ განმიმზადეს ისარნი და მახვილი და ჯურღმული და ცდილობენ დაფხვრან ყოვლად უბადრუკი ჩემი სხეული და მიწას შეჰრიონ, შენ კი, უმანკოო, ამათ უსწარ და გადამარჩინე.

რა მოგართვა სამადლობელი სანაცვლოდ ნიჭთა, შენგან მოძღვნილთა, რაც მიგემია, და შენი უზომო დიდებულების სამაგიეროდ? ეჰა, ვადიდებ და ქებისმეტყველებით აღვამაღლებ შენს გამოუთქმელს თანაობას ჩემთა ვნებათა.

ღაღადყავსა

ძლისპირი: ვედრებასა ჩემსა.

მწუხარებათა ღრუბელნი გადაეფარნენ ჩემს სულს უპოვარს და

გულს გადაკრნენ და ბნელს იქმან ჩემ შინა, ქალწულო, მაგრამ შენ, რომელმან ჰშეკ ნათელი განუქარვებელი, განმაშორე ღრუბელთა ამათ და შენი საღმრთო ოხითაი შთამბერე.

შენ ხარ ნუგეშინი ჭირთა შინა და სნებათა მკურნალი და სიკეთილის ყოველად შემმუსრველი და ცხოვრების მდინარე დაუღეგნელი და ყოველთა განსაცდელთა შინა მყოფთა შეწევნა მსწრაფელი და მალადი.

მე არა ვფარავ წყალობისა შენის უფსკრულს და უთვალავთა სასწაულთა უხვებას და ჩემდამო შენი თანა-ტკივნეულობის ჭეშმარიტად მარადღე მედინ წყაროს, დედავ-ბატონო, არამედ წინაშე ყოველთა აღვიარებ და ვღაღადებ და აღვიზახებ და ვხმობ.

გარს შემომადგნენ მე ცხოვრების ღელვანი, ვითარცა ფუტკარნი — სკას. ქალწულო, და ჩემს გულს მოედვნენ და მიჭრიან ჭირთა ისარნი; მაგრამ გპოვე შენ მეოხად და განმარინებელად და მხსნელად, ყოველად უხრწნელო.

კურთხეულხარსა

ძლისპირი: ყრმანი ებრაელნი.

ნათლის მშობელო ღმრთისმშობელო, დაბნელებულს ცოდვათა ღამით, აღმინათე სავალი შენ, რომელი ხარ ნათლის სავანე წმიდა და უმწიკვლო, რათა სიყვარულით გადიდებდე.

მე, აწ შიშველს და განძარცულს ყოვლისა მეოხებისაგან, საგრილად მექმენ და საფარად და შეწევნად და სიქადულად, ქალწულო, ძალო უსაშველოთაო და იმედო უსასოოთაო.

მრთელი სულით და გონებით და გულით და ბაგეებით გადიდებ, რომელმან გეძო ვიხილე შენთა დიდთა მადლთა; ჰოი, რაბამი არს შენი სიტკბოება, რაბამ უთვალავნი — სასწაულნი შენნი!

წყალობის თვალით მომხედე, რათა განიხილო ბოროტი, რომელი მაქვს, და საშინელთა ჭირთა და საბრხეთაგან და დაშავებისაგან ამხსენ შენი უზომო შემბრალეობით.

აკურთხევდითსა
ძლისპირი: მთასა ზედა.

რომელს ნაწლევნი სიბრალულითა გელმიან, ქალწულო, კრძალვითა მოსაპყრობელო, ნუ ამითვალწუნებ მე, ცხოვრების ტალღათა ძრვა რომელ მომეზღვავება, არამედ მომეც ხელი მეოხისა — დამაშვრალს ცხოვრების სიავეთა გამო.

ძნიადნი ჭირნი და იწროებანი, რომელთა მპოვეს, უმანკოო, და ცხოვრების სიმწარენი და განსაცდელნი ყოვლგნით გარემომადგნენ, მაგრამ დაგიჩემებ და შველა მეც შენი ფრიადი საგრილითა და ტალავარით.

ღელვათა შინა გპოვე სანავედ, მწუხარებათა შინა სიხარულად და საშვებელად; სნებათა შინა მალედ მეოხად, საბრხეთა შინა მხსნელად და წინამდგომელად ჭირთა შინა.

გიხაროდენ, საყდარო ცეცხლის-სახეო უფლისა, გიხაროდენ, ოქროს სასანთლეო, მნათობო, რომელი არ დაჰქრები, გიხაროდენ, ქალწულთა დიდებაო და დედათა სამკაულო და პატივო.

ადიდებსა
ძლისპირი: განკურდეს ზესკნელს.

სხვას ვის შევუვრდე, უმანკოო? ვისკენ მსრბოლი-და ვცხოვნდები ანუ სად წარვემართო? რა საფარს ვპოვებ, რა მცხინვარებას საშველისას ანუ რა საოხს ჭირთა შინა? შენ მხოლოს გესავ, შენით მხოლოით თავს ვიწონებ, შენ მოგენდობი და გექმნები შენად სამთავროდ.

ვერ-შესაძლებელ არს გამოთქმა შენი დიდებულების, ღმრთის სძალო, და აღწერა გამოუკვლეველის უფსკრულისა შენთა სასწაულთა, ზესთა გონებისა რომელ იქმ მარადღე მათთვის, რომელნი სიყვარულით შეგფრფინვიან და სარწმუნოებით თაყვანს გცემენ ვითარცა ჭეშმარიტს ღმრთის მუცლად-მღებელს.

სამადლობელი საგალობლებით ქებას ვმეტყველებ და ვადიდებ შენი წყალობის უზომოებას და ყოველთა წინაშე აღვიარებ შენი ძალის სიდიადეს და შენი საქმე-კეთილობის საუნჯეთა ზესთა-წარმოცალიერებას ჩემ ზედა ვქადაგებ და ვადიდებ სულით, გუ-

ლით, ფიქრით და ენით ყოველ ცისმარე.

შეიწყნარე ვედრება ჩემი შეურაცხი და ნუ მიჰრიდებ ვალალაებას და ცრემლებს და კვნესას, არამედ შემეწიე ვითარცა სახიერი და აღმისრულე სათხოველი, რამეთუ ძალგიძს ყოველი ვითარცა ყოვლად ძლიერის მბრძანებელის ღმერთის დედას, თუცა მოჰხედავ მოსაძაგებელს ჩემს სიგლახაკეს.

მეოთხე სიტყვა *საღმრთოთა სახელდასათვის*

საღმრთო სახელი დიდება ბევრი სხვა სახელის საშუალებით და დაუსახელებლად, რასაც მოითხოვს ამ სახელდების დიდებულება, ზესთაბუნებრივი საიდუმლოთა მარხულობა და გაუძლებელი ბრწყინვალება, ვინათგან იგი, რომელი ზიარია ყოველთა მყოფთა, არცარა მყოფთაგანი არს. აუცილებლად ვრაცხ, ეს სახელები გავარჩიოთ და გავიაზროთ, რამდენადაც შესაძლებელი იქნება; თითოეულის ყოველმხრივ განსჯა შეუძლებელია, ხოლო ვერცერთი რომ ვერ განვსაზღვროთ, ეს სიმხდალეა. მაგრამ, ერთი მხრივ, საკითხავია, როგორ განირჩევა და განისაზღვრება, და, მეორე მხრივ, როგორ — არა. უნდა ვიმსჯელოთ სახელდების განწესებულობისა და სასურველობის მიხედვით. ამისათვის საღმრთო სახელთა საღმრთო მნიშვნელობების და პირობითობების ქმედებანი აღვკრიბეთ. ყოველივე ქმნული ხომ სამყაროში ღმერთისგან არს და ყოველივე ღმრთისმიერი სასწაული არს და ყოველივე სასწაული საღმრთოდ სადიდებელად ჰგიეს და მოსაკრძალებელად. დიდსა და მოსაკრძალებელ ღმერთს სახელს დავარქმევთ ქმედებათა მისთა საღმრთო მნიშვნელობების შესაბამისად. სახელებიდან გამომდინარეობით კი არ ვაჩვენებთ ბუნებას, არც დაუსახელებლად ვიქადაგებთ აზრსა და ძალს, არამედ მოვთვლით სახელებს და სახელთა გარეშე დავტოვებთ. ჩვენ, ვითარცა ყოველსავე შინა ყოვლისა წარმომჩენნი, სიტყვებში მოვათავსებთ სამყოფელს მისას, ვინც, პავლეს თანახმად, უფალი არს და არცარა მყოფთაგანი ჰგიეს.

ასობით, ათასობით ანუ ბევრზედ ბევრ (ათიათასჯერ ათიათას) სახელს პოვებს ვინმე მეტრფე დამახსოვრებისა და სიბრძნის-

მეტყველებით ნაზარდი, თუ გულმოდგინედ მიჰყვება სამყაროში გამოვლენილ ქმედებათა გამოკვლევას. მე კი, თუ გამოვიკვლევ და ვპოვებ, ან თუ სახელთა მათ ძალისაებრ დასაჰამბვებლად ამეხსნება პირი, პავლეს მიხედვით, როგორც შეჰფერის, დიდის რიდით გაუწყებთ; რიცხობრივად არ გავაზვიადებ მიგნებულს, არც გულდედალი ვიქნები საიმისოდ, რომ შიშმა დამაბრკოლოს და დავაკლო რამე, არამედ სიკეთის და ზომიერების გზით ვივლი, იმ მადლის კარნახით, რომელიც არის სიკეთეშივე, და ჩემი ძალის წყარო საღმრთო წერილია, მეცნიერება და ოსტატობა მიწინამძღვრებს ვით ღმრთისმოსავს და კრძალულს; წვეთ-წვეთად სულმან წმიდამან დამამცვრია და იმ სიტკბოებას ენით გიმწთოლვარებთ და გაპკურებთ და უხილავის ვიქმ სახელდებას. იგი სრულიად უცხო გახლავთ ადამიანურის გულისთქმისათვის, უწინასახოა (უარქეტიპო) საგრძნობელისა და საცნობელისათვის, ბუნებით მოუგონებელი, ზესთაბუნებრივი, ზესთა-ღმერთი, და ესე ყოვლად სადიდებელია მისი. ახოვანებამ მომიბრყვილა გაბედვის ნიჭი, ხოლო [ჩემი] ახოვანების და სიბრძნის მიზეზი საღმრთო სახელთა არჩევანში მდგომარეობდა და მე ესრეთ ვღაღადებ: ღმრთისმოსავობის და კრძალვის ნაყოფს ღმრთისმოსავთა ისე გავუწვდი, ვითარცა რჩეულ საინახეს. ამის გამო აღმომკითხველმა არა მხოლოდ დაჰამბვებით ცნას უქმი დღე (დღესასწაული) გონების ძალის, — დე, იკვლიოს სიღრმე ანუ ძალისაებრ განმარტოს კიდეც. სახელთა მნიშვნელობას სხვა ღმრთეებრიობა აქვს, ვინათგან სახელი არა მარტივად და შემთხვევით არს დასადებელი, არამედ საღმრთო დიდებულების მაჩვენებელ მოქმედებებს ააშკარავებს. ასე რომ დიდი მოკრძალების-მოყვარეობით მოგართვით წიგნი, ღმრთისმოყვარე მეცნიერთა და ოსტატთა მოგანდეთ განსჯა; სულიწმინდის მადლს მუდარით ვუხმობთ და მხნედ და გულმოდგინედ შევუდგებით საქმეს.

ღმერთი, მოწყალე, რომელს უყვარს მოწყალენი, მამა წყალობათა და შეწყნარებათა, შვენიერების მოყვარე, კეთილის მოყვარე, წყალობის მოყვარე, სახიერი, კეთილი, სახიერად მოწყალე, წყალობათაα, წყალობის მოქმედი, წყალობის შესაკრებელი, მომნიჭებელი წყალობისა, მოწყალე ღირსთა, ვისი არს წყალობა, ვის

გამო არს წყალობა, ვისით არს წყალობა, ვის შინა არს წყალობა, მართალი, სამართალის მომცემი, რომელი განსჯის და განბჭობს, რომელი სამართალს მოიღებს და სამართალისაკენ მიუკვალებს, რომელი დასჯილებას მოაწევს და მოავლინებს, ნათელი, ნათლის მომღები, ნათლის მოქმედი, ნათლის მთავარი, ნათლის მაცისკრებელი, ნათლით გულის მომლბობი, შორად მნათობი, მთავარი, ავრის მყოფელი (προνομεὺς), კელარი და მეუნჯე კეთილთა ნიჭთა, დაუძლეველი, უძლეველისა, ძლევის მოქმედი, ძლევის მთავარი, ძლევის უფალი, დიდების უფალი, უფალი უფალთა, მეუფე მეუფეთა, ღმერთი განწესებულთა ღმერთთა, მხილება მეჭველობით სამხილებელთა, მოწამე ჭეშმარიტებისა, მსაჯული არა თვალღებული, დალიჭი თვალუსვავი და პირმიუფერებელი, შეუცილებელი თვალი, ყოვლისმხილველობის სახედველი, მყოფი, დაუსაბამო, უმიზეზო, განუხილველი, მაღალი, მიუწვდომელი, გარეშეუწერელი, უცნაური, მიფარული, თავის გარეშემო ბნელის მქონებელი, კეთილობის სიღრმე. წყარო ნიჭთა, თვით-ცხორება, ცხორება, ვის გამოთაც არიან ცხოელნი, ვისით არიან ცხოელნი, ვისთვისაც არს ყოველი, ბუნებით დაუცემელი, არსებით უქცეველი, ბუნებით დაუხსნელი და უცვალებელი, უნაკლულო და კმა საყოველი, სრული, სრულთ-მთავარი, ზესთა-არსებითი, ზესთა-ღმერთი, ზესთა-კეთილი, ზესთა-ნათელი, ფრიად საშვენი, რომელს სიცხოელე ჰმოსავს, სრულად მდგმოდ, დამბადებელი, შემოქმედი, ტკბილი უფალი, წილის დამაფუძნებელი (?) (πολοδομήτωρ), მაღლად მორჭმით მჯდომელი, უცხოთ მესტუმრე, დიდძალი და კმა, დიდი, ძრიელი, რომელი ძრიელად შეიქმს, უკვდავი, მყოფთა არსად მომყვანებელი, ნივთისა და სახის ერთ-მყოფელი, დასაბამებრივი ნათელი, წყარო კეთილობისა, დიდრეობა ნიჭთა, მდინარე სიხარულისა, სამარადღეო ჩქერა საქმე-კეთილობისა; სხივი, რომელი არს შარავანდედი მომხიბლველი გარეშე სანაცვალოდ აღმოწოდებისა; წვეთ-წვეთი ცვარი სახარულევანის გალობისა, უფსკრული სულგრძელებისა, სულგრძელი, მშვიდი და მდაბალი, ძვირუხსენებელი, მომნანიებელი კაცთა ბოროტებისათვის, პირველ-მიზეზი, ელვარება უსაკრილო, წინაგამგებელი, მიმხედავი, მენავეთ-მოძღვარი; სანავე მათი,

რომელნი დაიზამორებენ; სიმშვიდე ღელვაგვეშულთა, განსასვენებელი და ნუგეშინი სალმობიერთა. მოქცევა შემცოდებელთა, დაუვალი მზე, ბრწყინვალება დაუშრეტელი, ნათლის მომღები მათთვის, რომელნი ბნელსა შინა სხენან, დაუსაღამოებელად და მიუაჩრდილებელად მოლაპლაპე ნათელი, მოვანებული, დამამყუდროებელი, მარტოდ მძლეავარი მჭელი. მწურთელი საგრძნობელთა და გულისსმის-საყოფელთა, არგანი და კვერთხი ბუნების ულონოებისა, სათნოების მოძღვარი, ბოროტების მხილება, შჯულიერ-მყოფელი, შჯულის-მდებელი, შჯულის-მმარხველი, სევასტოსი განსაპატივოსნებელი, ყოვლად პატივოსანი, სამსახურებელი, გზა ცხორებისა, მიუთხრობელი სულის სიამე, დაფარულთა გულისსმის-მყოფელი, გონების გამხილება, უძღებთა და უკეთურთა აღმომწოდებელი, განმსწავლელი, რომელი არ ჰკლავს, ჯოჯოხეთს შთამყვანებელი და აღმომყვანებელი; რომელი შეუხვევს ულონოებასა შინა, რომელი ძრიელებით განუტევებს, ძლევაშემოსილი, მძლეავარი, ზეკით მანიშნებელი, საკვირველი, ღირსთათვის პატივის მიმგებელი, მკურნები სულთა და სხეულთა ჩვენთა, ყველგან თანამდევი, ყოვლის აღმავსებელი, საუნჯე კეთილთა, ცხორების მომნიჭებელი, დაბადება გულისსმის სახეთა, ურაოდენო და უვითარო, დაუსახველი, დაუსატეელი, ძალით მახლობელი, ბუნებით შორეული და უცხო, მხოლოდ უმანკო; რომელი უმანკო-ჰყოფს, მხოლოდ წმიდა; რომელი წმიდათა თანა შეჰრთავს; წმიდა-მყოფელობითი ცეცხლი, სახმილი და ალ-ყოფა არა წერტითა, მწიკვლევანების საწმიდაო წყალი, უმწვერვალესი საწადელი და შესატრფო, ყოვლის მოქმედი, ძირი ყოვლისა მყოფობისა, უხილავი სიმაღლე, განუზომელი სიღრმე, შეუსებელი, წყაროანებითი, სიტყვის მიზეზი; რომელი ბრძენთა სიბრძნესა შინა შეიპყრობს; საწყისი სიბრძნისა, შჯულის ახლისმეტყველების კლდე, ყოვლადი მეუფე, ყოვლად მხილვარი, ყოვლად მოქმედი, ყოვლად ძრიელი, არღა მსასოებელთა იმედი, დავარდნილთა აღდგომა, მცენარე პირადპირადად ფეროანი; რომელმან მთანი (იქნებ საზღვარნი? ლ. კ.) დასხნა ხარისხთა და პატივთაებრ; ყოველთ-მიზეზი, ფრიად ცხადი, ფრიად საჩინო, საქადულობადიდი, ზრახვა-რჩეული, არა თანაგანმზრახველი და ზრახვასა შინა

მარტო-მყოფელი, წყაროთა დამადინებელი, ტბათა აღმომაცენებელი, საუფლოს და სამოძღვროს მპყრობელი; რომელს აქვს შეუქმნელი სიტყვა; მოღვაწე და მზრუნველი, სრულიად (ფრიად)' ქვეყნის მხსნელი, სულის მზრდელი, სულის საფუფვნეულო, სიტყვის საფუფვნეულო, სიტყვის მოყვარე მორჩილი, სიტყვის მოყვარებითი, ჭეშმარიტების მოყვარე, თვისგნით მცენარე, ყოვლად ზესთა ბრძენი, ცნობა-ვნებულთა მოწყალე, შმაგი, მხცოვანების დასაბამებრივი, დასაბამებრივ [და უკვე მხცოვან] ცად მოქცევის სანაცვალო, შუადღის ანუ დღის განზოგების საგრილი, ცისკრად მზის აღმოსავალით მომავალი, ცხოვლად ნახული, არა ხილვად მომაქცეველი სიცხოელით; რომელი იქმს გამოდარებას; რომელი აღმოუწოდებს უღონოთა და ჩამომჭკნარ მკლავთა; სამოთხის დამნერგველი, ღამის უშიშო, სამართალის განსწორება, ტომოვნებითი წყარო შვენიერებისა და სიკეთისა, ყოველთა განთვისებული ზრუნვა და მოღვაწება, ყოველთა საზიარო ზრუნვა და მოღვაწება, მეუფე არსებითად მხოლო მყოფი (მარტომყოფელი), ყოვლად დიდძალი, ზებუნებრივი გასაცემელით აღვსილი საუნჯე სამეუფო; რომელს გამოუთქმელად შემოუკრებია შორით პირისპირ; რომელმან შეუზავებელნი შეაზავა ჟამსა შინა თვისსა; რომელმან იცის ფრიად ქვეყნის ყოველი წნული დასაბამითგან ვიდრე დასასრულამდე; დაწესებითი, წარმმართველი, სიცხოელის მქონე საჭეთ-მპყრობელი; რომელი ვერ გაცხადოს ქარმან ბორბალმან; ღელვა-გვემულების მძლეავარი, მკურნალი, მომხედავი, ცისკრადი, საუკუნეთა საწყისი და დასაბამი, დროთა დასაბამი, თთუეთა დასაბამი, დღეთა დასაბამი, ჟამთა დასაბამი, კეთილი მოქმედი, კეთილი საქმის მომნიჭებელი, ახლის მოქმედი, საკვირველმოქმედი; რომელი ნიშთა მოიღვაწებს; რომელი იქმს სასწაულთა მხოლოჲ, შემოქმედი, მწყემსი კეთილი, დამწყსითი, ბუნებით მეუფე, არა მეიგივეობე, შეუსწორებელი და უმაგალითო (απαραλληλος), ძნიად გულმწყრალი, არა გულმწყრალი, უშურველი, უწყრომელი და უკაეშანო, ნამდვილად დიდძალი, უსაზღვრო და გამოუცდელი, საეშმაკო ძალთა მომწყლველი, რომელი უგუნურთა გულსა ჰგმირდეს; რომელმან დაჰბადა მხოლოთა გულთაებრ ჩვენთა; „რომელი განიკითხავს გულსა

და თირკუმელთა"[1], მეცნიერი რჩეულთა, გამომცდელი წმიდათა მისთა, ცაჲ ვისი საყდარი არს, რომელმან დედამიწა შეიძინა კვარცხლბერკად[2];

ნიჭით და დასადებელით დიდ-შვენიერი, ყოვლითურთ სახელოვანი, კეთილად თანა-ნალმობი და თანა-მტკივანი, მოქადულობით საშინელი, წყალობა-უხვი, მზირთაგან ხელუხლებელი, გასაოცარი განკიცხვის ცეცხლი, განსაცდელთ შინა მყოფთა ნუგეშინისცემა, განმზადებული მოქენეთათვის და ნატრულთა, გარდამრთხმელი და განმფენი ცისა როგორც რომ კარვისა; რომელმან „დაჰრთნა წყალთა ზესკნელნი მისნი[3]"; რომელი ღრუბელს დასაყრდნობელს შეუდგამს [და წვიმად მოიყვანს]; მავალი ფრთეანთა ქართა ზედა, ყოველთა ზემხილვარი, ბუნებათა ახლად მსახველი, მძლავრად მოქმედი, ძალითი, ვარსკვლავთ-მოქმედი, მზე სიმართლისა, ყოველთათვის განგებიანი, ყოველთა მოურნე და მზრუნველი, ზესთა დიდებული, კურთხეული, ხელით ძრიელი, ხელმძიმე, ქერუბიმთათვის უხილავი, სერაფიმთათვის მიუწვდომელი, ძალთა ძალითად-ძალი, უსაზღვროობით უსაზღვრო და განუზომელი, დღეებით ძველი, განმზადება საყდართა, უფლება უფლებათა, გამრიგე გამრიგეთა, შეუბღალავი და შეუგინებელი, ცარგვალის ჭერად ლერწმის მოქმედი, [ცის] დანახეთქთა კრძალვით დამხშველი, მომავლინებელი ძვირის [საშჯელისა]; რომელმან განახვნა დახშულნი; ცოცხალთა საზღვარი ცხორებისა, სიცოცხლისა და სიკვდილის მეცნიერი რიდებით და მსაჯული; რომლისაგან განეფინა რიცხვი; გამოსახული ერთობასა (ერთარსებასა) შინა, ყოველთა შენაწევრებითი და ჰარმონიული, ყოვლის შენაწევრება და ჰარმონია, მერმეცა არღა საგალობელი (არღა ნატრული კვალად გალობის); წრფელად მართალი, წრფელად გონება-მართალი, ხვედრ-დანაყვედრები, რომელი არა აყვედრებს, მშვიდი მხილება, უშფოთველი, ზრახვა-შეურყეველი, შეუძრველი, მარტივი, დაუწერელი და დაუსახ-

1. ფსალმუნნი, 7, 10: „ὁ ἐτάζων καρδίας καὶ νεφροὺς".
2. „ცაჲ საყდარი ჩემი არს და ქუეყანაჲ—კუარცხლბერკი". ესაია, 66-1.
3. ფსალმუნნი, 103, 3.

89315

ველი, ერთი ერთ-მყოფელი ყოვლისა ერთობისა, გონება უგონებელი, სიტყვა გამოუთქმელი; რომელი არს არავითარისა მყოფისაებრ; ყოველთა დაზესთაებული და ზესთა განყენებული, მიუვალი, ღმერთ-ძთავრობითი, ახალ-ხატობა და აღორძინება ღმრთის-სახოვანების ანასხლეტთა, მეცნიერებითი სიკეთე, არა გადასასხვაფერებელი, დაუბერებელი, საყვარელი; რომელი არს ნიავსა შინა წერილსა; ზესთა ჩენილი, სხვა-სახელიანი, ლამპარი სულთა, სიბრძნის შესაწირავი, უწინასახო (უარქეტიპო), სახეთ-დასაბამი; ვისი განსაგებელი და მისახედი არს ყოველი; სიკეთის დასაბამი, მაცხოვნებელი, ცხოელთ მზრდელი, წრფელად ვაზის ძფის მეუწყი, მყოფთა საძირკველი და ხარისხი, იძრვისთა უძრაობა, საუკუნეთა დასაბამი, საუკუნეთა საზომელი და საწყაო, დროთა მყოფობა, მყოფთა საუკუნე, დრო ქმნილთა, დაბადება ყოველთაგე ქმნილთა (რაოდენნი არიან), საუკუნე საუკუნეთა; რომელი ჰგიეს უწინარეს საუკუნეთა; უწინარეს მყოფი, ზესთა მყოფი; არა აქ მყოფი და იქ არ მყოფი; არა ნაწილობრივ მყოფი და ნაწილობრივ არ მყოფი; მრავალფერი (სქემა-მრავალი), მრავალსახე, ყოველფერი, ყოველსახე, უსახო (უხატო), უსიკეთო [ანუ ზესთა-სიკეთე], სრულება ყოველთა, ნიში ყოველთა, გამოუცდელობა და უსაზღვროობა, ძალით უსაზღვრო და ძალგანუზომელი, ზესთა ყოვლისა გამოუცდელობისა და უსაზღვროობისა; რომელი ყოველსა ზედა ვიდოდა უწინარეს და თავსა თვისსა ზედა დაშთენილ არს; დადგრომილი და იძრვისი და დაუდგრომელი და უძრავი; რომელს არა აქვს დასაბამი და საწყისი; რომელს არა აქვს საშუალი [ანუ განუზოგებელი]; რომელს არა აქვს დასასრული; მეცნიერი და მსაჯული, ყოვლისა საგრძნობელისა და საცნობელისა ზესთა დამყარებული, თვით-სრული, ერთებრივი დამრავალკეცება, სწორი, სახელმრავალი, ფრიად განთქმული, მხცოვანი, მრწეში, თვით-სიმშვიდე, თვით გულისხმით აღძრული, გამოხატვის დასაბამი, აწინდელის მთავარი და დასაბამი, გარდასრულის უფალი, აწმყოს მეუფე, მოსალოდნელის უფალი, ხმეანი (ხმის მიზეზი?), ყოველთა მძლეველი, ყოველთაგე მდგომობა, უზესთაეს ყოვლისა მედიდური; რომელი წმიდათა შორის შვებულ არს; ცისა და დედამიწის ხელოვანი და მაშენებელი, ყოველ-

თა დამაფუძნებელი, სიმშვიდის შემტკბობელი, მბრძოლთა შემმუსრველი ძრიელი მკლავით, უნივთო, უწინასახო, წინაგანმგებელობითი, უსხეულო, შეუცილებელი, გარეშეუსაზღვრელი, გამოუძიებელი, გამოუკვლეველი, უდროო, შეურევნელი და არა ზიარი, სიმალე, თვით-სიმალე, ზესთაბუნებრივი (ზესთა-ნერგული?), მეუფე ანგელოზთა, საუმაკო ძალთათვის საშინელი; შესაძრწუნებელი იმად, რომ გონებულ იქმნეს; საწმიდათმთავრო, საღმრთო, საწმიდათმთავროს სრულმყოფელი, მეგზური და წარმმართველი, ერის წარმყვანებელი, ზესთა, ქვერე, საშუვალი; რომელი არს ყოვლობისა და უნაკლულობისათვის; რომელს ადიდებენ; საგალობელი, გალობათა შემწყნარებელი, წინამომასწავებელი, გულთა მეცნიერი; რომელი განიკითხავს გულთა; წინამოსწავების სრულმყოფელი, სულთა მხსნელი; ვის ხელთ არის გულმწყრალთა დაწყნარება; ღმრთის-ხმეანი, ურომელო, შეუსმენელი, დაუსრულებელი; რომელს არა აქვს რადმე სანაცვალო; რომელი არა რადმე ისიტყვება; დაუღლელი, შეუსაზღვრებელი, ფრიად დამთმენი, ზესთა-აითერული, წვიმის მომყვანი; რომელი ნაბერწყალს იქმს; დედამიწის თავდამყურე და მისი შემაძრწოლელი, ქუხილის დამამყარებელი, დამბადებელი და აღმგებელი სულისა; რომელმან ჰაერი განფინა და განმარტა; რომელი მიწის სამყოფელს დაეყრდნო; ჟამთა უსწორო და თანაშეუტყვებელი; ვისი სუნთქვის წილ ქუხს; ელვის მოქმედი, შეგრაგნილი, სვეზედ დაზესთაებული, ბედის უზესთაესი, პირისწყალის (νεμεσεως) მიზეზი; რომელი ხვედრნით დაამტკიცებს; რომელი არს ზიარი ყოველთათვის; თითოეულში სხვა, ხიდი ზემოურთა და ქვემოთა; საკრველი მათი, რომელნი გარეშედ გულისხმა-ჰყოფენ და განიზრახავენ; შორეულთა ერთურთს შემყრელი, ზღუდის-ზღუდე ურჩთათვის ბუნებისათა, განწიალება მათი, რომელნი მიიცვლებიან ცხორებისათვის; მეუწყი ჭეშმარიტებისა, კანონი და განწესება სიწრფოებისა, სასწორი გადაუხრელი, წყალი მხილებისა[1]; რომელი შეიქმს ანგელოზთა სულებად მისად, ჟამის-მწირველთა — ცეცხლის ენებად; რომელმან დედამიწას არ მოუშალა თვისი სიმტ-

1. რიცხვთა, 5, 18.

კიცე; „რომელმან აღმოუცენა თივა პირუტყვთა და მწვანე სამსახურებელად კაცთა[1]"; „რომელი შეახებს მთათა და კვმოდიან[2]";

რომელი საზრდელს მისცემს ყოველ ხორციელს; იფქლის მომლები, ისრაელის შჯულის-მომცემელი, ზესთა-ღმერთი, წილხვდომილი მოშიშთა მისთა, საუკუნო ცხორება, წარუპარველი საუნჯე, ზედმიწევნილებით ხელოვანი, წინასწარმეტყველთა განმამხნობელი, მღდელთა სრულმყოფელი, მღდელობის შჯულის-მდებელი; რომელი შესაწირავს აღიღებს; რომელმან იცის ყოველი, ვით არცაერთმან სხვამან; რომელი აღუწვდის წყალს ღრუბელთა; რომელი ხმამაღლად ამპარტავნებას აღფხვრის თავსა შინა თვისსა; ზღვის გარემომზღუდველი ქვიშით, მცხინვარედ დიდებული, მცხინვარედ წარმოდგენილი, განთქმული და პატივიანი. წამლის-მცემელი, ფრიად ქვეყნის მაცხოვარი, ნათელი დამკვიდრებული, მიუახლებელი; რომელი მცნობელობისათვის იღვწის; სამარადისო, მოუსპოლველი, მოუსურვილებელი, უნაკლულო, თვალშეუდგამი, სწორუპოვარი, შეუხებელი, უძლეველი; რომელი წარმოიავრებს; წმიდამსახურებითთა სულთა დამბადებელი, ნიჭთა არა მიმხვეჭელი, არა თვალღებული. ფრიად ქვეყნის გამომხსნელი, სიბრძნის უფსკრული; რომელი ყოველთა განაგებს ყოვლის უმჯობესად და ეზოის მოძღვარ არს; იმედი ყოველთა კიდეთა ქვეყანისათა; რომელი ცას განჰზომს მტკაველით; რომელს მჭელით უპყრია დედამიწა; პური არსობისა; რომელმან იტვირთა ფრიად ქვეყნის შეცოდება; დამგულებელი და წინაგანმრჩევი, გონიერად თავდაჭერილი, შეუბღალავი, შეუგინებელი, უვნებელი, დამფარველი, მეოხი, ერთ-მყოფელი, მხოლოდ გამომხსნელი, ზესთადასაბამი, უკეთურებისათვის აღუძრველი, ქებული. ზესთა-ასამაღლებელი, სანათელი, შემოქმედი მწახნაგებელი, შემზღუდველი, წინამდგომელი (თავზედ მდგომელი), მცველი, თანმყარსეობის მაარსებელი, მახლობელი, ძლევის მეგზური; რომელი სანთელს აღანთებს; წარმოსახულთა განმმარტებელი და განმავრცობელი, შთასაჭრელთა ადგილთა განმმზადებელი, ჭურის ამხდელი,

1. ფსალმუნნი, 103, 14.
2. ფსალმუნნი, 103, 32.

საშუალის აღმზღუდველი და შემმაგრებელი, სიმრგვლის ოსტატი, მზის აღმძრველი, მთოვარის ნათლის მოქმედი, ცთომილთა ვარსკვლავთა გზის მოქმედი, ცხოელი, სამარადისოდ ცხოელი, ანგელოზთა შემოქმედი და გამომეტყველი, უჩინარ-სარტყელ-მოსაკლებელად ანუ სიქალწულის წირვად მიმქცევი, მზრდელის ნაღვარევი (?), ქვეწარმავალის განწიაღება, უსახელო, სახელმრავალი, ყოვლად სახელიანი; რომელი ჰზის გონიერების საყდარს ზედა, უმსგავსო; რომელი მეფეთა სიმტკიცეს სარტყელად შეარტყამს; ზესთა-მეხისტეხა, დასადებელის განმსჯელი, კაცთა ხელისუფალი, ღირსი, მოშურნე, საბაოთ, თვალუხვავი და არა პირფერი, უებრო და შეუმსგავსებელი, სხვეებრობით ხელოვნებითი, ერთი ბუნებასა შინა, ერთი მეუფებასა შინა, ერთი საუფლოსა შინა, ერთი უფლებასა შინა, ერთი ძალსა შინა, მხოლო მდიდარი, მხოლო სახიერებითი, ოლიმპიელი, მიწიერი, დაკლებულთა წარმომეტყველი და მთარგმანებელი, ძრიელი, მეხისტეხით ხარებული, ღრუბელთა შემყრელი, მაღლად მგრგვინავი, უზესთაესი სამყოფოს მკვიდრი, მიწის მძრველი, კურნების შემწე, განმამხნობელი, დაწყნარებითი საყოფელი, წყნარი და განმსვენებელი, არ-არსის მხილვარი, სიმშვიდის მოქმედი, სიმშვიდის დასაბამი, სიმშვიდის-სახელიანი, თვითწყარო, უკვდავების საზრდელის მომნიჭებელი, ნექტარის მომპოვნებელი, ცის დამამყარებელი, წვიმის მომყვანი, გლახაკთა და უპოვართა ასამაღლებელი, გულზვავთა შემმუსრველი; რომელი კვალად აღამაღლებს რქას სარგებელთა მისთა; მეფეთა განმაძრიელებელი; ცეცხლი, რომელი სწვავს და აღცრის ცოდვათა; თვალი, რომელი ყველგან აღწევს; სიმდაბლის წარმომგზავნელი; რომელი სანაცვლოს განუწესებს ამპარტავანთა; რომელი სწყევლის და ამხობს მზვაობართა; ყოველთათვის ღვარი წყალობის; უკეთურთა და კეთილთა ზედა დამამცვრეველი; რომელმან მზე აღუპყრა სამართლიანთა და უსამართლოთა; რომელი იქმს და ცვლის ყოველს; ბუნებათა გარდამსახველი, მცოდნელი ყოვლისავე თვით დაბადებამდე, სახიერების ანუ წიაღის სილამაზის და მოწყალეობის გამოუკვლეველი უფსკრული და პელაღონი, ზღვა კეთილთა, შემატება შვენიერებათა, ქველთა მთავრობა და განმგებელობა, მხოლო საშინელი; რომელს

ცა აქვს საყდრად; რომელი დედამიწის კვარცხლბურკზე დგომით თავმომწონეობს; რომელმან ზღვას ქვიშის უქმნა სადავე; რომელი პონტოს სიველურის გარდაგდებად შეიმართა; რომელმან ტალღათა ესევითარი სილბო მოიღვაწა; რომელი ცურვა-კეთილობას მოჰგვრის ხომალდთა; რომელი ყოველთა განაგებს ყოვლის უმჯობესად და ეზოის მოძღვარ არს; ხრმალი უკეთურების წილ, ცული უსამართლოების წილ, მახვილი სატანის წილ, ლახვარი უკეთურების წილ, სრვა ზაკვისა, საეშმაკოდ შესმენის რიდობა, შემოქმედი და გამომეტყველი ხილულთა, შემოქმედი და დამბადებელი საცნაურთა; რომელი მიჰრიდებს გრძნობადთა; შემოქმედი გამოუვლინებელთა, დამბადებელი და აღმგებელი უნივთოთა, მპყრობელი ნივთიერთა, ქველი, თვით-კეთილობა, მოწყალე, წყალობის მქმნელი, თვით-სალამო (თვით-ღამისეული), მეწყალი და თანამტკივანი; რომელი შემდგომად ჰამებისა წყალობით მოიღებს პასუხს; რომელი განმკითხველთა განიკითხავს, მოწყალენი ეწყალის, მოყვარენი უყვარს; მყოობადის მეცნიერი, აითერის განმმარტებელი; რომელმან პირმშო ნათელი განკვეთა და დაანაწილა; ნათლის სახისა, ნათლისმცემელი; რომელს ხელთ უპყრია მრთელი ცხორება; რომელმან მორთო გაზაფხული, დააყენა ზაფხული, სთველი გამოაქანდაკა, ზამთარს ყინვა განუსაზღვრა; რომელი არს ხევთა და ღვართა აღმოსავალი; რომელი მდინარეთა განახმობს; რომელი არს მრგულიად ვარსკვლავ-შემოსილი; უძლეველი, უბრძოლელი, შეუხებელი, უნაწილო; რომელი განუნაწილებელად ჰსედავს ყოველს; სიხარულის მოქმედი, შვების მომცემი, უცოომელი, მთავარი, ყოველთა მცველი, ყოველთა საცხოვარი, ყოვლისავე ვითარცა ერთის მზირალი, თვალუხვავი; რომელს სუნთქვა აბარია; ჯანის სიმრთელის მომცემი, უძრახველი, უვნებელი, შეუდარებელი კეთილობასა შინა, თვით-გონება, თვით-მეცნიერება, თვით-გულისხმისყოფა, თვით-სისრულე, უსუსურობის ძრიელებად მქცეველი, ფრიად გარდაშლილი ძალი, მოკვდავთათვის ამაგის დამდები, საყდარი შეუცილებელი, უდიდო, უსწორებელი სიდიდე, ერთი ერთ-მყოფელი ერთებათა, ყოველთა შინაგანი, სნების აღმფხვრელი, სასწორი წესისა და შესაფერობისა, განთოვლების და განსპეტაკების უვარისმყოფე-

ლი; რომელი გიგანტებს ტვირთს აღუსუბუქებს; უკარებელი, განუ-
შორებელი და თანა-აღურვენელი, მოუშლელი და სამარადღეო;
რომელსა შინა არიან ცხორებანი; თვით-სუნთქვა; რომლის გამო
არს სუნთქვა; რომლით არს სუნთქვა; რომლისაგან არს სუნთქვა;
მიუახლებელი; რომელი არს უკუნითი უკუნისამდე.

მაქსიმოს პლანუდესი

მაქსიმოს პლანუდესი, ფრიად განსწავლული კონსტანტინეპოლელი (ჯერ ქორას, მოგვიანებით აკატალეპტუს მონასტრის) ბერი, არცთუ მოღვაწებულის შესაფერისად ცნობილი ავტორია. იგი დაიბადა ნიკომედიაში 1260 წელს, გარდაიცვალა დაახლოებით 1355 წელს (სხვა წყაროებით, 1310 წელს). ადრე ჩავიდა კონსტანტინეპოლში. 1283 წელს შედგა ბერად. მისი მოღვაწეობის ხანა — ეს მიქაელ VIII პალეოლოგოსის და ანდრონიკე II პალეოლოგოსის ხანაა. ანდრონიკეს დიდი პატივით შეუმოსავს და, როგორც პაქიმერესის „ისტორიის" მეცხრე წიგნი მოწმობს, 1327 წელს ელჩადაც გაუგზავნია ვენეციაში ლეონ ორფანოტროფოსთან ერთად.

აქვს თეოლოგიური ნაშრომები (მაგალითად, სულიწმინდის გამოსვლაზე, ლოცვის ძალის შესახებ, ქადაგება რწმენის შესახებ). მასვე ეკუთვნის შვიდ-წიგნედი ბერძნული ანთოლოგია. ლათინურიდან თარგმნა ავგუსტინეს „სამების შესახებ", თარგმნა ბოეციუსი, თომა აქვინელი და სხვ. იღვწოდა ენკომიასტიკის ჟანრში. დაწერილი აქვს ეპიგრამები, 121 წერილი.

მაქსიმოს პლანუდესი ფილოლოგიურ განათლებას იშვიათი ოსტატობით ათავსებდა მათემატიკის ცოდნასთან. ამ სფეროში მას ვიცნობთ მათემატიკის ისტორიისათვის საკმაოდ მნიშვნელოვანი „ანგარიშის" წიგნით, დიოფანტოსის „არითმეტიკის" სქოლიოებით.

ქვემორე მოთავსებული თხზულება პირველად ითარგმნა. გვწამს, რომ ეს ძეგლიევა საკუთარი თავის ყველაზე სწორი და მართალი განმმარტებელი, როგორც ბიბლიაზე ამბობდნენ: ipsius sui interpres.

სიტყვა

უფლისა ჩვენის იესო ქრისტეს სხეულის საფლავს დებაზედ და ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისა და დედოფალისა ჩვენისაგან დატირებაზედ

ვითარებას ამას ვინმე რომ საგოდებელს მიამგვანებდეს, ოღონდ მიზეზად გარემო არ წარმოიდგინოს, დასატირალად იკმარებდა ცთომილება სულთა ყოველთა; ხოლო ის, რისთვისაც განმზადებულ-ვართ, არს განწესება მბრწყინვალისა და უდიადესის დღესასწაულის. მაშასადამე, რაი არს ამათგან თვითეული (გოდება და დღესასწაული), ანუ საითგან მომავალი, ანუ საითკენ მიპყრობილი, ვგონებ, რომ უწყის ყოველმან ჩვენის ტაძრეულისგან. ვინ არღა იცის, რომ ქრისტე საფლავს მდებარე არს მომკვდართა თანა, ხოლო იმედი გვაქვს მისგანვე წინასწარ თქმულის აღდგომისა. ჩემი სიტყვა მეორეს — დღესასწაულს — ეხება (მას მოჰხმარდეს ეს მოცალება), თუმცა ორნივ — გოდება და დღესასწაული — სახით რითმე ერთმანერთისგან გამოჩნდებიან, რამეთუ ერთზედ დაჰამბვება მეორისათვის გვერდის ავლით არცა ეგების. რასაც პირველი მოითხოვს, მასზედ მთხრობელიც თავად ვიქნები, ვინათგან ჭეშმარიტად სჯობს, ამ დღეს მდუმარედ კი არ მივაგებდე პატივს, არამედ სიტყვანი ჩემნი მემოწმებოდნენ, რომ დღე ესე საკუთარის დიდებისაგან არა მოვკვეთე. გუშინ იგი იხილვებოდა, რასაც სრულიად ქვად ქცევისთვის საკმარისად შესწევდა ძალი, და უჩუმარიც გვასწავლიდა, რომ არა მარტივად კაცის, არამედ ღმერთკაცის მიმართ უკეთურება განეზრახათ შურით აღვსილ იუდეველებს. როგორ გადმოგცეთ? მზეს ბნელი გადაევლო, დედამიწა დასაყრდენს მოეშორვა და აღსუბუქდა, კლდეები თითქოს დარტყმისაგან იმსხვრეოდნენ, მხოლოდ ტაძრის კრეტსაბმელი ოდნავადაც არ შერხეულა; ყოვლად შემზარავი იყო გარდახსნილი საფლავებითგან მკვდართა ამოსხლტომა და მრავალთა თვალთწინ მომავლება. ესეც უნდა მომხდარიყო და ბევრად უფრო საკვირველიც, რამეთუ ღმერთი ხორციელად ვნებული იყო და უსამართლოდ დამოჰკიდეს ძელზედ.

ბევრი ეწყინა მას, რომელი მოიცავს ყოველს, და მას საკუთრად შეუქმნია საფრთხენი ესე და მიწა ცისთვის შეურევნია. დღეს აღსრულდება სხვა საიდუმლო, — ღმერთი ჯოჯოხეთს შთავალს, რათა იგი, ვინ მიწაზედ ცოცხალთა შორის მოქალაქობდა და სახარებას უქადაგებდა, არა მიუთხრობდეს დაკლებულად საუკუ-

ნის უწინარეს აღსრულებულთა. ბუნებით მართალს, არცარა ჰმართებს, ხოლო ყოველსავე, რითაც პირველი კაცისაკენ მიგვაქცევს, იქმს მას ჟამს შინა მყოფთათვისაც, როდესაც ჩვენთან უცხოდ მოვიდა, და მათთვისაც, რომელნი მყოობადს ეკუთვნიან, სანამ დღე და ღამე ერთურთს დაუთმობენ; [შეცოდებამდელი პირველი კაცისაკენ მიაქცევს მათაც], რომელნი უწინ ჯოჯოხეთმა შეიწყნარა, მოძაგებად ბნელში ბოროტისმოქმედთა, ვითარ მოიხილა. უნდა ეცნათ იგი არა მხოლოდ ცოცხალთა, არამედ მომკვდართაცა ღმერთად და მაცხოვრად; უნდა დაცალიერებულიყო ცოდვისაგან სამეფო ჯოჯოხეთისა და სიკვდილისა, ვინათგან გზა განჰხსნოდა ადამიანთა მიმართ ცოდვას თავისთავის შესაძინელად და ქედმაღლობის მიზეზიც ჰქონდა ძლეული ადამიანური ბუნების გამო, რომელსაც იგი (ცოდვა) ვით წაურომეველ ხვედრს შეიწყნარებდა.

სიკეთითა და სიდიადით ღმრთის საკუთარი იყო იმად, რომ, ვისთვის ღმერთმან უკვდავების პატივი მოიღო, ცოდვისაგან სასიკვდილოდ წარზიდული არ განეწირა, არამედ ხელი გაეწოდებინა და დამხობილი აღედგინა. ვინ დაიჯერებდა, რომ თუნდაც სრულად გასაგონობის ტვირთით დამძიმებული, წინააღმდეგ ღმრთის ძალისა და სიტკბოებისა, ბოლოს ცოდვით თავსაც მოიწონებდა? კეთილს თვითმდგომს[1] (αὐθυποστάτου) ყოველი რომ მოეწესრიგებინა, გარნა ბოროტი რომელსამე ჰიპოსტასზედ დამოკიდებული იქნებოდა? ამის გამო ღმერთს თვისი შექმნილის და მოგონებულის კვალად ხსნა ეწადა; არა რომელსამე ანგელოზს ანუ მთავარანგელოზს მიანდო მაცხოარება, რამეთუ არცა დასაბამითგან მიენდო მათთვის ჩვენი დაბადება, — თავად იკისრა განგება მან, რომელმან თვისი დიადი ხელით-ქმნულის — ადამიანის დასჯად ვერ უძლო, ვინათგან მხოლოი ღმერთი თავადვე არს შემოქმედი და მაცხოვარი და იგი მხოლოი ვცნათ შემოქმედად და ერთადერთს ვწირავდეთ მადლს და, ვითარცა ყოველი ქმნილება, თაყვანს ვცემდეთ.

---

1. სჭოლიასტი შენიშნავს, რომ აქ ჩანს გავლენა პითაგორასი, რომელიც ბუნებაში არსებულ საგანთა წესრიგს უკავშირებდა სიკეთეს, ხოლო ბოროტებას ათავსებდა იმ საგანთა რიგში, რომელნიც არ არსებობენ.

ამისთვის არა განუვლია მარტივი გზა ცითგან მიწამდე, არამედ ჯოჯოხეთის შთავიდა, ბჭენი სპილენძისანი დაამსხვრია. მოქალნნი შემუსრა, საკრველები განხეთქა ბნელსა და სიკვდილის ჩრდილსა შინა მსხდომარეთა, ახსნა უპოვარებითა და რკინის ბორკილებით შეკრულნი, გამოიყვანა ისინი სიბნელითგან, რათა ეჩვენებინა დაუსალამებელი ნათელი, და სიკვდილის წილ მიჰმადლა ცხოვრება საუკუნო. რომელთა მიმართ უფრო მძიმედ და დაყენებით ვიდოდა მაცხოვარი, უფრო სანატრელ ქმნილიყო იგი, თავისუფლების ნიჭის გამომლები; ეცხადებოდა საუკუნეთა დასასრულს. სანამ ყველა არ დაივიწყებდა მათს ღალადებას, რომ ხსნა ერთადერთს ძალუძს, ამას არა პირველ დაუმხობლობაზედ ნაკლებად ჰგონებდნენ; კიდეაც რომ არ გამოჰრეოდა მათ ვინმე, რომელი მეტის სარგებელით დაწყარებდა და განაგრილებდა, არც უფრო ძვირისა და ფიცხელის წამებისა არ ეშინოდა.

ასე რომ მაცხოვრისა ჩვენის ხორციელად ჩვენ თანა მოსლვამ გამოაჩინა ბევრი საიდუმლო, რომელიც სიტყვათა მრთელ ძალს გარდაემეტა. ერთი უდიდესი საიდუმლო დღეს სრულდება. ესე არს ჯოჯოხეთის მოკვდინება, სიკვდილის სიკვდილი, თავისუფლება სულთა და მოსურნეთათვის ცათა მიმართ გაღებული გზა. აქათ მოემართება სხვაიც ყოველი შორით თუ ახლოით. თითქოს მუდამჟამ მახვილი და ფარი და ტალანტი და შუბი და სხვა საჭურველი და თოროსანთა კრებული და დამძიმება ცხენის და სიმძიმე წინააღმდგომთა ანუ მათთვის განწესებათა და განაპირა ფრთების შეწყობა — ყოველივე ერთს დამოჰკიდებოდეს, ვითარ არს წესი მტერთაგან გარეშემოწყობისას. თუცა ჩანს, მცირედი წარმოვადგინეთ. აქ დავაყუდოთ სიტყვა, სანამ მაცხოვარი ჯოჯოხეთს მყოფთა მოჰვლიდეს; წარვიდეთ საფლავზედ და ქალწულისა დედისაგან შვილის ცრემლოანი და ტირილოანი მოთქმა მოვისმინოთ და კვალად დავაწყოთ სათქმელი. წარვიდეთ მდუმარედ, არა შიშით აწცა, ნუ დაგვაეჭვებს იქამდის მისლვა, ვითარ ძველად პეტრე და იოანე დაეჭვებულან[1]; ნურც ვიფიქრებთ, რომ საგოდებელი განკვეთას რასმე ანუ შფოთს და ამბოხს მოიტანს.

1. მენელსაცხებლეთა დედათა რომ აუწყეს უფლის აღდგომა, არ დაუჯერეს.

ვინათგან მშვენიერად იმოქმედეთ, მიაყარით სასმენელი და მოისმინეთ თქვენ, საფლავითგან შორს დადგრომილთა: „ჰოი, მიწავ, მზეო, ჰაერო, იგრძენით ჩემთა ტკივილთ სიმრავლე, თუ გაქვთ შეგრძნება. ტ რომელ მყავდა ერთადერთი, მხოლოსა მას ნუგეშინს ჩემსას მომკვდარს ვხედავ. საფლავს მდებარეს, ცოტათა ოდენ თანა-ელმისთ მისი წამება, ცოტანი სთელიან სანდომოდ და დასაყრდნობელად და არცა გამოიცდებოდნენ, რომელთ ცნეს კაცად[1]. არც მკვნესარენი მდებარის თავზედ შეიკდიმებენ რითმე სამხელითი. მათ ხომ ვით ღირსთა ყოველგნით ეკრძალებიან. მე კი რამდენის სიკვდილისა მთრგუნავს შიშობა, რომელი მერმე დავიწყების სურვილს მინერგავს. ჰოი, როგორ არ დავიტირო გასაგონად და არ წარვთქვა საგოდებელი, თუნდაც არვინ არ დამანებოს და თუნდ ყოველნი მაბრკოლებდნენ. ო, ყველა დღეზედ უფროისად სატკივრიანად გათენებულო ჩემთვის დღეო, როდესაც ჩემს შვილს ძელზედ ვხედავდი შთამოკიდებულს, ლურსმნებით ჯვარცმულს, ფერდ-განგმირულს და სხვა წამებით ესრეთ ვნებულს, რომ მე არა მაქვს გონება, მათი წვდომის შემძლე. ვოი, როგორ არ ამომერთვა სული, როდესაც ჩემზედ მოწევნული სიმწარე ვნახე? და რომ მოვთვლიდე საწამებელს, კვლავ მიქცეულ არს ჩემი ცხოვრება დაღუპვის კარად. ვოი, შვილო, შენი დაკლვის მომსწრეს, ვოი და ვოი, რა უსამართლოდ გაგაკრეს ჯვარზედ, რარიგ ურჯულოდ მიგალურსმეს და დაგმსჭვალეს, რარიგ ულმრთოდ განგგმირეს. ვნებათა შორის საშინელთა განეშორე კაცთა, ხოლო უფრორე საშინელი მე თავს გარდამხდა, რამეთუ მწუხარს სიცოცხლეს ამას სიკვდილი სჯობს. პირველ რომელი წამებისათვის • მოტირალ ვიქმნე, ბოლოს რომლისთვის? თითოეულზედ თუ დავიცრემლე, მდინარეები ცრემლებად უნდა გარდამეცვალნენ. შენ რომ განჰქარდი, მე გულს ვიოხებ ოდენ ტირილით. შენ რომ ღაწვსა გცეს, მე მზის ყურება ვერ შევძელი, პირს ვიფარავდი. შენ რომ გნერწყვიდნენ, მე იმ წამებით თითქოს მებრძანა, რომ მთლად ცრემლებით განვბანილიყავ. შენ დაგცინეს და მოგრთეს პორფირით, მე თითქოს ვილაც ძალას მაწვდიდა და ჩემი გლოვის სამოსელი

1. აქ სჭოლიასტი პეტრეს სიტყვების ალუზიას ხედავს.

ეამებოდა. შენ თავსა გცემდნენ ლერწმითა და მე ხელს ვიცემდი მაშინ თავსა. შენ შოლტითა გცეს, მე კი ხორცნი განვიხმე და ვარ ხორცდაწრეტილი. შენ შთამოგკიდეს და მე ტკივილმან ამიტანა. შენ მიგალურსმეს და მე გავხევდი. შენ ნაველი გასვეს სიმწარით და ჩემი სიმწარე როგორ აღვწერო? და შენ რომ სული აღმოგხდა, მე სულ მცირედ დავრჩი. შენ რომ ფერდი განგიგმირეს, მე გულს განმევლო ხრმალი ლესული. და აწ, ბოლოდ, შენ მომკვდარი საფლავს მდებარე ხარ და წამება ჩემი მომკვდართასა აღემატება და ბევრს სიკვდილზედ უფრო მძიმე არს.

ეგვიპტეს ვითარ უნდა დავადგრე, ძეო ჩემო უსაყვარლესო, მე, შენ თანა და შენ გამოთვე შთამოსრული, და იუდეველთ არასგზით არღა გავეკარო! ვინათგან ეგებ მე აწ მტირალი ამ მდუმარ ქვაზედ არცა ვმჯდარიყავ, — ქვაზედ, რომელი ჩემი ცრემლებით არს დალტობილი, მწუხარებაზედ მწუხარებას და ტკივილს რომ მირთავს. შვილო, ჩვენ მაშინ ჰეროდეს ბორგნას განვერიდენით მოხერხებულად. უცხოს უფრორე ვუფრთხილდებოდით და უცთომელად ვაწვდიდით საზრდელს, ვიდრე საკუთარს. მოსალოდნელი იყო კვალად სხვა ჰეროდესგან შენი სულის მოძიება მოსაკვდინებლად. ჰეროდე და პილატე უკვე შეთქმულიყვნენ შენ წინააღმდეგ. ეხლა შენ მოჰკვდი, მე კი, დედა, ვიქმენ მკვნესარე. ახლობელი მოგაკლდა ყველა და მოწაფეთა მოყვასობა იგავით მოუდრეკელობის გესწავებოდა და რიდით საბრხეს კარზედ მომდგარს არ გაკარებდნენ. ვაი, რომ გრაცხდნენ მპარავთა და ავაზაკთა უარეესად და ბარაბასთვის ახსნა ინებეს, შენთვის — სიკვდილი. ბევრი დედისთვის სიკვდილისგან დაიხსენ შვილი და იხარებენ. ჩემთვის რაი არს ესე? მომაკვდარს მხოლოდშობილს პირმშოს დაგტირი და შენ მანებებ? შენ თვალისჩინს უღვიძებდი ბრმათა და მუნჯთა ანიჭებდი გაგონებას, აცხადებდი და მცხინვარედ მიუთხრობდი[1] ძლით მზრახველისა და ძნიად მეტყველის[2] ნათქვამს, ასო-ნასხმან-

1. ἐτρανώσας იხ. იოსებ ჰიმნოგრაფის საგალობლის ძველი ქართული თარგმანი: კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი S-1464, ფ. 94 *r*.

2. μογιλάλου. ესაია, 35, 6; მარკოზი, 7 32.

ით გაასრულებდი ხელფეხ-წართმეულთ, სასწაულთა რაოდენი მირიადების იქმენ თავად მომმუშაკებელ. — უდიადესი იყო მომკვდართა აღდგინება, გაღვიძებას რომელ შეჰგავდა. და მე წმინდად მეკრძალებოდნენ — ესრეთი შვილის გამგონე დედას. ეს მოკრძალება ამყარებდა ხსოვნას შენი სასწაულების და თავადაც ხომ, ამოდ მოუბარს, ამოდ გასმინეს. სადაც შენი თქმა-კეთილობის მიაღწევდა ხოლმე ამბავი, იქ მეც, შენი მეშვეობა რომელ მეღირსა, ნეტარებას მაყრიდნენ. ამათ ყველას აწ საკმაოდ უჩნს მცირე ჟამი, რომ ნეტარება შემიცვალონ ცრემლვით და გლოვით. შვილო, სამყაროს ქმნულს ელმოდა შენ თანავე. მე ხომ ყოველს უბედურებას ვთვლიდი ჩემს თავზედ მოსრულად და ყოველს წყლულებას შევიწყნარებდი. მე დამიბნელდა მზის დაბნელება და მიწის რხევამ ასო-ნასხმანნი დამირღვია. კლდენი რომელ შემუსრვილიყვნენ და კრეტსაბმელი ჩამოხეული რომ ვნახე, არცა ჩემს გულს ასცდა მაშინ განკაფვა. საფლავები გარდაიხსნენ და ოდენ მათკენ მიმიხაროდა. რამდენგზისაც მამცნობდა ვინმე იუდეველთა ზაკვას შენდამო, ჩაფიქრებულზედ უფრორე მძიმედ მიმაჩნდა საბრხე. არც სიყვარული შენი მაგდებდა ნაკლებად მძიმე საგონებელში; მე შენ გამოთ ვფიქრობდი იმდენს, თავის თავისთვის არავინ რომ არ იფიქრებდა. მესმა, რომ ლოდქვეშ მდებარე ხარ და ცივ ლოდზედ უფრო მძიმე ვიგრძენ სიცივე. კვდებოდა იოანე და მომეჩვენა, რომ შენ კისერზედ მახვილს გაბჯენდნენ. ვისაც კვლავ თვალი აუხილე, კრებულისაგან განგდებულ იქმნა და შენი მძიმე დევნულება მე განმიახლდა. ლაზარე რომელ განარიდე სიკვდილს, ისევ მოიძიეს მოსაკვდინებლად და მე შენ გამოთ განმიახლდა შიში. მაგრამ საქმენი იგი ძრწოლით მავსებდნენ, აწ კი შიშს ჩემსას ბოლო მოელო და ტირილი და კვნესა ვიწყე. შვილო, შენთვის ვტირი და ვიგლოვ და არ ვუწყი ცრემლოანმან, რაოდენი დამიყოვნდება მე დრო და ჟამი.

ო, დამიტევეთ და ნუ ინებებთ ნუგეშინის-ცემას, დედანო, ვინათგან, თუკი ზღვა აზავთდება ქარიშხლებით და ზვირთებს ხმა აქვთ გამკივანი და მდინარეებს, მაღლითგან მომსკდართ, არ ძალუძთ, რომ არ იხმიანონ, მე დედა ვარ და უპატივოდ და უსამართლოდ

აღსრულებულს უსაყვარლესს ჩემს შვილს დავტირი. შვილთან ერთად ჯერ-იყო ჩემთვის შთასლვა და ყოფნა ჯოჯოხეთს შინა, რამეთუ არღა ამიხდენდა მე აღარცერთს სურვილს ბუნება, თავად ამითღა დავიამებდი და განკიცხული არ ვიქნებოდი დედა უგულო. მასზედ მოთქმისთვის არა დავდუმდე, ვინ მუცლით ვზიდე და ნათელზედ გამოვიყვანე და მივეც საზრდელი. არა მოვუხმო მტირალთა, რათა ცრემლნი მომგვარონ. ისეც ცრემლვად მაწვევს დღე ესე. ისეც თვალნი მევსებიან, უფრო ვრცელი სახედველი კი ცრემლებს ჩემსას გზად არ მიეცა. დაცხრომად რაღა მომეგონება? მხოლოდშობილის დედა მით ხომ თავს ვერ დავიცხრობ, რითაც ბევრს დედას ნუგეშინს-სცემენ. მასზედაც ხომ ნაკლებია და უძლური ეს ნუგეშინი.

ან მე ნაკლებად ღირსი მყავდა განაღა შვილი? ვითარცა მას, ვის შეეძლო ესოდენი დიდების მოსთვლა, უფრორე თუ არ მიჰრიდებდა პატივისცემას კაცთა შორის, ვიდრემდის სხვანი მიჰრიდებდნენ? მართალს და უმცთარს არ დასდვეს ბრალი? არცა თვით იმის წინააღმდეგ თქმა ძალუძს ვისმე, მკლველებსაც რომ არ მოუშალა ქმნა კეთილისა. რა ნუგეშინი გაუძლებს ამას? რა სატირალი მე არღა მომესადაგოს? ყველა წამება გამოვიარე, გარეშე შვილის დაშთენისა დაუცრემლავად. და მე, დედას ესრეთი შვილის, რა განმამართლებს, ამ საგოდებელს არ დავსტიროდე. დედათაგანაც მომერიდება, ვისთვისაც უფრო უპრიანია, რომ ცნან დედებად, ვიდრეღა მათთვის, ვინ მუცლად-იღებს, ანუ შობს, ანუ საზრდელს აძლევს. ესე ანუ ბუნებითი ნიჭი არს, ანუ არა ზიარი სხვა დედათათვის (რამეთუ ბევრთა განუზრდიათ არა თავისთვის საფერნი ძენი); დედობა ჩემი არს უზიარო. მე ვშევ, როდესაც ძე ვშევ, და ესე უდიდესის სიამისა მექმნა მიზეზად. მეშვედ შევიგრძენ თავი. თითქოს მავიწყდებოდა, რომ ვშევ იგი ავაზაკთათვის, მე კი მარტოდენ მომიტანდა ცრემლს და ვაებას.

არა სხვის სიტყვას მინდობილი ვიგლოვ ძის მოკლვას, რამეთუ ალბათ უფრო მკრთალი იქნებოდა წამება, სხვისგან დაჰამბებული, — თავად ვიხილე ჩემი თვალით ხელ-ფეხ-დამსჭვალული, ფერდ-განგმირული; იქვე ვიდეგ და მესმა მწყურვალის; ენახე ნაღველი

და ძმარი ასვეს. ჩემ თვალწინვე სული აღმოხდა. ამისთვის რაღა გაზვიადება დავთმო სატირლის? ან ცრემლებს სისხლი ვით არ შევრთო? ვაი ძუძუთა, აღმომხადეთ ღრმა საკვნესარი. ო, თვალნო, ცრემლნი ნაკადულებად გარდმოადინეთ. აწ მე კვნესა და დაცრემლვა მმართებს და უშურველი, ჯერისაებრ, მოთქმა და გლოვა. თუ რამ ახალი არს სატირალი, თუ ცრემლ-მდიდარი არს ცრემლის წყარო, დე, აწ ყოველმან მე განმმსჭვალოს, უფრო შორადაც განვიწვდიდე ამიერ ტირილს. ოღონდ მწადს, არა უსაყვარლესს დავტიროდე, ეცხრებოდე და კვალად დავტიროდე ესრეთ ხშირად, არამედ მარადღე რომ ვტიროდე დაუცადებლად.

ვო, შერით დამიკარგეს შვილი, შერით მერგო მწუხარება. უბედურებით და ვაებით მომიშალეს დედის ძახილი და უზომოდ მიქნეს ბოროტი. წამება ჩემი შორს გასცდა ყველა დედის წამებას, რომ კიდევაც არ ვახსენო დაკინვა, ნერწყვა, ღაწესა ცემა, გვემა და სხვანი წამებანი. საშინელებას თან ერთვოდა უფრო დიდი საშინელება, უდიდესი კი იყო ჯვარცმა, დამსჭვალვა, გმერა, თუმცა რომელი იყო ენნი დასატრებლად; რომელ სატკივარს ეკლდა სიმძაფრე? შერი, შერი იყო ის, რამაც ჩემს თავზედ ყველა საშინელება დაატრიალა; ამ დამლუპველ ისარს სტყორცნან მუდამ რჩეულებს, მეტწილ — ისინი, რომელთ უეჭველ მიენდობიან. შერი აქცევს მეხისტეხით, ოდეს მალვით მოშურნეთადმი რწმენის სუფევს ირგვლივ სიწყნარე.

ო, ჯვარო და სამსჭვალნო და მახვილო და საფლავო და თქვენ, რანიც განმიმზადებდით ამ სიმძიმილს, მე, ერთს ყოველთა დედათაგან საუკუნითგან, რომ მომწყდომოდა ესრეთ ყოველგნით უბედურება. ყველა თქვენგანის კმაროდა ძალი მწუხარებით დაძირვად სულის და უკლებელად თმენად ენებათა უარესთა. შეიწრებულმან ვით ვზიდო ტვირთი? ვით დავაცრემლო თითოეულს? ყოველს საფერი სატირალი როგორ მოვუწყო? უბედურება-გამოუვლელი დედის ფიქრი რომ გარდამეთქვა, მე, ენებული, რა ტირილისკენ დავზრიდი სიტყვას? ამ სხვა დედაზედ რომ მეფიქრა, ვის შვილი ჰყავს საფლავს მდებარე, მისი ტკივილი ნუთუ მასწავლიდა თმენას ჩემი სატკივარისას. ყველა ჭირსა და საშინელებას ჩემიც შევძინე და ვიხილე ყოველთა შორის პირველ ტვირთად. ო, უკეთურო

იუდეველთა სინედრიონო! არა აბრაჰამ გყავდათ პირველ მშობელად, თქვენთვის პირველ იყო ეშმაკი, მერმე შური და მოკვდინება და სიკვდილი და თუ რამ ავი ტრიალებდა დედამიწაზე. არა აბრაჰამს შთაუნერგავს საკუთართა ხოცვის ზრახვა, რითაც გამოჩნდა აუტანელად, მწირი რომელ მოგეახლათ დავიწყებული და ბოროტად ვნებული მისგან. დღესასწაულს მშვენიერი მსხვერპლი მოართვით, სუფთა ხელებით დაუკალით სხვანი ზვარანი, არც ამ დღის გამო შეიკდიმებდით დასაოკებლად გულისწყრომის; უცხოს როგორღა მოექცეოდით, ოდეს საკუთარს განუფიცხდით თქვენ ესრეთ მწარედ?

ვოი, ძეო უსაყვარლესო, ჯერეთ ყრმა რომელ შჯულისაებრ ტაძრად მოყვანებული სვიმეონ მოხუცებულმან ხელთ აგიყვანა, მე სიკვდილს შენსას მაშინ იგავით მომასწავებდა. აწ ვცან ის ხრმალი თრაკიული, რომლითაც ჩემი სულის მომავალს განხდას მეტყოდა. ჰოი, მოხუცებულო, სხვა რომელ არცრა გეთქვას ოროდეს არარაის გამოთ, მხოლოდ ამისთვის თავად წინასწარმეტყველთ შორის დაგაკარებდი. განმივლინა და განმხადა სული მან ხრმალმან თრაკიულმან, გული დამიჭრა და ნაწლევნი განმიკაფა. რაიც აწ ფრიად განცხადდა ჩემთვის, მაშინ არ იყო ცხადი სრულიად. რა მწუხარება, რა ცრემლნი, ძეო უსაყვარლესო, მაწვიე მე მომკვდარმან, ტირილს ერთვის ტირილი. სატკივარი არს ესე, რამეთუ შენს თავს — ტკბილ ნათელს — არცერთი არ მანიჭებს ხილვად; ამო არს მით, რომ ჩემგან ცისმარე გამოელილნი ტკივილნი ამა სატირალებით დამეფრქვევიან. მათ წყობილთა ჩემს თავს უფრორე გამბედავად მივუსადაგებ. რარიგ ბოროტად წარხდება, ვინაც მიგცა წინათვე შენს წინააღმდეგ შეთქმულთა (შენ, რომელი მოწაფეობამ გისანატრელა); მონობამან ნივთის საფასის მიისყიდა, პოვა ჟამი და სიძულვილით აღატყდებოდა. ნურცა ესვას ვისმე მოყვასი, რომელს მარად ვერცხლისკენ უჭირავს თვალი; ვინათგან ვერ შეუძლებენ დიდხანს ერთად ყოფნას ვერცხლის-მოყვარეობა და მახლობელის სიყვარული. თუნდაც შეერთდნენ ბოროტის სახედ, მეყსეულად განეშორებიან ერთურთს კვალადვე.

ვინ რას წააწერს შენს საფლავს, შვილო უსაყვარლესო? ეს ის იესო

არს, ოუდეველთ შურს თუ ვერ გატანას რომ ძალედვაო ჯვარცმით მეზღო მისთვის, ბევრი კეთილი საქმის მიზეზისათვის. რარიგ სამტერო მათ ეჩნებათ ეგ წანწერი, შენთვის ფრიად სადიდებელი, ჩემთვის ცრემლთა მოსაგონარი. ბევრი რამ იქცა გვირგვინად შენზე ჩემი გოდების; შვილო, მათ ერთვის უცხო საფლავზედ შენი დავრდომა. იოსები და ნიკოდემოსი რომ არ შეესწრებოდნენ (მათ მხოლოთა დაენახათ შენი სხეული), მე არა ვუწყი, აწ როგორღა არ იქნებოდი უსაფლავო, გაქელილი და მტოვებული.

მხოლოდ ერთი შემიშრობს ცრემლებს, თუ შემდგომად სამის დღისა აღსდგები, ვითარცა წინასწარ სთქვი. ნეტარ ესე თვალით ვიხილო. არცა შესვრილან ბაგენი შენნი როსმე ტყუვილით. დანარჩენზედ ვდუმვარ, მხოლოდ ცრემლვით ამიერ უნდა ვზიდო ჩემი მწუხარება".

ისალმობიერა ღმრთისმშობელმან, თითქოს რაღაც უცხო სიღრმითგან ვიგრძენ აღმონატირები. კვალად დუმილი ჩემს თავს ვუბრძანე და გონება აღვიხილე და მოვუსმინე. თითქოს ღაღადებაოა თანა გალობდა და მყვირალი ქვერე ჯოჯოხეთი ბრძოლად იწვევდა. ყოველივე ბეწვზედ ეკიდა. და ეს ისმოდა:

„ჰოი, ეს ვინ შთამოხდა ჩვენთან, ხილვად მბრწყინვალე, რომ მკრთალმან მზემან დაიმორცხვა და სიმხნით სავსე არცა სხვათა მიმართ დამდრკალა. მისთვის თვალის გასწორება არ ძალმიძს, მზერა სხვაზედ გადამაქვს და მერმე ისევ მასზედ. ჩვენს სამბრძანებლოს შინავ ყოველნი რად ეკლებიან გარეშემო და რა ჰგვრისთ სიამეს გამოუთქმელს? ყველას ვხედავ განმზადებულს გამოსლვისათვის, მბრწყინვალეობას დარცხვენილნი რომ ინაწილებენ, არცაღა უკან მოჰხედავენ ჩვენს ხელმწიფებას და არცათუ ჩვენ მივჰრიდებთ უფრორე ახალთ. ო, ძალნო ჩემნო, ნუთუ არღა მომეშველებით. არა ვაგრძნობდი, რომ თქვენ ხელთ იყო შემოგეზღუდათ შთამოსრული ან მითვე იგი ირწმუნებდა დალოდინებად. ვაჰმე უბედურს! აქამდის ხელი მშვენიერად გვემართებოდა და ისე კარგად გვქონდა საქმე, რომ უმჯობესი არ გვინატრია, აწ კი იავარიქმნა ყოველი და განქარდება და ტრიალდება საპირისპიროდ. თითქოს ანოდეს არაფერი ყოფილიყოს, ისე იშლება, რასაც სი-

ტყვით ვერ შევისწავებთ, რასაც მომხდარი შეგვაგრძნებინებს. საქმე იმდენად ჩვენთავადვე არ დაგვიწყია, რამდენადაც შეგიქმნებოდით სამთავრო სხვათა.

სანამ მომკვდარნი ჩვენთან არიან, საქმითაც ცუდად არ წარვხდებით; ხოლო ესენი რომ წაგვგვარონ, ჩვენ დაგვაწვება ყოველივე საშინელება, თუ არ შექცევა, რაც უფროისად მე მაღონებს. უმალ სამეფოს ჩვენსას ვიხილავ განძარცულს, ვიდრე მომკვდართა, ჩვენი ხელითგან განმსხლტართ. ვოი ჩემს თავზედ მოწევნულ ბოროტს! ჩემს თავს მევე ვეპაექრები. ხოლო ესე უფროისად ამაღლებულ არს, ვიდრეღა ვინმე გეჰენიის პყრობილთაგანი გამოჩნდებოდა. და თუ ვისმე აამებდა მომავალი მისი შერაცხვა საკუთართა შორის ჩვენთა, მან ყველას თავი დააღწევინა, მით განგვიმზადა უბედურება უკანასკნელი. უმჯობესი იყო ჩემთვის, ვყოფილიყავ მბრძანებელი ყოველთა ამათ ზედა გარეშე ერთის, ვიდრე მის თანა, ბედუკუღმართად წარმტყვევნელისა, სხვანიცა ზევით აღმომეზიდა.

ჩვენგან შთანთქმული ცოტა ხნის უკან სხვა, ლაზარე რომელ ერქვა სახელად მომკვდარს, ძალით ვინმე ცოცხალთაგანმან (ესე იგი არს, რომელმან აწ ფრიადი საშინელება ჩვენ დაგვმართა) მაღლად აზიდა, აქ მასზედ უფრო ჟამიერად დაყოვნებული. და მე, მაშინვე ვნებებით ნაცადს, მაწუხებდა უჩვეულო. ერთი ვზიდე, რომლის ხვედრს ვერვის მივუყენებდი. აწ კი ყველასთვის ქმნულ არს საფრთხე.

თუ ჭეშმარიტად ამან წაგვგვარა ჩვენ ლაზარე, აწ დათმენა მოგვიხდება სრულ უკანასკნელ ტყვეთა წამგვრელის, რამეთუ, ოდეს შორით მხოლოდ ხმა გვაწვდინა, ერთის ხსნას წინ ვერ აღვუდექით, რაღას არა იქმს, ცხადად რომელ შემოიჭრება ჩვენს სამყოფელში. ვოი, იგი ყოველს წარმოაცალიერებს, განმძარცვავს ჩემთა ტყვეთაგან და გაირეკს. თუ აქანამდის ელია მაკვირვებდა და მასზე უწინ — ენოქი, აქ შთამოსრულთა ისინი დიდად საცინელ ყვეს, აღწერეს რა თვისი შთამოსლვა. და ეს, თუმცაღა უნაწილო იმ უკვდავების, ყოველთა შორის ჰგიეს დიდებით შემოსილი. ჰოი, რას ვითმენ, — დამხობილი, გვემული, წარტყვევნული, შებორკილებული".

ესრეთ მტკივანს და მწუხარს გეჰენიასაც მოვუსმინე და მისგანვე ვცან მისი დაცემა.

ნახე ბუნებით ადამიანთა ქედმაღლობა ბოროტისათვის, რამეთუ არა საყვარელი წოდებულ იქმნა საყვარელად და ღმრთის სიყვარულს მიემთხვია. ჭეშმარიტად, თუ მამას უყვარს შვილი, ვინათგან შვა, ღმერთს უყვარს კაცი, ვითარცა შემოქმედს, და ტირანის უძლიერესად შეიქმს, დაჰხსნის რა ტირანიას, დაჰგმობს საკრველთა და ტარტაროსსა და ყელსაბმელს. ჩვენ შეწევნა გვეჭირვება, ხოლო იგი სარგებელით არს მდიდარი; ცაც რომ აღავსოს და დედამიწაც და თავადვე ქმნას ყოველი, უთუოდ მას მხოლოს ძალუძს. და ესე ჩვენთან რომ არა შთამოსრულიყო, მრთელი ადამიანური შველის ძალი დაიჩრდილებოდა. ესოდენმან რიცხვმან წინასწარმეტყველთა ვერ უძლო ძრვად იუდეის კერპთა, ხოლო ქრისტეს მოსლვამან ვითარცა კვამლი განქარვებად აიძულა მრთელის დედამიწისაგან, რამეთუ პირველის მცნებისა გარდასლვას და ამის შემდგომ კერპთა მიმართ ადამიანთა მილტოლვას შემოქმედმან წინ დაუყენა უფრორე ძლიერი თვისი კაცთმოყვარება, დაბადებული კვალად შეიძინა და უწინდელ საკუთრებად მიიქცია. ეს ის მეკეცე ოსტატი არს, რომელი იხილა იერემიამ; ეს მისი ხელით შემუსრული ჭურჭლის კვალად მოპოვნება და შეძენა არს და, რადაც ხელოვანს უნდოდა, იმად თიხის გარდაქცევა და გარდასახება.

ო, სასწაულო! საკვირველი იყო პირველი ქმნა ჩვენი ღმრთისა ხელით და შთაბერვით; ხოლო უფრორე საკვირველ არს ქმნა ხელახალი და ესრეთი განცდა რისამე ქმნისა დამეტებულად — უფრორე მაღალი და უფრორე კაცთმოყვარებითი. უფრორე მკვიდრი და მყარი არს ქმნა ხელახალი. გვინახავს, კაცნი გონიერნი დაქცეულს სახლს რომ აღადგენენ, მეორედ უფრო მკვიდრად აშენებენ, რათა კვალად იმგვარივე დაქცევის შიში არ ჩაუვარდეთ. ადამიანი რომ ამას იქმს, ღმერთს ხომ ბევრად უფრო მეტი ეკუთვნის. სიკეთეს ღმერთი ანიჭებს კაცთა, მრთელს მოდგმასაცა ადამიანთა, და უფროისად არა ვინმე ცოცხალი უწვდის სუნთქვად ჰაერს, ვიდრეცა ჰაერის განწვდაში ღმრთის სიკეთის-მქმნელობა

მონაწილეობს. უნდა დაგვირგვინებულიყვნენ სიკეთენი. ეს იყო, რომ თავი ჩვენ განგვიკუთვნა და ჩვენ მას განვუკუთვნეთ ბუნების ზიარებით და სიკვდილისგან აღმოგვიყვანა და ცათა სასუფეველის მკვიდრობა მოგვცა; ვინათგან, რაც თავად უნდა მოენიჭებინა, სხვა რა საქმისთვისღა დაეზოგებოდა, ეს საქმე უდიდესიც რომ ყოფილიყო.

მაშასადამე, დიდ არს ესე და არცრა — უადგილო ანუ შეუძლებელი. დიდ არს განკაცება ღმრთისა და კვალად ღმერთად დადგრომა და ხორცთა აღხმა და ადამიანურის ბუნების მრთელად განახლება. ესრეთ მშვენიერი იყო მტერთან შეჭიდება და ძლევის შემოსვა. ღმრთისგან უნდა განწმედილიყო, თუ დავარდებოდა ადამიანი და მზაკვრობით დასაწყლდებოდა, — ვისგანაც გამოჩნდა ვითარცა მძლეველი, თუ მას დასაბამითვე განეშორებოდა? ასე რომ, რა მიწაზედ სახლობაც ჩვენთვის გარდაწყვეტილ არს გაარშივებისა გამო, დავიჯეროთ არა ვითარცა სასჯელად მიმხვდარი, არამედ ვითარცა საწუთროს უცხო სამოსახლოდ განჩინებული. და იმედებით სამოთხეს შინა კვალად ვმკვიდრობთ და სიკეთით მისით ვიშვებთ და ყველაზედ უფრო დიდი სიკეთე იგი არს, რომ ბუნებით ჩვენით ვართ თანამკვიდრნი ღმრთისა და მამისა და შვილნი ვართ ჩვენაც ღმრთისანი და, მაშასადამე, ღმერთნი (sic), და გვაქვს ხელმწიფება. ეფიქრობ, არავის შეეძლო ეთქვა, რომ ან ჩვენ გვქონდა საშუალება უფრო მეტად ბედნიერნი ვყოფილიყავით, ანუ ღმერთს —— მეტი კაცთმოყვარება გამოეჩინა. რას მივაგებთ უფალს ყველაფრისათვის, რაც ჩვენ მოგვცა? თუ წინ უგებდა კაცს ცას და მიწას და ყოველსავე, რაც არს მათ შინა, მის სამკვიდრებელ სამეფოთა — მოახილებდა. ადამიანი რომ შექმნა თავად და უკვდავება გაუნაწილა და შარავანდი შემოავლო თვისი ხატების, ვინ იფიქრებდა, რომ ეს არ იყო საქმე მისი, ვინ კაცნი აცხოვნა? სამოთხე რომ დანერგა და კაცი მასში დააფუძნა, განა არ იყო ეს ნეტარება? მუნით რომელ გამოიყვანა და სიკვდილი გარდაუწყვიტა, განა არ იყო დანანება და გაფრთხილება, რომ ბოროტს წინ არ წაეწია სულ უფრო მეტად? ანუ ღმერთი რომ არს და განკაცდა ჩვენთვის და ხორცი შეიმოსა და ივნო ყველა ვნება, რათა ჩვენ

გვეწამა, და ჯოჯოხეთს შთავიდა და მუნით აღმოხდა და ცათა შინა აღიყვანა ადამიანი და სასუფეველი უბოძა და მამისა თანა ყოფნით განაპატიოსნა ბუნება ჩვენი. — ყოვლისავე ამის მოქმედი უფროისად მიმღები ჩანს მადლისა თუ მომცემელი? მე ცხადად გულისხმა-ვყავ ზღვა სიკეთისა და ღირსად ქება ვერ შევუძელ. სხვისგან ვისესხე სათქმელი და მჭევრად გეტყვი: ვითარ ადიდეს საქმენი შენნი, უფალო. ყოველივე სიბრძნით ჰქმენ და შენვე მხოლოი ხარ შენი თავის ღირსი მეხოტბე. რამეთუ უწყი, რაც გიქმნიეს, და, ეჰა, ესე არს ფრიადი მშვენიერება.

მოვედით, გარდასულთა მამათა ქორონი, მამათმთავართა კრებულნი, წინასწარმეტყველთა მწყობრნი. მოვედით და ჩვენ თანა იდღესასწაულეთ, ვინათგან აწ მისავალი განგვეხსნა მის მზერად, რის მხილვარებისთვის ბევრი ვილოცეთ. იხილეთ ყოველთა და იხარეთ ყოვლად, ვისაც იმედი ძალას განიჭებთ. მე მჯერა, რომ ანგელოზებსაც საქმემან ამან უდიდესი სიხარულის მიზეზი მისცა. კაცთმოყვარებით უფლისათვის კაცთმოყვარისა ღმრთისმსახურებას აღასრულებენ. რომელთაც ატკბობს დიდი სიამე ერთის ცოდვილის სინანულით მიახლებისა, ვით არა იგრძნობდნენ სულთა ხარებას ახსნისა გამო, თანაც ფრიადის გამალებით სულნი ზურგს უკან რომელ ტოვებდნენ გეჰენიას? აწ იხარებენ მათ თანა სულთა თანაობით. წარმოცალიერებულ არს ჯოჯოხეთი, ცას აღავსებენ წინასწარმეტყველთა სულები, აღავსებენ მართალნი, აღავსებენ მამათმთავარნი. და მათ შემდგომად ცათა შინა შეიკრძალებენ ადგილს მოციქულნი და მოწამენი, აღურაცხელნი შეეძინებიან იქაურ მკვიდრთა. ღირსთა და ღმრთისთვის მოქალაქობით სხვაგვარადაც გამორჩეულთა განკუთვნილი აქვთ ცის ალაგი. ესენი ხომ აღავსებენ მრავალ სავანეს, რომელთაგანაც თითოეულს ქრისტე იტყვის სახლად მამისად. მწუხარება ყოველგნით განგვეშორება და გარდაგვეცვლება სიხარულად, რომელი აღგვიხოცს სულითგან უწინდელს, დაცემის შემდგომს სიავის-მოქმედებასაც, რამეთუ მრავალთა წინაშე თქმულ არს: ტკივილთა ჩემთა გამო გულსა შინა ჩემსა ნუგეშინის-ცემანი შენნი. ახარე სული ჩემი და ყოველი საპირისპიროდ შეტრიალდება, ჩვენ, გლახაკნი, ავმაღლდით, აღ-

მოყვანილნი სიგლახაკის ორმოითგან და თიხის ლამითგან. რომელი უჩვეულოდ გაამპარტავანდა და ლიბანის კედარებზედ უფრო თავმაღლობდა, წარხდა და, ეჰა, არარაი არღა არს. დამხობილ არიან ყოველნი ზღუდენი მისნი და ციხენი — დამდრკალნი. ესრეთ დაიმორჩილა მეუფემან ჩვენმან, არცა მიაყენა ლაშქარი, არცა მხნედ ამხედრდა ცხენზედ, არცა საჭურველს ახლო ხელი, არცა მზაკვარებას მიჰმართა წინააღმდგომთა სიმაგრეთა მიმართ; არამედ მხოლომან დაარღვია წინააღმდგომთა ძალნი, ვინათგან ყოვლისშემძლე არს. და საქმე ესე არა არს შორი იგავისაგან. ჭეშმარიტად, საწაყალობელი, გლახაკი, კერას მონაშორები და მიუსაფარი, რომელს არ ჰქონდა საყუდელი, სადაც სული თავს მიიდრეკდა, სხავადასხვაფერად ვნებული და ბოლოს მომკვდარი, მდებარე შორის მომკვდართა, გვირგვინს მიულებს მრთელს მთავრობას და ხელმწიფებას ბნელის მპყრობელის. თუ დღემდის მტერი რიცხვს შეუწონიდა, რამდენზედ იმეფა, აწ ზუსტად ვერღა დაითვლის, რაოდენნი ებრძვიან მას, ვითარცა ქრისტეს მხედრიონნი. მაშინ შეეძლო ჭირვეულობა იმის გამო, რომ ცოტანი მიჰხვდნენ სამბრძანებლოდ, აწ კი წამება საშინელი გარდაჰხდეს მით, რომელ მასთან შეჭიდებულნი, უფრორე ზომიერნი და თავდაჭერილნი, მას არღარა დაუბრუნდნენ.

ამასაც დავსძენ და ალბათ დიდად არ გარდავუხვევ. ღამე იყო პირველის ადამისგან ახალს ადამამდე, ხოლო იმიერ ყოველს დღე აღუჩნდა და დღისა ამის ქმნა მზემან სიმართლისამან ცნა, რომელმან არა იცის დამავალობა. ზამთარი იყო და კვდებოდა ყოველი ყინვათაგან ცოდვისათა, ხოლო იმიერ საფრთხე არს მწყვდეული, ხოლო იმიერ მყუდროება დაეყუდა და ქვერე დაგვეფინა. წყვდიადის არმური იყო და იმიერ კაცნი იხილვნენ დღისიერად მომავლებულნი. არაფერი ჩანდა, ხოლო იმიერ წმინდა სიწყნარე ყოვლისათვის დაირღვა და დავიწყებულთა თუ დახსნილთა ღრუბელთაგან მზეს არავითარი სასრბოლი არღა მიეცა. ბრძოლა და ომი იყო და ძვირად წარწყმედას განუმზადებდა ადამიანთა, ხოლო იმიერ ღრმა სიჩუმე დაემყარა. ამგვარნი არიან ღმრთის საკვირველებანი, სადიდებელნი — ანგელოზთათვის, გალობის ღირსნი — ადამიან-

თათვის, საშინელნი — საეშმაკო ძალთათვის, და ყოვლისა ქმნულისაგან საქებელნი. ჩვენთვის სანათელს იქმს ცხოვნებას და შთამოვიდა ღმერთი ცითგან მიწაზედ და სანათელი იყო ქალწული შობა. სანათელი — ყოვლის სნებისა და უღონოების განდევნა მკურნალისა ქრისტეს მიერ, ხოლო ყოველთა ზესთა და მით სანათელი — ქრისტეს ჯოჯოხეთს შთასლვა და საეშმაკო მთავრობათაგან ჩვენი ახსნა და ჩვენი თავის ჩვენადვე მიყუდვნება და ძალის მონიჭება მტრის გასაქელად.

ეგების ვინმე სწავლის მძებნელი მოვიდეს და გვკითხოს, რად დაგვიჰამბეებდაო საიდუმლოს მაცხოვარი მიწაზედ უფრო დიდხანს, ვიდრემდის ქვეშე მიწისა, და რისთვის განჰზომდაო დროთა ამათ სამებით, როგორც წელიწადთა, ისე დღეთა სამებობით. მაგრამ. ვფიქრობ, ჯერ კითხვა სრულად გამოაგოს და შემდეგ მივუგოთ და დავიჭირვოთ მოძღვარი, რამეთუ ყოველნი ღმრთისგან განვისწავლებით. ნეტარ ვიფიქრებდეთ, რომ ჯერეთ ცოცხალთა აწუხებთ სხეული და მიზეზთა მირიადები გარემოითგან მიჰხვდებიან, ხოლო ქვესკნელს შინა სულთა, სხეულთაგან განტეეებულთა, არლარა შეიმწყვდევს ზღუდე. შემდგომ მეტს და გამუდმებულს წესრიგს ისაკლისებენ (ოლონდაც ვითარცა წყალი დაუწყვეტელი — კლდეს, ესრეთ სიტყვა აფერმკრთალებს სულს); აღსუბუქებულ ჰაეროვნებას მიმსგავსებულთათვის კნინლა ბუნებითი არს უჟამოდ მილტოლვა ქადაგებისაკენ. დროთა ტრიადები შემოიყვანება, რომ ბევრი სხვა ძირითადი დებულებაც ტრიადისა განისაზღვროს, ვინათგან პირველიცა მოქმედებით რიცხვი არს და მოქმედებითვე განირჩევა დრო. და დაზესთავებულიც მით განაცხადა სამგზის ნეტარმან და ყოვლისაგე საწყისი და საშუალი და ბოლო განსაზღვრა და პირველად დაადგინა ხატოვნება (σχημα) და რაც კი დამდგარ ჟამს განეელტის. ხოლო ერთი არს უზენაესი და სამებავე არს ღმერთი, ვითარცა მხოლოიეე. მითვე გვასწავლის მაცხოარი ღმრთის ვითარცა სამებისათვის პატივის მიგებას და თავის თავს სამების ერთად გვიჩვენებს, ესევე ჟამიერსაცა უნდა მივუყენოთ.

ამის და ამასზედ უწინარესის შემხედვარე იუდეველთაგან არლა ეგების წარკვეთა ხორცით, ვინათგან ღმერთი, რომლის შიშველად

ხილეა ბუნებამან დაბადებულთამან ვერ შეუძლოს, ხორციელად იხილვება და ხილულისა მის წინააღმდგომთა ძალუძს წარმოუჩინოს ძალი უხილავი. თუმცა არღა არს არცა ერთი წინასწარ მეტყველი, რომელს არა ემხილებინოს მათი ბოროტება და იოანემ იქედნეთა მოდგმას შეუდარა, რამეთუ ტომი, იქედნეთაგან წარმონაშვი უბადრუკებით, უმადლო არს და ნაკბენებით განმხრწნელი წიალთა შინავე მხურვალედ. მათ ბევრი მზაკვრული საქმე მოუწყვეს შეკითხვებით მაცხოვარს, რომელი ამათ მზაკვარებათა დაჰხსნიდა. და ჰბაძვიდნენ თქმულებათა-მიერს ჰიდრას, რომელს შემდგომად პირველი თავის მოკვეთისა მეორე აღუჩნდებოდა უმალ და ამის წაცლისთანავე არცა მესამე დააყოვნებდა ამოსლვას და მერმეც ერთი მეორეს მოსდევდა, სანამ ბევრი არ ამოუვიდოდა და ყველა არ წარეკვეთებოდა, და ბოლოს ბეზღება და ცილისწამება არს საჭურველი ჰიდრას მიმსგავსებულთა. ესრეთ ნებსით დავალებულნი ნებსით პყრობილს შეაიწრებენ და ჯვარს აცვამენ.

იგი, ვინ სულთა გუნდებს ჰმბრძანებლობს[1] და ქართა დაწყნარებს და ზღვათა ზედა დავალს, ბევრად ულირსთა მოკვდავთა კაცთა უდარესად გამოჩნდება, ჭეშმარიტად არა ნიშნად ძრიელებისა მათის, არამედ სულგრძელობის და უფრორე ღრმა განგებულების საწინდარად. რომ გამომტყდარიყვნენ ჯვარმცმელნი ღმრთისანი, რომელთ მისგან წართმეული შარავანდით მკვდარნი კერპნი შემოსეს, ღმერთი არა ძირიანად აღჰფხვრიდა და უჩინო-ჰყოფდა, არამედ საკუთარის თავს-მდებობის და მოთმინების უცხადეს ნიშანს გამოაჩენდა. მე ვუწყი, იგი შესძლებდა, რომ არ ეწამებინათ, მაგრამ ინება, რამეთუ უნდა აღედგინა მამათაგანნი და ისინი, რომელნი ჰზიდავდნენ ბრალს წინასწარმეტყველთა მოწყვეტისას, და მოსლვა ჰმართებდა მათგან წინასწარ თქმულისაებრ, რაც საკმარისი იქნებოდა, რათა მამათა ცოდვანი ბევრად ემართლებინა. თუ ძველნი უბედურებანი ახალს თანა-შეერთნენ, უბადრუკნი არიან, რომელნი მიზეზ იქმნენ წინასწარმეტყველთა მოწყვეტისა, და უფრორე უბადრუკნი — მომაკვდინებელნი ქრისტეისნი. უკეთური სურვილი და

1. επιτιμωντα: საყვედურს არ აკლებდა?

ზრახვა ჰქონდა ტომს და მეტადრე მათ, რომელნი მოითხოვდნენ თვისი შჯულის მეწინააღმდეგობას. უფრორე შეაიწრებდნენ და აწამებდნენ დაუმონებელთა, რომ ჰხედავდნენ, სწავლათათვის თვისთა რარიგ ღირსეულად სწირავდა თავს მაცხოვარი, თავისთვის კი გულისხმა-ჰყოფდნენ ფრიადს ცოომილებას და გარდასლვას შჯულიერთა განწესებათაგან, რამეთუ მათი სიძულვილი მიჰხვდა ცხორების წესის და სასიათის სიკეთის აღიარებას (რაიც სხვაგვარად სამძიმოც არს), ვითარცა უქმსა და ურგებელს. ბევრნი სიტყვით და მოძღვრებით იყვნენ მდიდარნი, რაიც მარტივად მიიღწევა თითოეულის მსურველისაგან; თითქოს მისთვის კი არ ცოცხლობენ, რომ ქმნან სიკეთე. არამედ მისთვის, რომ მარტოოდენ ილაპარაკონ. ჭეშმარიტად, სადაც პირველი საკრებულო უნდა ჰქონოდათ და ზვიადად უნდა აეწიათ წარბი სხვათათვის, უმალ მოსეს შჯულს იმოწმებდნენ; ხოლო შჯულისგან გადახვევას თავის მოჭრის და უპატიობის გამომეტყველ ნიშნად იღებდნენ და მეყსეულად მოხუცებულთა გარდამოცემათა იშველიებდნენ. მოძღვართაგან საღმრთო შჯულის გაუქმებას ისინი ნაკლებად აფასებდნენ, ვიდრე საკუთარის გატაცების უარყოფას და უცხო მიმართულებათა მოსპოლვას. როდესაც მე ვხედავ, რომ იუდეველნი არა აგრძნობენ სიმრავლესა ამას სასწაულთა, რომელთ მაცხოვარი იქმდა, ვერ ვპოვებ რასმე მათი რეგვნულის სიუხეშის შესადარებელს, ამ სიუხეშის სახედ რომ მიჩნდეს საკმარისად; თუმცაღა თავი მოაქვთ ერად, სასწაულებით თანდამწყსილად. ბევრი სასწაულით დახსნილ იქმნენ ეგვიპტელთა ხელითგან, დიდი საკვირველება მოეხილვა მათ მოსეს ხელით, წიაღ-ვლეს ფერხით ზღვა მეწამული, საჭმელი და სასმელი არა გარეშე საკვირველებისა გაიზიარეს უდაბნოს მავალთა. ერთა და მეფეთა სძლიეს და ქალაქნი მათგან პყრობილ იქმნენ და ქვეყანა აღთქმისა — განაწილებულ და ესე ყოველი — სავსე სასწაულებით და წინა წამძღვარებული სასწაულებით გასრულებული. მაგრამ ვერ ვხედავ მათ შორის მამათა მათთა სარწმუნოებაზედ დადგრომილთა ანუ ერთგულთა ღმრთისათა, არცა მათს გულისხმას აქვს თანამდევად მამათა გულისხმა; მაშ, როგორღა უნდა გამოჩნდეს მათი მოძღინარეობა მამათა - მათთა გვარიდან?

უგუნურებას და უკეთურებას უწინაც ვაცნევდი, ავი რომელ მოიწადინეს მოკეთისათვის; აწ ეცან იგინი უფრორე გონს გარდასრულებად, ვინათგან მცველებად დაადგნენ საფლავს მით, რომელ მომკვდარს კაცს ეშიშვოდნენ. თუ არს მომკვდარი, რადღა გეშინის? ხოლო თუ გეშინის, ჩანს, გონების-შორისი იჭვი არა გრთავს ნებას დაძინებისას და, საკუთარ თავს რომ ეპაექრო, ვითარ იტყვიან, მთვარეული და პირად-პირადად გვემული ხარი. ესე იგი არს, რომლისადაც ქერუბიმსა ზედა ჯდომაც არ იყო რთული. კლვის მსურნეობამ, ვთქვათ მართალი, გაიძულათ ხელის აღმართვა მაცხოარზედ. ჰოი, ნაცადნო შჯულის მოძღვარნო! არცა წინასწარ აღრჩევით ხდება, რომ ყოველსა საქმესა შინა ადამიანნი უხმობენ რაბბის და სხვა მსწავლელს თავს მოუდრეკენ.

ბრძნულად განსაჯეთ ესოდენთა სასწაულთა მკლავთ-კვრანი და ვერ-შეგრძნებანი; ნუთუ არა ღმრთივ ჰგონებთ შეწევნას, სახელითა ღმრთისათა, — არამედ უფრორე თავითა თქვენით? თქვენ ხომ არცა საკუთარს თქვენსას შეეწირებით, არცა თქვენი საქციელით საკუთარსა თანა აღრეულს; არცალა იქმნეს უცხო, არამედ სრულ გიპყრას თქვენ შესხმად; ეროს ნუ მიითვლით ვითარ საკუთარს და ერთგულს თქვენსას. შემდგომად შაბათს შენგან მოვირთხამ და გავითენებ და იგიცა გარდავალს; ხოლო მე შევადარო სასწაულნი, რამეთუ ყოველთა ადგილთა თანსდევს ქრისტეს საკვირველება, ვითარცა სხეულებს ჩრდილები. და უმჯობეს არს ცისმარე და შაბათსაც გადარჩენა სულისა, ვიდრეცა მოწყვეტა. თუ მზეს არ ჰყვედრი, შაბათობითაც რომ არ ისვენებს, არამედ აღმოვალს და დღეს დააყენებს, მცირე საშუალს შინაც არა უფროისად ჯერ-იყო უმზეობა დედამიწაზედ, ვიდრეცა თვით ღმერთს თავი სულ მცირედ რომ დაეჭირა სიკეთის ქმნისგან.

შემდგომად ვითღა არა არს ესე უკანასკნელი უადგილობა? თუ მზის დღეს სადაგს დღესასწაულად გაითენებთ, მზის მბრძანებელმან ხომ გაასრულა ესევითარნი საქმენი, რომ მზე ვერ შეუძლებდა, თქვენ რომ სარგებელს შემძლებელისას სიხარულით შეიწყნარებდით; არცა უსულო ქანდაკებულის განდიდება გიბრძანებიათ? აჰა, იხილეთ ეხლა, შვებისთვის ჰატივის მიზღვა რომ არა უწყოდა,

თუნდაც შაბათი დამდგარიყო. სხეულსაც უნდა მოესვენა ბუნების წესით. და ღმერთი, რომელს შენ ვერ ჰხედავ, ყველაზედ მეტად ისარჯება; მან ჯოჯოხეთი მოაკვდინა და სიკვდილი მოსპო, საუკუნითგან მუნ განკაფულნი ტანჯვით სულები აუხსნელთაგან ახსნა საკრველთა. ღმერთს ვინც მოაკლებს მოქმედებას, მასთანვე ყოფნაც უნდა მოაკლოს. გსურს დაისწავლო, რომელ ქრისტე შთავიდა ჯოჯოხეთს, მძლავრი შებორკა და სახმარი მისი აართვა? ჩემგან ცან რყევა გეჰენიის, მხედართათვის ძილის მოგვრა ვით მომკვდართათვის, ბეჭედთა რჩომა შეუხებელად, დაკრძალულისგან დატევება საფლავის მცველთა, ამას ზედა ანგელოზთა მოწამეობა და აგორება მათ მიერ ლოდის. დე, გაქვნდესთ ესე ნიშნად საქმეთა საიდუმლოთა თქვენ, მსწავლელნო უხილავთა ვითარ ხილულთა; რამეთუ არა ოდენ სხეულით, სულითაცა მოუცემიეს შენთვის სიცოცხლე. თავად ხომ მალედ სულის ქონასაც არ დაუშვებდი ლტოლვილისათვის სახედველთაგან სხეულებრივთა. ეს იყოს შენი ძლევის ნიშანი. ყოველივე არს დიადი, ყოველივე — ნათელი, მრთელს დედამიწაზედ დარიგებული და ნაწამები, რასაც შენ თავად უთვალავჯერ არ ივჯერებდი. მოსემ ხომ ამის წინა-სახე გიჩვენა ძველად. მე კი მეგონა... ან რა არლა არს მოსალოდნელი? იგი ეგვიპტის წყვდიადს შინა შთამოვიდა და ფარაონის ხელმწიფეობას შეერკინა ბევრგზის მძიმედ გვემული და ნაჭრილობევი, დაეზესთავა, ერი იხსნა ტირანიისგან, გამოიყვანა მუნით და ზღვის უფსკრულს დაანთქა ფარაონი სრულის მხედრობით. ესე ცხადად წინასახედ წარუმძღვარა მოსალოდებელს.

ვინ გერწმუნება, რომელ ღმერთი შენ დაგეშურა ესოდენი სიმარტივით, — მდრტვინავს, უმადლოს, რომელი ცხადად გცნა მოცუნდრუკედ წინაშე ყოვლის და სიბილწეს და არა-უმწიკვლოებას შენაწირებად. მე დავშვერ ფრიად, რათა მრავალმხრივ მეკვლია შენი მდაბიურება, და, უარესად სიტყვამწირის რომ მეპოვე, ყოვლითკერძო უგზო ვიქმენ. რაზედაც ვინმე ილოცებდა, რომ მომხდარიყო, იმას მოესწრნენ, მაგრამ არა შეუვრდნენ და იამეს შემოვლებით, არცა ჭირთათვის, არც ხარჯის გამოთ განლევისათვის არა შეინანეს. რა უარეა შენსა, მარქეი, ო, გამუდმებით წინაალდგომის

და სიმართლის უჯერობის მეწადინეო; ანუ ამაზედ დამეტებული რა გქონდა როსმე სალოცავი? ან უმეტესი ვისგან გქონდა დანაპირები? ან სით გაგიქრა ღმერთის სიმდიდრე, მას რომ ვერ მისწვდი და სხვას ჰგონებდი უფრო ძრიელად? რა უარეა კრულვაზედ მით, რომ ღმრთისმსახურებას ხარ ანასხლეტი? თავი და თავი იმის, რაც ვისმე ბოროტება დაუთმენია, არს განვრდომა ჭეშმარიტის ღმერთის რწმენისგან.

დაისწავლე, რომ არს ღირსი რწმენის ყოველივე საცხოვნებლად ჩვენდა ქმნული ყოვლითურთ. ანგელოზმან ქალწულს ახარა, რომ უოესლოდ მუცლად-იღო და რომ უფალი ჰგიეს მის თანა. ანგელოზები იხილვნენ ქვეყნად კაცთა შორის ვით მგალობელნი მეშვისათვის დიდებისა და სიმშვიდის და ნება-კეთილობის ქებისმეტყველნი ღმრთისად. ანგელოზი მოადგა იოსებს და ქალწულზედ იჭვი განუფანტა და აწ ისინი ჩვილთან ერთად ეგვიპტეს მიჰყავს და აწვე მუნით იქმს აღყვანებას. რა უნდა ჰქმნან ანგელოზთა, რომელნი სიტყვით ღმერთს ჰმსახურებენ, ანუ შემდგომად გაღვიძების ანუ აღდგომის რომელ დაუბრუნდება მათ უფალი, მის მოწაფეებს ვით მოეხილვონ მისათვლელად?

აწ ანგელოზნი ხსნას ჩვენსას და მაცხოარებას სანაცვლო ბეჭდით დაჰბეჭდავენ და აღდგომას დაამტკიცებენ. ო, სასწაულო, რაზომი რწმენა შეგვეძინება! ბნელს აგრერიგად კაცნი რომ არ შემოეგრაგნა, არამედ ოდენ ერთი ერთგზის რომ მოსულიყო, ნუთუ არ უნდა დავყრდნობოდით? გარნა არცაღა ზაქარიას სცემდა სარგებელს. ვინათგან ერთი ანგელოზიც რომ არ გვენახა, ნუთუ თვით საქმეს ესეეითარი არ მიჰხვდომია ბუნება, რომელ სამართალის მეძიებელი მცველის გარეშეც იგულვებოდეს მისი აქ ყოფნა? ამას მტკიცება ხომ არ სჭირდება თითქოს სრულიად. და თუ რწმენისთვის სხვა არცარა აქვთ დასაყრდნობელი, თავისივე თავი იკმარონ უმედგრესის გასაღვიძებლად. საამისო არს მათ შინავე. მე კი, ესე რომ დავურთე, სიტყვა უნდა დავაყუდო.

ნეტარ არს, რომელმან ქრისტე იხილა ძელზედ დამოკიდებული, ვითარცა ავაზაკმან, ღმერთი რომელ აღიარა. ბედნიერად ვრაცხ, ვინ დაფარა ქრისტეს შიშველობა უპოვართაოვის, ვით იოსებმან.

ანუ ვითარცა ნიკოდემოსს, ქრისტესთვის რომ კეთილი საქმით ნელსაცხებელი გუცხო. არა ნაკლული მადლი მისგან მოგეზღვებოდა. ანუ ვითარცა მაგდალინელი, სხვა მარიამ მენელსაცხებლე საქმის სიწმიდით ქრისტეს სცხებდი ნელსაცხებელს და სულ მალედ იხილავდი და მისგანვე გიხაროდენს გაიგონებდი. გარდახვიდოდე აწ დაფარულ მოციქულებზედ. ვითარცა თომა, აღდგომის რომ ჰყოფილიყავ შენაც მეჭველი. მის სწორადვე შეგაშფოთებდა, რომ ქრისტე თავად არ გიხილავს სხვათა თანა ანუ ყოვლის უადრეს. მაგარმ გარდასხვაფერებულმან თაყვანი ეც და დაიჯერე და თავად ღმერთი იქადაგე. მამისა თანა და სულისა წმიდისა, რომელი იდიდების აწ და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

მაქსიმოს პლანუდესი

აპაშსტინეს მე-15 წიგნიდან სამების შესახებ

თავი XVII

სულიწმიდის შესახებ, რომელიც მამისა და ძის სწორად იგულისხმება, თითოეული მათგანის სულად ითქმის და სიყვარულის სახელით მოიაზრება, თუმცა სამების თითოეული პირი სიყვარულია.

მამასა და ძეზედ საკმაოდ ბევრი ვიმსჯელეთ, რაოდენის ხილვაც ამ სარკით შევძელით ამ იგავით ნათქვამებში. ეხლა სულიწმიდის შესახებ მოგახსენებთ, რაოდენის ხილვასაც ღვთის წყალობით მოვახერხებთ გასაცხადებლად. სულიწმიდა, საღვთო წერილის თანახმად, არც მხოლოდ მამისაა, არც მხოლოდ ძისა, არამედ ორთავ ეკუთვნის და, აქედან გამომდინარე, ზიარ სიყვარულს გვინერგავს, რომლითაც მამას და ძეს უყვართ ერთმანეთი. რათა საღვთო სიტყვას ჩვენ გავეწვრთენით არა აშკარა და ცხადი, არამედ დაფარული (აპოკრიფული) საქმეების გამოსაკვლევად და აპოკრიფის გამოსაცხადებლად, მეტის მოწადინებით იქმდა ძიებას. საღვთო წერილში არ თქმულა, რომ სულიწმიდა არის სიყვარული, და, თუ ეს ითქვა, ერთი ნაწილი კი არ ყოფილა განყენებული, არამედ ითქვა: „ღმერთი სიყვარული არს", რითაც განუსაზღვრელია,

ღმერთი მამაა სიყვარული, თუ ღმერთი ძე, თუ ღმერთი სულიწმიდა, თუ ღმერთი სამება. ვერ ვიტყვით, თითქოს არა იმის გამო თქმულიყოს სიყვარულად ღმერთი, რომ სიყვარული არ არის სხვა სუბსტანცია, რომელიც ღირსი იქნებოდა ღმერთის სახელისა, არამედ ნიჭია ღმერთის; როგორც ნათქვამია ღმერთის მიმართ: შენ ხარო მოთმინება ჩემი — დიაღ, სრულიადაც არა იმის გამო, რომ ღმერთის სუბსტანცია არის ჩვენი მოთმინება, არამედ იმიტომ, რომ მისგან გაგვაჩნია, როგორც სხვაგან ვკითხულობთ, მისგან არსო მოთმინება ჩემი. ზემოთქმული მნიშვნელობა მარტივად უგულებელსაყოფია საღვთო წერილით. კერძოდ, ასეთი გამონათქვამებით: „შენ ხარ მოთმინება ჩემი" ან „შენ, უფალო, იმედი ხარ ჩემი" და „ღმერთი ჩემი — წყალობა ჩემი" და ბევრიც სხვა არის ამის მსგავსი. ხოლო არ ითქმის: „უფალო, ხარ სიყვარული ჩემი", ან „შენ ხარ სიყვარული ჩემი", ან „ღმერთი — სიყვარული ჩემი"; არამედ ესრეთ თქმულა: „ღმერთი სიყუარული არს", როგორც ითქმის: „ღმერთი სული არს". ვინც ვერ განარჩევს ამას, უფლისგან ნაფიქრსა და ნაგულვებს, ნუღარ ეძიებს ჩვენს განმარტებას, რადგან სათქმელის უფრო მეტად გაცხადება არ შეგვიძლია. მაშასადამე, ღმერთი სიყვარული არს; მაგრამ რომელი — მამა თუ ძე თუ სულიწმიდა თუ თვით სამება; ხოლო თვით სამება სამი ღმერთი კი არ არის, არამედ ღმერთი ერთი არს, — ეს მოიძიება. ამავე წიგნში, უფრო ზემოთ, უკვე გესაუბრეთ, რომ ისე არ უნდა შევიღოთ სამება, თითქოს ღმერთი იყოს მათ სამთაგან, რომელნიც ჩვენი გონებით წარმოვსახეთ სამებაში, რათა ხსოვნად გარდაგვეთქვა ყოველთაგე სამთავ მამა, გონებად — ყოველთაგე სამთავ ძე და სიყვარულად — ყოველთაგე სამთავ სულიწმიდა, რადგან მამა თავისთვის არ ჰგონებს, არც უყვარს, არამედ ძე მისთვის ჰგონებს და სულს მისთვის უყვარს, მას კი თავისთვისაც და მათთვისაც ერთადერთს ახსოვს. ძეს არც ახსოვს, არც უყვარს თავისთვის, არამედ მისთვის ახსოვს მამას, მისთვის უყვარს სულიწმიდას, ის კი ერთადერთი ჰგონებს თავისთვისაც და მათთვისაც. სულიწმიდას არც ახსოვს, არც ჰგონებს თავისთვის, არამედ მისთვის ახსოვს მამას, მისთვის ჰგონებს ძე, მას კი თავისთვისაც და მათ-

თვისაც არცარა არს რომ არ უყვარდეს. აქ უფრო ისე გამოდის, თითქოს სამთავ ყოვლობაც და თვითებაც ჰქონდეთ თითოეულად საკუთარს ბუნებაში და ეს არ განიყოფოდეს მაოში ისე, როგორც ჩვენში სხვა არის ხსოვნა, სხვა არის გონება და სხვა არის სიყვარული, მაგრამ არსებობს რაღაც ყოვლისშემძლე, როგორიცაა სიბრძნე, და იგი არის თითოეული ერთის ბუნებაში და ამ რაღაცის მქონეს იგი აქვს როგორც უცვალებელსა და მარტივ სუბსტანციას.

ასე რომ, თუ ეს გასაგებია, რამდენადაც ჩვენ ასეთ საქმეებში ჩახედვის უფლება გვაქვს და მიხვედრილობა გვყოფნის, გაირკვევა, რომ ზემოთქმული ჭეშმარიტებას წარმოადგენს. ოღონდ არ ვუწყი, ისე როგორც სიბრძნედ მამაც ითქმის, ძეც და სულიწმიდაც და თან ყველა ეს არა სამად, არამედ ერთ სიბრძნედ ისიტყვება, რატომ მსგავსადვე არ ითქმის სიყვარულად მამაც, ძეც და სულიწმიდაც და თან ყველა ეს ერთ სიყვარულად, რადგან მამაც ღმერთია, ძეც ღმერთია და სულიწმიდაც ღმერთია და თან ყველა ეს ერთი ღმერთია. არც ის არის ცუდუბრალო და შემთხვევითი, რომ ამ სამებაში იკითხება არა სიტყვა ღვთისა, არამედ ძე, არა ნიჭი ღვთისა, არამედ სულიწმიდა, არცა ის, ვისგანაც იშვა სიტყვა და ვისგანაც გამოდის პირველსახით სულიწმიდა, არამედ მამა იკითხება. იმის გამო დავსძინე „პირველსახით", რომ სულიწმიდა ძისგან გამომავალადაც იპოვება, მაგრამ ესეც მას მამამ მიანიჭა, არა უკვე არსებულს და ჯერ არ მქონეს, არამედ, რაც როსმე მხოლოდშობილ სიტყვას მიანიჭა, დამადებით მიანიჭა. მაშასადამე, ისე შვა იგი, რომ მისგანაც ზიარი ნიჭი გამოდინარეობს და სულიწმიდა ორივესია. გვერდისაუფლელად მისაღებია და გულმოდგინებით განსახილველი სამების ეს განუყოფელი განთვითება; რადგან აქედან გამოდინარე, საკუთრივ ღვთის სიტყვა ითქმის ღვთის სიბრძნედ, თუმცა მამაც სიბრძნეა და სულიწმიდაც. მაშინ თუ საკუთრივ რომელსამე ამ სამიდან სიყვარული უნდა დარქვას, რა იქნება იმაზე უფრო შესაფერისი, რომ ეს იყოს სულიწმიდა, რადგან ნათელია, რომ იმ მარტივსა და უმწვერვალეს ბუნებაში არ განირჩევა სხვად სუბსტანცია, სხვად სიყვარული, არამედ სუბსტანცია არის სიყვარული და სიყვარული — სუბსტანცია მამასა შინა თუ ძესა შინა თუ სულიწმიდასა შინა, და სულიწმიდა საკუთრივ

სიყვარულად ითქმის. ასე ერთბამად რჯულის სახელით გაცხადდა ძველი საღვთო წერილის მთელი მეტყველება. ესაია წიგნიდან ამოწმებს მოციქული, რომ ამბობს: „უცხოითა ენითა და ბაგითა უცხოითა ეტყოდი ერსა ამს"[1], თან წინ წარუძღვარებს: „სჯულსა წერილ არს". ხოლო თავად უფალი ამბობს: „სჯულსა მათსა წერილ არს, რამეთუ: მომიძულეს მე ცუდად"[2], და ეს ხომ ფსალმუნში იკითხება. ხოლო ზოგჯერ რჯული საკუთრივ ეწოდება იმას, რაც მოსემ მოგვცა, თანახმად თქმულისა: „სჯული და წინასწარმეტყველნი ვიდრე იოანესამდე"[3]. და: „ამათ ორთა მცნებათა ყოველი სჯული და წინასწარმეტყველნი დამოკიდებულ არიან"[4].

აქედან მთლიანად რჯული საკუთრივ სინას მთიდან მომდინარედ ითქმის და წინასწარმეტყველთა სახელით აღინიშნებიან ფსალმუნები. სხვა ადგილას თავად მაცხოვარი ამბობს: „ჯერ-არს აღსრულებად ყოველი წერილი სჯულსა მოსესსა და წინასწარმეტყველთასა და ფსალმუნთა ჩემთჳს"[5].

აქ კვალად ინება, რომ წინასწარმეტყველთა სახელი, ფსალმუნთა გამოკლებით, ნაგულვები ყოფილიყო. მაშასადამე, რჯულად ითქმის ერთიანად საღვთო წერილიც წინასწარმეტყველთა წიგნებთან და ფსალმუნებთან ერთად. ითქმის საკუთრივ ისიც, რაც მოსესგან არის მოცემული. ითქმიან კიდევ საერთოდ წინასწარმეტყველნი ფსალმუნებთან ერთად. ითქმიან კერძოდაც ფსალმუნთა გარეშე. მრავალი მაგალითით და სხვა გამოსახულებით ჩვენ შეგვიძლია შევიცნოთ, რომ ბევრ საქმეს სახელი ედება საზოგადოდაც და რითმე კიდევაც განკერძოვდება, რომ ცხად საქმეში გრძელი სიტყვა ცუდუბრალოდ შესანახი არ გახდეს. ეს კი იმისთვის ვთქვი, რომ ვინმეს არ ეფიქრა, თითქოს ჩვენ უმართებულოდ შევუსატყვისეთ სიყვარული სულიწმიდას, რადგან შეიძლებოდა მამა

1. I კორინთელთა მიმართ, XIV, 21.
2. იოანე, XV, 25.
3. ლუკა, XVI, 16.
4. მათე, XXII, 40.
5. ლუკა, XXIV, 44. ბერძნულ დედანში აქ არც მოსეა ნახსენები.

ღმერთისთვისაც და ძე ღმერთისთვისაც შეგვესატყვისებინა სიყვარული. როგორც მხოლოდშობილს ღვთის სიტყვას საკუთრივ ვარქმევთ სახელად სიბრძნეს, თუმცა მრთელი — სულიწმიდა და მამაც — სიბრძნეა, ასევე სულიწმიდასაც საკუთრივ სიყვარულის სახელი ჰქვია, თუმცა მრთელი — მამაც და ძეც — სიყვარულია. მაგრამ სიტყვა ღვთისა, ესე იგი მხოლოდშობილი ძე ღვთისა, აშკარად ნათქვამია ღვთის სიბრძნედ მოციქულის პირით, რომ ამბობს, ქრისტე ძალი ღვთისა და სიბრძნე ღვთისა არსო. ხოლო სულიწმიდა სადმე როდისმე რომ სიყვარულად თქმულიყოს, ამასაც ვპოვებთ, თუ გულმოდგინედ გადავსინჯავთ იოანე მოციქულის სიტყვას. იგი ამბობს: „საყუარელნო, ვიყუარებოდით ურთიერთას, რამეთუ სიყუარული ღმრთისაგან არს", და წართვით დასძენს: „და ყოველი, რომელსა უყუარდეს, ღმრთისაგან შობილ არს და იცის ღმერთი. რომელსა არა უყუარდეს, მან არა იცის ღმერთი, რამეთუ ღმერთი სიყუარული არს"[1].

აქედან თავისთავად ცხადია, რომ ღმერთი ნათქვამია თავად სიყვარულად, რომელიც ღმერთისგან მომდინარედ ითქმის. ასე რომ ღმერთი სიყვარული არის ღმერთისგან. მაგრამ რადგან ძეც მამა ღმერთისგან იშვა და სულიწმიდაც მამა ღმერთისგან გამოვალს, მართლად გამოიძიება, აქ რომელი მათგანის გამორჩევა უფრო უპრიანია, რათა სიყვარულად ითქვას ღმერთი. მამა მხოლო არს ღმერთი ისე, რომ არა არს ღმერთისგან, და ამის გამო სიყვარული, რომელიც ღმერთი არს, რამეთუ არს ღმერთისგან, ან ძე არს, ან სულიწმიდა; მაგრამ შემდგომ, ღმერთის სიყვარულს რომ ახსენებს, არა რომლითაც ჩვენ გვიყვარს იგი, არამედ — რომლითაც თავად მან შეგვიყვარა ჩვენ „და მოავლინა ძე თჳსი"-ო, ამბობს, „მლხინებელად ცოდვათა ჩუენთა"[2],

ამით გვასწავლის, რათა ჩვენც გვიყვარდეს ერთმანეთი, რომ ასე ღმერთი ჩვენში დარჩეს. როდესაც სიყვარულად ითქვა ღმერთი, სწორედ ამის შესახებ უნდა გაენდო მეტის სიცხადით: „ამით

1. 1 იოანე, IV, 7-8.
2. 1 იოანე, IV, 10.

უწყით"-ო, ამბობს, „რამეთუ მის თანა ვ.ჰგიეთ და იგი ჩუენ შორის, რამეთუ სულისა მისისაგან მომცა ჩუენ"[1]. ასე რომ სულიწმიდა, რომლისგანაც მოგვცა ჩვენ, იქმს ჩვენს დარჩენას ღმერთში და მისას — ჩვენში; ხოლო ამას იქმს სიყვარული. მაშასადამე, თავად არს ღმერთი სიყვარული. და მალე ბოლოს ამასვე იმეორებს და ამბობს: „ღმერთი სიყუარული არს". შემდეგ დასძენს: „და რომელი ეგოს სიყუარულსა ზედა, ღმერთი მის თანა ჰგიეს და იგი ღმრთისა თანა"[2]; რის გამოც უფრო ზემოთ თქვა: „ამით უწყით, რამეთუ მის თანა ვ.ჰგიეთ და იგი ჩუენ შორის, რამეთუ სულისა მისისაგან მომცა ჩუენ". ერთი სიტყვით, ცხადდება ის ადგილი, სადაც ვკითხულობთ: „ღმერთი სიყუარული არს". ღმერთი როგორც სულიწმიდა, გამომავალი ღმერთისგან, როდესაც მიეცემოდა ადამიანს, აღაგზებდა მას ღმერთის და ახლობელის სიყვარულისთვის და თავად სიყვარული არს, რადგან ადამიანს არა აქვს არაფერი ისეთი, რის გამოც ღმერთს შეიყვარებს, თუ არა [სიყვარული] ღმერთისგან. ამიტომ ცოტა ხნის შემდეგვე იტყვის: „ჩუენ გუყუარს იგი, რამეთუ მან პირველად შემიყუარნა ჩუენ"[3]. და პავლე მოციქული ამბობს: „სიყუარული ღმრთისაჲ განფენილ არს გულთა შინა ჩუენთა სულითა წმიდითა, რომელი-იგი მოცემულ არს ჩუენდა"[4].

1. I იოანე, IV, 13.
2. იქვე, IV, 16.
3. იქვე, IV, 19.
4. რომაელთა მიმართ, V, 5.

თავი XVIII

ამაღლებულობის შესახებ სიყვარულისა, რომელიც ღმერთისგან არს და ეგრეცა თავადვე ღმერთი არს

არაფერია ღმერთის ამ ნიჭზე უფრო მაღალი, რადგან იგი ერთადერთია, რომელიც ზღვარს ავლებს საუკუნო სასუფეველის ძეთა და საუკუნო წარსაწყმედელის ძეთა შორის. სხვანიცა ნიჭნი ეძლევიან სულიწმიდისაგან, მაგრამ უსიყვარულოდ არაფერს რგებენ, თუ ისე არ ეწილადა მით სულიწმიდა, რომ აქციოს ღმერთის და ახლობელის მეტრფედ (ἐραστὴν), რადგან მარცხენა ვერ გადაიტანება მარჯვენად; მაგრამ სულიწმიდა საკუთრივ არ ითქმის ნიჭად გარეშე სიყვარულისა. ვისაც სიყვარული არა ჰქონდეს, „ენათაღა თუ კაცთასა და ანგელოზთასა იტყოდა, ... იქმნა იგი, ვითარცა რვალი, რომელი ოხრინ, გინა წინწილანი, რომელნი ჭმობედ. და აქუნდეს — ღათუ წინაჲსწარმეტყველებაჲ და უწყოდა ყოველი საიდუმლოჲ და ყოველი მეცნიერებაჲ, აქუნდეს — ღათუ ყოველივე სარწმუნოებაჲ ვიდრე მთათაცა ცვალებადმდე [და სიყუარული თუ არა აქუნდეს] არავე რაჲ არს. და შე-ღათუ-აჭამოს ყოველი მონაგები თჳსი და მისცნეს ჭორცნი თჳსნი დასაწუველად [და სიყუარული არა აქუნდეს], არარაჲვე სარგებელ არს მისდა"[1]. მართლაც, რაბამი სიკეთეაა ესევითარი სიკეთე, ვერავის რომ ვერ უწინამძღვრებს საუკუნო ცხოვრებისაკენ? ხოლო თავად სიყვარული რომ ჰქონდეს მას, ვინც ენით არ ამბობს, არც წინასწარმეტყველება აქვს, არცა უწყის ყოველი საიდუმლო და ყოველი მეცნიერება, არცა შეაჭმევს გლახაკთა ყოველს თავის მონაგებს, ან უქონლობით არცრას შეაჭმევს, ან გარდაუვალობა დააბრკოლებს, არცა მისცემს ხორცთა თვისთა დასაწველად, — ამგვარი ლტოლვის ყველა ცთუნება რომ გამოირიცხოს, [სიყვარული] წარუძღვება სასუფეველისაკენ, ისე რომ თვით სარწმუნოებასაც კი სხვა არაფერი ხდის სასარგებლოდ, თუ არა სიყვარული, რადგან სიყვარულის გარეშე სარწმუნოებას შეუძლია იარსებოს, ოღონდ სარგებელს ვერ მოიტანს. ამიტომ პავლე მოციქული ამბობს: „სახელითა იესო

---

1. 1 კორინთელთა მიმართ, XIII, 1-3.

ქრისტესითა არცა წინადაცვეთას აქვს რამ ძალი, არცა ჩუჩას, არამედ სარწმუნოებას, რომელიც სიყვარულით მოქმედებს"[1]. ასე განარჩევს სიყვარულს სარწმუნოებისაგან, რომლითაც „ეშმაკთაცა ჰრწამს და ძრწიან"[2]. ამრიგად, სიყვარული, რომელიც ღმერთისგან არს და ღმერთი არს, საკუთრივ, სულიწმიდა არს, რომლითაც განფენილ არს გულთა შინა ჩვენთა ღმერთის სიყვარული, რომლითაც ჩვენში მრთელი სამება მკვიდრობს. რა თქმა უნდა, სავსებით მართებულად სულიწმიდა ღმერთი არს და ღმერთის ნიჭად იწოდება. ნიჭად საკუთრივ სხვა რა არს საცნაური, თუ არა სიყვარული, რომელსაც ღმერთისკენ მივყავართ და რომლის გარეშეც ღმერთისკენ არ მიგვიძღვება სხვა არავითარი მადლი და ნიჭი ღმერთისა.

თავი XIX

რა აზრით ითქმის სულიწმიდა ღმერთის ნიჭად და მადლად

განა ესეც უნდა იქნეს ნაჩვენები, რომ ღმერთის ნიჭად სულიწმიდა არს ნათქვამი წმინდა წერილში? თუ ამას ვინმე გამოიკითხავს, იოანეს სახარებაში ვკითხულობთ უფლისა ჩვენის სიტყვებს: „უკუეთუ ვისმე სწყურიდის, მოვიდინ ჩემდა და სუემდინ. და რომელსა ჰრწმენეს ჩემი, ვითარცა თქუა წიგნმან, მდინარენი მუცლისა მისისაგან დიოდიან წყლისა ცხოველისანი". მახარებელივე პირდაპირ დასძენს წართვით: „ესე თქუა სულისა მისთჳს, რომელი მიღებად იყო მორწმუნეთა მათ მისა მიმართ"[3]. აქედან იტყვის პავლე მოციქული: „და ყოველთავე ერთისა მიმართ სულისა გჳსუამს"[4].

ხოლო რომელი ნიჭი ღმერთისა ეწოდა წყალსა ამას, რომელ არს სული, — ეს გამოიძება. როგორც აქ ვპოვებთ, წყალი ესე

---

1. „Εν Χριστω Ιησου οὔτε περιτομη τι ισχυει, οὔτε ακροβυστια, αλλα πιστις, η δια της αγαπης ενεργουμενη". ციტირება არ მოწმდება; შდრ. 1 კორინთელთა მიმართ, V, 6.

2. იაკობ, II, 19.

3. იოანე, VII, 37-39.

4. 1 კორინთელთა მიმართ, XII, 13.

სულიწმიდა არს. სხვაგანაც ვპოვებთ თვით სახარებაში, რომ წყალსა ამას ღმერთის ნიჭი შეესატყვისება. თავად უფალი ხომ ესაუბრებოდა წყაროსთან სამარიტელ დედაკაცს, რომელსაც უთხრა: „მასუ მე წყალი". ჰრქუა მას დედაკაცმან, რომ „არა შეეხნიან ჰურიანი სამარიტელთა". მიუგო და ჰრქუა: „უკუეთუმცა იცოდე შენ ნიჭი ღმრთისაჲ და ვინ არს, რომელი გეტყჳს შენ: მეც მე წყალი, რაჲთა ვსუა, შენმცა სთხოვე მას, და გცამცა წყალი ცხოველი". ჰრქუა მას დედაკაცმან მან: „უფალო, არცა სავსებელი გაქუს, და ჯურღმული ესე ღრმა არს. ვინაჲ გაქუს შენ წყალი ცხოველი?" და ასე შემდეგ. მიუგო იესო და ჰრქუა მას: „ყოველი რომელი სუმიდეს წყლისა ამისგან, სწყუროდის კუალადცა, ხოლო რომელმან სუას წყლისა მისგან, რომელი მე მივსცე მას, ... იქმნეს მის შორის წყარო წყლისა, რომელი ვიდოდის ცხოვრებად საუკუნოდ"[1]. მაშასადამე, რამდენადაც წყალი ესე ცხოველი, როგორც მახარებელმა განმარტა, სულიწმიდა არს, ნიჭი ღმერთისა უეჭველად არს სული, რომლის შესახებაც აქ ამბობს უფალი: „უკუეთუმცა იცოდე შენ ნიჭი ღმრთისაჲ და ვინ არს, რომელი გეტყჳს შენ: მეც მე წყალი, რაჲთა ვსუა, შენმცა სთხოვე მას, და გცამცა წყალი ცხოველი". იქ ხომ უთხრა: „მდინარენი მუცლისა მისისაგან დიოდიან წყლისა ცხოველისანი"-ო, აქ ამას ეტყვის: „იქმნეს მის შორის წყარო წყლისა, რომელი ვიდოდის ცხოვრებად საუკუნოდ". და პავლე მოციქული იტყვის: „თჳთოეულსა კაცად-კაცადსა ჩუენსა მოცემულ არს მადლი საზომისაებრ ნიჭისა ქრისტესისა"[2], და, რათა ქრისტეს ნიჭად სულიწმიდა გამოაჩინოს, წართვით დასძენს: „რომლისათჳს იტყჳს: აღჴდა მაღალსა, წარმოტყუენა ტყეე და მისცა იგი ნიჭად კაცთა"[3]. სავსებით გასაგებია, რომ უფალმა იესომ, რომელიც მკვდრეთით აღდგომის შემდეგ ცად აღვიდა, მოგვცა სულიწმიდა; მით აღივსნენ, რომელთაც იწამეს, და მოუთხრობდნენ ყოველი ხალხის ენაზედ. ნუ შეგვაშფოთებს, რომ

1. იოანე, IV, 7-14.
2. ეფესელთა მიმართ, IV,7.
3. იქვე, IV, 8.

ამბობს „ნიჭნი“-ო (δοματα), და არა „ნიჭი“ (δομα). ამგვარად დამოწმებული მოუხმია ფსალმუნიდან, რომელშიც ეს ასე იკითხება: „აღჰკედ მაღალსა და წარმოსტყუენე ტყუჱ და მოიღე ნიჭები კაცთა შორის“[1]. მეტწილ ხელნაწერ წიგნებში ასეა, უმეტესად ბერძნულში, და ებრაულიდან ამგვარად ნათარგმნს (განმარტებულს) ვხედებით. ერთი სიტყვით, „ნიჭებს“ (δοματα) ამბობს მოციქული წინასწარმეტყველის მსგავსად, და არა „ნიჭს“ (δομα); მაგრამ, თუ წინასწარმეტყველი ამბობს: „მოიღე კაცთა შორის“-ო, მოციქული არჩევს თქვას: „მისცა კაცთა“. როგორც ორივ ნათქვამიდან ჩანს, — ერთი მხრივ, წინასწარმეტყველისა და, მეორე მხრივ, მოციქულისა (რამდენადაც თითოეულ მათგანში ღვთის სიტყვის უშუალო მომდინარეობას ვხედავთ), გადმოცემულია ფრიად ცხადი აზრი. თითოეული მათგანი ჭეშმარიტია: ისიც, რომ მისცა ნიჭად კაცთა, და ისიც, რომ მოიღო კაცთა შორის. მისცა ნიჭად კაცთა, როგორც თავმან საკუთართა ნაწევართა და ნასხმანთა, ხოლო თავადმან მოიღო კაცთა შორის, რასაკვირველია, საკუთართა ნასხმანთა შორის, რომელთა გამოც ციდან იღაღადა: „საულ, საულ, რაჲსა მდევნი მე?“[2] და საკუთართა ნასხმანთა შესახებ იტყვის: „რავდენი უყავთ ერთსა ამას მცირეთაგანსა ძმათა ჩემთასა, იგი მე მიყავთ“[3].

ჭეშმარიტად, თავად ქრისტემ მოგვცა კიდეც ციდან და მოიღო კიდეც მიწაზედ. ამ ნიჭთა გამო თქვეს ორთავ — წინასწარმეტყველმა და მოციქულმა, რომ ნიჭის, ესე იგი სულიწმიდის, საშუალებით უნაწილდება საერთოდ კაცთა ვითარცა ქრისტეს ნაწევართა და ნასხმანთა მრავალი ნიჭი, რომელიც თითოეულს აქვს საკუთრად, მაგრამ ყველა არა აქვს თითოეულს, არამედ ერთთა აქვს ეს და სხვათა — სხვა, თუმცა თვით ნიჭი, რომლისგანაც თითოეულს საკუთრად უნაწილდება, ე. ი. სულიწმიდა, აქვს ყველას. სხვაგანაც, როდესაც მრავალ ნიჭსა თუ მადლს ახსენებს, ამბობს: „ხოლო

1. ფსალმუნნი LXVII, 19.
2. საქმე, IX, 4.
3. მათე, XXV, 40.

ამას ყოველსა შეეწევის ერთი და იგივე სული, განუყოფს თჳთოეულად კაცად-კაცადსა, ვითარცა ჰნებავს"[1]. იპოვება სიტყვა ეპისტოლეში ებრაელთა მიმართ, სადაც წერილ არს: „თანა-მოწამებითა ღმრთისაცთა სასწაულებითა და ნიშებითა და ფერად-ფერადითა ძალითა და სულისა წმიდისა განყოფითა"[2]. და ესვე თქვა: „აღჴდა მაღალსა, წარმოტყჳენა ტყჳე და მისცა ივი ნიჭად კაცთა". „აღჴდა" რა არსო, ამბობს, თუ არა [იმით გასარკვევი], რომ „შთაჴდა" კიდევაც უქვემოეს ნაწილში მიწისა. რომელი შთჴდა, თავად არს და თავადვე აღჴდა ზესთა ყოველთა ცათა, რათა აღევსო ყოველივე. „და რომელნიმე დაადგინნა ღმერთმან ეკლესიათა პირველად მოციქულნი"[3], მეორედ წინასწარმეტყველნი, მერმე მახარებელნი, მერმე მწყემსნი და მოძღვარნი. აი რის გამო არს ნათქვამი ნიჭნი. როგორც სხვაგან ამბობს: „ნუ ყოველნი მოციქულ იყვნენა? ნუ ყოველნი წინასწარმეტყველ?"[4] და ასე შემდეგ. აქ დასძენს: „დასამტკიცებელად წმიდათა, საქმედ მსახურებისა, აღსაშენებელად გუამისა ქრისტესისა"[5]. ეს არის სახლი, რომელიც, თანახმად ფსალმუნისა, შენდება ტყვეობის შემდეგ, რადგან ეშმაკის ტყვეობიდან დახსნილთაგან შენდება ქრისტეს სახლი, რომელსაც სახელად ეკლესია ესადაგება. ეს ტყვეობა თავად ტყვედ იპყრა, რამეთუ ეშმაკს სძლია, და, რათა წმინდა თავის მომავალ ნაწევართა და ნასხმანთა თან არ ეზიდათ საუკუნო სასჯელის ტვირთი, ჯერ მართლმსაჯულების და მერმე ძალის ბორკილებით შეკრა. ასე რომ ტყვეობა ეწოდა თავად ეშმაკს, რომელიც ტყვედ იპყრა მან, ვინ აღხდა სიმაღლედ და მისცა ნიჭნი კაცთა, ანუ მიიღო კაცთა შორის. ხოლო პეტრე მოციქული, როგორც ვკითხულობთ კანონიკურ წიგნში, სადაც აღწერილია მოციქულთა საქმენი, საუბრობს ქრისტეს შესახებ და, როდესაც იუდეველნი გუ-

1. 1 კორინთელთა მიმართ, XII, 11.

2. ებრაელთა მიმართ, II, 4.

3. 1 კორინთელთა მიმართ, XII, 28: „Και αυτος δεδωκεν ους μεν αποστόλους"...

4. იქვე, XII, 29.

5. ეფესელთა მიმართ, IV, 12.

ლით შეინანებენ და ეუბნებიან [პეტრეს და სხვა მოციქულებს]: „რაჲ-მე ვყოთ, კაცნო ძმანო?“-ო, იგი (პეტრე) ეტყვის მათ: „შეინანეთ და ნათელ-იღებ კაცად-კაცადმან თქუენმან სახელითა უფლისა იესო ქრისტესითა მისატევებელად ცოდვათა, და მიიღოთ ნიჭი სულისა წმიდისაჲ“[1]. და იმავე წიგნში ვკითხულობთ, სიმონ მოგვმა ვითარ ისურვა მიეცა მოციქულთათვის ფასი, რომ მიეღო მათგან ხელმწიფება, რათა მისი ხელთდასხმით მისცემოდათ სულიწმიდა. მას პეტრემ ჰრქვა: „ვეცხლი ეგე შენი შენთანავე იყავნ წარსაწყმედელად შენდა, რამეთუ ნიჭსა მას ღმრთისასა ჰგონებ ფასითა მოპოვნებად“[2]. იმავე წიგნის სხვა ადგილას, სადაც პეტრე ესაუბრება კორნელიოსს და მის თანა მყოფთა და ამცნებს და უქადაგებს ქრისტეს, საღვთო წერილში ნათქვამია: „და ვიდრე-იგი იტყოდა-ღა პეტრე სიტყუათა ამათ, მოვიდა სული წმიდაჲ და დაადგრა ყოველთა ზედა, რომელთა ესმოდა სიტყუაჲ იგი, და დაუკჳრდა წინა-დაცუეთილებისაგანთა მორწმუნეთა, რავდენნი-იგი შევიდეს პეტრეს თანა, რამეთუ წარმართთაცა ზედა ნიჭი იგი სულისა წმიდისაჲ მიფენილ არს, რამეთუ ესმოდა მათი, იტყოდეს რაჲ ენათა, და ადიდებდეს ღმერთსა“[3]. ამ თავისი საქმის აზრს, წინადაუცვეთელნი რომ მონათლა, ხოლო, სანამ ნათელ-იღებდნენ, (თითქოს ეს საკითხი მით გამარტივებულიყოს) სულიწმიდა გადმოვიდა მაოზედ, — ამის შემდეგ პეტრე განუმარტავს იერუსალიმში მყოფ ძმებს და, მოისმენენ რა შეშფოთებულნი და შეძრულნი, მერმე ეტყვის: „და ვითარცა ვიწყე მე სიტყუად, მოვიდა სული წმიდაჲ მათ ზედა, ვითარცა-იგი ჩუენ ზედა პირველად. და მოგეჴსენა მე სიტყუაჲ უფლისაჲ, რომელ თქუა, ვითარმედ: იოანე ნათელ-სცემდა წყლითა, ხოლო თქუენ ნათელ-იღოთ სულითა წმიდითა. აწ უკუეთუ სწორი ნიჭი მისცა მათ ღმერთმან, ვითარცა ჩუენ, რომელთა-ესე გურწმენა უფალი იესო ქრისტე, მე რაჲ ძალმედვა ყენებად ღმრთისა?“[4] და მრავალი არს საღვთო წერილის

1. საქმე, II. 37-38.
2. იქვე, VIII, 20.
3. საქმე, X, 44-46.
4. იქვე, XI, 15-17.

სხვა მოწმობანიც, რომ ღმერთის ნიჭი არის სულიწმიდა, რამდენადაც მიეცემა, ვისაც მით (სულიწმიდით) უყვარს ღმერთი. მაგრამ ყველაფერი ძალიან შორიდან მოკრიბეთ და რაღა იკმარებდა მათთვის, ვისთვისაც საკმარისი არ არის, რაც ვთქვით. ის უნდა გვესწავლებინა, რომ. რამდენადაც ღმერთის ნიჭად, როგორც უკვე ხედავენ, ითქმის სულიწმიდა, ყოველთვის, როცა არ უნდა ესმოდეთ „სულიწმიდის ნიჭი", ისეთივე გვარი ცნან შესიტყვებისა, როგორიც ითქმის ხორცის სხეულის განმარტებაში; სახელდობრ, როგორც ხორცის სხეული სხვა არა არის რა, თუ არა ხორცი, ასევე ნიჭი სულისა სხვა არაფერია, თუ არა სულიწმიდა. მაშასადამე, ღმერთის ნიჭი იმდენად არის, რამდენადაც მიეცემა, ვისაც მიეცემა. ხოლო თავისთავად ღმერთი არს, არავისაც რომ არ მიეცემოდეს, რადგან ღმერთი იყო მამისა და ძის თანა-მარადიული, სანამ თითოეულს მიეცემოდა. არცა რადგან ერთნი მისცემენ, სხვა კი მიეცემა, ამის გამო მასზე კნინია: მიეცემა ისე, როგორც ღმერთის ნიჭი, რათა თვით თავი მისცეს, ვითარცა ღმერთმან. შეუძლებელია ითქვას, რომ არ არსებობს თავისი თავის ყუდნება და ხელმწიფება, რაზედაც ნათქვამია: „სულსა ვიდრეცა უნებენ, ქრინ"[1]. და მოციქულთან არის, რაც ზემოთ უკვე მოვიგონე: „ხოლო ამას ყოველსა შეეწევის ერთი და იგივე სული, განუყოფს თჳთოეულად კაცად-კაცადსა, ვითარცა ჰნებავს"[2]. არა არს იქ დამორჩილება მიცემულისა და მიმცემელთა, არამედ ერთსულ და ერთზრახვაობა მიცემულისა და მიმცემელთა. ამის გამო თუ ღაღადებს საღვთო წერილი: „ღმერთი სიყუარული არს", ღმერთისგან მყოფი და ჩვენში იმის მოქმედი, რომ ღმერთში ჩვენ დაგვარჩინოს და იგი — ჩვენში, და ეს იქიდან ვცანით, რომ სულითგან თვისით მოგვცა ჩვენ, — თავად სული მისი არს ღმერთი სიყვარული. შემდეგ, თუ ღვთის მადლთა შორის არა არს უფროისი სიყვარულისა და არა არს უფროისი ნიჭი ღმერთისა, ვიდრეღა სულიწმიდა, რა არს უფრორე ურთიერთსადაგი, ვიდრე ის, რომ თავად იყოს სიყვარული, რომელიც ღმერთისმიერად და ღმერთად ითქმის? ხოლო თუ

1. იოანე, III, 8.

2 1 კორინთელთა მიმართ, XII, 11.

სიყვარულიც, რომლითაც მამას უყვარს ძე და ძეს უყვარს მამა, გამოუთქმელად ორთავ ზიარობას აჩვენებს, რაღაა იმაზე უფრო შესაშვებელი, რომ თავად საკუთრივ ითქმოდეს სიყვარულად, რომელი სულიწმიდა არს ორთავ ზიარი? ეს ხომ უფრო მრთელად გვეწამება, ვიდრე გვეგონება, რომ სამებასა შინა არა მხოლოდ სულიწმიდა არს სიყვარული, არამედ — რასაც საკუთრად სიყვარულს ვუსადაგებდით, და ზემოთქმულსაც ამაოდ არ ჩაუვლია, რომ ცალკე არ ითქმის სამებასა შინა ანუ სული, ანუ წმიდა. და რადგან მამაც არს სული და ძეც არს სული, და მამაც არს წმიდა და ძეც არს წმიდა (ეს არ არის საეჭველი ღვთის კრძალულებისთვის), მაინც ამაოდ არ ითქმის კერძოდ თავად სული წმიდად; რადგან ორთავ ზიარია, იწოდება კერძოდ ორთავ ზიარად. და თუ ეს აგრე არ არის, თუ სამებასა შინა მხოლოდ სულიწმიდა არს სიყვარული, ძეც არა მხოლოდ მამის, არამედ სულიწმიდის ძედაც იპოვება. ასე მირიადს ადგილას იკითხება და ითქმის მხოლოდშობილი ძე ღვთისა და მამისა და ისიც ჭეშმარიტი არს, რასაც იტყვის მოციქული მამა ღმერთის შესახებ: „რომელმან მიჴსნნა ჩუენ ჴელმწიფებისა მისგან ბნელისა და მიმცვალნა ჩუენ სასუფეველსა ძისა მისისა საყუარელისასა"[1], და [აქ] არ უთქვამს: ძისა მისისა, — რაც ფრიად ჭეშმარიტი იქნებოდა, რომ ეთქვა, როგორც ხშირად უთქვამს ფრიად ჭეშმარიტად, არამედ თქვა: „ძისა მისისა საყუარელისასა"[2]. მაშასადამე, ძე სულიწმიდისაცა არს, თუ არა არს სამებასა შინა სხვა რამ — სიყვარული ღმერთისა, თუ არა სულიწმიდა. თუ ეს ყოვლად უაზრობაა, ისღა დაგვრჩენია, ვაღიაროთ, რომ იქ არა მხოლოდ სულიწმიდა უნდა იყოს სიყვარული, მაგრამ იმ მიზეზებისა გამო, რომელთაც საკმაოდ მოეფინათ ნათელი, კერძოდ ასე იწოდება. ხოლო თქმა „ძისა სიყუარულისა მისისა" სხვას არას გვაფიქრებინებს, თუ არა ამას: „ძისა მისისა საყუარელისასა"[3], ანუ, ბოლოს, ამას: ძისა არსებისა (της ουσιας) მისისასა. სიყვარული

1. კოლასელთა მიმართ, 1, 13.
2. „του Υιου της αγαπης αυτου".
3. როგორც სწერია კიდევაც კოლასელთა მიმართ ეპისტოლის ძველ ქართულ თარგმანში.

მაბისა. მის გამოუთქმელად მარტივ ბუნებაში არსებული, სხვა არაფერია, თუ არა მისი ბუნება და არსება, როგორც უკვე ბევრჯერ ვთქვით და ხშირად გამეორებაც მოსარიდებლად არ მიგვაჩნია. ამ საფუძველზე „ძეᲂ მისი საყუარელი" სხვა არავინ არს, თუ არა მისი არსებითგან შობილი.

გრიგოლ პალამასი

გრიგოლ პალამასი (1296-1359 წწ.) ისიხაზმის მთავარი წარმომადგენელი გახლავთ ბიზანტიაში. სახელწოდება ისიხაზმი მომდინარეობს ბერძნული ησυχια-დან, რაც ნიშნავს „დუმილს", „მყუდროებას". ეს იყო ეგვიპტისა და სინას მთის ასკეტთა შორის IV-VII საუკუნეებში გავრცელებული მისტიკური მოძღვრება. გულისხმობდა დუმილითა და განმარტოებით, საგანგებო ასკეტური წესებითა და ლოცვებით სულიერი მეტამორფოზის — „განახლების" — მიღწევას, „ღვთაებრივი ნათელის" ხილვას. XVI ს. ბიზანტიაში, განსაკუთრებით ათონის მთის მონაზონთა შორის, ისიხაზმი ჩამოყალიბდა როგორც მისტიკური რელიგიურ-ფილოსოფიური მიმდინარეობა, რომელიც მკვეთრად დაუპირისპირდა ბიზანტიური ფილოსოფიის რაციონალურ ხაზს. გრიგოლ პალამასი თავის ჰომილიებსა და ტრაქტატებში ეკამათებოდა თეოლოგიური რაციონალიზმის წარმომადგენლებს. ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ ბლახერნის საეკლესიო კრებაზე (1351 წ.) პალამიზმი აღიარეს ოფიციალურ მართლმადიდებლურ მოძღვრებად. პალამასის შემოქმედებაში განსაკუთრებით გამოკვეთილმა ღვთაებრივი სინათლის იდეამ გარკვეული ასახვა პოვა ბიზანტიურ და რუსულ (თეოფანე ბერძენი, ანდრია რუბლიოვი) სახვით ხელოვნებაში.

გრიგოლ პალამასმა დიდი ამაგი დასდო „მარხვანს".

34-ე პომილია

უფლისა და ღმრთისა და მაცხოვარისა ჩვენის იესო ქრისტეს წმინდა ფერისცვალებაზედ. აქ ნაჩვენებია, რომ ფერისცვალების ნათელი შეუქმნელია.

ვუგალობთ და განცვიფრებულვართ კვალად მჩხრეკალნი ღმრთის დიადის-მოქმედებისა (ყველა ხილული ქმნილების შექმნას ვგულისხმობ). ამ სიდიადეს უგალობენ და ჰკვირობენ გამომეძიებელნი ბრძენიცა ელინთანი; ხოლო ჩვენ ამას ვიქმთ შემოქმედის დიდებისათვის, ისინი კი — შემოქმედის დიდების წინააღმდეგ, ვინათგან უბადრუკად ჰმსახურებდნენ ქმნილებას შემოქმედისას.

წინასწარმეტყველთა და მოციქულთა და მამათა ხმები ჩვენთვის ნათელია, ოღონდ სარგებელად ჩვენდა, რომელნი ვწვდებით, და საგალობელად სულისა წმიდისა, რომელიც მეტყველებს წინასწარმეტყველთა და მოციქულთა და მამათა პირით. ხმათა ამათ განმარტებას შეუდგენ ბოროტი წვალების აწინდელი მოთავენიც, მაგრამ მათთვის მინდობილთა საზიანოდ და რწმენის ჭეშმარიტების უარსაყოფად, რამეთუ სულისა წმიდისა ხმას სულისავე წმიდისა წინააღმდეგ მიჰმართავენ. ღმერთშემოსილნი მამანი ჩვენნი მოძღვრებას მაღალს სახარების წყალობისა და მადლის შესახებ მოხუცის ყურსა და გონებასაც უფარდებენ და დაწვრილებით განმარტავენ თავიანთი პირით, ისე რომ ჩვენთვის, არა-სრულქმნილთათვის, შესაფარდებლადაც იღვწიან. ვითარცა მეჯაჯურნი დედანი სიყვარულით უწვრილებენ შვილთა შედარებით მაგარს ჭამადს, რათა ადვილად დაღეჭონ და კეთილად შეირგონ, დიაღ, ხორციელ დედათა პირში სოველდება და რბილდება ჭამადი შვილთა, ასევე ღმერთშემოსილთა მამათა გულში საფიქრალი სარგო საზრდელად ექმნებათ მსმენელთა და სარწმუნოებით მინდობილთა სულებს; ხოლო უკეთურთა და ბოროტად მადიდებელთა პირნი მომაკვდინებელი გესლით ივსებიან, რომელი შეერევა სიტყვათა ცხორებისათა და სიტყვანიცა ესე მომაკვდინებელ ექმნებიან ურცხვინოებით მსმენელთა. ასე რომ ვერიდოთ მათ, რომელნი არა შეიწყნარებენ მამეულ განმარტებებს, არამედ თავით თვისით ცდილობენ, საწინააღმდეგოდ შეატრიალონ მათი ნათქვამი; რომელნი თავს ისე აჩვენებენ, თითქოს ასოებით აღნიშნულ ბგერებზედ ზრუნავენ, წმინდა აზრს კი უგულებელყოფენ. ვერიდოთ უფრორე, ვიდრე ვინმე გველს მოერიდება; ვინათგან გველი სხეულს ჰკბენს და მალედ მოაკვდინებს, უკვდავ სულს კი ვერ გაეკარება; ხოლო რომელნი ჩაასობენ კბილებს იმ სულს, მას ღმრთისგან განაშორებენ, რაიცა არს უკვდავისა სულისა სიკვდილი საუკუნო. ყოვლითა ღონითა ვერიდოთ მსგავსთა მათთა და მივივლტოდეთ მათკენ, რომელნი მოკრძალებით ღვთისმოსავობის და ცხოვნების გზად წარგვმართავენ, ვითარცა მამათაგან გარდამოცემულის, მამეულ ადათთა ერთგულების გზად.

აწ ესე შესავალი წავუმძღვარე თქვენი სიყვარულით სათქმელს, რამეთუ დღეს ვდღესასწაულობთ ქრისტეს წმიდა ფერისცვალებას მთაზედ; ჩემი სიტყვა ეხება მის ნათელს, რომელზედაც დიდი პაექრობა აქვთ გამართული მბრძოლთა ნათლისათა. მაშასადამე, ცოტა შორიდან მოგვაქვს დღეს წასაკითხი სიტყვები სახარებისა — საიდუმლოს (მისტერიის) განსამარტებლად ჭეშმარიტების მიმზიდველობის ძალით: „და შემდგომად ექუსისა დღისა წარიყვანნა იესო პეტრე და იაკობ და იოანე, ძმაჲ მისი, და აღიყვანნა იგინი მთასა მაღალსა თჳსაგან. და იცვალა მათ წინაშე სხუად ფერად, და განბრწყინდა პირი მისი, ვითარცა მზე"[1]. სახარების ამ ადგილის გათვალისწინება აუცილებელია, უპირველესად, იმის გასარკვევად, თუ რომელი დღის შემდეგ ითვლის მოციქული ქრისტესი და მახარებელი მათე ექვს დღეს, რომელთა გასვლის შემდეგ დგება უფლის ფერისცვალების დღე. მაშ, რომელი დღის შემდეგ გადის ექვსი დღე? ეს ის დღეა, როდესაც უფალმა ასწავლა თავის მოწაფეებს და უთხრა: „რამეთუ მოსლვად არს ძე კაცისაჲ დიდებითა მამისა თჳსისაჲთა" და დასძინა: „რამეთუ არიან ვინმე აქა მდგომარეთაგანნი, რომელთა არა იხილონ გემოჲ სიკუდილისაჲ, ვიდრემდე იხილონ ძე კაცისაჲ, მომავალი სუფევითა თჳსითა"[2]. მამის დიდებას და თავის სუფევას უხმობს ნათელს საკუთარი ფერისცვალებისას.

ესე ლუკა მახარებელმანცა გვიჩვენა და უფრო ნათლად წარმოგვიდგინა: „და იყო შემდგომად სიტყუათა მათ ვითარ რვა ოდენ დღე, და წარიყვანნა იესო პეტრე და იაკობ და იოანე და აღვიდა მთასა ლოცვად. და იყო ლოცვასა მას მისსა ხილვაჲ პირისა მისისაჲ სხუა და სამოსელი მისი სპეტაკ და ელვარე"[3]. მაგრამ როგორ ეთანხმება ერთმანეთს, ერთი მხრივ, აშკარად რვა დღე დაპირებასა და აცხადებას შორის, მეორე მხრივ, ექვსი დღის შუალედი; ისმინეთ და ცანით. რვანი იყვნენ მთაზედ და ექვსნი

1. მათე, 17, 1-2.
2. მათე, 16, 27.
3. ლუკა, 9, 28-29.

ჩანდნენ. სამნი ესენი: პეტრე და იაკობ და იოანე, რომელნი იესოსთან ერთად აღვიდნენ; იქ ნახეს მის თანავე მყოფნი და მოუბარნი მოსე და ელია; ასე რომ ექვსნი იყვნენ. მაგრამ უფლისა თანა სრულიად უხილავად იყო მამა და იყო სული წმიდა; ერთი — საკუთარის ხმით მოწამე, რომ ესე საყვარელი ძე არს მისი, მეორე — ღრუბლით ნათლიერით თანა-მნათობი, რომელი აჩვენებდა ძის თანმიბუნებებას თვის თანა და მამისა თანა და ერთ-მყოფობას ნათლისას; ამათი სიმდიდრე თანმიბუნებება არს და მბრწყინვალების ერთებრიობა. მაშასადამე, რვანი არიან ექვსნი. არავითარ წინააღმდეგობას არ შეიცავს ექვსის მიმართება რვასთან; ასე რომ არც მახარებელთა სიტყვები გახლავთ შეუთავსებელი, არამედ თითქოს ორთავ მოეცეთ ჩვენთვის სახე რამ იმ სიტყვებით, რომლებიც მოეკრიბათ მთაზედ საიდუმლოდ და თან ცხადად მომხდარისათვის. ნეტარ დიდ მწიგნობარს ვისმე განერჩია ღვთაებრივთა მქადაგებელთა ესრეთ ერთურთს შესიტყვება, რომ რვა დღე თქვა ლუკამ, არა საწინააღმდეგოდ მისა, რომელმან თქვა, ექვსი დღის შემდეგო, არამედ — რათა შემოესაზღვრა ის დღეც, როდესაც სიტყვანი იგი თქმულ იყვნენ, და ის დღეც, როდესაც უფალმან ფერი იცვალა. ამის შესაცნობადვე გვეტყვის მათე, რომელნი გონებიერად და ფრთხილად ვეძიებთ; იგი μετα წინდებულს იხმარს, „შემდგომის" აღმნიშვნელს, ხოლო ლუკა სიტყვას საგნიდან ახსნის; ვინათგან, არა რვა დღის შემდეგო, იტყვის, ვითარცა მათე, — ექვსი დღის შემდეგო, არამედ იქმნენო, ვითარცა რვა დღე. ესრეთ არცარა აღრეულ არს მახარებელთა ნააზრევის დაჰამბვებაში.

მაგრამ ერთურთს შესიტყვებულნი სხვასაც რასმე დიდსა და საიდუმლოს გვიცხადებენ უთანხმოების მოჩვენებით. ჭეშმარიტად, განსაჯეთ სათქმელი, რომელნი გონებით წიაღმავალნი და მიმხვედრნი ხართ უფროისად. რა მიზეზით თქვა ერთმა, ექვსი დღის შემდეგო, ხოლო მეორე გარდახდა მეშვიდეს და მერვე ახსენა? იმ მიზეზით, რომ დიდი სასწაული უფლის ფერისცვალების ნათლისა არს მერვის, ანუ მომავალის საუკუნის საიდუმლო და ნათელ-იქმნება იგი შემდგომად სუფევისა, რომელი მოსდევს ექვსთა დღეთა შინა სამყაროს შექმნას, ნათელ-იქმნება შემდგომად ჩვენთა

შეგრძნებათა ზღვარს გარდასლვისა ექვსეულად, ვინათგან ხუთი შეგრძნება გვაქვს, ხოლო მათ ემატება შეგრძნება სიტყვისა და იქმნება ექვსეული (ჰექსადა). არა მხოლოდ ზესთა შეგრძნებისა, არამედ ზესთა სიტყვისაცა არს სუფევა ღმრთისა, მონათხრობი ღირსთათვის: სრულიქმნებიან რა ესენი ექვსობით, შემდგომად მშვენიერის უქმობისა, რომლის პატივი განამდიდრებს შვიდეულს, მეტის მოქმედების და ძრაობის მერვისა ძალისაებრ გამობრწყინდება ღმრთისა სუფევა. ღმრთეებრი სულის ძალითა მით, რომლითაც იხილვება ღირსთათვის სუფევა ღმრთისა, ღმრთეებრი ლუკას თანახმად, უფალი ეჩვენება მოწაფეთა თვისთა და ეტყვის წინასწარ: „არიან ვინმე აქა მდგომარეთაგანნი, რომელთა არა იხილონ გემოჲ სიკუდილისაჲ, ვიდრემდე იხილონ ძე კაცისაჲ, მომავალი სუფევითა თჳსითა". ესე იგი, უხილავთა ხილვის ძალს რომ ანიჭებს, წინასწარ წმიდა-ჰყოფს მხილველთა მომაკვდინებელის და სულის მომსპოლველის ხრწნილებისაგან, რომელი არს ცოდვა; მისი გემოჲსხილვა არს ბოროტების ზრახვის სათავე, რომლისგან წინასწარვე განწმედილნი არღა იგემებენ სულიერ სიკვდილს და მოსალოდებელის საჩინოების ძალით, მე ვფიქრობ, უმწიკვლოდ გონება-შენახულნივე რჩებიან.

„არიან ვინმე აქა მდგომარეთაგანნი, რომელთა არა იხილონ გემოჲ სიკუდილისაჲ, ვიდრემდე იხილონ ძე კაცისაჲ, მომავალი სუფევითა თჳსითა". ყოველთა ადგილთა არს მეუფე ყოველთა, და ყოველთა ადგილთა არს მისი სუფევა, ასე რომ მოსლვა მისი სუფევისა გულისსმობს და ნათელჰყოფს არა სხვაგნით სხვად ადგილსა მოსლვას, არამედ გამოცხადებას მისას ღმრთეებრივი სულის ძალით, რისთვისაც იტყოდა, მოსრული ძალითაო („მომავალი სუფევითა თჳსითა")[1]. ძალი ესე არა, მარტივად, შემთხვეულთა ეკუთვნის, არამედ მდგომარეთა უფლისა თანა, ესე იგი მისი რწმენით განძლიერებულთა, პეტრეს, იაკობის და იოანეს თანამოაზრეთა, რომელნი ლოგოსმა პირველ აღიყვანა მაღალს მთაზედ, რათა ჩვენი ბუნებითი სისაწყლე გადაგველახა; რადგან,

1. დედანში არის: „ἐληλυθυῖαν ἐν δυνάμει"

თანახმად მსიტყველისა, მისთვის გამოჩნდა ღმერთი მთაზედ, რომ საკუთარის სიმაღლითგან შთამოსულიყო, ხოლო ჩვენ, რომელნი ზომიერად დავაგდებდით ჩვენს ბუნებითს სიგლახაკეს, უნდოდა ავეშაღლებინეთ, რაზომცა შეურყეველად ჰგიეს დაუტევნელი. ჩვენება ესრეთი არა გონებითი მისაწვდომობის უნაკლულეს არს, არამედ ბევრად უძლიერეს და უმაღლეს, რამეთუ ღმრთეებრი სულის ძალსა შინა არს. არცა იქმნება, არცა განქარდება, არცა აღიწერება, არცა შეგრძნების ძალს ქვეშეუვრდება ნათელი უფლის ფერისცვალებისა და, თუ ხორციელი სახედველით იხილვება, ისიც მცირედ ხანიერად და მთის ნაკლებად მაღალს მწვერვალზედ, ხოლო, თანახმად მსიტყველისა, მაშინ ხორცითგან სულისკენ გარდავლენან უფლის მესაიდუმლენი შეგრძნებათა გადანაცვლებით, რომელს მათთვის სული იქმს. და ესრეთ იხილეს, იმ გამოუთქმელის ნათლისაგან რაზომცა აამებდა მათ ღმრთეებრი სულის ძალი.

რაიც ვერ საცნაურ-ჰყვეს მკრეხელთა, იგი — უფლის ფერისცვალების ნათელი — იგულვება მოციქულთაგან ხილულად შეგრძნებითი და შემოქმედებითი ძალით. ამის გამო, ვითარცა დაბადებულს ანუ აგებულს, დაამდაბლებენ არა მხოლოდ იმ ნათელს, რომელი არს პატივი და სუფევა ღმრთისა, არამედ დაამდაბლებენ ღმრთეებრი სულის ძალსაც, რომლის მეოხებით საღმრთონი საქმენი ღირსთათვის გამოცხადდებიან. არა შეისმინეს, ანუ არა იწამეს პავლესი, რომელ იტყოდა: რაიც თვალმან ვერ იხილა და ყურს არ ესმა და ადამიანის გულს არ მოუხდა, ესე განუმზადა ღმერთმან მათ, რომელთა იგი უყვარსთ, და ჩვენ გამოგვიცხადა სულებითა თვისითა, ვინათგან სული ღმრთის სიღრმეთაცა ეძიებს. ხოლო დადგა რა მერვე დღე, ვითარცა ითქვა, წარიყვანა უფალმან პეტრე და იაკობ და იოანე და აღვიდა მთაზედ ლოცვად; მარადღე განეშორებოდა ყოველს, თავად მოციქულებსაც, და ლოცვად იდგა მხოლოი, ვითარცა მას ჟამსა, ოდეს ხუთ-ათასნი დედაკაცთა და ყმაწვილთა თანა ხუთი ხვეზა პურით და ორი თევზით განაძღო. უმალვე ყოველნი განიშორა, მოწაფენი აიძულა აღსრულიყვნენ ნავზედ და თავად მთას აღხდა სალოცავად; ხანაც წარიყვანდა რიცხვით მცირეთა, ყოველთაგან რჩეულთ. სამაცხოვარო ვნების

ჟამი რა მოახლოვდა, სხვა მოწაფეებს იქ დარჩენა უბრძანა, სანამ ილოცებდა, იახლა პეტრე და იაკობ და იოანე; ასე რომ მხოლოდ ესენი გამოარჩია, აღიყვანა მაღალს მთაზედ და ფერი იცვალა წინაშე მათსა, ანუ წინაშე მათ მხილვარეთა. რას ნიშნავსო „ფერი იცვალა", — იკითხავს ღმრთისმეტყველი ოქროპირი. ვითარცა კეთილად უწნდა, განუხსნა დამოწაფებულ მესაიდუმლოეთა სულ მცირე წილი ღმრთეებისა და აჩვენა შინა დადგრომილი ღმერთი; რამეთუ ლოცვასა შინა იქმნა, ლუკა რომ იტყვის, პირი მისი სხვა; მათე წერს, განბრწყინდაო ვითარცა მზე. მაგრამ ვითარცა მზეო, იმისთვის კი არ ამბობს, რომ ვიეთთამე ნათელი ესე იგულისხმონ ვით შეგრძნებადი; გადაიგდე გონების სიბრმავე ხილვად არა შეგრძნებადთა, არამედ უფრო მაღლად საცნაურთა და საგონებელთა, რათა ვცნათ, რომ, რაიც ცოცხალთათვის შეგრძნებით მისაწვდომი და შეგრძნებით სახილველი მზე არს, ესე სულით ცოცხალთათვის და სულით მხილვარეთათვის არს ქრისტე ღმერთი და არცა ნაკლულობენ ღმრთივ შვენიერნი სხვა ნათელს ღმრთის მხილვარებას შინა; მარადიულთათვის თავად არს ნათელი, არა სხვა. რად უნდათ სხვა ნათელი მათ, რომელთაც ჰყავთ უდიადესი? ლოცვისას ესრეთ განბრწყინდა და გამოეცხადა გამოუთქმელად მოწაფეთა გამორჩეულთა გამოუთქმელი იგი ნათელი და მათთანავე იყვნენ თავნი წინასწარმეტყველთანი, რათა ეჩვენებინა, რომ შესაძინელ არს ლოცვა ნეტარისა მის ხილვისა, და შეესწავლებინა ჩვენთვის, რომ ღმერთთან სათნოებისმიერი მიახლებით და გონებითი შეერთებით შინა დაადგრება მბრწყინვალება და გამოჩნდება იგი ყოველთათვის ბოძებულთა და ხილულთა, მათთვის, რომელნი გულმოდგინედ მაკეთილებელობით და წმინდა და წრფელი ლოცვით განპყრობილ და გაწვდილ არიან ღმრთისადმი სამარადისოდ. ჭეშმარიტსა და ფრიად საწადელ მშვენიერებას, მხოლოდ გონებაგადაწმედილთათვის სახილველს, იტყვის ღმრთეებრივისა და ნეტარი ბუნების თანამდევად. ვინ დაძაბვით უმზერს მის მადლსა და ელვარებას, ინაწილებს კიდეეაც მისგან რასმე, თითქოს ახალ ბრწყინვალებას იფენდეს პირზედ. ამიტომ განუბრწყინდა პირი მოსესაც, ღმერთთან მოუბარს. ეჰა, ჰხედავთ-ა, რომ მოსემაც ფერი

იცვალა მთაზედ და ესრეთ იხილა დიდება უფლისა? მაგრამ არა იმოქმედა, არამედ შეემთხვია ფერისცვალება; თანახმად მოუბარისა: „ამად მოვყავარ ჭეშმარიტების ზომიერ ნათელს, რათა ღმრთის მბრწყინვალება ვიხილო და ვიქეთილვნებო". ხოლო უფალს ჩვენსას იესო ქრისტეს თავით თვისით ჰქონდა ის მბრწყინვალება; ამიტომ თავად კი არ სჭირდებოდა ლოცვა, განმაბრწყინებელი სხეულისა ღმრთეებრი ნათლით, არამედ იმა ლოცვით წმიდათა თანა დაადგრებოდა ღმრთის მბრწყინვალება და მათ მოეხილვებოდა; რამეთუ „მართალნი გამობრწყინდენ, ვითარცა მზე, სასუფეველსა მამისა მათისასა"[1]. და ესრეთ მრთელად შეუერთდნენ ღმრთეებრივ ნათელს, ვითარცა ღმრთეებრივი ნათლის მოდგმისანი, და ღმრთეებრივად გამოუთქმელად იხილავენ ზესთა-მნათობს ქრისტეს, რომლის ღმრთეებისაგან დიდება ბუნებრივად მოვალს ვით საზოგადო და სხეულებრივად გამოჩნდება თაბორზედ ერთებისათვის გვამოვნებისა. მაშასადამე, ნათლისგან ამის განუბრწყინდება პირი, ვითარცა მზეს. რომელთაც ელინური სიტყვით და ამა სოფლის სიბრძნით ჩვენ წინაშე თავი მოაქვთ და სულის მოძღვრებაზედ დაყრდნობით სულიერთა მოღვაწეთა სრულიად არ ჰმორჩილებენ, არამედ წინააღმდეგობას რჩეობენ, — ესმით რა მთაზედ უფლის ფერისცვალების ნათელი, რომელი მოციქულთა თვალით იხილვება, მეყსეულად მიიქცევიან შეგრძნებადისა და შექმნილი ნათლისაკენ და ამდაბლებენ უნივთოსა და დაუსაღამოებელს და საუკუნო ნათელს, არა მხოლოდ ზესთა შეგრძნებისას, არამედ ამასთანავე ზესთა გონებისას; მიწაზედ არიან და, გარდა ქვეყნიურთა საქმეთა, არაფრის გაგონება არ ძალუძთ, თუმცა თავად ზეგარდმო ნათლით მანათებელმან პირველვე აღმოუჩინა შეუქმნელი ნათელი, რომელს ღმრთის სუფევა უწოდა, ვინათგან ღმრთის სუფევა — არა მხევალი და შექმნილი, არამედ მხოლოდ ყოვლგნით უმეფო და უძლეველ არს მრავალჟამიერ და საუკუნეთა მერმეცა. არა არს წესიო, იტყვის, საუკუნეთა ანუ ჟამთაგან იწყებოდეს ანუ ჟამთათვის მისაწვდომ

1. მათე, 13, 43.

და მისაწევნელ იქმნეს ღმრთის სუფევა. და ჩვენ გვრწამს, რომ ესე არს ცხოვნებულთა სამკვიდრებელი.

ვინათგან ფერნაცვალები უფალი განბრწყინდა და ღირსება და ნათელი იგი გამოაჩინა და კვალად მოვალს, ვითარ იხილვა მთაზედ მოწაფეთაგან, განაღა მიერთო და საუკუნოდ ექნება რამ ნათელი, რომელი უწინ არ ჰქონდა. შორს მკრეხელობა! რამეთუ ამის მთქმელი ქრისტეს სამ ბუნებას ვარაუდობს: ღმრთეებრივს, კაცებრივს და იმ ნათლისმიერს; მაშასადამე, არა სხვას, არამედ იმ ნათლისას, რომელიც ჰქონდა საიდუმლოდ და გამოაბრწყინა. ჰქონდა ხორცისგან დაფარული მბრწყინვალება ღმრთეებრი ბუნების, დიაღ, ღმრთეებისა არს ნათელი იგი და შეუქმნელი, რამეთუ ფერი იცვალა ქრისტემ, თანახმად ღმრთისმეტყველთა, მაგრამ არ მიჰმატებია ნათელი, რომელი არ ჰქონდა, არცა შეცვლილა იმად, რაიც არ იყო, არამედ ესრეთ დარჩა, ვითარ გამოუბრწყინდა საკუთართა მოწაფეთა, აუხილა მათ სახედველი და ბრმათა თვალისჩინი მოიმუშაკა. ხომ ჰხედავ, რომ იმა ნათლისა ხილვად ბრმანი არიან ბუნებითნი სახედველნი; დიაღ, არცა ნათელი იგი არს შეგრძნებადი, ვერცა ჰხედავენ მას მარტივად სხეულებრივი თვალით მხედველნი, არამედ ღმრთეებრივი სულის ძალით შეცვალებულნი იხილავენ. ასე რომ შეიცვალნენ და იხილეს ცვალება, დამეტებული არა სიახლით, არამედ პირველ-შეწყნარების ძალით, რითაც ღმრთივ მიღებული ცომი ჩვენი შეუერთდა სიტყვასა ღმრთისას და სიქალწულეს შინა მუცლად-მღებელმან და უცხოდ მშობელმან ცნა მისგან შობილი ხორციელი ღმერთი. სვიმეონ მოხუცებული მიეგება და, ვით ყრმა, ესე ხელთ აღიყვანა[1], რამეთუ, თითქოს გამჭვირვალე გარსითგან, გამოანათა საღმრთომან ძალმან განცისკრებულად მათთვის, რომელთ გადაეწმინდნენ თვალნი გულისანი.

სხვა რაღა დაიბრუნებს კორიფეებს? რა აღამაღლებს მათ თვითეულად? რისთვის მოეხილვათ დიდი და საიდუმლო ნათელი, ანუ დიდი და საიდუმლო როგორღა იქნება შეგრძნებადი ნათელის

---

1. v.l. სვიმეონმა, ვით ყრმა, ესე ხელთ აღიყვანა და მოხუცებული ანნა მიეგება.

ხილვა, უწინვე ნაქონები ამაღლებად რჩეულთა და მათ თანავე ქვერე შთენილთა? ან რად მოინაკლულეს სულისა ძალი და მით შესაძინელი ცვალება თვალთა (სხეულებრივ თვალთა გარდაცვლა გულის თვალებად) იმ ნათლის მხილვარებისთვის, თუკი იგი შეგრძნებადი და შექმნილია? როგორღა იქნება შეგრძნებადი ნათელი დიდება და სუფევა მამისა და სულისა? როგორღა მოვალს ქრისტე ესრეთ დიდებითა და სუფევითა მომავალს საუკუნეს შინა: მას ხომ არცა ჰაერი, არცა ნათელი, არცა ალაგი და არცა სხვა რამ მსგავსი არა სჭირდება, არამედ ყოვლის სანაცვლოდ, თანახმად მოციქულისა, „იყოს ღმერთი ყოვლად ყოველსა შინა"[1]. ყოვლის სანაცვლოდ რომ იყოს, ყოვლადვე ნათლის სანაცვლოდაც იქნებოდა, რომლისგანაც გვეცხადება კვალად ნათელი იგი ღმრთეებისა; რამეთუ მახარებელთაგან უღმრთისმეტყველესი იოვანე „გამოცხადებით" გვიჩვენებს, ვითარ ჰგიეს მომავალი და საყუდელი იგი ქალაქი: „და ქალაქსა მას არა უჴმს მზე, ანუ მთოვარე მნათობად, რამეთუ დიდებამან ღმრთისამან განანათლა იგი, და სანთელ მისა არს კრავი იგი"[2]. განა იქაც ცხადად არ გვიჩვენა აწ თაბორზედ საღმრთოდ ფერნაცვალები იესო, რომელს სანთლად აქვს სხეული, ხოლო სანაცვლოდ ნათლისა — მთაზედ მის თანა აღსრულთათვის გამოჩინებული დიდება ღმრთეებისა. მაგრამ ქალაქსა მას დაკარვებულთათვის თავად იტყვის, რომ არ დასჭირდებათო სანთლის ნათელი და მზის ნათელი, რამეთუ უფალი ღმერთი განანათლებსო მათ და აღარ დადგებაო ღამე. მაშ, რაღა არს ნათელი ესე, რომელს არცარა სცვლის, ანუ არ ადგება ცვალების სიჩრდილე? რაღა არს უცვალებელი და დაუსაღამოებელი ესე ნათელი? განა ღმრთეებას არ ეკუთვნის? ხოლო მოსეც და ელიაც (მეტადრე კი მაინც მოსე არს სული განუხორციელებელი) განა იხილვებოდნენ და იდიდებოდნენ შეგრძნებადი ნათლის მეშვეობით? ესენი ხომ გამოჩნდნენ დიდებით და თქვეს გამოსლვა, რომელს აღსრულება ელოდა იერუსალიმს. როგორ ცნეს კიდევაც მოციქულთა ისინი, რომელნი არ-

1. 1 კორინთელთა, 15, 28.
2. გამოცხადება, XXI, 23.

ოდეს ენახათ, თუ ცნობა ესე არ მომხდარა აპოკალიპსური ხილვის ძალით იმავ ნათლისა?

მაგრამ თქვენი გონება დიდად რომ არ დავძაბოთ, სხვა სიტყვებს სახარებითგან დრომდე დავიუნჯებთ ყოვლად მოსაკრძალებისა და საღმრთო საქმისათვის. გვრწამს მონასწავები ქრისტეს მიერ განათლებულთაგან, რამეთუ მათ მხოლოთა უწყიან ზედმიწევნით ყოველი. ხომ ამბობს ღმერთი წინასწარმეტყველის პირით, საიდუმლონი ჩემნი ჩემთვისვე და ჩემთათვისვეო. ჭეშმარიტად გვრწამს ნასწავები და გაგონილი საიდუმლოც უფლის ფერისცვალებისა და ნეტარ იმ ნათლის მბრწყინვალებისაკენ წარვემართებოდეთ; უკვალებელი დიდების შვენიერების სურვით და ტრფობით გონების თვალი გადავიწმინდოთ მიწიერი მწიკვლოანებისაგან, ყოველივე საამებელი და მომეტებულად ლამაზი მოვიძაგოთ, რაიც არა არს მყარი, რაიც საამოდ გვეჩვენოს იქნებ, მაგრამ საუკუნო ტკივილს მოგვგვრის, ან რაიც თითქოს ნანარს და ნატიფს შეიქმს სხეულს, მაგრამ სულს ცოდვის უსახურს ქიტონს ჰმოსავს და მით ადამიანს ხელფეხს უკრავს, ვინათგან სამოსელი ესე არა არს უხრწნელის შესახები და ცეცხლისა და ბნელისაკენ გარემოისა მიგვიძღვის. ნეტარ ავეხსნათ ყოველნი მის ნათებას და გავიგონოთ უფლის ფერისცვალების უნივთო და საუკუნო ნათელი სადიდებელად ქრისტესა და დაუსაბამოისა მამისა მისისა და ცხოველმყოფელისა სულისა, რომელთა ერთი აქვსთ მბრწყინვალება და ღმრთეება და დიდება და სუფევა და ძალი აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

37-ე ჰომილია

ყოვლად უმანკო დედისა უფლისა ჩვენის, ღმრთისმშობელის და მარად ქალწულის მარიამის ყოვლად მოსაკრძალებელ მიძინებაზედ

დღეს ჩემს ჰომილიას თქვენი სიყვარულის წილ ქმნის სურვიელი ლტოლვაც თქვენდამო და დაჭირვებაც არა მხოლოდ იმისა, რომ ღმრთის მნდომელ სასმენელთ თქვენთა ვაწვდიდე სიტყვას მაცხოვარებისას და მითვე საზრდელს ვაგემებდე თქვენს სულებს,

და ვიზრახავ და აღვირჩევ თქვენდამო სიყვარულით და მმართებს თანახმად წმიდათა და ნაკრძალ ადათთა; ისიც საცოდნელია, რომ, თუკი რამ მმართებს და თან მიყვარს, ეს ეკლესიის ქებათა და თქმა-კეთილობათაგან მარად ქალწულის და ღმრთისმშობელის სადიდებელთა დაჰამბვება და თხრობაა. სურვიელი ლტოლვა არა ერთკეცი, არამედ ორკეცია, აღმძრავს, მომიზიდავს და მომაქცევს. ხოლო დაჭირვება გარდუვალად მოითხოვს და სიტყვას არ ძალუძს მიუდგეს მას, რაც ზესთა სიტყვისა დაეფუძნა, ვით თვალი მზეს ვერ მიაჩერდება. და როდესაც დაჰამბვება უძლურია გადმოსცეს იგი, რაიც არს ზესთა სიტყვისა, გალობა მაინც ჰგიეს, ვინათგან კაცთა ნათესავნი უყვარან უფალს, და, თუ მგალობელნი ხელუხლებელთა და კრძალულ ჰამბავთა მიახლებას ვერ ჰკადრებენ და სიტყვათა-მიერი განხსნის ვალი მოსახდელია, ეგების საგალობელთა ძალით წმინდად გადმოიცეს ღმრთისმშობელისადმი სურვიელი ლტოლვა. და თუ პატივით შემოსილია სიკვდილი წმიდათა და ღირსთა და ხსენება მართლისა დამშვენებულია ენკომიებით და ხოტბათა შესხმით, რაოდენ უფრო შეგვფერის წმიდათა წმიდის, რომლისგანაც ყოვლად კურთხეულ იქმნენ წმიდანი, მარად ქალწულის და ღმრთისა დედის ხსენება უაღრესი თქმულ-შვენიერებით გადავიხადოთ; რასაც ვიქმთ დღეს მოდღესასწაულენი წმიდა მიძინებისა, ანუ გარდაცვალების, რომლითაც რაოდენადმე ანგელოზთა მოაკლდა და ანგელოზნი და მთავარანგელოზნი და ზესთა ამათსა ზესთა-სოფლიონი ძალნი ყოველნი ამაღლდნენ თითოეულად სიახლოვით ყოველთა ღმრთისა, — მით, რაიც საუკუნითგან წერილ არს და რომელსა შინა გასრულებულ არიან სასწაულნი. ამისთვის იქმნენ საღმრთონი წინასწართქმანი ღმრთივ ჩაგონებულთა წინასწარმეტყველთანი; სასწაულთმოქმედებათა წინასწარ აჩვენეს მომავალი დიდი სასწაული სამყაროსი — მარად ქალწული ესე დედა ღმრთისა; მასში დამარხული ახალი საიდუმლოს აღსრულებას მოქცევანი ერთა და საქმეთა გარდაქმნანი გზად ექმნენ; სულის წმიდისა სჯულიერთა ადათთა წინათვე ნაირნაირად გამოსახეს სამომავლო ჭეშმარიტება; და ბოლოს, უმთავრესი საწყისი და ძირი შემდგომთა სასწაულთა, საქმეთაგანი ღმრთისა არს აღ-

სრულებული დაპირება იოაკიმის და ანასთვის უმაღლესი სიკეთისა, რომ სიყმაწვილითგან ბერწნი და უსთვლონი ღრმა სიბერეში შობდნენ მას, რომელიც შობდა უთესლოდ ღმრთისა მამისგან უწინარეს საუკუნეთა შობილს უჟამოდ. კვალად მათი ლოცვა, რომელთა ესრეთ საკვირველად შვეს უფრო საკვირველად მეშვე მისაგებელად მიმგებელისათვის მიგებულისა, — აღივლინა ყოვლად ღირსი და საფერი ლოცვა და იქმნა ღმრთისა დედის გაუგონარი გარდასახლება მანამდე, ყრმობისას, სამყოფელი მამეული სახლითგან ღმრთის სახლსა შინა და საკვირველი ყოფნა მყოვარჟამეული არა-მცირეთა წელიწადთა განმავლობაში წმიდათა შორის წმიდათა, სადაც ანგელოზებს ებარათ გამოუთქმელი საზრდელის საფასე და სახსარი, — საზრდელისა, რომელს პირველი ვერ მისწვდა ადამი გემოს-ხილვად, თუმცაღა არა მოაკლდებოდა ცხოვრებას, ვითარცა არა მოაკლდა ყოვლად წმინდა, — თუკი ასულად მისად გამოჩნდებოდა ესე, რომელმან მცირედ დაუთმო ბუნებას, ვითარცა ძემან მისმან, და აწ მიწითგან ცად აღვიდა.

ხოლო იმ გამოუთქმელ საზრდელს მოჰყვა სასძლოდ მოგებისათვის უსაიდუმლოესი განწყობა ქალწულისა და უცხოდ და ზესთა სიტყვისა ხარება მთავარანგელოზისაგან, გარდამოსულისა ზეგარდამო, და ღმრთის ჩვენებანი და სიტყვის-მიგებანი ევას და ადამის გმობისა და განკიცხვისანი და მათი წყევისაგან კურნებისანი და კურთხევადმდე ამად მოყვანებისანი. ვინათგან ისანატრელა მარად ქალწულის საიდუმლო შვენიერება ყოველთა მეუფემან, ვითარ წინასწარ იტყოდა დავით, და გარდამოვიდა, რომელმან მოდრიკა ცანი, და ქალწული მოჩრდილვით დაიფარა და დაადგრებოდა მაგვამოვნებელი[1] ძალი ზენაარისა. არა ნისლის არმურითა და ცეცხლით, ვითარცა ღმრთის-მხილვარ მოსეს ეჩვენა, არცა ვით წინასწარმეტყველს ელიას ჭექითა და ღრუბლით აჩვენებდა მის თანა ყოფნას, არამედ უსაშუალოდ, გარეშე კრეტსაბმელისა ფარდისა რისამე ძალი ზენაარისა უჩრდილებს ყოვლად უმანკო ქალწულის წიაღს და არცარა არს შორის მათსა, არცა ჰაერი, არცა აითერი,

1. იპოსტასად სამგვამოვანისა მქმნელი.

და ვიზრახავ და აღვირჩევ თქვენდამო სიყვარულით და მმართებს თანახმად წმიდათა და ნაკრძალ ადათთა; ისიც საცოდნელია, რომ, თუკი რამ მმართებს და თან მიყვარს, ეს ეკლესიის ქებათა და თქმა-კეთილობათაგან მარად ქალწულის და ღმრთისმშობელის სადიდებელთა დაჰამბვება და თხრობაა. სურვიელი ლტოლვა არა ერთკეცი, არამედ ორკეცია, აღმძრავს, მომიზიდავს და მომაქცევს. ხოლო დაჭირვება გარდუვალად მოითხოვს და სიტყვას არ ძალუძს მიუდგეს მას, რაც ზესთა სიტყვისა დაეფუძნა, ვით თვალი მზეს ვერ მიაჩერდება. და როდესაც დაჰამბვება უძლურია გადმოსცეს იგი, რაიც არს ზესთა სიტყვისა, გალობა მაინც ჰგიეს, ვინათგან კაცთა ნათესავნი უყვარან უფალს, და, თუ მგალობელნი ხელუხლებელთა და კრძალულ ჰამბავთა მიახლებას ვერ ჰკადრებენ და სიტყვათა-მიერი განხსნის ვალი მოსახდელია, ეგების საგალობელთა ძალით წმინდად გადმოიცეს ღმრთისმშობელისადმი სურვიელი ლტოლვა. და თუ პატივით შემოსილია სიკვდილი წმიდათა და ღირსთა და ხსენება მართლისა დამშვენებულია ენკომიებით და ხოტბათა შესხმით, რაოდენ უფრო შეგვფერის წმიდათა წმიდის, რომლისგანაც ყოვლად კურთხეულ იქმნენ წმიდანი, მარად ქალწულის და ღმრთისა დედის ხსენება უაღრესი თქმულ-შვენიერებით გადავიხადოთ; რასაც ვიქმთ დღეს მოდღესასწაულენი წმიდა მიძინების, ანუ გარდაცვალების, რომლითაც რაოდენადმე ანგელოზთა მოაკლდა და ანგელოზნი და მთავარანგელოზნი და ზესთა ამათსა ზესთა-სოფლიონი ძალნი ყოველნი ამაღლდნენ თითოეულად სიახლოვით ყოველთა ღმრთისა, — მით, რაიც საუკუნითგან წერილ არს და რომელსა შინა გასრულებულ არიან სასწაულნი. ამისთვის იქმნენ საღმრთონი წინასწართქმანი ღმრთივ ჩაგონებულთა წინასწარმეტყველთანი; სასწაულთმოქმედებათა წინასწარ აჩვენეს მომავალი დიდი სასწაული სამყაროსი — მარად ქალწული ესე დედა ღმრთისა; მასში დამარხული ახალი საიდუმლოს აღსრულებას მოქცევანი ერთა და საქმეთა გარდაქმნანი გზად ექმნენ; სულის წმიდისა სჯულიერთა ადათთა წინათვე ნაირნაირად გამოსახეს სამომავლო ჭეშმარიტება; და ბოლოს, უმთავრესი საწყისი და ძირი შემდგომთა სასწაულთა, საქმეთაგანი ღმრთისა არს აღ-

სრულებული დაპირება იოაკიმის და ანასთვის უმაღლესი სიკეთისა, რომ სიყმაწვილითგან ბერწნი და უსთვლონი ღრმა სიბერეში შობდნენ მას, რომელიც შობდა უთესლოდ ღმრთისა მამისგან უწინარეს საუკუნეთა შობილს უჟამოდ. კვალად მათი ლოცვა, რომელთა ესრეთ საკვირველად შვეს უფრო საკვირველად მეშვე მისაგებელად მიმგებელისათვის მიგებულისა, — აღივლინა ყოვლად ღირსი და საფერი ლოცვა და იქმნა ღმრთისა დედის გაუგონარი გარდასახლება მანამდე, ყრმობისას, სამყოფელი მამეული სახლითგან ღმრთის სახლსა შინა და საკვირველი ყოფნა მყოვარჟამეული არა-მცირეთა წელიწადთა განმავლობაში წმიდათა შორის წმიდათა, სადაც ანგელოზებს ეპარათ გამოუთქმელი საზრდელის საფასე და სახსარი, — საზრდელისა, რომელს პირველი ვერ მისწვდა ადამი გემოს-ხილვად, თუმცაღა არა მოაკლდებოდა ცხოვრებას, ვითარცა არა მოაკლდა ყოვლად წმინდა, — თუკი ასულად მისად გამოჩნდებოდა ესე, რომელმან მცირედ დაუთმო ბუნებას, ვითარცა ძემან მისმან, და აწ მიწითგან ცად აღვიდა.

ხოლო იმ გამოუთქმელ საზრდელს მოჰყვა სასძლოდ მოგებისათვის უსაიდუმლოესი განწყობა ქალწულისა და უცხოდ და ზესთა სიტყვისა ხარება მთავარანგელოზისაგან, გარდამოსულისა ზეგარდამო, და ღმრთის ჩვენებანი და სიტყვის-მიგებანი ევას და ადამის გმობისა და განკიცხვისანი და მათი წყევისაგან კურნებისანი და კურთხევადმდე ამად მოყვანებისანი. ვინათგან ისანატრელა მარად ქალწულის საიდუმლო შვენიერება ყოველთა მეუფემან, ვითარ წინასწარ იტყოდა დავით, და გარდამოვიდა, რომელმან მოდრიკა ცანი, და ქალწული მოჩრდილვით დაიფარა და დაადგრებოდა მაგვამოვნებელი[1] ძალი ზენაარისა. არა ნისლის არმურითა და ცეცხლით, ვითარცა ღმრთის-მხილვარ მოსეს ეჩვენა, არცა ვით წინასწარმეტყველს ელიას ჭექითა და ღრუბლით აჩვენებდა მის თანა ყოფნას, არამედ უსაშუალოდ, გარეშე კრეტსაბმელისა ფარდისა რისამე ძალი ზენაარისა უჩრდილებს ყოვლად უმანკო ქალწულის წიაღს და არცარა არს შორის მათსა, არცა ჰაერი, არცა აითერი,

1. იპოსტასად სამგვამოვანისა მქმნელი.

არც რამ გრძნობადი ანუ სხვა მეტი; ხოლო ესე არა ჩრდილ-მოფენა, არამედ ჭეშმარიტად შეერთება არს. და ვინათგან შეუძლო ჩრდილ-მოფენა თავისი სახისა მარადის და ჩრდილ-მოფენილსა შინა საკუთრად აღიბეჭდა, ესე არა მხოლოდ შეერთება არს, არამედ განსახიერებაცა ქმნულა წიაღსა შინა და, რომელი ორთავ მხრივ განსახიერდა (μεμορφωμένον) — ზენაარისა ძალისაგან და ყოვლად წმიდისა მის ქალწულებრივისა მუცლისაგან, იყო სიტყვა ღმრთისა განხორციელებული. ესრეთ დაიკარვა გამოუთქმელად მას შინა და მისგან გამოვიდა ხორციელი სიტყვა ღმრთისა და მიწაზედ იხილვა, კაცთა შორის მოქცეული, და ჩვენი ბუნება ღმრთეებრივ-ჰყო და გვიამებდა და მოგვიტევებდა, ვითარცა იტყვის მოციქული ღმრთისა: „რისი წვდომაც სურთ ანგელოზებს"[1]. და ესე არს უცნაური და უჩვეულო ენკომიონი და მარად ქალწულის ზესთა-დიდების დიდება, რომელს ჰმორჩილებს სრულად გონება, სიტყვა და თუნდ ანგელოზური [სული]. ხოლო რაც მოხდა გამოუთქმელი შობის შემდგომ, რა სიტყვას ძალუძს ნეტარ გადმოსცეს; რამეთუ ქალწული, თანამზმნელი და თანა-ვნებული მასში ქმნული დაცალიერებისა სიტყვისაგან ღმრთისა, მის თანავე იდიდებოდა და ამაღლდებოდა მართლად და სადიდებელნი მას უცნაური და უჩვეულო მისადაგებით სამარადღეოდ მიესადაგნენ. როდესაც ცად აღვიდა მისგან განხორციელებული, რომელი უპირობდა მისთა სადიდებელთა, გონებისა და სიტყვის აღმატებულად, თითქოს მოშურნე და მობაძავ ქმნილიყოს წვრთნის გამძლეობის და მრავალგვარობის, და მრთელი სამყაროსათვის ლოცვათა აღვლენისა და მზრუნველობის, და კიდითი კიდედმდე ღმრთის მქადაგებელთა დაყრდნობისა და გატაცების; თავად მხოლოი იყო საესავი, რომელთან სული თავს მიიდრეკდა; მას უსმენდნენ, მას შეჰყურებდნენ და სახარების ქადაგებას იგი ყოველმხრივ მწედ ექმნებოდა და, გამუდმებით უჩვეულოდ მოასპარეზე, გონებით და სიტყვით აგრერიგად გამოაჩენდა თავის ცხოვრებას და მოქალაქობას. ყოველისავე ამის გამო მისი სიკვდილიც სიცოცხლე-შემოსილი იყო

1. I პეტრე. 1, 12.

და ზეციერისა და უკვდავი სიცოცხლისაკენ მაღლად ვიდოდა. ხსენება ესე სახარულევანი დღესასწაული და სამყაროული მოკრება არს: განახლდა ღმრთისმშობელის სასწაულთა ხსენება და მას შეუერთდა ყოვლისა ერისაგან წმიდა მოციქულთა საერთო და ახალი მოკრება ღმრთისმშობელის წმიდა დაკრძალვაზედ, რისთვისაც ღმრთივ ჩაგონებულთა შექმნეს ღმრთივ გაცხადებულნი საგალობელნი; ანგელოზები დაჰფრფინვიდნენ და გარს უვლიდნენ ქორონი მწყობრად და სრულდებოდა წესი ღმრთისმსახურებისა... მრავალნი ეწივნენ კეთილგანწყობას საღმრთოს და დიდებას და ძალს, ვითარცა იტყოდა დავით: „ხოლო ჩემდა დიდად სადიდებელ იყვნეს მეგობარნი შენნი, ღმერთო, ფრიად განძლიერდეს მთავარნი მათნი. აღვრაცხნე იგინი, და უფროს ქუშისა განმრავლდენ"[1]. თანახმად სოლომონისა, „მრავალთა ასულთა ყვეს ძლიერება, მრავალთა მოიგეს სიმდიდრე", ხოლო მან გარდაჰრია და გარდაჰმატა უფროს ყოველთასა[2]: რომელი მხოლოი იდგა შორის ღმრთისა და ადამიანთა მთელის ტომისა, მას შინა ღმერთი განკაცდა, ძენი ღმრთისანი დედამან ადამიანებად მოიმუშაკა, მიწა ზეცად მოაქცია და ტომი განაღმრთო და მხოლოი იგი დედა ბუნებით დედად ღმრთისად გამოჩნდა ზესთა ყოვლისა ბუნებისა. დედუფალი იქმნა ყოვლისა ქვეყნიურისა და ზესთა-ქვეყნიურისა ქმნილებისა გამოუთქმელი შობით და ესრეთ თვისნი სამფარველონი თავით თვისით აღამაღლა და მიწაზედ მორჩილება ზეციერ მოკრძალებად და სიმდაბლედ, ნაცვლად მიწიერისა, გამოაჩინა და თავად მეტს ღირსებას და დამეტებულ ძალს ეზიარა და ცათაგან საღმრთო სულის მიერ ხელდასხმული დაადგრა — მაღალთა უმაღლესი და ნეტრეული ტომის უნეტარესი იგი დედუფალი.

აწ ზეცა მისი საფერი სამყოფოა, ვითარცა პალატი, მას რომელ ჰშვენის და ეკუთვნის, რომელშიც მიწითგან აღვიდა დღეს და ყოვლისა მეუფისა მარჯვენით დადგა, ოქროქსოვილი სამოსით მოსილი ათასფეროვანით, თანახმად წინასწარმეტყველის ფსალმუ-

1. ფსალმუნნი, 138, 17-18.
2. იგავნი, 31, 29.

ნებით თქმულისა მასზედ. და შესამოსელად ჰგონებდე ოქროეანს, ღმრთივ სანათელ მის სხეულს. ათასფეროვან-ქმნილს სხვადასხვაგვარი სიკეთით, ვინათგან იგი მხოლოი აწ ღმრთივ პატიოსანი სხეულით პოვებს სამყოფელს ძისა თანა ზეციერისა; რამეთუ მიწას და საფლავს და სიკვდილს არ ძალედვა საბოლოოდ დაემარხა სხეული — სათავე ცხოვრებისა და ღმრთის დამტევი, სამყოფელი, ცაზედ და ცათა ცაზედ უამესი. თუ სული, რომელი სავანედ ექმნება ღმრთის მადლს, ცად მაღლდება, დახსნილი მსხვრევადისა და წარმავალისაგან, ვითარცა ბევრი რამით გაცხადდა, არღა ვიწამოთ, რომ სხეული, მტვირთველი უწინარეს საუკუნეთა მხოლოდ-შობილისა ძისა ღმრთისა, მადლის სამარადღეოისა წყაროსი, — სხეულიც, რომლის მეშვეობით იგი იშვა, მიწითგან ცად ამავალ არს? განა სამის წლისა, ჯერ რომ არ ჰქონდა ზესთა-ცის სავანე, არცა ხორციელი გამოელო ნაყოფი, — წმიდათა წმიდასა შინა მყოფი, მაშინვე ეგზომი ნიჭით ზესთა-სრული არ იყო და ჭეშმარიტად ზესთა-ქვეყნიურს მიწა განხრწნიდა? რა აზრს იმარხავს ესე გონიერისა მჩხრეკალისათვის? ამით მეშვე სხეული ნაშობთან ერთად განდიდებულ არს ღმრთის საფერი დიდებით და აღდგება, წინასწარმეტყველის გალობის ძალისამებრ, ქრისტესთან ერთად, რომელი სამი დღის შემდგომ აღდგა; აღდგება მისი კურთხევის კიდობანი და მოწაფეთაგან იხილვება მისიცა აღდგომა მკვდრეთით და საფლავს დაშთებიან სუდარანი მხოლონი, ვითარცა უწინარეს საფლავს შინა ძისა და უფლისა. არცა იქმნეს საჭირო, რომ მისი საფლავს-დება, ვითარცა მისი ძისა და ღმერთის, კიდევ დაყოვნდეს; ამიტომ საფლავითგან აღვალს ზესთა-ცათა სამყოფელს, სით კვალად მიწადმდე ყოვლად სანათელს და ყოვლად ღმრთეებრივს მოჰფენს ელვარებას და მადლს, და მთელს წილხვედრ მიწას განანათლებს და ყოველნი მორწმუნენი მას თაყვანს სცემენ და განიკვირვებენ და უგალობენ. ვითარცა ენება ღმერთს, ყოვლისა შეენიერების ხატი შეექმნა და მასში თვისი მსგავსება წმიდად გამოესახა კაცთათვის და ანგელოზთათვის, შექმნა ესე (ღმრთისმშობელი) ყოვლად შეენიერი, მოკრიბა ყოველი შესამკობელი, განარჩია იგინი და შეამკო, ხილულსა და უხილავ სიკეთეს ერთიანად

დააყრდნო სამყარო, ხოლო უფროისად იგი გამოაჩინა ღმრთეებრივი და ანგელოზური და ადამიანური ყოველი შეენების შეზავებად და დაზესთავებულ სილამაზედ, რომელი ორთავ ქვეყანას ჰშვენის, მიწითგან იწყება და ცამდე სწედება და ზესთა ცისაცა აღვალს, აწ საფლავითგან მაღლდება და ზეგარდმო არსთა თანა მიწიერთა შეაერთებს და ყოველს აღავსებს თვისი სასწაულთმოქმედებით, მცირედღა ნაკლული ანგელოზი, ვითარ დასაწყისში ითქვა; სიკეთილის გემოს-ხილვით ვიტყოდი, ხოლო მითვე განდიდებულ არს ღმრთისმშობელისაგან ყოვლისავე დამეტება და დღეს სამართლად დღესასწაულობს მისთვის ყოველი.

რომელმან დაიტია ყოველთა აღმავსებელი და ზესთა ყოვლისა არსი, შეჰფეროდა დაჰმეტებოდა ყოველსავე თავით თვისით და ზესთა ყოველთა ქმნულიყო თვისი სიკეთით, თვისი ღირსების სიდიადით. რასაც ყოველი საუკუნის ყოველთა ურჩეულესნი გაინაწილებდნენ და ურჩეულესობისათვის იკმარებდა და რაც ზომიერად აქვსთ ღმრთის მოსაწონთა — ანგელოზთა და კაცთა, ყოველი აღიღო და მხოლომან ყოველი სრულყო და განამრავლა, აწ ზესთა ყოვლისა უკვდავყოფილ არს შემდგომად სიკეთილისა და მხოლოი სხეულით სუფევს ცად ძისა თანა და ღმრთისა და მუნით ზეგარდმო მადლს ჰფენს უხვად მათ, რომელნი განადიდებენ, მოჰმადლებს, ხელაპყრობით რასაც ჰვედრიან, და სარკე არს ეგზომთა მადლთა; სიკეთის ძალით უხვად მოიღებს უმჯობეს საბოძვარს და არდეს დაცხრება ზრუნვად, რათა ჩვენთვის სარგო უზომო საზღაური მოვისთვლოთ. ვინმე რომ უმზერდეს ყოვლისა სიკეთის მოკრებას მასში და სახსარს და საფასეს სალოცავისას, იტყვის, ამას ქალწული ასრულებსო სიკეთით მათთვის, რომელთა ცხოვრება სიკეთის მიყოლაა, ანუ ესე იგივე არსო, რასაცა მზე იქმს შეგრძნებადს ნათელს შინა მათთვის, რომელნი ამ ნათელს ქვეშ ცხოვრობენ. ხოლო თუ მასზე ვიტყვით, ვინაც კაცთათვის ქალწულისაგან არგაგონილად შვა მზე, რომელს აქვს ყოველი და ზესთა-მქონე არს ბუნებით, რაც ქალწულისთვის მადლით აღმოეცენა, — თუ გონების თვალს მასზე გადავიტანთ, ცა უმალ ქალწულად გამოჩნდება. ესრეთ შეიძენს ყოველი სიკეთით და სათნოე-

ბით ხვედრ-კეთილს, უფრო შვენიერს და ღმრთეებრივად ნანარს, ვიდრე ცის ქვეშ მყოფნი და ზესთა ცისა მიმადლებულად შემკობილნი არიან, როგორადაც ცა მზის უმეტეს არს, ხოლო ცის უნათლეს — მზე.

რა სიტყვა აღწერს, ღმრთისმშობელო ქალწულო, შენს ღმრთეებრივად სანათელ შვენებას? გონებით და სიტყვით არ ძალგვიც, საზღვარი შემოვავლოთ შენს სიდიადეს; მაინც კი შესაძლო არს გალობა, თუ შენ, კაცთმოყვარე, არ იქმ საწუნარს; რამეთუ ყოველთა მადლთა ხარ მოსავანებელი, და სავსება ყოველგვარი შვენიერებისა და სიკეთისა, და სახატე და სულიერი ხატი ყოვლისა სიქველისა და სიმდაბლისა, და მხოლოი ღირს-იქმენ მოკრებულად და ერთბამად მიგელო სულისა წმიდისა წყალობანი და, რომელი ჰგიეს ამათ ყოველთავე საუნჯედ, უფროისად საკვირველად მან მხოლოდ წიაღი შენი დაიმკვიდრა და იდეგ შენ — კარავი მისი საკვირველი, და მას შემდეგ და აწცა სიკვდილით უკვდავებისაკენ მიემართები და, სამართლად მიწითგან ცად აღსრულს, თითქოს ზესთა-ცათა სავანედ დაგეკარვებინოს მის თანა მარადჟამიერად; მუნით თავს ევლები და ეფერები შენს სამფარველოს, რომელს ძისა მიმართ უძილოდ ლოცვებით მწყალობელ ეყავ.

ესე არს მახლობელთა ღმრთისათა უმახლობელესი. ესრეთ სხვათა ყოველთა უმეტესად ღმრთისმშობელი ღირს-იქმნა რჩეულისა საბოძვარისა; ვგულისხმობ არა მხოლოდ კაცთა, არამედ თვით ანგელოზთა ყველა მღდელთმთავრობას. მათ ზესთა დასებად ქმნულ მთავრობათა შესახებ ესაია წერს: „და სერაფიმნი დგეს გარემოის მისსა"[1]. მასზედვე კვალად დავით იტყვის: „დადგა დედოფალი მარჯუენით შენსა[2]". იხილეთ დგომის სხვადასხვაობა? ამის მიხედვით იმასაც წარმოიდგენთ, თუ რარიგ სხვაობს დასთა კავშირი ღირსების შესაბამისად: ღმერთის ირგვლივ დგანან სერაფიმნი, ხოლო ყოვლად მახლობელი მისი არს მხოლოი დედოფალი, რომელი თავად ღმერთსაც უკვირს და ხოტბას უძღვნის და, მესაყვირე მისი

1. ესაია, 6, 2.
2. ფსალმუნნი, 44, 10.

მსგავსებისა გარემოის ძალთა მიმართ, იტყვის „ქება ქებათაში“ თქმულისაებრ: „რარიგ შუენიერ არს მახლობელი ჩემი“; ნათლის უნათლესი, ღმრთეებრივ სამოთხეზე უფრო ყვავილ-შვენიერი, ხილულსა და უხილავ მთელს სამყაროზედ უფრო მორთული; არა მხოლოდ მახლობელი, არამედ მარჯვენითაცა მჯდომარე; სადაც ქრისტე ჯდა ცათა შინა, მარჯვენით დიადის, აწ მიწითგან ცად აღსრული იქვე დაადგრა, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ჰსურის და თავადაც სასურველ არს ყოველთა უმეტეს, ბუნების წმიდა წესით და კანონით, არამედ იმიტომაც, რომ ტახტი მისი (αυτου) ჭეშმარიტად დგას იქ, სადაც ზის უფალი. ამას ტახტსა ესაია ჰხედავდა შორის ქერუბიმთა დასისა და იტყოდა, რომ ამაღლებულ არს იგი და დიდებულ, — მით გააცხადებდა, რომ ღმრთისმშობელი აღემაღლა ზესთა ცათა დასებისა. და შემოჰყავს ანგელოზებიც, რომელნი მის გამო ადიდებენ ღმერთს და იტყვიან: „კურთხეულ არს დიდებაჲ უფლისაჲ ადგილისაგან მისისა“[1]. ხოლო მამათმთავარმან იაკობ, იგავთ-მეტყველებით მჭვრეტელმან, თქვა: „ვითარ საშინელ არს ადგილი ესე. არა არს სხუაჲ ესე, გარნა სახლი ღმრთისაჲ და ესე ბჭე ზეცისაჲ“[2]. მეორე მხრივ, დავით იერთებს ცხოვნებულთა სიმრავლეს და, თითქოს რალაც ძარღვებით გამოსცემდეს სხვადასხვა ბგერებს (საქმე ის არის, რომ სხვადასხვა ტომი მარად-ქალწულმან ერთი რწმენით შეაზავა და შეანაწევრა), ყოვლად შეზავებული და ჰარმონიული გალობით მის (ღმრთისმშობელის) ქებას იწყებს: „მოვიკსენო სახელი შენი ყოველსა შორის თესლსა და თესლსა; ამისთჳს ერთა აღგიარონ შენ უკუნისამდე და უკუნითი უკუნისამდე“[3]. ჰხედავთა, ყოველი ქმნილება აღიარებს ქალწულ დედას, არა წლობით, არამედ უკუნისამდე და უკუნითი უკუნისამდე? ამიტომაც იგი არ მოაკლებს სიკეთეს ყოველს ქმნილებას საუკუნეთა განმავლობაში; არა მხოლოდ ჩვენდამო ვიტყვი, არამედ უნივთონი და ზესთა-ქმნულთა დასთა მთავრობანიც,

1. ეზეკიელი, 3, 12.
2. დაბადება, 28, 17.
3. ფსალმუნნი, 44, 18.

ვფიქრობ, გააცხადებენ, რომ ჩვენ თანა არიან, ვითარცა მის მხოლოისგან დედისა მონაწილენი და მოზიარენი ღმრთისა, და ეხებიან შეუხებელ ბუნებას, ესრეთ შორად მხილვარემან ესაიამ ნათელყო; მას არ უხილავს სერაფიმი, რომელმან უშუალოდ საკურთხეველისაგან მოიღო ნაკვერცხალი, არამედ სერაფიმი მარწუხითა მოიღებს, რომლითაც წინასწარმეტყველურ ბაგეებსაც შეეხება და წმიდა-ჰყოფს; ესე არს მარწუხით ქმნილი სახე დიდი სასწაულისა, რომელი მოსემ იხილა: ცეცხლი აღედებოდა მაყვალს და არა შეიწვებოდა. ვინ არ უწყის, რომ მაყვალი და მარწუხი ესე არს ქალწული დედა, რომელმან ღმრთეებრივი ცეცხლი მუცლად-იღო შეუწველად, და მთავარანგელოზი ჰმსახურებდა ამ მუცლად-ღებას, რითაც ადამიანთა მოდგმას შეუნაწევრა სამყაროული ცოდვის მტვირთველი და გამოუთქმელი შეხებით და შეერთებით ჩვენ წმიდა-გვყო. მაშასადამე, იგი მხოლოი დედა არს საზღვარი ქმნული და უქმნელი ბუნებისა და ვერცვინ მიეახლება ღმერთს, თუ არა ჭეშმარიტად განცისკრებული იმ ღმრთივ სანათელით: „ღმერთი მის შორის და იგი არა შეიძრას"[1]. თუ ზომისაებრ ღმრთის სიყვარულისა მოგვეგების და, რომელს უყვარს ძე, იგი უყვარსთ ძესა და მამას და მათ ორთავ ექმნება საყუდელად, მასში დაივანებენ საიდუმლოდ და მათი ძრაობა არს თანახმად უფლის აღთქმისა, ნეტარ ვის ძალუძს უყვარდეს იგი უფროისად დედისა? არა მხოლოდ იმის გამო, რომ მხოლოდშობილ არს, არამედ იმიტომაც, რომ მხოლომან შვა შეუუღლველად; მას ორკეცად უყვარს, ვინათგან სიყვარული აქვს უზიარო და უნაწილო. ვინ არს საყვარელ უფროის დედისა მხოლოდშობილისათვის, რომელი გამოუთქმელად გამოჰვლის დედისგან მხოლოისა უკანასკნელ საუკუნეთა სავალს, ვითარცა უწინარეს საუკუნეთა გამოჰვლიდა მხოლოისგან მამისა? ვით არ განმრავლდეს შესაფერი განწყობისათვის პატივი, დედა-ქალწულს სჯულისაებრ რომელ უნდა მიაგოს მან, ვინ ზეგარდ-მოვიდა სჯულისა და კანონის აღსასრულებლად?

ესრეთ მის მხოლოის მეშვეობით ჩვენთან მოსრული, მიწაზედ

1. ფსალმუნნი, 45, 6.

იხილვა, კაცთა შორის, ყოველთათვის უხილავი უწინ, ხოლო მას საუკუნეს შინა შეუწყვეტელად სალმრთო ნათლის-ჩენის მრთელი გზა და საღმრთო საიდუმლოთა მრთელი გამოცხადება და სულიერ წყალობათა მრთელი გვარი ყოვლისაგან დაუტევნელი იქნებოდა გარეშე ქალწული დედისა. იგი პირველი შეიწყნარებს სავსებას მისას, რომელი აღავსებს ყოველს, და წარმოადგენს დასატევნელად და უწილადებს თვითეულს შესაბამისად, ზომისაებრ მისი სიწმიდისა, ისე რომ თავად ჰსცავს და განაგებს სიმდიდრეს ღმრთეებისას. როდესაც საუკუნო სჯული მოითხოვს, რომ უფროსთაგან უმცროსნი ეზიარნენ მას, რომელი ჰზის ცათა შინა, ხოლო უფროისი გარეშე ყოველგვარის შედარებისა არს ქალწული დედა, რომლის მეშვეობითაც ეზიარებიან, რომელნი ეზიარებიან ღმერთს, იგი იგულონ დამტევნელად დაუტევნელისა მათ, რომელთა ცნან ღმერთი, და შემდგომად ღმრთისა მას უგალობონ, რომელნი უგალობენ ღმერთს. იგი არს მისთა უწინარესთა მიზეზი და შემდგომთაცა მისთა მიზეზი და მფარველი და საუკუნეთა ქომაგი; იგი — წინასწარმეტყველთა საფუძველი, მოციქულთა დასაბამი, მოწამეთა საძირკველი, მოძღვართა საყრდენი; იგი — მიწიერთა დიდება, ზეციერთა სიამე, ყოვლისა ქმნულისა მშვენება და სიქადული; იგი — დასაბამი და წყარო და ძირი გამოუთქმელთა სიკეთეთა; იგი — ყოვლისა წმიდისა სიმაღლე და სრულქმნა.

ო, ღმრთეებრივო ქალწულო, აწ ზეცისაო, ვითარ გამოვთქვა შენზედ ყოველი? ვითარ გადიდო. საუნჯეო დიდებისაო? მხოლოდ ხსენება შენი განწმედს მომხსენიებელს; მხოლოდ ნიშნებაც შენზედ განაცისკროვნებს გონებას, მეყვსეულად აღიტაცებს ღმრთეებრივ სიმაღლეზედ; შენით ნათდება გონების თვალი; შენით გარდმოეფინება ნათელი სულს, მოახლებით სულისა ღმრთეებრივისა; შენ — ძალს მადლთასა — გაქვს საუნჯე, არა შენ ხელთ დასაყოვნებელად ქონებული, არამედ მადლით აღვსებისათვის ყოველთა: დაუცალიერებელ საუნჯეთა კლიტეთ მპყრობელი განყოფისათვის განდობს, რამეთუ ვერცრა დახშულ-ჰყოფს მოუკლებელს სიმდიდრეს. თან მოეც მდიდრად წყალობა მთელს ერს შენსას, სამფარველოს შენსავ, — მადლთაგან შენთა, დედავ-ბატონო. ხსნა

მოეც საშინელებათაგან. შენ ჰხედავ, რარიგ იავარგვყოფენ საკუთარნიცა და უცხონიც, გარეთგანაც და შინაც. ძალითა შენით უმჯობესად გარდაქმენ ყოველი. შინათ თვისტომნი დამცხრალნი ერთურთს შეუხმატკბილე. გარემოითგან ნადირთაებრ ველურთა მომდგარნი აოტე. ჩვენთა ენებათა შეუწონე შენი ქომაგობა და განკურნება, გვიწილადე უხვად მადლი სულთათვის და ხორცთა და ყოველთათვის კმა-ჰყავ; თუ ვერ ვცნათ საცნაური, განზომე ჩვენთვის და მიგვაწვდინე, რათა შენი მადლით გადარჩენილნი და გაძლიერებულნი ვადიდებდეთ ჩვენთვის განხორციელებულს შენგან, საუკუნეთა უწინარესს სიტყვას დაუსაბამოისა მამისა და ცხოველმყოფელისა სულისა თანა აწ და მარადის და უსასრულოდ საუკუნეთა შინა. ამინ.

ნიკიფორე ბლემმიდი
(1197 – დაახლ. 1272 წწ.)
(„გამოჩენილი მეცნიერი და საეკლესიო-პოლიტიკური მოღვაწე"*)

ფსალმუნთა განმარტება

ფსალმუნი 3. ვითარცა ცეცხლი გამოახურვებს ოქროს და ანუ ყალბი აღმოჩნდება, ანუ ნამდვილი, ესრეთ სულიცა განიცდება ქვის დაკრებით: ანუ სუსტი ექნება ფიქრი და გულისხმა, ანუ მყარი; განცდა ესე, ჭეშმარიტად, ანუ მხდალს გამოაჩენს და დასცემს, ან განამხნევებს, უფრორე გაამყარებს და ღმერთის ხელით გაასალკლდევებს. უჩემოდო, იტყვის, ვერ შეუძლებოო ქმნას რისამე, მით ჯერ-არს მარადღე მრთელად ღმერთს მივუპყრათ სულის სახედველი, ვინათგან ღმრთივ განვიმართებით და მისგანვე ვართ თავშენახულნი: უფლისაგან წარმართულია თითოეული ნაბიჯი კაცის და, უფალი რომ არ იცავდეს ქალაქს, ამაოდ ჩაივლიდა მცველის მღვიძარება, მეტადრე ბრძოლის ჟამს და განსაცდელის დათმენისას. საიმედო მხოლოდ ის არის მტერთაგან შეიწრებულთათვის, რომ მრთელის სულით უფალს შეუვრდნენ, რა საცნაურნი ჰბრძოდნენ მომხვდურნი და საგონებელ ჭირს შეამთხვევდნენ. ანუ ჰბრძოდნენ საკუთარის შეჭურვილებით; მოცილეთა ვგულისხმობ და უკეთურთა კაცთა, რომელთაგან განსცდიდა ამას წინასწარმეტყველი, რის გამოც გვმოძღვრავს მესამე ფსალმუნით; მისი სიტყვა უპირველესად უხილავთა მტერთა ეხება და ჩვენდამო, რომელნი მას მიველტვით, არის ფრიად მოსადაგებული.

„უფალო, რად განმრავლდეს მაჭირვებელნი ჩემნი?" – არ ძალმიძს მხარი შეეუყენოო ჩემს სატკივარს, რომ არა ოხითაᲘ შენი, უფლისა ჩემის და მხოლოისა ძალმოსილის. ეს „რად"-ო საკვირველია. ჰოი, რად განმრავლდესო მაჭირვებელნი ჩემნი! ჰოი, რაბამი სიმრავლეა!

---

* იხ. Е. Э. Липшиц, Наука и образование; История Византии, III, Москва, 1967, гл. 14, с. 220.

„მრავალნი აღდგეს ჩემ ზედა“. — მრავალი ჩემი წინააღმდგომი იღვიძებსო. კვალად განწირულად მცხინვარე სულის ამონათქვამია, — იგი იტყვის, ვინ ღმერთს უხმობს საოხად.

„მრავალთა ჰრქუან სულსა ჩემსა: არა არს ცხორებაᲘ მისი ღმრთისა მიერ მისისა“. — ჩემს სულში ჩემითვე ამბობენო, გონებიერად წარმოთქმული სიტყვით კი არ მართმევენო იმედს ამის მეცადინენი, არა არსო მისთვის ცხოვნება ღმრთისა მიერ მისისა, ვისაც ღმერთად უხმობს და ეტყვისო, რომ ღმერთი ხარო ჩემი. არა აცხოვნებსო იგი, რამეთუ მის წინაშე შესცოდა.

„ხოლო შენ, უფალო, მწე ჩემდა ხარ“. — ზოგნი ამას სხვარიგად ანგარიშობენ ჩემი გონდაკარგულობის და მშფოთვარების მოწადინებით, მე კი პირდაპირ არად ვაგდებ მათს ესევითარს ენის ტრიალს და შენ მხოლოი მიმაჩნიხარო ყოვლითურთ მწედ და მეოხად, სხვითგან არსით ჩემთვის არცრა მწეობაზედ მიოცნებია, რამეთუ ვუწყი, რომ მოწყალე ხარ და მოთმინებით შემკრძალებელი და შენდამო მოქცეულთა გულისხმიერებით მოეკიდები.

„დიდებაᲘ ჩემდა და ასამაღლებელ თავისა ჩემისა“. — შენ ხარო ერთადერთი ჩემი დიდება, მტერთა ჩემთა მიმაქცეველი, და მადიდებო მე, რომელი არად ვაგდებ დიდებას ამსოფლიურს. შენ ხარო თავისა ჩემისა ასამაღლებელი, პირში ძრახვის ძალისა და სითამამის მომნიჭებელი, ყოველ საქმეში ზედმიწევნით მეოხი, რომელს აროდეს გაგიმეტებიაო ჩემი თავი დაღონებად და მოდრეკად უბედურებათა სიმძიმისაგან, არამედ შენდამო სასოებით აღმისუბუქებდიო თავს და მაღლა მიწევდიო.

„Წმითა ჩემითა უფლისა მიმართ ღაღად-ვყავ და შეესმა ჩემი მთით წმიდით მისით“. — ეს თავისთავად სითამამეა. დამცხრალისაგან ითქმის სიმდიდრისათვის უფლის სინათლისა, რასაც ბნელი არ ახლავს[1], და ჟამითი-ჟამად მონასურვები და შესმენილია. ხოლო ხმად გულისხმობს გონებიერს საუბარს და ღაღადყოფად იტყვის ესევითარი საუბრის გამძაფრებას, შესმენად — ვედრებას რომ აღავლენს. მთაწმინდად მისად იტყვის სიმაღლეს განუსაზღვრელის

1. უფრო ზუსტად: უფლის მარტივად სიკეთისათვის.

სიწმინდისას, ვინათგან მაღალია უფალი სიწმინდით და ჩემს სასაწყლეს და უპოვარებას ცოდვათა შინა არა მიჰრიდოსო თვალი; მოუბარი ვიყავიო გონების მრთელის აღმაფრენით და შეესმაო ჩემი — სიმაღლითგან მისი სიწმინდის.

„მე დავწევ და დავიძინე და განვიღვიძე, რამეთუ უფალი მწე მეყო მე". — დაბნელებულიაო სულმცირეობით ჩემი გულისთქმა და უბედურებათა ზედაზენობით ღრმა ძილს მიცემული და დაყრუებული, და უქმი და ცუდად მყოფი შევიქმენო ვითარცა ჩვეულებრივად დაძინებული და სრულს უძრაობაში უმოქმედოდ დადგრომილი. მაგრამ ვცანიო, რაბამია უფლის მწეობა, და უფროისად უგზოობაში, მისდამი შევრდომილთათვის, და გონს მოვეგეო და აღვილაღეო რწმენით, რომ უფალი მეც შემეწევა.

„არა შემეშინოს მე ბევრეულისაგან ერისა, რომელთა-იგი გარემომიცვეს მე". — ბოლოდ ვინათგან მე უფალი შემეწევა, არა შემეშინოსო ბევრი სიმრავლისაგან მტერთა, რომელნი ნაწილ-ნაწილ ერთსულად გარს მეხვევიან და მებრძვიან. ამას ვამბობ უფლის შეწევნით გაკადნიერებული. საეშმაკო ძალნი რომ იგულეებოდნენ მოპაექრეებად, ვითარცა პირისპირ მდგომნი, გაცხადებულად და დაუფარავად დანაშაულისთვის განაფიცხებდნენ. ხოლო საიდუმლოდ და დაფარულად თითქოს სიავეს რომ ჩაიდებენ გულში და ზაკვას განიზრახავენ, ესევითარნი, თუ სიყვარული დაიფარავს ნატვრათა სიუხეშეს და მალვით გატაცებას თუნდაც ოდნავს, მოხმობილ იქნებიან ინახით-დასხდომად და განურჩეველად მისაყრდნობელად მტერობის ამაოებისა გამო; მსგავსი ბევრი მოვიხილეთ, ერთი მხრივ, ოდეს კაცთაგან საპატიოდ მითვლილს შინ მიიწვევდნენ, ანუ სიკეთის მაგალითად დასახავდნენ; მეორე მხრივ, ოდეს, პირუკუ, მრავალთაგან განკიცხვისა და მოყივნების წილ ანუ სხვათაცა უამურებათა სანაცვლოდ, უიმედოს ცხენს მოჰგვრიან, ანუ ცოდვისათვისაც გაამართლებენ და ცხოვნების უცნაურ უფსკრულს განუხსნიან. მაგრამ გონიერი და პატიოსანი მათს ზაკვას წინათვე აცნევს და არასოდეს აღეგზება, არამედ მყარად დაისაყდრებს და ყოვლისავე ვერაგობის წილ მხედრულის შემართებით საზრიანად განეწყობა, მხნედ დაჰხვდება მრთელს საპა-

ექრო ნათხზენსა და დაკემსილ სიტყვას, ღმრთივ განათებული და განბრძნობილი და ღმრთისავ შეწევნით განძლიერებული, და პირდაპირ შერკინებულს სულის სიმდაბლით და სხეულის ჯაფით დალეწავს, ხოლო შემდგომი ბრძოლებისათვის წინაგანკრძალული და საფარიანი ექნება მარადღე გონება და შეგრძნება — წურთნილი და არარად და ამაოდ მითვლილი წუთისოფლის სიმდიდრე, ქებანი და ყველა სხვა პატივი და ღირსება; გამორჩეულად არცრას კაცებრივს მიჰხედავს, ვით მალედ რღვევადს. მხოლოდ ღვთიურს მიაჩერდება სამართალს დაუცადებელად, როგორც უმტკიცესს და უცვალებელს, და შეიწყნარებს სახარულევანს მის სიკეთეს და მონაშორებთა და კვალად განგებით მოქცეულთა.

„ალდეგ, უფალო, მაცხოვნე მე, ღმერთო ჩემო". — ჯერ თავისთავს ესაუბრებოდა უშიშო, მერმე კვალად ღმერთს მიჰმართა: შენი მაცხოარება მაკადნიერებსო მე ამოთქმად ამა სიტყვათა. ალდეგო და მაცხოვნეო, ღმერთო ჩემო. და რომელნი ჩემ გამოთ იტყვიან, არა არსო ცხორება მისი ღმრთისა მიერ მისისა, დე, ცნან, რომ შენ, ღმერთმან ჩემმან, მომეციო ცხორება. ალდეგო, გადატანით (მეტაფორულად) არის ნათქვამი ამბიონით — კერძო ალძრულთაგან ვიეთთამე შეწევნად.

„რამეთუ შენ დასცენ ყოველნი, რომელნი მემტერნეს მე ამაოდ". — რომ ალსდგე მხოლოდ ვითარცა მაცხოარი ჩემი, მეყსეულად დასცემდიო ყოველთა, რომელნი მემტერნესო მე ამაოდ, თვინიერ რისამე მიზეზისა. რა უსამართლოება მიჰხვდათო ჩემგან.

„კბილნი ცოდვილთანი შენ შეჰმუსრენ". — დიალაც, ცოდვილთა ძალი გამოავლინეო შენ, რომელი ალსდეგ მონისა შენის მაცხოარებად. ამასაც გადატანით ამბობს ნადირთათვის, რომელთაც ჰქონდათ კბენის ძალი და კბილშემუსრვილთა ესე ძალი მიეღოთ. მეტაფორა შესაფერია. რა არს საეშმაკო ძალთა უმეტეს ველური და ნადირის-სახე? ცოდვილნიო, იმათზედ იტყვის, რომელნი უსამართლოდ მტრად ეკიდებიან, თანაც ცოდვის მიზეზნი ხდებიან, ვითარცა მეცრუვენი და ღმრთისგან განდგომილნი. ხსნა უფლის ხელთ არის. ღმერთს მიჰმართავს, მხოლოი ალსდეგო ვითარცა ჩემი მაცხოარი და მტერნი ჩემნი იავარჰყავო, შენ, და არცვინ სხვამ, ძალი მათი

გააქარწყლეო, და კვალად მოაქვს მიზეზი, რომ მიუდგომელად გაცხადებით უფლის, და არცვის სხვის, ხელთ არის ხსნა და მაცხოარება, და სხვაგანაც იტყვის, რომ უფალი არის მწე, ანუ რომ შეწევნა და ხსნა მხოლოისა უფლის საქმეა.

„და ერსა შენსა ზედა არს კურთხევა შენი". — სანატრელიაო ერსა შენსა ზედა საქმე-კეთილობა და მადლი შენი. ნეტარ მეც მქმნაო ამის მოზიარე ვითარცა ერთი ერისა შენისაგანი. მეტრფედ განწყობილი წინასწარმეტყველი, უფლის მრთელი ერისაგან ნაზარდი, ლოცულობს უფლის საქმე-კეთილობასა და მადლზედ, რომ ეს სიკეთე მხოლოდ ჩვენ კი არ გვეკუთვნოდესო, სხვისთვის დახშული, არამედ საზიარო გავხადოთო და, რაოდენი სარგებელის მოტანასაც მოითხოვს ღმერთი სხვებისთვის, იმდენად გადასწონისო მათი სარგებელი საკუთარს, რამეთუ ესრეთ შევეძინებითო ღმერთს. ამგვარი ლოცვით ქრისტეს აღდგომასაც გვიწინასწარმეტყველებს დავით, ოდეს იტყვის: „აღდეგ, უფალო, მაცხოვნე მე, ღმერთო ჩემო". ადამიანთა ბუნების პირით იქმს სიტყვას, ვინათგან ყველასთვის მოვიდა ქრისტე და აღდგა ყველას საცხოვნებელად და, რომელთაც ცხოვნებას ვერ მიაღწიეს, თავით თვისით იქმნენ ვნებულნი, მათ თავიანთს ცხორებას წარწყმედა ამჯობინეს, თვალდაწუხვილთა ნათელი და მაცხოვარი ვერ შეიცნეს და ცხორების განჩინებებს არ მიჰყვნენ. ასე რომ ჩვენი ბუნება ეტყვის უფალს: ოდეს შთახველ ჯოჯოხეთს, ამაოდ მემტერენი ჩემნი საეშმაკო ძალნი შეჰმუსრე და დანთქმულ ჰყავ, შენ ჰქმენ ესე, და არა უხუცესმან, არა ანგელოზმან და არცვინ სხვამ, აღდეგ მკვდრეთით და სრული ცხორება გარდამიწყვიტე და ქვესკნელითგან აღმიყვანე ცათა შინა, რომ შენ, უფალმან, ცხორებისათვის წარმიმართო და ერსა შენსა ზედა, რწმენით მართალსა, და წმიდათა საქმეთა ზედა, შენთვის ჩვეულთა, იყოს კურთხევა შენი.

დიდი ლოგოთეტის თეოდორე მეტოქიტეს (1260/1261წ.-1332 წ.) შესავალი (Miscellanea) თავი პირველი

ჩვენ, რომელთაც ეხლა დაგვიანებით უნდა გავსინჯოთ ცხოვრების გემო, სიტყვის ხმარება არ გაგვიჭირდება, თუ ვინმე ცდას არ დააკლებს და შეძლებს რამე გვითხრას, რომაელ კატონადაც რომ მოგვეელინოს, როგორც ნაცადი სიტყვით და მისგანვე რჩეული ცხოვრების წესით, ვისი ცხოვრება და მოქალაქობაც წარმოგვიდგება ბოლოს და ბოლოს რომეების გადავლილ საქმედ, უფრო ზედმიწევნით ხმარებულად მათს თვალში, ვინც ყველაზე უკეთ ასწონდასწონის. მე მეჩვენება, რომ უადგილოდ არ უთქვამს ვისმე, პლატონის კანონების და მოქალაქობის მიხედვით ცხოვრობსო, პირიქით, რომულუსის და რომაელთა მოქალაქობის საფუძველზე რომ არ ელვაწა, იმ პერიოდში ასცდებოდა პირველსა და კანონიერ საკონსულო წინამძღოლობას, თუმცაღა ფრიად ღირსი იყო, რომ მიელწია [ასეთი მდგომარეობისათვის], მაშინდელთაგან გნებავთ ვინმე სხვად წარმოდგარიყო თავისი საქმით. ჩვენთვის კი, ეხლა რომ ჩვენი ცხოვრებით და არსებობით ჭეშმარიტად ვეყრდნობით მთელი ცხოვრების და ადამიანური საქმიანობის წესს, ეს სულ სხვა არის, სხვებს დავუთმოთ დალაგებით, როგორ ვიცხოვრებდით; დე, ვერ ვხედავდე ეხლა აქედან ვერცრას, გარდა იმისა, რომ არ არსებობს სიკეთის უძლურება და უსარგებლობა, არც ეხლა მაკლია სანაღვლელი, არც მოვრჩენილვარ ერთხელ და სამუდამოდ, არც ცისმარე არ ვრჩეობდი ყოველ საქმეში [ერთხელ რჩეულს], მთლად არც ჟამი მემეტება უჟამობისთვის, თუმცა ბუნებამ დაუთმო ადამიანებს, რომ წმინდა საფარით და უბრალოებით სარგებლობა შესძლებოდათ სამარადღეოდ ყოველ საქმეში. ხოლო სიტყვა გამიზნული იყო საიმისოდ, რომ, ვისაც რამის თქმა შეუძლია, ზუსტის ნაცვლად მიახლოებითი მნიშვნელობით არ ეხარგებლა და ვისმე მისამართით არ ეხმარა. როგორც მოგახსენეთ, ყოველივე მოსწრებული სხვებს დაუტაციათ და, რაც რჩება, ყველაფერი ეხლა უმალვე

საბედისწერო გვიხდება, საუბარში რომ მოვიხმაროთ, — ისიც, რაც ღვთაებრივს ეხება და რასაც ვინმისგან ვალის ფრიად გარდახდის წესით იქნებ მოტანა ჰღირსებოდა, ისიც, რაც სხვებზე უთქვამთ და გარემოდან მოწვდილ (გარეშე) სიბრძნეს ეკუთვნის. წმინდა არის ყველა წერილი და ჩვეული საღვთო ადათი, რომელიც კი გადმოგვეცა — ძველიც, ახალიც. უმეტესნი იმ კაცთაგან ცხოვრებით და სიტყვით ფრიად საკვირველნი იყვნენ ჭეშმარიტად; სიტყვათა წიაღი მათ ფრიადის დამაშვრალობით გამოიძიეს, სიბრძნის მიწვდის თადარიგი დაიჭირეს და კეთილად მოახმარეს ადამიანებს როგორც უდიდესი სარგებელი; აქეთ მიმართავდნენ თავ-თავის წილ გონებითს მხილვარებას და დაჰამბვებას და სასხვისოდ — ყოველსავე, რაც წესია მშვენიერების და რაც სიკეთისგან იპოვება და დაჰნდება. ხოლო, რაც მყოფთა გონებითი მხილვარებიდან მისაწვდომია ადამიანური სიბრძნით, საეჭვოდ განსხვავებულ აზრს ბადებდა უმეტესად საფუძველთა სხვაობის გამო. რასაც სიტყვის მოღვაწეობის სფერო მოიცავს, ყოველივე მოსწრებული ჩვენამდე მომუშაკებულია და ვალის ერთად გადახდას ჰგავს აღვსება სხვათაგან სხვათა. ასე რომ ყოველივე სამზადისია თითოეულისა ცხოვრებისათვის და ლაგდება იმ ძველ მესაძირკვლეთაგან გარდამოცემულის ჩვენთვის დამაჰამბვებელთა უფრორე გარჯილობით, შემდგომთა მიმართ კაცთმოყვარებით და თავის მხრივ რისამე დართვით ძველისთვის. ალარაფერი დაგვრჩენია, არც ადგილია სრულებით, მომტანი რისამე ზიარი სარგებელისა, არც დროა მეშვეობისა ანუ რისამე მაგალითად დასახვისა და მით წინსვლის დაშურებისა; რჩება აუცილებელი ხელოვანება ენისა და მისი ყოვლგნით შემოზღუდვა. ვინმეს რომ კიდეკაც ემარჯვა გონებით, ახალი სათქმელი კი არ ექნებოდა, არამედ ადრინდელ მოსწრებულს გაასრულებდა და მსმენელთათვის წინ წამოსწევდა, ბოლოს ამას ზიზღით მოიტანდა, როგორც პატივმოყვარეთა წესია, ან რადმე სახმარად მიიჩნევდა მას, რაზედაც სხვებს უფრო ადრეც და ზიარობითაც, რასაკვირველია, უკეთ უთქვამთ, და გვიანი დაშურება ნაძალადევი უნდა ყოფილიყო და სულ აბუჩად უნდა აეგდოთ; არც არსებობს ასეთებისგან რამ სარგებელი და არც საგონებელია მათი უფრორე

ღვთაებრივობა,ადრე გამოთქმული ადამიანური სიბრძნის სხვარიგი ასპარეზობისა და სხვარიგი გონებითი მხილვარების მიხედვით, თითქოს ვისმე შეეძლო ამის შესაბამისად წარემართა თავისი საქმე და ასე გამოევლინა თავისი არსება. ამგვარად ჩვენ, სიტყვით წარუმატებელნი, ეხლა ძალიან შორს ვართ უენობის ჟამისაგან საიმისოდ, რომ ვიგრძნოთ აუცილებლობა თესვის მკობისა იგავით, რაც წილად გვხვდა, და გვაქვს მძაფრი შეგრძნება ილბალის ქონისა და ამას სიტყვით სწორედ ჩვენ გამოვხატავთ ეხლა, ბედნიერებას ნაზიარებნი, — მართალი გითხრათ, რამდენადმე ნაღვლიანად, მაგრამ მაინც გამოვხატავთ. რაც შემეხება მე, ყოველივე ამის შესახებ გამუდმებით ფრიად ბევრს რასმე ვგებულობ, ერთი მხრივ, ნაკარნახევი თუ წარმართებული ისე, როგორც არ მქონდა განზრახული, მეორე მხრივ, ყველასგან ზურგშექცეული დაღონებით და მალედ, რისთვისაც თითქოს განსჯას რასმე დამოვეკიდე ისე, რომ თან აქეთ მოვისწრაფოდი და თან არ მეამებოდა, ხოლო არღა ისე, თითქოს სრულიად უსიტყვოდ როგორღაც მომემოქმედებინოს. არც არის მრავალთა და ათასნაირთა შორის ვინმე ისეთი, გინდ მზა სარგებლისთვის ყოვლად განმზადებულთაგანი, რომ თავისი ლუკმა დაკლებოდეს. ასევე ჩვენზე შეიძლება ითქვას იგავით, რომ ენებივრობდით ოდესღაც სრული კეთილშობილებით და ყოველი სიკეთით სავსე სუფრასთან, ვტკბებოდით იმით, რაც მერე ეფემერულ ნუგბარად გვექცა და მოყირჭებისაგან გულისრევის მიზეზი გაგვიხდა. ეს კი ეხლა მომივიდა აზრად და შესაძლოა სრულიად უსიტყვოდ, შესაძლოა მოგონებათა რათმე შეუკვეცავად მოგაწოდოთ დარბაისლური შეგონებანი, რათა ახდეს ის, რაც მასულდგმულებს და რასთან დაკავშირებითაც ეს გარემოებანი ზოგჯერ ერთად განგვისჯია და ჩემთავადაც მიფიქრია; ამ გარემოებებთან შესწორებით, ვგონებ, არა მცირედნი დამემოწმებოდნენ, მოსმენის უმალ დამეთანხმებოდნენ და იმ აზრზე დადგებოდნენ, რომ, რამდენადაც განსჯანი თავისთავად შეიქცევიან და დაუნჯებულად ლაგდებიან, ამდენადვე [განძად დასამარხია] ის, რაც ჩვენგან, რომელნიც აწ ცოცხალნი ვართ, ეხლა ითქმის აუცილებელი ხმისამოუღებლობის და როდისმე თქმის უქმობის და სიძნელის ან წარუმატებლობის

შესახებ და იმის შესახებაც, რომ სულ ერთი მიზანი ექნება პირველს და იმავდროულად შემდგომის შესავალს.

თავი მეორე
მეხსიერების შესახებ (რომ აუცილებელია)

როგორც ჭეშმარიტად ყოველი საქმიდან [ჩანს], რომელიც არ უნდა განიხილოს და აწონ-დაწონოს ვინმემ, უჯობესია ადამიანს ახსოვდეს ვინმე მათგანი, ვინც მას გაუგო და ვინც მის წილხვედრს იზიარებდა ხოლმე სიტყვით და ყოველი საქმით, — ახსოვდეს, რათა [ეს ყველაფერი] სხვაგვარად არ შეაფასოს ვინმე გონიერთაგანმა, რადგან ყოველი სიბრძნის და ხელოვნების სათავე უფროისად ბუნება კი არ არის, აღმოსაჩენად განმზადებული, არამედ მეხსიერება ნერგავს, ამყარებს და ამზადებს აღმოჩენას. ცხოვრებაში ყოველგვარი გარჯილობის და მოქმედების და სიბრძნის ფრიადი სარგებლობა სრულიად წარმოუდგენელი იქნებოდა მეხსიერების გარეშე. სჯობს მათი დამახსოვრება, ვისთან ერთადაც რამე საქმე წამოგიწყია, ვისთანაც ყოფილხარ დაკავშირებული; ხოლო ვისთანაც უფრო ახლო კავშირი გქონია, მისი დამახსოვრება მეტადრე სჯობს და ფრიად სასიკეთოა. მაშასადამე, ყოველგვარი აღზრდის და სიბრძნის წესია, შენაძენი ყველა საშუალებით ჩაინერგოს; ბუნებით კეთილშობილთა და ნატიფთა თვისება განალა არ არის სიმტკიცე მეხსიერების, რომლის ძალითაც ერთხელ და სამუდამოდ დაუნჯებულია და დაშთენილია წმინდად სახმარად, რაც კი ადამიანს აღუქვამს ან რისთვისაც მიუგნია და დაშურებით მიულწევია. როგორც მდინარეთა დინების მაგალითზე ვხედავთ, თუ არ მიემატებათ [არსაიდან], ისინი აღარასოდეს მიიღებიან, რადგან ბუნებით მუდმივნი არ არიან. ასე რომ ნამდვილად ფრიად სასარგებლოა და აუცილებელი, თუ მეხსიერებისათვის სასიკეთო სხვა რამ მოიმოქმედება მთელი გულმოდგინე მეცადინეობის წარსამართავად და სრული წარმატების მისაღწევად; ეს [სხვა რამ, ახალი,] სავსებით საკმარისი უნდა იყოს და შეუძლებელი უნდა ჩანდეს, რაც არ უნდა შეემთხვეს მეხსიერებას, იგი არ წაადგეს. ან სხვაგვარად როგორ

უნდა იყოს, რომ, ალზრდის გამოცდილებით დამშვენებულს, მეხსიერებას თავის თავიდან გამომდინარე პოვნიერების და წინდახედულების მეშვეობით საზიაროდ არ ჰქონდეს სულში ალბეჭდილი გამოსახულებანი, ან ხატი და ქარაგმა მოძღვრების გარდამოცემისა და წინამძღვრობისა და გონება ოსტატისა და შემოქმედისა, ან ისეთი აზრთა წყობა, სიბრძნის მოყვარეს რომ შეეფერება, ან განდეგილური (ასკეტური) სიტყვიერების და ენის მოვლის უნარი, ან ის, რაც განმარტების მწიგნობრულ სჯულისმდებლობას და სიმყარეს შეესატყვისება. ან როგორ არის, რანაირადაც არ უნდა იწვრთნებოდეს ამის მიხედვით. ან როგორია კეთილ-მეშვეობა და გამოცდილების მოხმარება მშობლობისათვის, ანუ ის, რაც მეხსიერებით გვეძლევა, არის თუ არა საკმარისი, წყაროდ ექმნას გარდამოცემას. ძველთა შესახები ისტორიანი ფრიად სასარგებლოდ გვისახავენ გამოცდილების გამოყენებას და ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რომ სიტყვები უნდა შეირჩეს სანიმუშო მაგალითების მიხედვით და იმის მიხედვით, ვინმეს ცოცხალ მეტყველებაში თუ შეჰხვედრია. რანაირად ისარგებლებდა ვინმე გარკვეულ დროს აქედან იმით, რაც ჯერ დაუნჯებული არ იყო გონების მოლარეთაგან; შემდგომ კი უფრო ადვილად შესაძლებელი იყო უხვად შეეძინა იქიდან სიმდიდრე მას, ვინც იკისრებდა მეხსიერების საშუალებით მოეხმარა ყოველ საჭირო შემთხვევაში სიტყვიერადაც და მოქმედებითაც.

მითი გვიამბობს, რომ მანქანის მოქმედი დედალოსის გამონაგონი მსყიდველთათვის უფრო მეტი იყო, ვიდრე დაუკავშირებელთა კავშირები, რადგან, ვინმეს დაუკავშირებლად რომ შეესყიდა, ამით უმალ ასცდებოდა სიკვდილს; ამაო იყო დაშვრომა და გადასახდელი საზღაური და მსყიდველის თვალში დაზარალება სჭარბობდა. მაგრამ ჩვენთვის, სიტყვებს რომ ვუვლით და სიბრძნის საშუალებით სიტყვის მოქმედნი (დემიურგები) ვართ, არც მეტია რამე და არც რამენაირად გვეხმარება საიმისოდ, რომ მეხსიერების საკრველით ერთად ვიქონიოთ (ერთმანეთთან დავაკავშიროთ) მსჯელობათა სახეობანი და სულებზე ნატვიფრი და დაჩნეული სხვადასხვა ნიშნები სიბრძნისა: [ეს ყოველივე] წამიერად, ფრია-

დის სისუბუქით არის წამოწყებული, მდგრადობას მოკლებულია და იშლება და ქრება ყოველი შემთხვევისათვის. მაშასადამე, ღმერთისგან ბოძებული უდიდესი ნიჭი ჭეშმარიტად მეხსიერების ფრიადი სიკეთის ქონაა, როგორც დამაგრება არა ადვილად განსაკარვებელი და რღვევადი შენაძენისა. ვფიქრობ, ყველაზე მეტს ელირსებოდა და დიდ სასყიდელს მოიავჭრებდა ის, ვინც მეხსიერებისათვის კეთილშობილურს რასმე მოიმოქმედებდა და ამრიგად სიბრძნეს მრთელად მიემთხვეოდა, და ეს სიტყვისმოქმედება უნდა ყოფილიყო. სხვა რა დაჰრჩენია ხელმწიფეს ან მთელს მთავრობას და წინამძღვრიანებს ფრიად სახმარად და ცხოვრების სარგებელად, როგორც სრულიად მეხსიერებისათვის საკეთებელი — არა მხოლოდ უწინარესთა დასაჰამბვებლად, თითქოს შორეული ეამთა უწინარესობა და გმირთა ამბავნი და საქმენი იყვნენ [ოდენ] მოსასმენნი, არამედ სათითაოდ ყოვლისავე იმის სათქმელადაც, რაც ეხლა გარდაგვხდება, რაც გვესმის და ვხედავთ და რაზედაც ერთად გვიმსჯელია ეხლა თუ უწინ, — ახლობელზე თუ შორეულზე, მათზე, ვისგანაც კეთდება მუდამ ყველაზე სასიკეთო საქმე და არც ტყუვდებიან, არც აბუჩად ასაგდებნი ხდებიან ადვილად, არც ანგრევენ ვარგსა და დროულს, — არამედ ზოგ საგანს, უფრო კარგს იქმან, რომ ეხებიან, ზოგსაც ერიდებიან, ზოგს იძიებენ გასათვალისწინებლად, ზოგსაც ალაგებენ სავსებით მშვიდი მოცალეობით, თითქოს ერთი ფიქრობდეს და სულ მუდამ ისე, როგორც მოუხდება საქმეს დაწყება. ეს ხომ პლატონმა წესად დაუდო ადამიანებს შესაფერისი და შეზავებული ცხოვრებისათვის, მოქალაქობა რომ აღწერა და გასაზრა ყოვლად ბრძნული ბუნებით, ძველთა მოგონებით რომ ისარგებლა, თუ ვისმე სხვათა უმეტესი სიკეთე რგებოდა გამოცდილებით, და მეხსიერების ხელოვნება იზრახა მეფედ და თავისი ქალაქის უჩინებულეს წინამძღოლად, თითქოს, ეს თუ არ წაადგებოდა ყოველივე იმასთან ერთად, რაც მის გამო დააკანონა და რის ძალითაც საწინამძღვრო ხელისუფლების წილისყრა მოხდა, მთელი აუცილებლობა გაუცუდდებოდა და თავიდან გასაკეთებელი ექნებოდა საქმე. ნუთუ უამისოდ აღწევს კაცი, რასაც უპირატესობას აძლევს და რაც მიზანია ყოველივესი დასაბამითვე,

ან უამისოდ განსცდიან განა სამთავრონი და სამფარველონი, რომ რაც კი ჯერ-არს, მათთვის იყოს საუკეთესო. ასე რომ ყველაზე სასარგებლოა და აუცილებელი – დამახსოვრება, რასაც მეცადინე განიცდის ზედაზენობის ხმარების მიმართ ახლობელთა და სწორთა შორის, რაც დაშურებით ჰსმენია და რაც უხილავს; ძველთა შესახები ისტორიიდან რა სიტყვებიც და რა საქმეებიც (კეთილად გასრულებული თუ გაუსრულებელი) ერთხელ და სამუდამოდ ჰხვდომია წილად და რომელთა მახსოვრობითაც მას, მეცადინეს, ყოველგვარი სამეფო და სამთავრო მმართველობა [გაუვლია] ბრძოლით თუ სამშვიდობო შეთანხმებით გარეშეებთან – ოსტატის ხელით სიკეთის საქმნელად და წარსამართებლად, რათა საცთურს არ დაემონებინა, რათა უმეტეს საქმეში გამოუცდელობა არად ჩაეგდო და ეპატიებინა ყოველივე ნახმარი საღონებელი.

ნიკიფორე ქსანთოპულოსი

ნიკიფორე ქსანთოპულოსი XIV საუკუნის მოღვაწეა. მისი თხრობის ხასიათზე წარმოდგენას მიიღებს მკითხველი მარიამ მაგდალენელის თემაზე შეთხზული საკითხავის ამ მცირე მონაკვეთის თარგმანითაც. გახშირებული სიტყვის დახვავება ბიზანტიური მჭევრმეტყველების გასაცხადებლად დასჭირდებოდა უთუოდ ავტორს, მაგრამ ეს სიტყვამრავლობა, ჩვენი აზრით, შორს დგას თვით ბიზანტიური მჭევრმეტყველებისაგან, ხოლო ელინურ ენამზეობასთან თითქმის არაფერი აქვს საერთო. თუმცა თავისი ეპოქის დიდოსტატებით (პლანუდესი იქნება ეს, თუ პალამასი, თუ სხვა) დაჩრდილული, ნიკიფორე ქსანთოპულოსი მაინც ბევრს გვეუბნება ბიზანტიური ლიტერატურის უკანასკნელ პერიოდზე და იქნებ განწირულიც არის 1453 წლის მოახლოებული საგოდებელით. რაც შეეხება ქსანთოპულოსის ლოცვებს, რომლებსაც ქრესტომათიის ამავე ნაკვეთში ვათავსებთ, აქ ალბათ მას „არაფერი უთქვამს თავისი", როგორც მოკრძალებით გვანდობდა იოვანე დამასკელი.

სიტყვა
წმინდისა და მოციქულთა სწორის, მეძველსაცხებლის მარიამ მაგდალენელისადმი

თუკი ზოგჯერ სიტყვითაც მიხდებოდა შესაფერისად მემოქმედა, ეხლაც აშკარად ასეთ საქმედ მიმაჩნია თავი გადავდო ნეტარისა მაგდალენელის ღვაწლის აღსაწერად და აწინდელი თხრობა მის მიხედვით ავაგო და მას დავეყრდნო ვით გულმოდგინე შრომის მიზეზს. წმინდანი სიტყვის უზესოაესს ჰიპოსტატურ სიტყვას არ ექმნა უსარგებლო, მის მოძღვრებას სარგებელი მიუზღო და ცოცხალ სიტყვას ქადაგებისას თავის მხრივ არა-მცირედი ძალი შეეპმატა. ხოლო ვინც ყოველმხრივ ვსაზრავთ და ვწონით სათქმელს, გარდუვალ საკითხავად და საჩვენოდ მიგვაჩნია სიტყვა მის შესახებ, რადგან სხვას არავის შეეწყობა სათქმელი ისე და, თუ არა საქმე მაგდალენელის, სხვა არ გამოდგება სიტყვის მასალად და ყურისმგდებელ სიტყვის-ტრფიალთათვის საამბობელად. რომელი იქმნა

სიტყვით ცათა საქმეების მესაიდუმლოდ და ზემხილვარად ხელთ-
დასხმული და სხვათაცა ხელთდამსხმელი, მან სარწმუნოების სი-
ტყვა სრულის გულმოდგინებით მიაწვდინა ქვეყნის კიდეებს და,
შესაფერისად რომ მიეგოთ სიტყვით ყოველი პატივი, იამებდა მისი
სული და, ვიცი, დიდად არ დაუმადლებდა მის მიმართ სიტყვით
კადნიერთა. რა საქმითაც და როგორი ცხოვრებითაც დარჩება
თითოეული, რასაც თავს მისცემს და რითაც იამებს, მითვე წავა
წუთისოფლიდან და, თუ ვისგანმე იხილვება პატივდებული, უფრორე
ლაღია და გამოუთქმელი სიხარულით ხარობს. ამიტომ უხდება
მას, ვინც ლოგოსს დაემოწაფა, საკუთარი შესხმა და ენკომიონი.
არცარა სხვა მიზეზით გარდუვალია ჩვენთვის სიტყვის თხზვა
მაგდალენელზე, თუ არა მით, რომ კაცს, სიყრმითგანვე მესიტყვედ
ნაღვაწსა და სიტყვებით ნაზარდს, მათ რომ შეაფერა ყველაფერი
და ღმერთისთვის რომ უნდა მიერთმია სიტყვანი პირველ მოსთვ-
ლულნი, არრა აამებდა როსმე უფრო მეტად, ვიდრე სიტყვა ლოგ-
ოსის შესახებ და თხრობა მათზედ, რომელთაც რწმენის გარ-
დამოცემა ამა სოფლად განავრცეს. და, მესამეც, მე ვფიქრობ,
უგუნურთა, უფრო კი უმადურთა წესია, რომ უზომო მადლობა
გადაუხადონ მათ, ვისნი ჩამომავალნიც არიან სისხლით, ხოლო
მათ, რომელნიც უპირველესად იქმოდნენ ჩვენთვის უმჯობესს და
მიზეზნი იყვნენ სულიერის ზრდისა და აღორძინების, სულ უმა-
დურნი დაურჩნენ და შესატყვისად მათთვის გადახდა არ მოიწად-
ინონ. სავსებით ნათელია, რომ უპირველეს მოკეთეთა და სული-
ერად აღორძინებულთა შორის არა-ორაზროვნად იგულისხმება
ნეტარი მაგდალენელი. თუ ადათია ფრიად შჯულიერ და სა-
მართლიან შვილთა საქმეების მამისთვის მითვლა, ხომ ასევე მოწა-
ფეთა საქმეებიც სრულად მოძღვარს უნდა მიუთვალოს ვინმემ;
ხოლო თუ მოციქულთა მსწავლელად ქრისტეს შემდგომ სხვის
დაყენებას ისურვებენ და ნეტარ მაგდალენელს სიტყვას გამოსწირავენ,
ქრისტიანებს ვალად ედებათ (მე არ ვიცი, ამას ადვილად როგორ
შესძლებენ), მოციქულთა საქმეებს შორის მისიც იგულვონ; ჩემგან
ურიგოდ არცარა ითქმის და სიტყვა, დე, ჯერისაებრ სარწმუნო
იყოს. თუ საჭიროა, დავეყრდნობით საკვირველ პავლეს, რომელიც

კორინთელებს სწერს: „უკუეთუ მკუდარნი არა აღდგებიან, არცა ქრისტე აღდგომილ არს. და უკუეთუ ქრისტე არა აღდგომილ არს, ამაო არს სარწმუნოებაჲ ეგე თქუენი"[1]. მაგდალენელს პირველს მოუხდა აღდგომილი ქრისტე ეხილა და აღდგომა მოციქულთათვის ეხარებინა, თუნდაც ფუჭად მოსჩვენებოდათ მისი სიტყვები; გვმართებს სწორედ მას დავუკავშიროთ სრულად საქმე სამოციქულო, თუ პირველად მპოვნელისაგან პოვნას ზრახვა-მშვენიერნი გაიაზრებენ. ამის მერე ასპარეზობის გადმოსაცემად სიტყვას რომ მოვიმარჯვებთ, თითქოს განუმზადებელი ნავით დიდი ზღვის გადაცურვას ვაპირებდეთ და მცირე აფრით დიდი ტალღის გადალახვას, ისე გვესახება ამ მოკლე და ყოვლად უბადრუკი საკითხავით ნეტარისა მის დიდებულთა საქმეთა თხრობის მოწადინება; ამ საქმეს და მით მოქადულობას ჩვენ სხვებს ვუთმობთ, რომელთაც ძალი შესწევთ და ენამჭევრობაც ჰყოფნით მის მოსაღვაწებლად. მაგრამ საქმის ხელუხლებლად დატოვებაც უჯეროა, რაზომ არღა საცინელია სიჭაბუკის ყვავილის შენახვა. სახარებიდან ხომ გახსოვთ, სახვნელზე ხელის დამდებნი რომ საწინააღმდეგოდ შეიქცევიან. ვინც საქმეს ხელს ჰკიდებს, მას შეჰფერის — უმალ ბოლომდე მიჰყვეს, ვიდრე დაუმთავრებელი დატოვოს. ხოლო სიტყვით ვალმოხდილნი ვიქნებით-ღა, ანუ ვალს გადაეუხდით-ღა მამებს, რომელნიც ყოველ ცისმარე ზრდიან ჩვენი სულების სივრცეს და, როგორც უთქვამთ, ჩვენთვის გულს განიკაფავენ? ისინი არ დაცხრებიან, სანამ ნეტარი მაგდალენელის საკითხავებისათვის თავს არ გადავდებთ, და, რაკი ეს ასეა, მოდით, მაგდალენელის მეოხებით საკითხავის თხზვას ვეცადოთ და ყოველგვარი შიში და სიმხდალე მოვიშოროთ. სიტყვის საფუძვლად ივარგებდა, როგორ და საიდან იწყება ნეტარისა ამის გვარი; მერმე დალაგებით მოვყვებოდით, როგორ მიეახლა ქრისტეს, როგორ მოუხდა სახარების მონაწილეობა.

2. ვფიქრობ, ჟამი აწინდელი სრულიად შეუფერებელია ნეტარისა მაგდალენელის მამულის და გვარის შესახებ საამბობელად; ეს

1. 1 კორინთელთა მიმართ, XV, 16-17.

არც დასახულ მიზანს შეეწონება. რადგან, ცხადია, მამული მათი, რომელთაც ღვთის მოსაწონად უცხოვრიათ, არ წარხდება და სამოთხე არს საყოფელი სანეტარო. ხოლო წინაპარნი არიან მამათმთავარნი და წინასწარმეტყველნი, მოციქულნი და მახლობელნი — მოციქულნი და მართალთა კრებული და სხვანი, რომელთ ზესთა იერუსალიმს შინა ეკრძალებიან და პატივით ჰმოსაენ. და მისოვის, ვისაც შეუძლია იყოს ამათგან მონაკრძალი, ქების მირომევა, ვფიქრობ, სრულიად ზედმეტია და უაზგილო, არცალა დროა შესაფერი, იმ მცირედისგან, რაიც მან თავად დაუტოვა მოსურნეთა, თითქოს არცკი არსებულიყოს. ქება მოვკრიბო, ადამიანი, რომელიც ფრიად გამოერჩევა ნივთიერს და, ძისგან მოშორებული, ნამდვილი ბედნიერებისთვის მოიცლის. შესძლებს ესეკითარის მოპოვნებას, თუ მისი სამშობლო ხვედრის ლამაზი აღსუბუქებით გარდაამეტებს სხვათა. — კარგი მდებარეობის მქონეს, თუ არ აკლია სიმაგრენი და მშვენიერი სანახაობანი. ზღვას ემეზობლება და სხვათაგან სარგებელს მიიოვლის. ზღვა კი მას, მცირედ დაშორებულს, ავს არას შეამთხვევს. ნეტარსა მას წილად ჰხვდა ბედნიერება — ყოვლისაკე უგულებელყოფით ქრისტე მოეგო და სამშობლოდ ზეციური იერუსალიმი შეეძინა და მიწიერი ესე ნივთება გადაელახა და ღმერთთან დაეკანა და შეროვოდა; არცრა ქვენა საქმე დაიგულა საქებად და არცარა თავისი უნნდა სადიდებელად. თუ ვისურვებდით, მისი სამშობლოს დასახელებაც შეიძლებოდა და, ჩემი აზრით, არ ღირდა სიამოვნება მოგვეკლო მათთვის, ვისაც ბევრს რასმე ეტყოდა ის, რომ ნეტარისა ამის ქალაქი, პატივით შემკული და სიტყვა-მრავლობის ღირსი, სულ არ ჰგავდა სხვა ქალაქებს, რომ მათზე უმეტესად თავს იწონებდა და რომ ჯერეთ აღუწერელ სიწმინდეთა მისთა სიუხვე არ იკმარებდა, რათა იგი სხვა ქალაქებზე აგრერიგად აღმატებული ყოფილიყო. ოღონდ ნუ ვიფიქრებთ, ეს რომ გაუწყეთ, რაც ჩვენ გვგონია, საყვედურით არ გვითხრას ვინმემ, ვისაც წმინდანის შესახებ დანაპირებს ვერ მოვუყვებით (მოდით, ვაჩვენოთ ამთავითვე, სამშობლო მისი როგორი ჰსურდა ყოფილიყო), რომ სამშობლო არანაკლებ ამშვენებდა მას, ვიდრე იგი სამშობლოს.

3. ლოგოსს დამოწაფებულის ნეტარისა მაგდალენელის სამშობლო იყო ქვეყანა, რომელი ღმერთმან აღუთქვა დიდს მამათმოძღვარს აბრაჰამს და მის შთამომავალთა. — აღთქმული ქვეყანა. სამკვიდრო ისრაელისა. მას შემდეგ რაც ეგვიპტით განეკლტნენ შეცოდებას. მე ვფიქრობ, საღმრთო წერილს აქვს მინანდობი ნეტარისა მშვენიერთა საქმეთა ამაღლება. რა სიტყვებს იხმარდა ვინმე, დანარჩენი სადიდებელიც მოკლედ რომ გადმოეცა? დუმილით ქება სჯობს იმას, რომ თხრობას დაეშუროს კაცი, ვერ შეძლოს და საცინელი გაიხადოს თავი. ერთი სიტყვით, მშვენიერი იყო ნეტარისა მაგდალენელის სამშობლო და არანაკლების ბრწყინვალებით გამოსაჩენი — მისი გვარი. მამანი ესხნენ. მარტოობაშიც ძალმოსილნი. ქვეყნის რჩეულნი. სიმდიდრით აღვსილნი; ზეგარდმო ჰქონდათ მონიჭებული მადლი დიდის გვაროვანების. მზის აღმოსავალის მხარითგან იყვნენ. ტანად კეთილ-აღნაგნი და სულით უფროისად კეთილშობილნი. ითბის მაგალითის მიხედვით, ყველა გლახაკს მიუკერძოებლად კარს უღებდნენ და შველას არ აკლებდნენ. მკელობელთა ექმნებოდნენ ვითარცა ფერხნი მართალნი, ვარგოდნენ თვალისჩინად თვალდავსილთათვის, ფრიად შეეწეოდნენ ქვრივთა, შეიფარებდნენ ობოლთა, თავიანთი მზრუნველობით ობლობის სიავეს არ განაცდევინებდნენ. მაშასადამე, რა გამოდიოდა? განა უცხო თვალისთვის, გარედან შესახედად, კარგად არ ჰქონდათ საქმე, შინაურთა თვალში კი განა არ განსცხრებოდნენ და ნებიერად მოთენთილნი არ ატარებდნენ დროს? სრულიადაც არა. მათი დაუცადებელი საზრუნავი იყო სალმრთოდ თავის განკუთვნა სისხლით და მსხვერპლის წვის სურნელებით და აღზრდის წესი, რომლის საგრილს შეფარებაც ბეწვზე ეკიდა. ნეტარი მარიამი დაიბადა ოქტავიოს კეისრის (სევასტოსადაც წოდებულის) ხელმწიფობის შუა ხანებში. საკმარისი იყო მამათა პატივმოყვარეობის გაღვიძება, რომ მათ გაეგონათ ესევითარის ასულისათვის. თუ თავისი მადლმოსილი ცხოვრება ასულს მისთვის უნდა შეეწირა, რომელი იყო ზესთა გონებისა და სიტყვისა, მამებით უნდა გამობრწყინებულიყო იგი და მამანი — მით. როდესაც დედის ძუძუს მოშორდა და ფეხი აიდგა, ოიოისტარს კი არ მიუჯდა, როგორც

სოლომონი გვასწავლის, და მატყლს კი არ რთავდა ან აბრეშუმის სამოსს კი არ ირგებდა, ლამაზად თხზულსა და ჭრელ კაბას ოქროქსოვილს, არამედ მწიგნობრობის სწავლა ისურვა, რა სიტყვის ჩირაღი ცეცხლისათვის აღენთო და ცხენი სარბიელისთვის განეშზადა და გაიწვრთნა, ვითარცა წერილ არს ზემხილვარი მოსესგან და დანარჩენს დაფარულს საღმრთო წერილშიც ვკითხულობთ, ანუ როგორც წინასწარმეტყველთა წიგნები და ფსალმუნნი გვასწავლიან. განსაკუთრებით ფსალმუნებს აღჰკრვოდა მისი სული და დღედაღამე მით იწვრთნებოდა და გამუდმებით წინასწარმეტყველთა წიგნებს ჩაჰკირკიტებდა, რომელნიც ქრისტეს და მესიის შესახებ ფრიადის ბრწყინვალებით ჰყვებიან ამბავს.

4. რა აღესრულნენ მშობლები, ასულმა მთელი სიმდიდრე მიმოაბნია, განათლებას მიჰყვა, რადგან ფუფუნებას არად აგდებდა, სხეულს ნეტარი მოთენთილობის საშუალებას არ აძლევდა და სხვა საშვებელსაც არიდებდა. ყვავილობის ასაკმა განვლო, წლებმა დაამძიმა და ბუნებითთა საწადელთა ჟამი დგებოდა, მაგრამ მისი დაუცადებელი საქმე იყო მარხვისჭერა და ლოცვა, ხორცის დაწრეტა და თავის საღმრთოდ განკუთვნა, სარწმუნოებაზედ ზრუნვა, საღმრთო წერილის კითხვა; გაჭირვებულებს არას დაუჭერდა, ისინიც მადლიერებით იღებდნენ შენაძენს და მისი დიდსულოვნების წყალობით სიმდიდრე დიოდა განძთსაცავიდან. არც საკუთარ ხელებს უფრთხილდებოდა, როცა სნეულთ ნაიარევ სხეულს ჰბანდა და დასაამებელი საცხებელით ჰზელდა. ყოველნაირად მათს ულონოებას უოხებდა. სამადლოდ მადლიან საქმეს ეშურებოდა. ცხოვრების ისეთი უმანკოებისათვის მიეღწია და ისე ჰშვენოდა ქალწულება, დღესასწაულთაგან თავს შორს იჭერდა და აღიკრძალავდა და არც იყო ადათი — ხშირად სწვეოდა ახლობლებს და მამაკაცებთან ეტრიალნა. ქალწულებრივ ცხოვრებას მისდევდა, გრძნობებს საქმეს არ აკარებდა და მათს აყოლას უადგილოდ თვლიდა; საკმარისად უჩნდა, თუ რამ საქმე მოითხოვდა და სულიერად ტკბობა შეეძლო. რადგან სხეულის წვთრნას სამარცხვინოდ რაცხდა, გასაგონო საქმისკენ იყო მიქცეული და გონების შემწეობით, თვალთა განურეკნელად, წვდომას კმარობდა; ასე რომ ფრიად საჭიროა მის

შესახებ ცოდნა მათთვის, ვინც ეხლაც სიქალწულის წვრთნას და ასკეზას ირჩევს. იგი ერიდებოდა უზომო სიცილს, სიტყვამრავლობისაგან თავს იკავებდა და, სიწყნარით შვებული, მარადღე იყო ღმრთისა თანა, გონების სიწმინდით და საღმრთო წერილის გამუდმებული კითხვით სხვათათვის მაგალითად ქცეული, უწინარეს ყოვლისა, ათვალისწუნებამდელი სიქალწულითა და უმანკოებით.

ლოცვა
ამაღლებაზედ პატიოსანისა და ცხოველსმყოფელისა ჯვარისა

უფალო ღმერთო ჩვენო, თავს-მდებელო მხოლოდშობილის ძისა შენის გამოვლინებად, რომელმან თავს-იდვა ყოველი ვნება მაცხოვრებისათვის მოდგმისა ჩვენისა და რომელს მოათმენინე ჯვარი და სიკვდილი, რათა დაგეხსნენით მწარის სიკვდილის ხელმწიფობისაგან და რათა აღგემაღლებინა ყოველი თაყვანისცემად პატიოსანისა და ცხოველსმყოფელისა ჯვარისა, რომელი არს უბრძოლელი და უძლეველი საჭურველი. შენ გეეედრებით და გიხმობთ მამად გვამოვანისა (ενυποστατου) და საუკუნეთა თანამფლობელისა და თანადიდებულისა სიტყვისა, რათა ესევითარითა ცხოველსმყოფელითა ჯვარით ერთზრახვად შეაერთო და შეანაწევრო ქრისტიანთა გვარი შენ, რომელი ღმრთისმოსავთა და ქრისტეს-მოყვარეთა მეფეთა ძლევით შეჰმოსავ და გამარჯვებას უბოძებ, არა მხოლოდ უხილავთა მტერთა ზედა, არამედ ხილულთაცა, რომელნი წინააღუდგებიან თვისის ხელმწიფობის ძალით. ჯვარით ჯოჯოხეთი განიძარცვა და ტყვე იქმნა, ბჭენი სამოთხისანი განიხსნენ და ცათა მიმართ აღგვევლება ჩვენ. ჯვარით ვესავთ აღწევნას ღმრთისა მარჯვენით დგომამდე. ჯვარით აითერი განწმინდავდა, ქმნული განახლდა, ყოველნი ცათანი და მიწისაგანნი ერთ ეკლესიად შეერთდნენ. ჯვარით მეფენი მეფობენ, ჯვარით განიმართა მოწამეთა ქორო, მღდელმთავართა კრებული, მონაზონნი იდიდებიან, წმიდა მღდელმსახურნი ჰშვენიან, დიაცთა მოკრძალება იქმნება და ყოველი ესევითარი ჯვარით არს და მისი თაყვანისცემით. ეჰა, უფალო ღმერთო ჩვენო, მამაო სატკივრიანთაო, წყალობის წყაროო, კაცთმოყვარების უფ-

სკრულო გამოუკვლეველო. მიოხე შენს ცოდვილსა და უღირს მონას ჟამსა ამას შინა და დააყუდე ცოდვილთა კვერთხი, გაწყვეტილი წინააღმდეგ მარადალთა და მეტკვიდრეობისა შენისა მოსურნეთა, და ნუ გაგვიმეტებ საბოლოოდ წმიდითა სახელითა შენითა; არამედ ქრისტეს-მოყვარეს მეფეს ჩვენსას შვება მოეც შემოგრაგნილის სანაღველელისგან და იხსენ უბედურებისაგან და ამბოხისა და ქიშპისა. განაძლიერე მკლავი მისი, გაამყარე საზღვარნი მისის ქვეყნისანი და წინააღმდგომნი მისნი ფერხთა ქვეშე მისთა შეაერდომე.

ანგელოზთა მწყობრნი მცველებად შემოავლე. მოიღე მისთვის სრული და დაურღვეველი სიმშვიდე, რათა ჩვენც, რომელნი მოვიშორებთ ბრძოლებსა და ქიშპობას, უშფოთველად და წყნარად ვიცხოვროთ, ყოვლად რიდით და მოკრძალებით, ერთპირად და ერთგულად გადიდებდეთ და გაკურთხევდეთ შენ, მხოლოს ჭეშმარიტს ღმერთს ჩვენსას პატიოსანისა და ცხოველსმყოფელის ჯვარის ძალით, ზესთა-კურთხეულისა ღმერთისმშობელის და ყოველთა წმიდათა მეოხებით. ამინ.

ლოცვა
საღმრთო ტაძრის სატფურებაზედ

უფალო ღმერთო ჩვენო, რომელმან მხოლოითა სიტყვითა შეჰქმენ ქმნული და არსად მოიყვანე, გამოუოქმელი სიტყვებით უთვალავი ფერის მიეცი სახე. ზეგარდმოსული მასზედ სული შენი მოუვლინე და მზისფერი ესე ნათელი ზედ გადმოაღვარე სატფურებისათვის ამის; შენ მსახურსა შენსას მოსეს შოაპბერე ქება გამორჩეული, რათა მისგან დასძენდა შენს ბრწყინვალე დემიურგიას და შემოქმედებას და ეთქვა, გიხილეო შენ, ნათელო, რომ მშვენიერი ხარო, და მისთვის დღე ეწოდებინა. ვითარცა ჩვენ გიხილეთ და უნათლესს მზეს, რომელი სატფურებას იქმ ყოვლისა ქმნულისათვის, ჭეშმარიტად დღისიერ მზედ გადიდებთ და ნათელსა შენსა — დაუსაღამოებელად. რომელმან ძისა შენის ჩვენდა მოვლინებით განაახლე ჩვენი ბუნება სულისა მიერ წმიდისა, ამა საბოძვარით განანათლე მართალნი მზისაებრ, გევედრებით და გიხმობთ მამას სიტყვისას, უფალს და ღმერთს ჩვენსას, ვინათგან გამოუოქმელი-

თა კაცთმოყვარებითა შენით და განუზომელითა წყალობითა შენით განახლება და სატფურება შეიწყნარა ქმნულმან და ძველი რჯული ახლისა აღთქმის სახედ გვექმნა შენს ღმრთის-მხილვარებასა შინა სინას მთაზედ და იმა საკვირველსა მაყვლოვანსა შინა და წამებისა კარავსა შინა და იმ სოლომონის უმშვენიერესსა ტაძარსა შინა. მწყალობელი თვალით მოიხილე ჩვენ ზედა, რომელნი ვართ ცოდვილნი და უღირსნი მონანი შენნი და ვსახლობთ სახლსა ამას შინა ცადმდე აწვდილსა; იგი არს სოფლისა მრთელისა სიქადული. გამოუთქმელისა შენის დიდების ჭეშმარიტი საკურთხეველი. ზეგარდმო ყოვლად წმიდა სული შენი მოავლინე ჩვენ ზედა და სამკვიდრებელსა შენსა ზედა და, ღმრთეებრივის დავითის თანახმად, ააღორძინე გულთა შინა ჩვენთა სული წრფელი და წინამძღვარის სულით განგვაძლიერე. მეფეთა ჩვენთა ძლევა შეჰმოსე ხილულთა და უხილავთა მტერთა ზედა, ხოლო ჩვენ ერთ-ზრახვა გვყვენ და მოგვეც მშვიდობა; რომელთ უქმნიეს სახლისა ამის და ტაძრისა სატფურება სიყვარულით ღმრთისა და გულმოდგინებით, ახსენ შეცოდებათაგან, რათა ითხოონ მაცხოვრება. განაღვიძე ისინი მცნებათა შენთა მომუშაკებად, მოჰმადლე სულისა შენისა წმიდისა საბოძვარის განახლება, რათა დაუფიქრებლად თაყვანი გცენ შენ — მხოლოს ჭეშმარიტს ღმერთს და იესუ ქრისტეს მომავლინებელს ღმრთისმშობელის და ყოველთა წმიდათა შენთა მეოხებით. ამინ.

სხვა ლოცვა
ტაძრის სატფურებაზედ

საუკუნეთა უწინარესო სიტყვაო და ძეო მხოლოდშობილო ღმრთისაო, ღმერთო ჭეშმარიტო, შემოქმედო ყოვლისა ქმნულისა შეგრძნებადისა და საცნაურისაო, რომელმან ქმნული ესე ყოვლითა სიბრძნით შეამკვე, მიწას სისოვლე მოუტანე და წყალთა დარღვეული ბუნება ერთ შესაკრებელად შეჰკარ და მრთელი დედამიწა დაჰმწყაზრე (κατακοσμησας) შენი ღმრთეებრივი სულით, რომელი ზეგარდამო წყლისა მოჰფინე, და მრთელი სამყარო განაახლე, კარავი იგი წამებისა მოსეს ხელით ფრიადი ხელოვანებით განამზადე და წმიდითა სულითა შენით განაახლე და ბრძენს სო-

ლომონს უბრძანე აღეგო ტაძარი წმიდა და ფრიად შვენიერი გამოუთქმელითა და დაუჰამბვებელით დიდებით შენით და ჰქმენ მისი სატფურება და ენკენია სულიწმიდითა შენით და დაჰფარე დიდებითა და სულიწმიდის მადლით და განამზადე საკურთხეველად წინაშე მოხუცებულ იუდეველთა. გევედრებით და გიხმობთ, დაუსაბამოო სიტყვაო და ძეო დაუსაბამოისა მამისაო, რათა ამას ჟამსა შინა ჩვენც მოგვივლინო მადლი ყოვლად წმიდისა სულისა და აწ გამოლვიძებული ტაძარი შენის დიდების მეტყველებად და ქებად განაძლიერო და ძალი მისცე შენ, შემნახველმან მისმან, საუკუნეთა დასასრულამდე და სულითა წმიდითა შენით იგი განაახლო, რათა აქ მოგართმევდეთ მსხვერპლს უსისხლოს და ზიარ ვიქმნეთ სულისა წმიდისა, რომელი აღორძინდა ჩვენ შიგან და განგვიმტკიცა გონებისა ჩვენის წინამძღვარობა და საიდუმლოდ მოგვცა გონებითი მსხვერპლი გონების განწმენდით, რომ მოგართვათ შენ — ღმერთს მბრძანებელს, პატივად და სადიდებელად დაუსაბამოისა და უკვდავისა მამისა და პატივად შენდა, მხოლოდშობილისა ძისა მისისა, და ყოვლად წმიდისა და კეთილისა და ცხოველსმყოფელისა სულისა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

სვიმეონ თესალონიკელი

სვიმეონ თესალონიკელი მიტროპოლიტი იყო 1410 (1418?) – 1425 წლებში. გარდაიცვალა 1429 წ. ფრიად განსწავლული პიროვნებაა, მრავალი თეოლოგიური თხზულების ავტორი, გალობანი და ლოცვებიც უწერია. ცნობილია როგორც ერეტიკოსებთან (ანტიპალამიტებთან და სხვ.) მოპაექრე და კლირიკოსთა დამმოძღვრებელი სხვადასხვა ლიტურგიკულ-დოგმატიკურ საკითხზე.

(საეკლესიო – თეოლოგიური ენციკლოპედიიდან)

წმინდა ტაძრის შესახებ

ვისაც სურს საღვთო ტაძრის აშენება, მღვდელმთავართან მიდის და ითხოვს ამისთვის ნებართვას, რამდენადაც არავისა აქვს უფლება – მღვდელმთავრის განკარგულების გარეშე შეუდგეს ამგვარ საქმეს, და საჭიროა, რომ საღვთო საქმეები აღსრულდეს ღვთაებრივი განგებითა და ნებით, და ღვთაებრივში ღმერთი უნდა იყოს დასაბამი ყველაფრისა, წინამძღვარი და აღმსრულებელი, რომელიც არის იესო ქრისტე, – ამბობს ღვთაებრივი პავლე. ხოლო ქრისტეს ტახტზე მისივე ნებით ზის მღვდელმთავარი. იგი გამოსცდის რა აღშენების მსურველს, ვაითუ მან დაიწყოს და აღარ კი განასრულოს, როგორც სახარებაში სწერია გოდოლის შესახებ, მიავლენს, რათა დაწყებული დაუმთავრებელი არ დარჩეს, ან დასრულებული და განახლებული ტაძარი არ მიატოვოს და შემდგომ უმოქმედოდ არ დაადგოს აუცილებელი ნივთების უქონლობის გამო. ამიტომაც აშენების მსურველი, მას შემდეგ რაც მიიღებს რჩევას და სიტყვას დადებს, რომ ბოლომდე განასრულებს და ყველა საჭირო ნივთით მოამარაგებს, აშენების უფლებას იღებს. შემდეგ ჭრის საძირკვლებს, მოიმარაგებს სახმარ ნივთებს და, როცა აშენების დრო დგება, თვითონ მღვდელმთავარი მოდის ამ ადგილას. წმიდა სამოსელით შემოსილი, თანმხლები სასულიერო პირებით, იგი აკურთხებს ღვთაებრივ საქმეს და იმ დროს, როდესაც სასულიერო პირები სამწმიდის ლოცვას აღავლენენ, აკურთხებს საკმეველს, აიღებს სასაკმევლეს და საფუძვლებსა და გაჭრილ საძირკვლებს

ჯვრისსახედ დალოცავს და ყველაფერს წმიდა-ჰყოფს საკმევლით, რადგან ეს უკანასკნელი განასახიერებს სულიწმიდის მადლს, ხოლო ჯვარი — ქრისტეს. და კიდევ უკმევს ყველა იქაურ ნივთს. ამით წმიდა-ჰყოფს მათ. რადგან ისინი მომზადებულია ღმერთის წმიდა სახლისთვის. შემდეგ იქ მყოფებს უკმევს საკმეველს. მოუწოდებს რა მოღვაწეებისაკენ. განწმედს მათ და მიემართება აღმოსავლეთი საძირკვლებისაკენ. სადაც საჭიროა. რომ დაიდგას საკურთხეველი. და. აღმოსავლური საძირკვლების შუა მდგარი. — იქ. სადაც იქნება აღსავლის ნახევარრკალი (საკურთხევლის ნახევარსფერო). წმიდა ლოცვას აღავლენს. შესთხოვს იესო ქრისტეს. რომელიც არის ღვთის სიტყვა. რომელმაც თავისი ეკლესია დააფუძნა საკუთარი სისხლით. რომ მის სახელზე აღსამართი ეს სახლიც მისითვე კეთილად დამყარდეს და სუფევდეს. შემდეგ ადიდებს მას. საკუთარი ხელით იღებს ქვებს და კირს ან თიხას — რაიმე იარაღით. და საძირკვლებთან მისული — დადებს ქვებს. ჯვრისსახედ დაბეჭდავს მათ გამოსახატავად იმისა. რომ საძირკვლად დაუნეგა შეურყეველი კლდე — ქრისტე. იღებს რა ლამპარს. აანთებს მას ზეთით. ანთებს. დალოცავს და ჩადგამს ქვებს შორის დარჩენილ მცირე სიცარიელეში. როგორც სამარხში. რათა გამოხატოს ზეთით ღვთის წყალობა. რომელიც მოგვევლინება აღსამართი ტაძრის მეშვეობით. ხოლო სინათლით გამოხატოს ზეციური ნათელი — ქრისტე. რომელიც დაიმარხა ჩვენს გამო. და კვლავ ზეთით გამოხატავს იმას. რომ სიქველის ზეთი გვცხო ჩვენ და რომ ზეთით. თუგინდ მირონით სახლი სრულიქმნება და რომ ნათელი — ქრისტე — დარჩება ჩვენთან. ტაძარში დასახლდება იგი. რომელიც არის აღმოსავლეთით ზეგარდამოსავალი. განმტკიცებს სინათლის წყაროს. როგორც წმიდა განათლების სიმბოლოს. რასაც ზუსტად გამოხატავს ეკლესია. როგორც საყვარელი უფლისა. შევიტყობთ. რომ ეკლესია არის შვიდი სასანთლე. ხოლო მის ზემოთ დადებს რა ქვას. თითქოსდა ქრისტე დასაყდრდა ამ ეკლესიაში. ამოდის საძირკვლებიდან და კვლავ აღავლენს სხვა ლოცვას. ლოცულობს. რომ ღმერთის განბრჭობითა და თავდამყურეობით ტაძარმა გაიღვიძოს და კეთილად განესრულოს. რომ ეგოს მისი საფუძვლები და თვი-

თონ იგი შეურყეველად უკუნისამდე; მისნი აღმშენებელნი იყვნენ უვნებლად, ცოუნებათაგან შორს (ეს ითქმის, რადგან ეშმაკეულნი შურით არიან აღვსილნი და წინაღუდგებიან ასეთ ღვთაებრივ საქმეს), ხოლო აღშენებისათვის საჭირო, ღმერთისადმი მიძღვნილ საგნებს უხვად მოეფინოს ღვთის წყალობა. როცა ამას დაასრულებს, კურთხევისა და ლოცვის შემდეგ, მადლობას სწირავს უფალს და მიდის. ამის შემდეგ უკვე შეუდგებიან მშენებლობას. როდესაც ღვთის წყალობით ყველაფერი დასრულდება, შიდა და გარე სამუშაოები, — წმიდათაწმიდა, ანუ საკურთხეველი, დადგმული აღმოსავლეთ მხარეს. სამკვეთლო მის მარჯვნივ, მარცხნივ კი სადიაკვნე. საკურთხევლის მახლობლად საფსალმუნე, თუ ადგილი არის მისთვის, მტკიცედ დამაგრებული სვეტები, ხოლო საკურთხევლის შიგნით წმიდა კიბორიუმი და სვეტები, რომლებზედაც დაყრდნობილია წმიდა ტრაპეზი, კეთილად დაფუძნებული, ან კიდევ ეროი, რადგან ეროიც იდგმება სვეტი, რომელსაც ლერწამს უწოდებენ, ან სვეტების ნაცვლად აგებული ოთხკუთხელი, საკურთხევლის ქვად (ფილად) წოდებული, და როდესაც წმიდა ტრაპეზიც ჯეროვნად მოეწყობა, აგრთვე სხვა სახმარი ნივთები და წმიდა ჭურჭელი საჭიროების მიხედვით მომარაგდება. კვლავ ეუწყება ამის შესახებ მღვდელმთავარს. იგი უბრძანებს დიაკონს, რათა მოამზადოს ყველაფერი აუცილებელი სატფურებისათვის. და როცა ესეც შესრულდება, როგორც დაწვრილებით ნათქვამია წესდებაში, მღვდელმთავარი მოდის და შეასრულებს სატფურებას, რომელიც ამგვარად უნდა მოხდეს.

წმიდა საკურთხევლისა და ტაძრის სატფურების შესახებ

ვნახოთ ჩვენც მისი ხილული მხარე, რამდენადაც ჩვენთვის შესაძლებელია და ნებადართული. მღვდელმთავარი მოდის ტაძარში, სადაც უნდა შესრულდეს სატფურება, რადგან ღმერთიც მოვიდა ჩვენთან ჩვენი განწმედისათვის. შეიმოსება სრული სამღვდელთმოძღვრო სამოსელით, რითაც მიგვანიშნებს ჩვენს გამო უფლის სიტყვის სხეულებრივ გარდაქმნას.

რატომ იმოსება მღვდელმთავარი ამრენაკით და ირტყამს სარტყელს

სამოსელის ზემოდან გადაიგდებს იგი მხრებზე თეთრ ამრენაკს, რომელიც დაშვებულია ფეხებამდე, რითაც გამოხატავს ქრისტეს სუდარით დამარხვას, რადგან მას სურს აღმართოს ქრისტეს მოსახსენებელი და წმიდა-ჰყოს, ვგულისხმობ წმიდა ტრაპეზს და ყველა ძეგლს, რომლებითაც, მიმსგავსების გზით, დამარხული ქრისტე განსახიერდება. სამ სარტყელს შემოირტყამს ამრენაკზე სამების სადიდებლად: კისრის უკან, გონებისათვის და ღმერთისადმი მორჩილების გამოსახატავად, მკერდის გარშემო იღლიების ქვეშ სიტყვიერების ძალისათვის, წელის გარშემო — სიწმიდისა და ძლიერებისათვის, ერთი — მამის, მეორე — ძის, მესამე — ცხოველმყოფელი და წმიდა სულიწმიდის სახელზე უნდა იყოს. ხელებზეც შემოიხვევს წმიდა ხემანდილს, თითქოსდა საბუხრეებს. შეერთებულს ამრენაკთან, და თითოეულ მათგანსაც სამი სარტყლით შეიკრავს, რათა გამოსახოს ყოვლის შემოქმედი სამება, რამეთუ დავითი მიმართავს მამას: „შენმა ხელებმა", ანუ ძე ღმერთმა და სულიწმიდამ, „მქმნეს მე და დამაარსეს მე". ცხრა სარტყელი ქმნის იმ ცხრა რგოლს, რომელიც ცხად-ჰყოფს ანგელოზურ ცხრა რიგს, სამპიროვნად სამების მქადაგებელს. მღვდელმთავარი, ვითარცა უდიდეს საქმეთა მოღვაწე, სარტყელს ირტყამს იმიტომაც, რომ ითხოვს უფლისგან ძალას და ამგვარად ემზადება ღვაწლისათვის; შესაძლებელია, წმიდა სამოსლისადმი მოწიწების გამოც, რათა არ მოსცხოს მას ამ საქმის შესრულებისას მოსახმარი ნივთიერება.

რატომ განიდევნებიან ტაძრის განახლების დროს იქიდან ერისკაცნი

აღსრულების დაწყებისას განიდევნება ყველა, ვისაც არა აქვს სასულიერო წოდება. ტაძრის სატფურება უნდა შესრულდეს მხოლოდ სასულიერო წოდების პირების მიერ და თითოეულმა უნდა იმსახუროს შესაბამისად წოდებისა, ხოლო ერისკაცთაგანი არავინ დაესწროს. ვინც დარჩება, უნდა იყოს მღვდელმსახური, რადგან წმიდაა სახლიც, სადაც უნდა შესრულდეს სატფურება; ამიტომ, სანამ განახლდება ტაძარი, იქიდან განიდევნებიან ერისკაცნი, სწორედ

ასევე მათ ეკრძალებათ საკურთხეველში შესვლა.

რატომ გამოაქვთ გადაადგილებადი საგნები

ტაძრიდან გამოაქვთ ყველა გადაადგილებადი საგანი, იმიტომ რომ ტაძარი უნდა იყოს თითქოსდა ცოცხალი და არასოდეს შეიცვალოს თავისი ადგილი. წმიდა ხატები, წმიდა ჭურჭელი და სხვა საგნები, რომელთა გადატანაც შეიძლება, გარეთ გამოაქვთ, რათა განახლდეს და განიწმიდოს მხოლოდ ის, რაც ერთ ადგილზე დგას და დარჩება ტაძარში უცვლელად. შემდეგ იკეტება კარები, რადგან ცად იქცევა უკვე, სულიწმიდის ძალით განათებული, რის გამოც საჭიროა იყოს მხოლოდ ცისა და ესწრებოდეს ამას მხოლოდ სამღვდელოება და სხვა არავინ არ უნდა უცქიროს მას; წმიდა უწმიდესთაოვისაა, განახლებადი — სამღვდელოებისათვის მანამ, სანამ არ დასრულდება, და მხოლოდ ამის შემდეგ თანამონაწილეობისათვის შემოდიან სხვებიც, თუმცა არა უშუალოდ, არამედ შუალობით, ზოგიერთი კი კრეტსაბმელის მეშვეობით. ამის შემდეგ შემოდის ყველა მორწმუნე ერისკაცი და მათთან ერთად მომნანიებელნი და თითოეული იკავებს განკუთვნილ ადგილს ტაძარში. ოღონდ ისინი ყველანი საკურთხევლის შემაღლებული ადგილის აქეთ რჩებიან. ასე რომ, როცა ამავე მიზეზით დახშული იქნება კარები, მღვდელმთავარი ადიდებს ღმერთს. მერე სამგზის ნეტარისადმი „მამაო ჩვენოს“ ლოცვებისა და დიდებისა და ღაღადების შემდეგ მღვდელმთავარი კითხულობს ლოცვას: „უფალო ღმერთო ჩვენო, ყოველთა შემოქმედო“; ევედრება თავად ღმერთს, დაიწყოს ეს საქმე და შეეწიოს მას.

რისთვისაა კერომასტიქი (საკმეველი) და ნელსაცხებლები

აიღებს ჭურჭელს, რომელშიც არის საკმეველი ნელსაცხებლებითურთ, როგორიცაა ზმირნა და ზეთი და სხვა, — ყველა ის, რაც მიგვანიშნებს მაცხოვრის დაფლვას; წმიდა ტრაპეზიც ხომ დამარხვას და საფლავს გამოსახავს; ხოლო სანთელი და საკმეველი საჭიროებისას იხმარება როგორც წებოვანი, აგრეთვე როგორც

შემაერთებელი და დამაკავშირებელი, რაშიც გამოიხატება ქრისტეს ჩვენდამი სიყვარული, რამეთუ თავი სიკვდილს მისცა და შეგვიერთა ჩვენ; მღვდელმთავარი ასხამს მათ სვეტებზე ან სვეტზე ან ქვაზე საკუთარი ხელით, რითაც ღმერთის ქმნილებას ცხად-ყოფს, და წარმოთქვამს იმასვე, რასაც განაოვლისა და სხვა საიდუმლოთა შესრულების დროს ამბობს: „სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა", რადგან საწყისი და დასასრულიც ყოველი სიკეთისა არის სამება. ხოლო მანამ, სანამ მსახურნი კერომასტიქს (საკმეველს) დიდი რაოდენობით ასხამენ და სანამ თანდათანობით იგი ნელდება, მეფსალმუნენი ღმერთის სადიდებელ ფსალმუნებს გალობენ, კერძოდ, ამას: „აღგამაღლებ შენ, ღმერთო ჩემო", ან კიდევ „უფალი მმწყემსავს მე". შემდეგ მღვდელმთავარი თანმხლები ეპისკოპოსების, მღვდლებისა და სხვათა დახმარებით იღებს ტრაპეზს და დგამს სვეტებზე, დაამყარებს და დაამტკიცებს მას, შემდეგ ადიდებს ღმეროს, რამეთუ უნდა იდიდოს იგი ჩვენთვის ქმნილ მის ყველა ღვთაებრივ საქმეში.

შემდეგ წმიდა კარების წინ, რომელიც არის ქრისტესმიერი, იგება ხალიჩა და მასზე დაიგება სასთუმალი სამღვდელმთავრო პატივისა და თაყვანისცემისათვის, ასევე წმიდა სამოსელისათვის, რათა ჯვრებითა და ხატებით გამოსახული, არ მოეთრიოს იატაკზე, რადგან იატაკი ჯერ კიდევ არაა წმიდა, ხოლო, როცა განიწმიდება, მიიღებს პატივს და ღვთისმოყვარეთაგან მრავალნი ემთხვევიან მას, როგორც ზეცის ძირს. აქ მოდის მღვდელმთავარი და თავს და მუხლთ იდრეკს აღმოსავლეთისაკენ. როცა სხვებიც ასევე მოიყრიან მუხლთ, დიაკონის ღაღადზე „შემდგომ და შემდგომ მუხლმოდრეკილები" მღვდელმთავარი, ღმერთის წინაშე განრთხმული, გულმხურვალედ წარმოთქვამს ლოცვას და ამბობს: „უფალო, დაუსაბამო და საუკუნოო"; მასთან ერთად, თუ არიან იქ, წარმოთქვამენ ამას სხვა მღვდელმთავრებიც; და სთხოვს მას, რომელმაც განამტკიცა მოსე ძველი კიდობანის ასაშენებლად და ბესელეელი მის მოსართავად, რომელმაც შთააგონა აგრეთვე სოლომონი აეგო და განესრულებინა ძველი ტაძარი და ვინც მიანიჭა ძალა მოციქულებს აღემართათ წმიდა საკურთხეველნი მთელს მსოფლიო-

ში, — წმიდა-ჰყოს ეს ტაძარიც და ქმნას იგი თავისი დიდების კარვად, მრავალი სიკეთის წყაროდ და უდიდესი მსხვერპლშეწირვის აღსრულების ადგილად. მას შემდეგ, რაც ჩაიკითხავს ლოცვის სხვა ადგილებს და ადიდებს ღმერთს, წამოდგება, მიუახლოვდება წმიდა ტრაპეზს და განათვლის წეს-ჩვეულებებს შეასრულებს.

რატომ განიბანება წყლით წმიდა ტრაპეზი

რადგან წმიდა ტრაპეზი გამოსახავს იესოს, წოდებულს ცხოვრების კლდედ და ქვაკუთხედად, ამიტომ საჭიროა ორმხრივი — გრძნობადი და გონებითი — მისი განათვლა, რათა, ჯერ-ერთი, განბანით წმიდა გახდეს, მეორე, რათა გაინათლოს წყლით და მიიღოს განწმედა სულიწმიდასთან ერთად, რადგან წყალი არის სულიწმიდის იარაღი. ამისათვის შემოაქვთ თბილი წყალი, აკურთხებენ მას ლოცვით. ამ წყლის კურთხევაზე და წმიდა საკურთხევლის სრულყოფაზე მღვდელმოავარი მოუწოდებს ნათლისმცემელს, რომელმაც სცა ნათელი იორდანეში. ამავე დროს იხმარება საპონი (ბავრუკი), რომლითაც მისი დალოცვის შემდეგ გამოსახავს სამ ჯვარს ტრაპეზზე, და, როცა წყალს სამჯერ დაასხამს წმიდა სამების გამოსახატავად, წმიდა ტრაპეზი გადასაფარებლით უნდა მოიწმინდოს.

ღვთაებრივი ტრაპეზის ოთხი საბურველის შესახებ

სწორედ მათი მეშვეობით იწმინდება წმიდა ტრაპეზიდან ნაკურთხი წყალი, ან სხვა ოთხი გადასაფარებლის მეშვეობით, რომელიც შემდეგ დაიდება წმიდა ტრაპეზის ოთხ კუთხეში ოთხი ღვთაებრივი მახარებელის გამოსახატავად.

რატომ განიბანება ღვინითა და ვარდისწყლით

გადაწმენდის შემდეგ შემოაქვთ კეთილსურნელოვანი ღვინო და ვარდისწყალი. ისინი წინ უსწრებენ ღვთაებრივ მირონს და მათი საშუალებით იესოს დამარხვას პატივი მიეგება, როგორც თვითონაც თქვა მეძავის შესახებ: რატომ კიცხავთო მეძავს; ჩემი დამ-

არხვის დღისთვის გადაინახაო იგი. ნაჩვენები უნდა იქნეს ისიც, რომ ამ საკურთხეველზე მიიტანება ღვინო კეთილსურნელოვანი და ცხოველმყოფელი მადლისა, როგორც აჩვენა მელქისედეკმა, რომელმაც იწინასწარმეტყველა ღმერთი: ყოველგვარ ღვთაებრივში წინასწარმეტყველებაც იგულისხმება. მღვდელმთავარი ასხამს ღვინოს ტრაპეზზე ჯვრისებურად. წარმოსთქვამს: „მაკურე მე ვისოპი და წმიდა-მყავ" და ფსალმუნის მომდევნო სიტყვებს; დასამკვიდრებლად და თაყვანებისათვის სამებისა სამჯერ იმეორებს.

რატომ სცხებენ ტრაპეზს მირონს და იგალობება ალელუია

შემდეგ საკურთხევლის სრულქმნისათვის მღვდელმთავარს მოაქვს წმიდა მირონი და წარმოთქვამს ალელულიას; ეს არის წინასწარმეტყველური აზმა ღმერთის მოსვლისა და ღმერთის დიდების განმცხადებელი. მოვაო უფალი და ამით მიანიშნებს როგორც პირველ, ისე მეორე მოსვლაზე, აგრეთვე ჩვენთან სულიწმიდის მუდმივ ყოფნაზე. ამის გამო ეკლესიაში ხშირად იგალობება იგი, განსაკუთრებით საღვთო საიდუმლოთა შესრულების დროს და ღვთაებრივი სახარების წინ, რადგან მისი მეშვეობით არის გაცხადებული უფალი. მღვდელმთავარი მირონისაგან სამ ჯვარს გამოსახავს წმიდა ტრაპეზის შუაში და მის თითოეულ გვერდზე და სამგზის სცხებს მას მთლიანად; რამდენადაც დათხეული მირონი არის სახელი უფლისათვის ჩვენისა, ამდენად ტრაპეზიც, რომელიც გამოსახავს იესოს, მასში დამარხულს, მირონით იფარება, რადგან თვითონ მასზე გადმოდის სულიწმიდის მადლი. ალელუია იგალობება, რადგან მკვიდრდება მასში ღმერთი და იგი გადაიქცევა სულიწმიდის ძღვენთა ჭურჭლად. მასზე სრულდება უსასტიკესი საიდუმლონი, მღვდელთა ხელთდასხმა, უუწმინდესი მირონის ცხება, დაიდება სახარება, ხოლო მის ქვეშ — მარტვილთა წმიდა ნაწილები. ამგვარად, ჭეშმარიტად ტრაპეზი არის ქრისტეს საკურთხეველიც, მისი დიდების ტახტიც, ღმერთის სამკვიდრებელიც და საფლავიც და ქრისტეს სამარხიცა და განსასვენებელიც. მას შემდეგ, რაც სცხებენ მირონს უწმიდეს ტრაპეზს, მღვდელმთავარი

ფსალმუნის გალობით („სასურველნი კარავნი შენნი", რამეთუ ღმერთის კარავი შეიქმნა იგი უკვე და მისი დიდების სამკვიდრო) სწრაფად გადააფარებს მას საბურველს.

ᲓᲕᲗᲐᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲢᲐᲫᲠᲘᲡ ᲝᲗᲮᲘ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲤᲐᲠᲔᲑᲚᲘᲡ (ᲥᲡᲔᲚᲘᲡ) ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

თავდაპირველად წმიდა ტრაპეზის ოთხ კუთხეში დებენ ოთხ გადასაფარებელს, თითოეულ მათგანზე არის თითო მახარებელის სახელი, იმიტომ რომ ტრაპეზი განასახიერებს მთელს ეკლესიას, ქვეყნის ყველა კუთხიდან უფალთან თავმოყრილთ, — ეკლესიას, მასზე დაფუძნებულს ევანგელური ქადაგებითა და სიქველის სიტყვით, თითქოსდა სელით, რომელიც სუფთად მოკრეფილია ბალახებიდან... ოთხი გადასაფარებელი, ასევე გრაგნილიც არის სელისგან ნაქსოვი. ამ გადასაფარებლების შემდეგ დაიდება მისანიშნებელი სუდარაზე, ჩვენთვის მოკვდინებულის ღვთაებრივ სხეულზე. ამის შემდეგ განიფინება ტრაპეზის საფარი, უფრო ბრწყინვალე, გამოსახატად ღმერთის დიდებისა, რადგან საკურთხეველი არის საყდარი ღვთისა, ან კიდევ იგი მსგავსია მხსნელის სამოსელისა, რომელიც ბრწყინავს როგორც ნათელი. შემდეგ დაიდება გრაგნილი, ერთსა და იმავ დროს გამომსახველი ქრისტეს სიკვდილისა და აღდგომისა, რადგან აღდგომის შემდეგ მოციქულებმა ნახეს იგი დასამარხავ სუდარასთან ერთად...

ᲠᲐᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲮᲐᲕᲡ ᲡᲐᲡᲐᲜᲗᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲙᲛᲔᲕᲔᲚᲘ ᲛᲘᲗᲔᲚᲡ ᲢᲐᲫᲐᲠᲨᲘ

შემდეგ მოაქვთ სასანთლე და კანდელი და სინათლე ზეთით მსხვერპლშეწირვისათვის, რადგან, როგორც ამბობს საყვარელი, ჯერ-ერთი, ქრისტეს სანთელი არის ეკლესია (სანთელი მისი რჯულის სახე იყო), მეორეც, ღვთაებრივი მადლი ზეთით გადმოგვეცემა, ხოლო ღვთაებრივი ნათელის მონიჭება — ანთებული სანთლით; საკმეველით, რომელსაც მღვდელმთავარი აკმევს ამ დროს, მიგვენიშნება ზეციურ მადლზე, რომელიც მოეფინება მოელს ქვეყანას ქრისტეს მიერ.

რატომ სცხებს მირონს მთელს ტაძარს

შემდეგ კეთილსურნელების მკმეველი მღვდელმთავრის უკან სხვა მღვდელმთავარი ან დიაკონი მირონს სცხებს, რადგან თავად აკურთხა მირონი და საკურთხეველი, და ამ დროს საკმეველის კმევით მთელი ტაძარი კეთილსურნელებით ივსება; მირონით განათლდება. დაწყებული წმიდა ტრაპეზიდან, მთელი ტაძარი: თვითონ უფალმა სხეულებრივი შემოსვით ყოველი ჩვენგანის ბუნება ღვთაებრივი მადლით განანათლა, რაც მის შემდეგ მემკვიდრეობით თანაზიარეს და მთელს მსოფლიოს აუწყეს მოციქულებმა. ამგვარად, უკმევს რა და განაახლებს მთელს ტაძარს, მას შემდეგ, რაც მისი განჩინებით მისი შემდგომი სასულიერო პირი სცხებს მირონს აგრეთვე მთელს ტაძარს, მღვდელმთავარი კვლავ უბრუნდება წმიდა ტრაპეზს და ამით მიგვანიშნებს, რომ ღმერთი დაუსაბამოა და დაუსრულებელი და, როგორც ყველაფრის საწყისი, იგი არის სისრულეც და სასრულიც ყველაფრისა: საკურთხეველიდან იწყებს ტაძრის სრულყოფას და კვლავ, ვითარცა საწყისისაკენ, საკურთხეველისკენ მიემართება. აქ გადასცემს რა სასაკმეველეს, იბანს ხელებს, ლოცულობს წმიდა ტრაპეზის წინ და ამბობს: „უფალო ცისა და მიწისაო" და ასე შემდეგ; აგრძელებს ლოცვას, რომ ტაძარი განსრულდეს დიდებით, სიწმინდით, მადლით, ღვთიური სულიწმიდის მოფენით, რომ საკურთხეველი მისი იქცეს ღმერთის სამკვიდროდ და დიდების საყდრად, რომ აქ შეწირულმა ვედრებამ მიაღწიოს ღმერთის ზეშთაზეციურ საკურთხეველს. შემდეგ ხმამაღლა ადიდებს ღმერთს, უსურვებს ყველას მშვიდობას ღმერთის შეწევნით და, როცა ყველა თავს დახრის მორჩილებით, სატფურებისას წარმოსათქმელ სხვა, საბოლოო ლოცვას კითხულობს: „გმადლობთ შენ, უფალო". დანარჩენს წარმოთქვამს ხმის დადაბლებით: „რამეთუ მადლი, რომელიც შენ გადაეცი მოციქულებს, გადმოვიდა ჩვენზეც, რომლებმაც შეგცოდეთ, ამიტომ შეგთხოვთ შენ, აავსე ეს შენი საკურთხეველი სიქველით, რომ მასში მოტანილი მსხვერპლი გადაიქცეს მხოლოდშობილი შენი ძის ყოვლადწმიდა სხეულად და სისხლად მთელი მსოფლიოსა და ჩვენი, შემცოდეთა, ხსნისათვის",

– და ხმის ამაღლებით სწირავს მადლობას. შემდეგ ზეთის ლამპარს ანთებს საკუთარი ხელით და დგამს წმიდა ტრაპეზზე მის საპატივცემოდ, რადგან გადაიქცა ქრისტეს საკურთხეველად და რადგან, როგორც ვთქვით, ქრისტეს ეკლესიას განასახიერებს, რომელიც გაბრწყინებულია სიქველის ნათელით და რომელიც ნათელს მოჰფენს მსოფლიოს.

იმაზე, რომ მღვდელმთავარი იხდის ამრეწაკს და წმიდა ნაწილებს დადებს

თუ შესაძლებლობა არა აქვს სრულქმნას განახლება, მღვდელმთავარი იხდის წმიდა სამოსელს, მიდის და ამ საქმეს მეორე დღეს ასრულებს; თუ არა, იხდის მხოლოდ ამრეწაკს, რამეოუ უკვე სრულ-ჰყო ქრისტეს საფლავი, და მხოლოდ სამღვდელმთავრო სამოსელითლა დაასრულებს სხვა დანარჩენს: წმიდა ნაწილებს დადებს, ხსნის კარებს და ჩაატარებს მსახურებას, რადგან ყოველივე ღვთაებრივის დასასრული ის არის.

რატომ დაიდება მარტვილთა ნაწილები საკურთხევლის ქვეშ

მღვლდელმთავარი ძველი წმიდა ტაძრისკენ მიემართება. იქ ადრევე მომზადებულია წმიდა ნაწილები. მღვდელმთავარი წარმოთქვამს მარტვილთა წმიდა ნაწილებისათვის ღმერთის სამადლობელ ორ ლოცვას და მოაქვს ეს ნაწილები თავს ზემოთ. დადებს მათ წესისამებრ. მარტვილთა ან წმიდა მოღვაწეთა ნაწილების გარეშე განახლების შესრულება არ შეიძლება, რადგან საფუძველნი ეკლესიისა მარტვილნი არიან, მაცხოვრის საფუძველზე აღმოშენებულნი. ეკლესიაში ისინი უნდა მოექცნენ საკურთხეველის ქვეშ, რადგან სწორედ ის არის ეკლესია, ღმერთის ტახტიც და ქრისტე ღმერთის საფლავიც. იცხება მირონი და დაიდება სახარება. წესია, რომ მის ქვეშ იყოს წმიდა ნაწილები; მათ გარეშე არ შეიძლება წმიდა-ყოფა, როგორც წმიდა მამებმა გადმოგვცეს. წმიდა ნაწილები პირველად მოაქვთ ტაძარში, რადგან ისინი ქრისტეს წილნი არიან და თითქოსდა მის ნაცვლად მსხვერპლად შეწირ-

ულნი საკურთხნი. დადებენ უწმიდეს ფეშხუემზე, რადგან ღმერთის თანაბარი პატივი აქვთ და მისი გულისთვის გვემულთანი არიან. შემდეგ წმიდა ტრაპეზზე დებენ, რადგან არიან ქრისტესთან ერთად მიცვალებულთანი, რომელნიც წარუდგნენ მისი დიდების ღვთაებრივ საყდარს. ამის გამოა, რომ მღვდელმთავარი თეფშთან ერთად თავს ზემოთ სწევს მათ, რითაც ისეთსავე პატივს მიაგებს, როგორსაც უფლის სხეულისა და სისხლის საღვთო საიდუმლოთ. და თუ ყველა მორწმუნისადმი პავლე ამბობს, თქვენ ხართო ქრისტეს სხეული და ნაწილნი მისნი, მით უფრო სხეული და წილი იქნებიან ისინი, მის სადიდებლად აღმდგარნი და მისი სიკვდილის მიმბაძველნი.

რატომ გადმოაქვთ ძველი ტაძრიდან ახალში წმინდანთა ნაწილები

წინწამძღვარებული სასაკმევლეებით, ლამპრებითა და გალობით უკვე განახლებული ძველი ტაძრიდან ახლისაკენ მიემართებიან. ამით იმაზე მიგვანიშნებენ, რომ წმინდანები მუდამ ღმერთთან იმყოფებიან, მაგრამ ჩენთანაც არიან ქრისტეს მსგავსად. როცა განახლდება ჩვენში მისი მადლი, მაშინ არიან ისინიც ჩვენთან. როგორც მემკვიდრეობით გადმოგვეცემა ჩვენ სიქველე, — მხსნელისგან მოციქულებისა და მისი მემკვიდრეების მეშვეობით ჩვენზე — ხელთდასხმულებზე — გადმოდის, ამგვარადვე გადადის მადლი პირველი ტაძრიდან უფრო ახალ ტაძრებზე... ჩვენ კი არ ვმოქმედებთ, არამედ სულიწმიდის მადლი მაცხოვარისგან, როგორც პირველსაწყისისაგან, მისი მოწაფეებისა და სხვადასხვა დროს მცხოვრები მამების გზით მოგვეფინება და უფრო მეტად ვმტკიცდებით და ვმკვიდრდებით იმით, რომ ჩვენს თავს კი არ ვართ მინდობილნი, არამედ მამისმიერ სულიწმიდის მადლს, რაზედაც ლოცვაც მეტყველებს: „გმადლობ შენ", ითქმება, „რომ მადლი, რომელიც მოჰფინე შენს წმიდა მოციქულებს და მათს სწორ ჩვენს მამებს, გვაღირსე ჩვენც, გლახაკთაცა".

ძველ ტაძარში, როგორც ვთქვით, მღვდელმთავარი წარმოთქვამს მადლობის გამომხატველ ლოცვებს, გზად კი იგალობება

საგალობლები და მოაქვთ სანთლები და სასაკმეველნი წმიდათათვის პატივის მისაგებად. ხოლო ახალი ტაძრის მახლობლად ხშირად წარმოითქმება „დიდება შენ, ქრისტე ღმერთო" როგორც ღმერთის, ისე მის მოციქულთა და მოწამეთა პატივსაცემად, წმიდა სამების სადიდებლად ან წმიდანების ქადაგებათა გამოსახვისათვის.

რატომ იკეტება კარები და „აღეხუენით ბჭენი" იგალობება

როდესაც მღვდელმთავარი მოვა ახალი ტაძრის კარიბჭესთან, იკეტება შიდა დიდი კარები და გარეთაც და ტაძრის შიგნითაც „აღეხუენით ბჭენი" იგალობება, იმიტომ რომ მარტვილები და თვით მღვდელმთავარი განასახიერებენ ქრისტეს, ხოლო ტაძარი — ცას. ამგვარად, რასაც უგალობებდნენ, როგორც ამბობს ღვთაებრივი დავითი, ანგელოზები ზეშთა ცაში ამაღლებისას, იგივე იგალობება ახლაც, წმინდანთა ნაწილების შემოტანისას. ხოლო მღვდელმთავარი იმ წუთას დაგებულ ხალიჩაზე მუხლთ იდრეკს ზეციური ბატონის წინაშე და ლოცულობს, და უმატებს შესვლის ლოცვასაც, მოუხმობს რა ანგელოზებს თანამსახურებისა და თანამყოფობისაკენ. ერთი სიტყვით, ბეჭდავს ტაძრის კარებს და აღებს, როგორც შესასვლელს ზეცაში, და, რადგან გაგვეხსნა ჩვენ ზეციური კარავი მამის უდიდესი მოწამის იესო ქრისტეს მიერ, მღვდელმთავარი შედის წმიდა ნაწილებით და საღვთო სახარებით. ამის შესაბამისად, ლიტურგიის განმარტებაშიც ნათქვამია, რომ პირველი შესასვლელი მიგვანიშნებს მაცხოვრის აღდგომასა და ამაღლებაზე, ხოლო ღვთაებრივი კარიბჭის დახშვა და გაღება — შესვლას ცად და ანგელოზთა მოქმედებას ამაღლების დროს, რადგან საკურთხეველი არის ზეცათა ბორცვი და ციური „წმიდათაწმიდა", სადაც შევიდა ხორცით შემოსილი უწმიდესი იესო, და არ არის მასზე ნაკლები, რადგან მასაც გააჩნია წმიდადმოქმედი იესო და მისთვის დამახასიათებელი ღვთაებრივი ძალები. ჩამოვიდა რა და იმყოფებოდა ჩვენთან და იარებოდა ამ ქვეყანაში ვითარცა ხორციელი, იმ ძალებსაც გამოიხმობდა და არ არსებობს ადგილი, მისგან გამორჩეული, რადგან ყველგან არის იგი.

რატომ იდრეკს მუხლთ მღვდელმთავარი

მღვდელმთავარი, დადებს რა ტაძრის გარეთ წინდაწინ მოწყობილ მაგიდაზე წმიდა ნაწილებს ფეშხუემთან ერთად, მუხლთ იდრეკს ღმერთისადმი მორჩილების ნიშნად და თავისი მონობის გამოსახატავად. ახალი, განახლებადი ტაძრის წინ მდგომი, იგი აგრეთვე თაყვანს სცემს ცას, აღვსილი რწმენით, რომ ღმერთი დიდებით არის სრული და ანგელოზები არიან მასში, და ამავე დროს მიგვანიშნებს, რომ ღმერთიც მოვიდა ჩვენს გამო ჩვენთან, ჩავიდა ჯოჯოხეთის ქვესკნელში და გამოიტაცა ჩვენი სულები და აღდგა და ამაღლდა და აგვიტაცა ჩვენ ზეკამდე. ამიტომაც გალობენ გარეთ მდგომი მგალობლები: „აღეხუენით ბჭენი"; შიგნით მყოფნი კი „ვინ არის იგი"-ს ფსალმუნებენ და ამით, როგორც უკვე ითქვა, მაცხოვრის ამაღლებისას ანგელოზების მოქმედებას ბაძავენ, რამეოუ მაშინ პირველებმა ქვეყე მდგომთაგან გაიგეს ის საიდუმლო, როგორც პავლეც ამბობს, რომ ეკლესიის მეშვეობით გახდა ცნობილი საწყისთათვის და ძალთათვის ღმერთის მრავლისდამტევი სიბრძნე, რაც პირველანგელოზთათვისაც უცნობი იყო, — ის, რომ ღმერთი წარდგა სხეულით შემოსილი — ეს გაცხადებული დიდი საიდუმლო.

რა ძალა აქვს ტაძრის სატფურებისას კარების წინ ლოცვას

მღვდელმთავარი მუხლთ იდრეკს და ლოცულობს ტაძრის გამო, იმისთვის, რომ იგი მადლით განახლების შემდეგ გახდეს მუდმივი სამყოფელი ღვთისა, ნავსაყუდელი და განმკურნებელი სულთა, ლოცვათა და საღვთო საიდუმლოთა იარაღი, და უკუნისამდე იდგეს შეურყეველად.

იმის შესახებ, რომ აუცილებელია ყველა საღვთო ტაძარში აღსრულდეს სატფურება

აუცილებელია აღსრულდეს სატფურება და აღსრულდეს ყოველ წელიწადს ყველა ტაძარში. სატფურება სრულდება სამადლობელად ღვთისა და საღვთო ტაძარში მადლის განახლებისათვის,

ჩვენზე სიწმინდის უფრო მეტად გადმოსვლისა და შენარჩუნებისათვის. ასეა დაწესებული ძველი ტრადიციით, ასე გვიმოწმებს ძველი ტაძრის შესახებ სახარება; მრავალგზის დაწერილია, ღვთისმეტყველიც ამას მოგვითხრობს, ამას მიგვანიშნებს ყველა დღესასწაული. გადმოცემულია, აღსრულდეს გახსენება ყველა საიდუმლოსი. თვით ქრისტემ, ღმერთმა ჩვენმა, თავისი ზიარების საიდუმლოზე ესა თქვა: „ეს გააკეთეთ ჩემი გახსენებისათვის", — რის გამოც მუდამ ვასრულებთ ხსენებას, თანახმად მაცხოვრის სიტყვებისა, და უფრო მეტად დიდ ხუთშაბთს. როცა იგი გასცა მან, რამეთუ ყველა საქმეს აღემატება ჟამისწირვა. მაშინ ვასრულებთ განწმენდასაც, ხოლო ნათლისღებას — ღვთის გამოცხადების დროს, — ღვიაებრივი ნათლისღების სატფურებისათვის და ჩვენი სიქველის განახლებისათვის. დანარჩენს ყველაფერს, სახელდობრ, სხეულებრივ დაბადებას, ანუ განხორციელებას, ჯვარცმას — ვუგალობებთ და გამოვსახავთ, აგრეთვე დაფლვას, აღდგომას, ამაღლებას და თვით ხელთდასხმას, რაც არის სულიწმიდის მოფენა სულიწმიდის მოფენის დღეს.

იმის შესახებ, რომ აუცილებელია თითოეულმა სამღვდელო პირმა თავისი ხელთდასხმის დრო იდღესასწაულოს ან კიდევ შეასრულოს ჟამისწირვა იმ დღეს

თითოეული სამღვდელო პირი აუცილებლად დღესასწაულობს იმ დროს, როცა მოხდა მისი ხელთდასხმა და კურთხევა სულიწმიდის მიერ, ეთაყვანება და პატივს სცემს იმ დღეს, როდესაც დიდს და აღმატებულ ძღვენს ეზიარა, უნდა გაიხსენოს ეს დღე და შეასრულოს ლიტურგია და ჰმადლობდეს უფალს და შესთხოვდეს, რომ ღმერთის მადლი სუფევდეს მასში. ასევე აუცილებელია, რომ სატფურების დღეს ტაძარიც აღასრულებდეს ენკენიას. პირველად სჯულმდებელნიც აღნიშნავდნენ კიდობნის აგების დღეს და ტაძრის აშენებას; ქრისტეს ეკლესია ბევრად უფრო ბრწყინვალედ აღასრულებს, რადგან მას აქვს წმიდა სახე ყოვლად წმიდისა და ცხოველისა ტაძრისა, რომელსაც უფლის სხეულად სახელვდებ,

რომელიც აუგო თავისთავს ჭეშმარიტმა და ცხოველმყოფელმა უფლის სიბრძნემ, რომელიც არის განკაცებული სიტყვა ღვთისა, — რომლის მოსახსენებელიც საკურთხევლის მეშვეობით გამოიხატება; ასევე გამოსახავენ სხვებიც. ჩვენი წმიდა ტაძარი იმდენად განსხვავდება სულმდებელთა ტაძრისაგან, სადაც მიახლოებით არის გამოსახული ქრისტეს ხორცსშეხმა, როგორც ნამდვილი — აჩრდილისაგან და როგორც მონა მოსე (ასე უწოდებს მას პავლე) — ქრისტესგან, ყველაფრის შემქმნელი უფლისაგან. ამიტომ მიკვირს, რატომ იყო მიტოვებული ეს საქმე. მხოლოდ მოძიების შემდეგ მივხვდი, რომ ასე ხდებოდა მას შემდეგ, რაც კონსტანტინეპოლი დაიპყრეს ლათინებმა — კონსტანტინეპოლის ეკლესიის მსახურნი დაიფანტნენ და ფეხი მოიკიდეს სხვაგან. შემდეგ, როცა დიდი ხანი გავიდა და დაბრუნდნენ უკან, მისდიეს ამ ხნის განმავლობაში დამკვიდრებულ ჩვეულებას არ განეახლებინათ ტაძარი. ამ ეკლესიიდან, როგორც დედიდან, ჩვეულება გადავიდა სხვებზეც. ხოლო რომ აუცილებელია მისი შესრულება და ასეა გადმოცემული თავიდანვე, ამაზე მეტყველებს კვლავ ქრისტეს წმიდა და ცხოველი საფლავი — ეკლესია, რომელიც დღესასწაულობს ტაძრის განახლებას, არსი კი ყველა ღვთაებრივი ტაძრისა, საფლავისა და სამკვიდროსი თანხვდება. სწორედ ამიტომ განახლება სრულდება ყველა ტაძარში, როგორც ვკითხულობთ ამის შესახებ სვინაქსარებში.

სატფურების ფესის შესახებ

დილით იკრიბებიან სასულიერო პირები და თავად მღვდელმთავარი, ან მღვდელი, ასრულებს სატფურებას. იწყებს მსახურებას ანთებული სანთლებით, შემდეგ მიემართება პირველ ტაძარში, სადაც ტაძრის განახლების დღესასწაულზე სატფურებისას ეწყო წმიდა ნაწილები. აქ ამ დროს მღვდელი ასრულებს ლიტურგიას, ამასთან მოლიტანიენი გალობენ სადიდებელ საგალობლებს და ფსალმუნებს ახალი ტაძრიდან ძველ ტაძრამდე. შემდეგ ძველ ტაძარში იკითხება ლიტურგიის ანტიფონები მცირედ წოდებულ პირველ შესასვლელამდე. ამით ნათელი ხდება, რომ ახალმა ტაძარმა იქიდან მიიღო მემკვიდრეობით სრულქმნა. მაშინ აქ მომსახ-

ურე მღვდელი ასრულებს შესვლას საკურთხეველში და აგრძელებს ფამისწირვას. ხოლო მოლიტანიები შესასვლელის ლოცვის შემდეგ გამოდიან ტაძრიდან და იმწამსვე მიემართებიან ახალ ტაძარში, სანთლები მიაქვთ და კურთხევის დროს შესასრულებელ საგალობლებს გალობენ. ტაძარს რომ მიუახლოვდებიან, სამჯერ გალობენ მაღალი ხმით: „დიდება შენ, ქრისტე ღმერთო". როცა ნართექსში (წინაბჭეში) შევლენ, კეტავენ ბრწყინვალე კარებს და გარეთ მყოფნი ხმაშეწყობით გალობენ: „აღეხუენით ბჭენი", ხოლო შიგნით მყოფნი, სხვა მგალობლები, გალობენ: „ვინ არის იგი?" ამით ბაძავენ ანგელოზებს ქრისტეს ამაღლების დროს. ეს მეორდება სამჯერ. შემდეგ გარეთ მყოფნი გალობენ: „უფალო ძალთა", თითქოსდა შიგნით მყოფთ მოძღვრავენ და ასწავლიან ქრისტეს — დიდების მეუფის შესახებ, იგი არისო უფალი თვით ძალთა; შემდეგ მღვდელმთავარი, ან მღვდელი მუხლთ იდრეკს დაფენილ ხალიჩაზე და ბალიშზე და წარმოთქვამს განახლების ლოცვას. რომ წამოდგება, მიაყოლებს წესისამებრ შესასვლელის ლოცვას; დაბეჭდავს კარებს, გააღებს მათ და შედის თანმხლებ პირებთან ერთად საკურთხეველში. ამ დროს გალობენ: „ვითარცა ზეკითა სამყაროს მშვენიერებას" და ქებით ამკობენ ეკლესიას, როგორც სხვა ზეცას, ხოლო იგი არის მოლიანად განათებული სანთლებითა და ლამპრებით, რა საშუალებაც არის, ხოლო, თუ არა აქვთ ამგვარი საშუალება, შეძლებისდაგვარად ეკლესია სავსეა საკმეველით. ამგვარადვე სრულდება დანარჩენი საღვთო საიდუმლონი რიგის მიხედვით. ხოლო ქერუბიმთა გალობის ნაცვლად „დაიდუმოს" იგალობება, როგორც დამყარების დროს, ზიარების სხვა გალობის ნაცვლად კი — „უფალო, შეიყვარე მშვენიერება სახლისა შენისა", და მოციქულთა და სახარება იკითხება განახლებისა; მათ ნახავ ძველ სახარებებში 22 ან 23 დეკემბრის რიცხვის ქვეშ.

იმის შესახებ, რომ კონსტანტინეპოლშიც სრულდებოდა უწინ სატფურება

რადგან უწინ კონსტანტინეპოლის ეკლესიაში სრულდებოდა სატფურება, საჭიროა შესრულდეს ახლაც, უპირატესად ყოველი

სხვა დღესასწაულისა, იმიტომ რომ ამ ღვთაებრივი ტაძრიდან, როგორც მდინარის სათავიდან, თითქმის მთელს დედამიწას ეფინებიან ქრისტეს მღვდელმთავრები და რწყავენ და აგრილებენ სხვა ეკლესიებს და ასევე მორწმუნეთა სულებს. საჭიროა როგორც იმ პირველის, ასევე სხვების განახლება მადლით, რადგან ამ დროს ხდება სულიწმიდის მოფენა და მადლი უფრო მეტად განახლდება ჩვენში წმიდა ლოცვებითა და ღაღადებით. ჩვენ გვეძლევა იმის ძალა, რომ სიკეთე სუფევდეს ჩვენში, მაგრამ ამაზე საკმარისად ვთქვით. სატფურების დროს მღვდელმთავარი მუხლთმოყრისა და კარიბჭის წინ ლოცვის შემდეგ ილოცებს, წამოდგება, რითაც მიგვანიშნებს მაცხოვრის აღდგომაზე, როგორც ცხადვყავით მაშინ, როცა განახლებაზე ვსაუბრობდით, და მიაყოლებს შესასვლელის ლოცვას. შემდეგ კვლავ იჭერს თავს ზემოთ წმინდანთა წმიდა ნაწილებს, ბეჭდავს კარებს, აღებს მათ და აღასრულებს შესვლას, ხოლო ტაძარი ამ დროს სავსეა სინათლითა და საკმეველით, რაც მიგვანიშნებს ზეციურ განათლებასა და მადლის კეთილსურნელებაზე. ყველა იქ მყოფს რომ გადაეცემა. ყველა გრძნობს, რომ მადლის კეთილსურნელებით სავსეა უფლის სახლი, როგორც ეზეკიელმაც იხილა იგი და თქვა: „და ვიხილე. აჰა, ავსებული იყო უფლის დიდებით უფლის სახლი". საკმეველი არის აგრეთვე ღრუბელის ნაცვლად, რომლითაც აივსო განწმედილი წმიდა წამების კიდობანი, რადგან ღრუბელი გამოხატავს სულიწმიდას. ხოლო მღვდელმთავარი თანმხლებ მღვდელმთავართან ერთად შედის, როცა ახალ ღვთაებრივ ტაძარში ჟამისმწირველი მღვდელი დაამთავრებს სამ ანტიფონურ ლოცვას, გამოვა საკურთხევლიდან დიაკონთან ერთად ან მარტო, მოაქვს სახარება, წაიკითხავს შესასვლელ ლოცვას და ელოდება მღვდელმთავრის შესვლას, რადგან თვით მღვდელმთავარი კითხულობს ანტიფონურ ლოცვებს ტაძარში, სადაც უწინ იყო წმიდა ნაწილები. შემდეგ იწყებს იქ წმიდა ჟამისწირვის შესრულებას, რათა აჩვენოს ამით, რომ სიწმიდე ძველი ტაძრიდან გადაეცემა ახალს, ახალ ტაძარში განახლების ლოცვის შემდეგ დგება და დასძენს შესასვლელის ლოცვას, ამჟამადაც შედის ყველასთან ერთად: მღვდელმთავრებთან, მღვდლებთან, სამღვდელოე-

ბასთან და უკან მიმდევარ ქრისტესმოყვარე მრევლთან ერთად, აგრეთვე იმ მღვდელთან ერთად, რომელმაც აღასრულა ეამისწირვა, და წმიდა ლიტურგიის ღვთაებრივი თანამიმდევრობის შეუწყვეტელობით მიგვანიშნებს ძველი ტაძრის ახალთან ერთიანობაზე, რამეთუ წმიდა ლიტურგია არის ერთი, თუნდაც სხვადასხვა ადგილას სრულდებოდეს. ამგვარად წმიდა ნაწილებს დაასვენებს წმიდა ტრაპეზის ზემოთ, რადგან უფლისათვის წამებულთანი საღვთო ტახტის ღირსნი არიან და წილად ჰხვდათ უფლისაგან ღვთაების თანაბარი პატივი. იღებს საკმეველს და მის ირგვლივ ჩვეულებისამებრ უკმევს.

რატომ სცხებენ მირონს წმიდა ნაწილებს და რატომ დებენ საკურთხევლის ქვეშ

შემდეგ დებენ წმიდა ნაწილებს წინასწარ მომზადებულ ვერცხლის, სპილენძის ან ქვის ლარნაკში, სცხებენ მათ ღვთაებრივ მირონს, რადგან მოწამენი დაკავშირებულნი არიან ქრისტესთან ჭეშმარიტი მირონით და მადლის სურნელებით არიან სავსენი, აგრეთვე უნდა გამოიხატოს ქრისტეს და მათი დამარხვა, ამიტომ წმიდა ნაწილები, როგორც დასამარხნი, დაიდებიან ქრისტეს საფლავის, ანუ წმიდა ტრაპეზის ქვეშ და ისიც არის მიზეზი, რომ მაცხოვარი წამებისა და დამარხვის წინ ცხებულ იქნა ქალის მიერ ნელსაცხებლით; მღვდელმთავარი მჭიდროდ ხურავს ლარნაკს და ტრაპეზის, როგორც საფუძვლის ქვეშ იდება ეს წმიდა ნაწილები, რადგან არიან კიდეც საფუძველნი და მათ გარეშე არ ხდება მღვდელმსახურება. იდება ტრაპეზის ქვეშ კიბორიუმის პირისპირ, აღმოსავლეთით მდგარ ორ სვეტს შუა, რადგან ისინი არიან რწმენის ბოძები, რომლებიც ამტკიცებენ ეკლესიას აღთქმით და სისხლით და დაუღამებელ აღმოსავლეთს — ქრისტეს — მიემსგავსებიან და ბაძავენ.

მას შემდეგ, რაც გაასრულებენ წმიდა ლოცვას და მადლობას შესწირავენ მოწამეთა განწესებისათვის, რომ ეს მათთვის არის ზემოდან ბოძებული ძღვენი, მღვდელმთავარი ლოცულობს, რათა მათი ნაშთი განიბნიოს მთელს დედამიწაზე ეკლესიის აღსამართა-

ვად, სამკურნალოდ, მორწმუნეთა განსაწმედელად, რომ ამ ტაძარში უფალმა მათი საშუალებით აღასრულოს ჩვეულებრივი სასწაულები კეთილმორწმუნეთა სულიერი და ხორციელი განკურნებისათვის. იმავე წამს უმატებს კიდევ ორ სხვა ლოცვას იმისათვის, რომ გვქონდეს წილი მათთან ერთად ქრისტეში, რომ მათი მეშვეობით დაცულნი, განკურნებულნი და განწმედილნი, ვღებულობდეთ ხსნას აქაც და იქაც (ეს ხომ ყოველი საღვთო საქმის სასრულია — ჩვენი ხსნა და ცხონება). როცა ეს ყველაფერი დამთავრდება და მღვდელმთავარი დაასრულებს ლოცვას, გვაძლევს დროს, შემდეგ სამწმიდა იგალობება და გრძელდება საღვთო მღვდელმსახურების განსრულება. ეს შვიდი დღის განმავლობაში ყოველდღე სრულდება სულიწმიდის მადლისათვის, ვინც მკვიდრია ტაძრისა, იმის სადიდებლად და დასამტკიცებლად უკუნისამდე.

ასეთია წესი უწმიდესი ტაძრის სატფურებისა და მისი განწმედისა. აქვე განიწმიდება, ზოგიერთი ძველი გადმოცემის თანახმად, ოდიკებიც, რომლებსაც წმიდა ტრაპეზის ძალა აქვთ და გადაიტანება ადგილიდან ადგილზე, მსგავსად ძველი კარვისა, მაგრამ მასთან შედარებით უფრო დიდი ძალა აქვს, რადგან ოდიკებზე ზეციური ცხოველი პურის კეთილმსახურება აღსრულდება. მღვდელმთავრის შეგონებით, მათ გასცემენ იქ, სადაც ეს აუცილებელია და სადაც არ არის ტაძარი, ანდობენ აგრეთვე სანდო კაცებს მგზავრობისას ან კიდევ თავად მეფეებს, რათა მათზე შესრულდეს დიდი მსხვერპლვა და საიდუმლო.

ღვთაებრივი ოდიკების წმიდა სრულქმნაზე და იმის შესახებ, თუ რატომაა ოდიკები უმეტესად სელისაგან

მათზე მღვდელმსახურების შესრულება ყოველმხრივ მსგავსია მონათხრობის და მათზეც იგივე უნდა გავიმეოროთ, განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ისინი არ არიან დამყარებულნი ერთ ადგილზე და არც მუდამ ტაძარში არიან. მათთვის თითქოსდა მთელი სამყარო მოიაზრება ტაძრად. ისინი არიან არა ქვისანი, არამედ ქსოვილისანი, უმეტესად კი სელისა; მათზე სრულდება

ყველაფერი, რაც დაკავშირებულია წამებასთან (ვნებასთან) და არიან თითქოსდა საფლავის დაფარნა[1], აღებული მიწიდან. სელიც მიწიდან არის, როგორც მაცხოვრის საფლავი იყო მიწაში. წმიდა ტრაპეზის მსგავსად, ისიც, მასზედ მდებარე, იღებს ყველა ლოცვას, მღვდელმთავარი წარმოთქვამს მათს მოსახსენებელს ლოცვის დროს, ლოცულობს, რათა ისინიც განწმედილნი იყვნენ ღვთაებრივი სულიწმიდის ზეშთაგონებით. განბანს მათ და ნამავს კეთილსურნელოვანი ღვინითა და ვარდისწყლით და სცხებს მირონს. შემდეგ თითოეულზე, ისე როგორც ტრაპეზზე, გამოსახავს სამ ჯვარს მირონით და გალობს ალელუიას. ისევე როგორც ტრაპეზზე, დებს რაიმე ქსოვილის ოთხ ნაკვეთს გამოსასახავად ოთხი მახარებელისა, რომელთა სახელებიც სწერია აქ, ორ სხვა თანაბარ ქსოვილს შეაერთებს და დააკერებს ოდიკებს (რომელიც არის ტრაპეზი), ერთს — ვითარცა ამრენაკს, რომელიც მსგავსია ტრაპეზის ამრენაკისა და გამოხატავს გარდამოხსნას (გარდაცვლილი ქრისტეს სხეული რომ გაახვია იოსებმა), მეორეს — ვითარცა ტრაპეზოფოროსს, ღმერთის ტახტის პატივისცემისათვის, რადგან საკურთხეველი არის მისი ტახტი და განსასვენებელი. მათ შორის გრაგნილი დაიდება სუდარის გამოსახატავად. ფსალმუნები იგალობება ოდიკების განახლებისას ისევე, როგორც ტრაპეზის განახლებისას, ზოგჯერ ტაძრის სატფურების გარეშეც, როცა საჭიროა ოდიკები, სრულდება მათი განწმედა უკვე განწმედილ წმიდა ტრაპეზზე; ამ დროს ჩამოიხსნება იქიდან გადასაფარებელი (დაფარნა) და დაიგება ოდიკი, რასაც უკეთეს შემთხვევაში შეასრულებს თავად მღვდელმთავარი, მაგრამ, თუ საჭიროა, შეიძლება მღვდელმთავრის ნებართვით შეასრულოს მართლმორწმუნე მღვდელმაც, საღვთო საქმეებში გამოცდილმა, რომელმაც ოდიკების განწმედისას მღვდელმთავრის მსგავსად უნდა შეიმოსოს სამღვდელო შესამოსელის ზევიდან ამრენაკი. ბოლოს, ჭურჭლის ნაცვლად, პატარა სელის ნაჭრით დაიდება და ოდიკებს აღმოსავლეთ კუთხეში ჩაეკერება ნელსაცხებლით ცხებული წმიდა ნაწილების ნაწ-

1. დაფარნა — სიწმიდის გადასაფარებელი (საბა).

ილნი და მათზე შესრულდება ყველაფერი ისე, როგორც ერთ ადგილზე დამყარებულ ღვთაებრივ ტრაპეზზე, რადგან თითოეული ოდიკი წარმოადგენს წმიდა ტრაპეზს და სავსეა ღმერთის დიდებით; მაგრამ ოდიკების უბრალო სახლში დადება არ შეიძლება, არ უნდა შეეხონ მათ საერონი: ამის არც საჭიროებაა და არც სასარგებლოა. ისინი განკუთვნილია წმიდა მსახურებისათვის, ხოლო მღვდლის გარეშე მსახურება არ სრულდება. ამიტომ უნდა ინახავდნენ მათ მღვდლები, რომლებსაც გადასცემს საჭიროების შემთხვევაში მღვდელმთავარი, რადგან თავად მღვდელსაც არა აქვს მათზე მსახურების შესრულების უფლება მღვდელმთავრის ნებართვის გარეშე.

ამგვარად, როგორც შეგვეძლო, ჩვენ განვიხილეთ, თუ როგორ იგება წმიდა ტაძარი და როგორ ხდება მისი სატფურება.

რას გამოსახავს ტაძარი და ის, რაც მასშია

რაც ვთქვით, იმდენად ჩვენგან არ გვითქვამს, რამდენადაც მეხსიერებით აღვადგენდით. რაც გვისწავლია წმიდა მამებისაგან. თუ რას გამოსახავს ტაძარი და ის, რაც მასშია, შესაძლებელია, ვთქვით სხვაგანაც, მაგრამ ახლაც უნდა ვისაუბროთ ამის შესახებ დალაგებით, იმიტომაც, რომ ხშირი გამეორება ერთი და იმავე საღვთო საგნებისა აღადგენს მეხსიერებაში მშვენიერს და უფრო მეტად წმენდს მახსოვრობას, რაც ხდება პირიქითაც ცუდი საქმეების შემთხვევაში. ამგვარად, თუმცა უსულო საგნებისგან არის მოწყობილი, ტაძარი უფლის სახლია, განწმედილი ღვთაებრივი მადლით და სამღვდელო ლოცვებით; ამის გამო უკვე არა ჰგავს სხვა სახლებს, არამედ მიწიდან განათებულია უფლისათვის, მდიდარია თავად მკვიდრით: მასში არის მისი სახელიც, ძალაც, მადლიც, იმიტომ რომ მასში მოხმობილია მისი სახელი, ან მასთან ერთად ვინმე წმინდანისა, და ატარებს იმის სახელს, ვისიც უწოდეს, და ჩვენ აღარ ვარქმევთ მას უბრალოდ სახლს, არამედ წმიდა სახლს, როგორც განათებულს წმიდა მამისაგან ყოვლად წმიდა ძის მეშვეობით სულიწმიდაში და როგორც სამების სამყოფელს. ამდენად, რაკი იგი ეძღვნება სამებით განდიდებულ ღმერთის ერთ სახელს, ჩვენ, მიმავალნი თავად ერთარსება ღმერთთან, ვამბობთ,

რომ მივდივართ წმიდა სამებაში, ანუ მისდამი მიძღვნილ ტაძარში; ან ვამბობთ, რომ მივდივართ ქრისტეში, ანუ განხორციელებულ სიტყვასთან – ღმერთთან, ან უწმიდეს ღვთისმშობლისაში, ან წმიდა ანგელოზთაში, ან მოციქულთაში, ან წმიდა სამღვდელმთავროში, ან მოწამეთაში, ან რომელიმე წმინდანისაში. ეს იმას ნიშნავს, რომ ტაძარი ეძღვნება ღმერთს და არის მისი სახლი და რომ იგი სუფევს იქ და მოხმობილი მისი მონაც აგრეთვე არსებობს მასში, როგორც საკუთარ კარავში. უნივთოდ მასში შემოსული სულით, ხოლო ხშირად იქ დევს წმიდა ნაწილებით და მოქმედებს ღვთაებრივი ძალითა და მადლით, იმიტომ რომ ჩვენ, ბუნებით ორსახოვანნი, ორსახოვნად აღვიქვამთ ძღვენსაც. ამგვარად, ამ საგნობრივშიც სუფევს მადლი, მოფენილია და მოქმედებს ჩვენთვის მამის ნებისა და სათნოების გამო, ჩვენთვის განკაცებული ჩვენი შემოქმედის ზეშთაგონებითა და სიუხვით, მისი თანაშემწეველისა და მისგან განუყოფელი სულიწმიდის მადლით. ამას ჩვენ ვხედავთ საკმაოდ ცხადად, რადგან ღვთაებრივი ძალები მოქმედებენ ტაძრებში: ხდება ანგელოზთა და წმინდანთა გამოცხადება, გვეძლევა ნიშანი, შეისმინება ვედრება, განვიკურნებით. ქველმოქმედებრივი ძალა აქვთ ტაძარში მყოფ უსულო საგნებსაც: წყალს, ქვებს, სვეტებს, გადასაფარებლებს, ჯაჭვებს. ისინი თავისთავად კი არ მოქმედებენ, რამეთუ არ შეუძლიათ ღმერთისაგან უმოქმედობისთვის შექმნილთ მოქმედება, არამედ მოქმედების ძალა ეძლევათ მათზე გადმოსული საღვთო მადლით და ჩვენი განწმედისათვის მათი საშუალებით მოხმობილი ღვთაებრივი სახელით, სადაც კი მოვუწოდებთ ღმერთის სახელს და ყოვლისავე შემოქმედს ნეტარ სამებას, რამეთუ ღმერთი ერთია, იქ ყველაფერი წმიდაა, ყველაფერი მოქმედებს, კურნავს და იხსნის მადლით.

იმის შესახებ, რომ ძველი აღთქმა წინარეგამოხატავდა მადლის მოქმედებას

ეს დაიწყო სკუელზე ადრე, რადგან ჯერ კიდევ აბელს ჰქონდა საკურთხეველი, რომელზედაც უფალი იყნოსავდა კეთილსურნელებას; ის იყო წმიდა, თუმცა იყო უსულო, და მასზე მიტანილი ხორცი,

ვითარცა უფლისადმი შეწირული, იყო წმიდა და უფალი ხედავდა მათ. ნოესაც ჰქონდა საკურთხეველი. იგი ააგო აბრაამმაც, რომელსაც უნდოდა შვილის დაკლვა, და აქაც ხედავდა უფალი. აგრეთვე იაკობმა, დააწყო რა ქვები, განწმიდა საკურთხეველი და იხილა იქ ღმერთი, ხოლო უფრო ნათლად მოსემ იხილა, რადგან მაშინ უფრო აშკარა იყო მადლის მოქმედება. წმიდა იყო კარავიც, ტყავისაგან შეკრული, და ყველაფერი, რაც მასში იყო. კიბორიუმი და ტრაპეზი კი იყვნენ წინარე გამომსახველნი ახლანდელისა, ხოლო ამათზე უფრო ადრე წმიდა ქალწულისა იყო და იწოდებოდა წმიდათაწმიდად და ყველა, ვინც კი მიეკარებოდა მათ და ვისაც ამის უფლება არ ჰქონდა, იღუპებოდა. იყო წმიდა პური, რომელიც გამოსახავდა ცხოველ პურს და რომელსაც მხოლოდ მღვდლები სჭამდნენ, და ნაკურთხი წყალი, ზეთი, კანდელნი, სასანთლენი, ცეცხლი, სანათლო, საცეცხლურები, სამსხვერპლონი. — ყველაფერი ეს წმიდა იყო, როგორც მღვდელმთავრის ჰარონის მოწინააღმდეგეთა საცეცხლურები (თუმცა მათ არ გააჩნდათ შესაფერისი მოქმედება), რადგან შეიწირებოდა სამღვდელოთა მიერ უფლის სახელზე. ოღონდ ყველასთვის არ იყო სახმარად განკუთვნილი. უფლისადმი შეწირულ ყველა ნივთს: თიხასაც, ქვებსაც, ხესაც და სხვასაც — საჭიროა მოვეპყრათ პატივით, იმიტომ რომ ყოველი მათგანი განწმედილია ღვთაებრივი სახელით, საკვეთა მადლით და გვაზიარებს სიკეთესა და სიწმინდეს.

იმის შესახებ, რომ სამებას როგორც ერთ ღმერთს გამოსახავს ტაძარი

ტაძარი როგორც უფლის სახლი მთელს სამყაროს გამოხატავს, იმიტომ რომ ღმერთი ყველგან არის და ყველაზე ზევითაა. ეს რომ ცხადი გახდეს, გაყოფილია სამად, რადგან ღმერთი სამებაა. ამას გამოხატავდა სამად გაყოფილი კარავი და სოლომონის ტაძარი, როგორც ამბობს პავლე. იქაც იყო წმიდათაწმიდა სიწმინდე და საეროთა სიწმინდე, რამეთუ აჩრდილი წინარეგამოსახავდა ჭეშმარიტებას. აქ უწმინდესი საკურთხეველი არის გამოსასახავად ზეშთაზეციური და ზეციური ძალებისა; იქ, როგორც ამბობენ,

მდებარეობს უსხეულო ღმერთის საყდარი, ანუ მისი განსასვენებელი ადგილი. მას განასახიერებს ტრაპეზი. აქაც, როგორც იქ, არსებობენ ზეციური მოწესენი და მათთან ერთად მღვდლებიც ამ წესს მისდევენ; მღვდელმთავარი კი გამოხატავს ქრისტეს. ტაძარი განასახიერებს ამ ხილულ სამყაროს. მისი ზედა ნაწილები ხილული ზეცაა, ქვედა — ის, რაც მიწაზეა და თავად სამოთხე, გარეთა ნაწილები კი არის დედამიწის ყველაზე ქვედა ნაწილები და მარტო ის მიწა, რაც უგონო ცხოვრებისთვისაა და არაფერი აქვს უფრო ამაღლებული, მაგრამ ამაზე უფრო ნათლად შემდეგ ვიტყვით. უწმიდესი საკურთხეველი უშვებს მღვდელმთავარს, რომელიც განასახიერებს სრულად ღმერთსა და სრულად კაცს — იესოს — და მდიდარია მისი ძალით. დანარჩენი სამღვდელონი გამოსახავენ მოციქულებს, ხოლო უმეტესად თვით მთავარანგელოზებსა და ანგელოზებს, თავისი ხარისხის შესაბამისად. მოციქულებს მღვდელმთავრებთან და სამღვდელოებას ანგელოზებთან ერთად ვამბობ, რადგან ერთია ეკლესია ზედა და ქვედა მას შემდეგ, რაც ღმერთი მოვიდა ჩვენთან, მოგვევლინა ჩვენივე სახით და ჩვენთვის აღესრულა. ასევე ერთია საქმე უფლის წმიდამსახურებისა, ზიარებისა და შეცნობისა. ეს სრულდება როგორც ზევით, ისე ქვევით; განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ იქ ყველაფერი სრულდება კრეტსაბმელებისა და სიმბოლოების გარეშე, აქ კი სიმბოლოებით. რადგან შემოსილნი ვართ ამ მძიმე. და ხრწნადი სხეულით, მაგრამ ანგელოზებთან ერთად ზეცაში არიან წმინდანთა სულები, მათთან ერთად გვიცქერენ, ზრუნავენ ჩვენზე ღვთაებრივი გონიერებით და არიან ჩვენი მცველნი. ანგელოზებთან ერთად წმინდანთა სულები არიან წმიდა ტაძრებშიც. ამგვარად, საკურთხევლის შიგნით, რომელიც წარმოადგენს, როგორც ვთქვით, სულიერსა და ზეშთაზეციურს, შედის მხოლოდ მღვდელმთავარი სასულიერო პირებთან ერთად. და ის, რაც საკურთხეველშია, წარმოადგენს ზეშთაზეციურს. ხოლო უწმიდესი საყდარი[1] გამოხატავს იესოს ამაღლებას და სხეულებრივი

1. საყდარი — ტრაპეზის გასწვრივ კედელზე მიდგმული სამღვდელმთავრო საჯდომი საკურთხეველში.

ბუნებით საყდრობას მამისგან მარჯვნივ. მისი საფეხურები გამოხატავენ თითოეული ანგელოზისა და წმინდანის ხარისხსა და რიგს, რამეთუ ანგელოზებსაც და წმინდანებსაც აქვთ შესაბამისი ხარისხი და რიგი, ხოლო ეს ჩვენი იერარქია ზეკიური იერარქიის მსგავსია, როგორც ამბობს დიონისე.

რა არის ტრაპეზი და, რაც მასზეა, და იმის შესახებ, რომ ყველაფერი ქრისტეა

პირქუში ტრაპეზი საკურთხევლის შუა გამოხატავს ქრისტეს საფლავს და ტანჯვის საიდუმლოს, რაშიც მთელი სამყაროსეული და ცხოველი მსხვერპლი სრულიქმნა. მხსნელი სუფევს ვითარცა ღმერთი და ემსხვერპლება ვითარცა ადამიანი, ამიტომ არის აქ ყოვლის შუა თავისიანების მიერ შესაცნობად და დასაგემოვნებლად. ამიტომ ეწოდება ტრაპეზი, რომ მასზე ყველასთვის არის იესო — ცხოველი საზრდო, პური, რათა განგვამტკიცოს. ფიალა ღვინისა, რათა გაგვამხიარულოს, ცხოველგვყოს, გაგვაობოს და გამოსახოს სხვადასხვა მშვენიერება; წყალი, ღვინოსთან შერეული, რათა განგვწმიდოს და გამოგვაფხიზლოს და მოგვრწყას და დაგვარწყულოს ნაყოფის გამოღების ძალით და მრავალგვარი კეთილი თვისებით... მასაზრდოებელი არის თვითონ სიტყვა, საზრდო უსისხლო; დაპურებულნი არ არიან უსხეულონი, ისევე როგორც მასაზრდოებელი, რადგან იგი დაიბადა და ბადებს სულიწმიდით და როგორც არა ვნების ნაყოფი დედამიწის არა ვნების ნაყოფთაგან იღებს სიმბოლოებსაც; რადგან თავად კაციც მიწისგან არის, თვითონაც ვნების გარეშე შეიმოსა მიწიერი სხეულით. აი, ამისთვისაა ტრაპეზი, პურისა და წყალგარეული ღვინის მისტერია. ამიტომაა მსხვერპლი უსისხლო, უსხეულო და უსიტყვო.

რა არის კრეტსაბმელი და მისი ოთხი სვეტი

ტრაპეზი არის ოთხკუთხედი, რადგან მისგან გამოიკვება და მუდამაც იკვებება დედამიწის მხარეები. არის ამაღლებულიც, რითაც მიგვანიშნებს ზეკიურ სიმაღლეზე — მაღალი და ზეშთაზეკიური საიდუმლოს გამო, რაც ყოველსავე მიწიერზე აღმატებულია,

ხოლო სვეტები დამყარებული აქვს მიწაზე და მათ ეყრდნობა — წინასწარმეტყველთ და მოციქულებს. ხშირად ეს სვეტები ბევრია, რადგან მრავალნი არიან წინასწარმეტყველნი და მოციქულები. ზოგჯერ კი ერთია და ეწოდება ლერწამი გამოსახატავად ერთი, ყველაზე აღმატებული იესოსი, რომელსაც ლერწამს სცემდნენ თავში და რომელმაც აიღო ლერწმის კვერთხი. რითაც გასრისა ასპიტთა თავები და დააკანონა ჩვენი ხსნა. მის ქვემოთ, საფლავის მოპირდაპირე მხარეს, არის კიბორიუმი, სადაც დებენ ქრისტესთვის მოკვდინებულთა წმიდა ნაწილებს, რამეთუ ჭეშმარიტად არის ქრისტეს საფლავი და მისი მოსახსენებელი; აქ მისთვის გარდაცვლილნი მასთან ერთადვე დაიმარხებიან, ერთად იგემებენ მსხვერპლად შეწირულს, ხოლო შემდეგ ერთად აღდგებიან და განდიდდებიან. კრეტსაბმელი არის უძვირფასესი და მრავალგზის სანატრელი იესოს საპატივცემოდ, ზეციური კარვის გამოსახატავად... საკურთხევლის უკან აღმოსავლეთ მხარეს დგას მსხვერპლშეწირვის კურთხეული ნივთი — ღვთაებრივი ჯვარი. იგი არის ოთხნაწილიანი, მასზე მილურსმულის გამოსახატავად, რომელმაც შექმნა და მოიცვა ზეციური და მიწიერი, — ყველაფერი, რაც აერთიანებს ზეციურს მიწიერთან. იგი მოგვეცლინა ზეციდან და ამაღლდა მიწიდან ზეკამდე, ყველაფერი თავისთავში გააერთიანა და მოიხმო დედამიწის მხარეები, ღვთაების სიმაღლიდან სხეულებრივი შემოსვით დამდაბლებულმა ყველა თავისკენ მიაქცია, — დიდების სიმაღლიდან სიღარიბისა და სიმდაბლის სიღრმით და ჩვენი, მის მიერ შექმნილთა, სიყვარულისა და მადლის სიუხვით, გამოგვიხმო ჯოჯოხეთიდან და მიწიერებიდან გარდაგვქმნა ზეციერებად. აი, რაზე მიგვანიშნებს ჯვარი. ჯვარითვე და მისი სახით გადმოგვცა სამების საიდუმლოს მოძღვრება, უწოდა რა უმაღლეს მამას დიდი ხე, რტოები კი თვით ძედ და სულიწმიდად დაგვისახა, რომელთა წყალობითაც იგი, ითქოსდა ხელებით, გვქმნის ჩვენ, რამეთუ დავითიც ამბობს, შემქმნისო მე და დამაარსებსო ხელი შენი, ანუ ძე და სულიწმიდა. აგრეთვე იკიდება ეკლესიის ფორმის ლამპარი, მისით მოგვეცემა ყველას მადლი და განათლება. ამასთან, სინათლე საჭიროა სადიდებელად ნათელისა, ხოლო ზეთი გამო-

ხატავს მადლს. სასაკმეველე აქ იმისიცისაა, რომ მასზე საკმეველთან ერთად ვუმსხვერპლოთ ღმერთს ცეცხლი მსახურებისათვის, რამეთუ შემოქმედს უნდა მივუძღვნათ ყველა ელემენტი და კავშირი: სინათლე, წყალი, მიწის ნაყოფნი, როგორიცაა პური, ღვინო, — და ჰაერი (რაზეც მიგვანიშნებს საკმეველი, რადგან იფრქვევა ჰაერში) და სხვ. ცეცხლი, როგორც წვადი, გამნათებელი და სულიერთა გამთბობი საგანი, გამოხატავს აგრეთვე ღვთაებრივს, რამეთუ ნათქვამია, რომ ღმერთი ჩვენი არის ცეცხლი დასახარჯი და ღმერთი არის ნათელი და აგრეთვე „განათბე გული ჩემი ჩემ შინა". სასაკმეველე და ცეცხლი ემსახურება აგრეთვე საკმეველის კმევას, რომელიც მიგვაქვს ღმერთის პატივისცემისათვის, როგორც კეთილსურნელოვანი ძღვენი მისი განსასვენებლის საპატივცემოდ, აგრეთვე ჩვენი საკუთარი განწმედისათვის, რამეთუ, ვითარცა განათელის დროს, ჩვენ მთელი სხეულით განვიწმიდებით და დასხურებულნი კვლავ განვიწმიდებით, მირონის ცხებისას განვიწმიდებით და გავმხიარულდებით და კეთილსურნელებით განვწმედთ და გავითბობთ ყნოსვასა და გულს, ასე განვწმენდთ საკმეველით ჩვენს ყნოსვასა და სუნთქვას, ასევე საღვთო პურითა და ფიალით ვკვებავთ და განვამტკიცებთ სულს, ხოლო წმინდანთა და მოკაზმულობათა ნახვითა და საღვთო ნათელთა სინათლით წმიდად ვახედებთ თვალს და ნათელს ვხდით ხედვას. ამიტომ ეკლესია ვალდებულია ეს ყველაფერი გააკეთოს როგორც შემოქმედის სადიდებლად, როგორც საგალობლად მიზეზისა, ასევე ჩვენი სრული განათლებისა და განწმედისათვის. საკმეველი ერთი რომელიმე ნივთიდან აფრქვევს სურნელს ყველაფერზე ცეცხლის დახმარებით; ამიტომ იგი გამოხატავს სულიწმიდასაც, რადგან ისიც — ერთი თავისთავად, ყველას უნაწილებს ძღვენს და ყველაფერი მისგან იღებს მადლს. ამიტომ მღვდელმთავარიც, რომელიც უკმევს საკმეველს ღმერთს და დაბეჭდავს მას, ასე ამბობს: „საკმეველს გიკმევთ შენ, ქრისტე ღმერთო, მიიღე იგი და გვიწყალობე მადლი ყოვლად წმიდა სულიწმიდისა".

კალიმაქოსის და ქრისოროეს სატრფიალო რომანის შესახებ

უკვე პირველი გამომცემელი რომანისა ს. ლაპროსი შენიშნავდა, რომ „კალიმაქოსს და ქრისოროეს“ „როგორც მხატვრულ-შინაარსობრივი, ასევე ქრონოლოგიური თვალსაზრისით შუალედური ადგილი უკავია კომნენთა ხანის დიდ რომანებსა და ისეთ ჭეშმარიტად რომანტიულ პოემებს შორის, როგორიცაა ბელთანდრე, ფლორიოსი და ა. შ.“...ძნელია მტკიცება, რომ ესა თუ ის ზღაპარი წარმოადგენს პოემის წყაროს და არა პირიქით . პოემის ცალკეულ ადგილთა ზღაპრულ გენეზისზე გადაჭრით ლაპარაკი ძნელია იმიტომაც, რომ ისინი შეიძლება მომდინარეობდნენ ბერძნული ლიტერატურის სხვა ჟანრებიდანაც, მათ შორის იგივე რომანიდან, რომელიც ოავისი ისტორიის მანძილზე საკმაო ოდენობით ითვისებდა სხვადასხვა ზღაპრულ მოტივს. რომანს უკავშირდება არა მარტო იდეური კონცეფცია. რომანიდან მომდინარეობს რიტორიკული აქსესუარის უდიდესი ნაწილი — ტროპები, ფიგურები, რიტორიკული ეკფრასისები. „კალიმაქოსი“ არ განეკუთვნება ზღაპრის ჟანრს. შეიძლება ლაპარაკი მხოლოდ იმ ზღაპრების ტიპებზე, რომელთაც იყენებს, ემყარება მწერალი რომანის შექმნის პროცესში. ერთი სიტყვით, „კალიმაქოსს და ქრისოროეს“ აქვს რამდენიმე ჟანრული წყარო. ეს ახალი ჟანრობრივი ეტაპია, რომელშიც გამოყენებულია რომანის, ზღაპრის, საგმირო ეპოსის და სხვ. მასალა. ყოველ შემთხვევაში, ცხადია, რომ ბერძნული სარაინდო რომანი იქმნება, იბადება საკუთრივ ბერძნულ ნიადაგზე. მისი ყველა კომპონენტი თვით ბერძნული ლიტერატურული და ფოლკლორული ტრადიციებიდან მომდინარეობს.

ა. ალექსიძე, ბერძნული სარაინდო რომანის სამყარო. XIII-XIV სს., თბილისი, 1976.

კალიმაქოსის („ბრძოლა-შვენიერის“) და ქრისოროეს[1] („ოქროდ მედინის“) სატრფიალო რომანი

შესავალი წუთისოფელს ეხება.

შევუდგეთ თხრობას მასზე, ვისაც განსცდიან გულით და საქმით და იქნება ყოვლად სატრფო და სასურველი.

მწუხარება რომ არ გაჰკარებოდა, არ დარჩენილა ისე არც მოქალაქე, არც მხვნელ-მთესველი, არც სხვა საქმეზედ მდგარი ვინმე. სიხარული და მწუხარება ერთმანეთს უერთდებიან და იმგვარად შეერევიან, რომ არც მწუხარებას აკლია რამ მშვენიერი და დამატკბობელი, არც სიხარულია ნაკლული ხშირად წუხილით რითმე. დიდებას, მბრწყინვალებას, პატივს, სიმდიდრეს, მშვენიერებას, გონიერებას, შეკნობის ნიჭს, გმირობას, ტრფობას, სიტურფეს და სწორფერობას — რასაც კი მიჰხვდება საამებელი სიხარული და სიტკბობა, ამათვე ნახავ წყაროდ საფრხისა და ამაოშივე ჰპოვებ ყვედრებას, ნაკლს და განკიცხვას — მიზეზია ამათ სიმწუხარისათ, მხოლოდ სატრფოს მოკლებაზედ რომ არღარა სთქვა; რადგან სარტფოსგან მოკლებულ სატრფოს თმენა არ ძალუძს, იტყვი, სხვაზე არღარაფერზე ზრუნავსო. სიყვარულის მშვენიერება მადლთა წთოლვა არს მისგან სხვათა ყოველთა ზედა და მოშორება ოდენ აღვსებაა დიდი სიმწარით. მაგრამ წიგნი რომ ნახო და სტრიქონის ხელოვანებას ეუფლო, მაშინ ნივთიერად შეიცნობ სიყვარულის ტკბილ-მწარე ტკიცილებს; ხოლო ბუნება სიყვარულისა ამ შენარევს სიტკბობად მოაქცევს.

ეს სიტყვა წინამდებარეზე გადასვლის სამზადისი იყო.

აქ დასაწყისია ამბისა.

ერთ ბარბაროს ხელმწიფეს, განდიდებულ მბრძანებელს, დიდძალი საცხოვარის მფლობელს, უამრავი ქვეყნის ერთადერთ პატრონს, აუტანლად მზვაობარს და გამომეტყველებითაც ამაყს,

---

1. სხვა იკითხვისია ქრისოქროე — ოქროსფერი.

ჰყავდა სამი პირმშვენიერი ყრმა და გარდამეტებულად უყვარდა ისინი, ღირსნი სიყვარულისა მშვენიერებით და ჰარმონიული ერთობით, ყოველმხრივ საკვირველნი, სიმხნით და ახოვანებით დიდებულნი; მამა ხედავდა მათ. ეროურთის მიმართ ჰარმონიულად სწორთა და ზიართ, სწორთა მშვენიერებით, ტანადობით და ყოვლიითა გულოვანებით, და მათ მიმართ თანაბარი მამეული სიყვარული ჰქონდა. პირველის ხილვა ეწადა გვირგვინის მემკვიდრედ, მეორისა — გვირგვინისავე თანამემკვიდრედ, ხოლო მესამის თვითმპყრობელ მთავრად დასმას ეშურებოდა დიდი სიყვარულის გამო. თვითეულს ღირსად უმზადებდა გვირგვინსა და ძალაუფლებას; ოღონდ არ სურდა, ეროისათვის უპირატესობა მიეცა მეორის წინაშე, ხოლო ძალაუფლების სამივესთვის გადაცემას რომ შფოთი და დიდი აზავთება მოჰყოლოდა, ვერც ეს დაეშვა და ვერც სასარგებლო გადაწყვეტილებისათვის მიეგნო.

ეჰა, ზის მორჭმით, უხმობს მეფურად წულთა და გულმდუღარებით მიმართავს: „შვილნო, სულისა ჩემის სამკაულნო და სისხლხორცნო ჩემთა სისხლხორცთაგანნო, მსურს თქვენ გადმოგცეთ გვირგვინი და მთავრობა ჩემი, დიდება და ძალაუფლება. მაგრამ ერთი მაქვს სიყვარული სამივესათვის, თანაბრად მტკივა გული და მიხარის თქვენთვის ყველასთვის და არ ვიცი, რომელი რომელთ დაგამეტოო, რომელი გცნათ პირველად ანუ გვირგვინით ვინ ვყო მბრძანებლად. არ მინდა, სამთავ ხელთ გადმოვიდეს ძალაუფლება, რადგან გვირგვინის და ძალაუფლების უბრძოლელობა მწადს და ასე დარჩენა სამერმისოდაც; ხოლო საზიარო ტახტს შფოთიანობა მოაქვს; როგორც სიყვარულში არ შეიძლება ზიარობა და მოცილეობა, ასეევა ხელმწიფობაშიც. აი, დიდძალი საცხოვარი, სამხედრო ძალნი და სხვაც საჭირო ზნესრულ მამრთათვის და საგანძური ნივთიერი და ხელმწიფური სიდიადისა. წადით, წარიღეთ თან ბევრი სიმდიდრე და სხვაც ყოველი, რასაც ინებებთ ამგვარი საქმისათვის. ვინც გამოიჩენს მეტ ნიჭს მხედრული ძლევისას, ძალას, ცოდნას და შესაფერ გონიერებას და გვიჩვენებს ყველაზე უფრო მეფურ საქმეს და ვისი ძლევამოსილებაც მამაცთა ყველა სიქველეს აღემატება, მას მივანიჭებ ერთმთავრობას, გვირ-

გვინით შეკმოსავ და ჩემს მაგივრად დავსვამ ხელმწიფედ".

ნირწამხდარი არცერთი არ დარჩენილა მამის სიტყვების შემდეგ მამისგან დადებულ პირობათა და წესთა გამო; პირუკუ, სწორედ რომ სიტკბოებით, დიდი სიყვარულით, კეთილი სურვით, გულქართლად შეხვდნენ და მწყობრთა სიმრავლით, დიდი ლაშქრით, დიდი სამზადისით, დიდძალი საჭურველით საშინე ერთიანად აღიძრნენ. სამივე მოემზადა სალაშქროდ.

საკმაოდ ბევრი და ძნელად სავალი ადგილი განვლეს და ბოლოს (სტრიქონის დიდი მონაკვეთი რომ ავისხლიტო) მოსწრაფებით მიადგნენ უდაბურ ადგილს, მთეულეთის იმ კლდოვანი სიმაღლის ძირას მივიდნენ, რომელიც ღრუბლებს ზევით იყო და ასასვლელი ბილიკი რამ არ გაეხნდა — მოქუფრულს, ბნელოვანს, ქვად ქცეულს, უკაცურს და საშიშს. იწყეს თათბირი, რა მოემოქმედათ. პირველმა თქვა: „ამ მთას ასასვლელი არ უჩანს. შორს აწვდილა ზევით. იტყვი, ცას ეხებინებაო მწვერვალი და ხეები ცამდე იწვდიანო ტოტებს. მაშ, წავიდეთ აქედან, სხვაგან გადავინაცვლოთ, ვაკე ადგილას; გავუდგეთ გზას". მეორემ ამ სიტყვის მოსმენისთანავე თქვა: „მეც ამ აზრისა ვარ. გავეცლები ამ ადგილს. ვის აუვლია ასეთი სიმაღლე და მთა ასეთი — ღრუბლებს ზევით მოქცეული სიმაღლე. კლდედ და ქვად გამომზირალი, მთა მიუდგომელი. ცამდე ატოტვილი ხეებით, ფრიად მაგარი და გამძლე სალაშქროდ, თითქოს აღურაცხელი აქლემი აზვავებულიყოს. ამ მთების ახლოს დასახლებულნი რომ ყოფილიყვნენ ადამიანები, ტყეს შეეტყობოდა, ხეები ახლად ნაკაფი იქნებოდა ან მონადირის ნაკვალევს მაინც შეამჩნევდით. ეს მთა კი სულ უკაცურია". მესამემ თქვა: „ასეთი ქცევა სიმხდალედ მიმაჩნია. რაც რომ განვიცადო და სიკვდილსაც რომ ვუსწორო თვალი, არ ვიქნებოდი სულმოკლე და ამ მთას არ შევუშინდებოდი. მძლეველიც რომ გახდეს ჩემი, ოდენ მე მეყოლებოდა გამდელად. როგორ განვეწყობი გულდაგულ და რას ვიქმ მამაცურს? როგორ გავუსწორებ თვალს გოროზი მამის თვალებს? როგორ დავინახავ და გავუძლებ მის მზერას? განა დავივიწყე მამის ბრძანება, მისი რჩევა, ბრძნული დარიგება და საგულვებელი წილხვედრი — ის მამეული სამეფო? მთა და უსულო ბუნება

მომიშორებს მე? მეფევ, მამავ-ბატონო, გულდედალი შვილები გყოლივართ, ბრძოლას რომ უდრკებიან და უკან იხევენ. ასე რომ სხვას მიეც ძალაუფლება, სხვას, არა შენი გვარისას, არა შენს სისხლხორცს, სხვას, უცხო კაცს, ბუნებით მხნეს. ჩვენ კი მოგვიშორე, მეფეო, არცალა გვიწოდო შვილნი, ვინათგან ჩვენ, როგორც ამ საქმეებმა ნათელყვეს, მდედრის ბუნება გვქონია, ხეებისა გვშინებია. მხედართმთავრებისა და ჯარის სიმრავლისა მრცხვენია, ჯარის წინაშე მამეული სიმხნისა მრცხვენია. ხოლო შენ, მამავ-ბატონო, ყველა ლტოლვილს ხედავ, არ ვიცი, საითგან ლტოლვილთ, შეშინებულთ, ზარგანხდილთ; მაშ, ვის მისცემ ძალაუფლებას, ვის შემოსავ პირველობის შარავანდით? მე, როგორც სულმოკლე, რამე რომ მოხდეს კიდეც საიმისო, ველარ ვნახავ მამას, მაგრამ ვერც გვარს შევირცხვენ, ვერც დავკარგავ ძალაუფლებას დედლური ნებით და მხდალი გულით. ოორ-აბჯრის, ლაშქრის სიმრავლის, მთელი ამ სიმდიდრის და წამოღებული საცხოვარის სიმძიმის აზიდვა შეუძლებელია ასეთ ძნელ გზაზე, სადაც ხეები ერთმანეთს აჰკვრიან ტანშეზრდილები. ჯარი, მხედართმთავარნი, აქლემები, ურმები და სხვა ყველაფერი, რასაც დღემდე თან სატარებლად დავიჭირვებდით, — დავტოვოთ. ჩვენ მხოლოდ ჩვენი საჭურველითა და ცხენებით (სამარქაფო ცხენებიც ვიყოლიოთ) მამაცურად ავიაროთ ეს კლდოვანი მთეულეთის გზა".

მესამის სიტყვები ყველამ უმჯობესად მიიჩნია. უფროს ძმებს შერცხვათ მესამე ძმის სიტყვების გამო და თქვეს: „დე, აგრე იყოს". მყის მთელი ძალა, განძი თუ სხვა რამ სახმარი ტვირთი, ეგოდენი სიმრავლე ჯარის და მცველები დაძრეს და მიაქციეს უკან.

ასვლას საკმაო დრო მოანდომეს და მთლად ზევით მოექცნენ მწვერვალს. გამოხდა ხანი, სამი თვე გასულიყო, რაც სამნი მწვერვალზე ავიდნენ, და ჰპოვეს ადგილი, კეთილად სამყოფო და მიმადლებული, წყარო სხვა მადლისა, ნახევრად უცხო, შუაში ბროლის მდინარედ მედინი წყლით; შეზავებული ვარდი და შროშანი ეფინა ზედ და ათასნაირი ხის ყვავილი, სულის წარმტაცი. ჩამოხდნენ. დასხდნენ და სული მოითქვეს მცირედ, ცხენები მიუშვეს შუა

მდელოზე. გაიკვირვეს ადგილის სიამე და მადლი, ისხურეს მდინარის წყალი. კვალად მესამე იტყვის:

სიტყვა და რჩევა უფროსი ძმებისათვის მესამე ძმისა — კალიმაქოსის

„ნულარ დავყოვნდებით. აქ არ მთავრდება არც ჭირი და არც სარბიელი ჩვენი. რით ეფარდება აქ ყოფნა მამის ბრძანებას? რა გმირობაა ყვავილებისა და ნერგების, ვარდებისა და შროშანების მზერა? ამ ადგილების მშვენიერებას არაფერი აქვს საერთო მამის სურვილთან და ბრძანებასთან, არც ჩვენს იმედთან — მოვიპოვოთ სამეფო გვირგვინი". ამ რჩევისა და სიტყვების შემდეგ დათმეს ეს მშვენიერი ადგილი, აიღეს საჭურველი და განაგრძეს გზა. კარგა ხნის სიარულის შემდეგ მივიდნენ ციცაბო ადგილას, რომელსაც არასოდეს გაჰკარებია ადამიანი, არც ნადირი, არც ჩიტი და არც რაიმე სულიერი. ამასაც გასცდნენ და მიადგნენ უზარმაზარ ციხესიმაგრეს, საშიშსა და უცხოს. სამივემ მიაღწია იქამდე. ეს იყო გველეშაპის სამყოფელი, საშიში და დიდი.

წარმტაცი აღწერა გველეშაპის სამყოფელისა

მაღალი სიმაგრე გარედან მთლად ოქროსი იყო. ბაჯაღლო ოქროს ლაპლაპი და მშვენიერება სძლევდა მზის სხივებს. ციხესიმაგრე მოჭედილი იყო ოქროს და პატიოსან თვალთა და მარგალიტთა შეზავებით. ასე ატკბობდა თვალს გველეშაპის სამყოფელი. მისი კარიბჭე იყო რაღაც დიდი და შიშის მომგვრელი და შიშს მიღმა მშვენიერი. ამკობდა ოქრო და მარგალიტის თვლები ფასდაუდებელი. გარეშე მშვენიერებისა და მეტის დიდებულებისა, წყობაც ფრიად ნანარი ჰქონდათ. მაგრამ ჰარმონია მათი არ იყო მარტივი და შემთხვევითი. დახშულ კარიბჭეს ცოცხალი გველები დასტრიალებდნენ, —დიდი გველები, საშინელი, ველური ბუნებისანი, სულ მღვიძარედ იცავდნენ, შემზარავი მეკარენი. ვინც იხილავდა, შიშით კვდებოდა. გველეშაპის სამყოფელის და ციხეკოშკების ბრწყინვალება რა იხილეს ძმაო, გაიოცეს და გაიკვირვეს. იხილეს ოქროს ბრწყინვალება და პატიოსან თვალთა და მარ-

გალიტია და სხვა ყოველი სიკეთე, რაც იმ სამყოფელს ჰქონდა. მაგრამ სიმაგრე იყო მაღალი და შესასვლელი არ გააჩნდა. არც ჩანდა არც ადამიანი, არც ნადირი, არც ფრინველი, ბუღურასაც კი ვერ მოჰკრავდით თვალს. უდაბური ადგილი იყო. მიმოდიოდნენ ძმები, ეძებდნენ შესასვლელს; პოვეს ბრწყინვალე ჭიშკარი, მეტად ძვირფასი. ნახეს გველები, აცახცახდნენ იმ მეკარეების წინაშე. არ გაეგონათ საშინელი და საკვირველი ქალაქი, ვისი იყო ეს ბრწყინვალე სამყოფელი, ვინ ჰყავდა პატრონად. გამობრუნდნენ უკან, რომ მეკარე გველების კერძნი არ გამხდარიყვნენ. ციხე-სიმაგრის წინ შეშინებულნი შემოტრიალდნენ და გაიქცნენ.

შეჩერება და თათბირი სამი ძმისა

პირველმა დაიწყო: „ციხე არის უბრძოლელი, მიუდგომელი და აუღებელი. ვინ დაიწყებს ბრძოლას? ვინ შეებმება ურჩხულებს? ვხედავ გველეშაპის სამყოფელს, ოქროთი და მარგალიტით შეკაზულს, მშვენივრად განლაგებულ აღურაცხელ პატიოსან თვალს, გაუგონარ სანახაობას, უზარმაზარსა და საშინელ ურჩხულებს, რომლებიც სდარაჯობენ სიმაგრეს. თუ დავუფიქრდებით, მეფე და პატრონი მოელი ამ სიმაგრისა კაცეჭამია ურჩხული უნდა იყოს. ნახეთ და განსაჯეთ. ნუ დაგვაბრმავებს ოქრო და მარგალიტი. გვინდა ეს ოქრო და მარგალიტები? თუ ეს ასეა, შევურიგდეთ იმ აზრს, რომ სიცოცხლის ფასად დაგვიჯდება. მაშ, გავუდგეთ გზას". უფროსი ძმის რჩევას და აზრს მეორემ შეაგება: „მეც გავექცევი ამ გველებს. მათთან ბრძოლა, თუ აუცილებელი არ არის, ეწინააღმდეგება კანონს და მხედრულ სიბრძნეს".

რჩევა და უჩვეულო გზნება მესამე ძმისა

მესამე არ ენდო უფროს ძმებს, მათი რჩევა სიმხდალედ მიიჩნია და თქვა: „თუნდაც სიკვდილს შევხედო თვალებში, საფრხე იყოს უეჭველი და გამომეცხადოს ქარონი... მშვენიერება ციხე-სიმაგრისა, სიმდიდრე მისი, თვალ-მარგალიტი, ლალის თვლების ნოება. თუ სიმაგრე გარედან ასეთი ნატიფია და მშვენიერი, ვის არ მოუნდება, დატკბეს მისი ლაზათით შიგნიდან. რაც გინდ შემემთხვეს, ვუცდე-

ბი ვიღონო შესასვლელად და ვნახო შინაგანი მშვენიერება. გაბრუნდით ოქვენ, დავრჩები მარტო. გავუძლებ განსაცდელს და დავტკბები კიდეც. თუ განსაცდელში ჩავვარდი, ვიფიქრებ, რომ ჩემი ბედის ბორბალი უკუღმა დატრიალდა. ბევრს იგივე შეემთხვეოდა".

უფროსი ძმის გულის დაწრეტით თქმული სიტყვა მესამისადმი

უფროსმა ძმამ კვალად უთხრა მესამეს: „ვერავინ გაექცევა. რაც უნდა ეცადოს, ბედისწერას და ბედის ტრიალს. შენც ბედის ბორბალმა აგიყოლია და მიგიყვანს სიკვდილის კართან. თავს რად იგდებ განსაცდელში ნებით, რატომ უნდა ებრძოლო და ეომო ბუნებას; თუ ვერ სძლევ, თუ უკუექცევი, მოჰკვდები. თუ არ გაიქცევი და თუ განგება მოგიტანს ძლევას, ეს ძლევა შენი უჩინარი დარჩება, რადგან მოწამე არ ეყოლება". უფროსი აჩუქებს თავის ძმას ზებუნებრივ საქორწინო ბეჭედს: „აი კნინი ნუგეშინი, კნინი საოხი — ჩემი ბეჭედი. გიძღვნი მას, საფრხეში რომ მოიგონო და მწეობა ჰპოვო. ეს ბეჭედი პირში ჩაიდე და ფრთა შეგესხ�ება და გადარჩები". ამის თქმისთანავე ისინი ერთმანეთს გადაეხვივნენ, ლაწვების ხოკვით და მკერდში მუშტის ცემით დაემშვიდობნენ ძმები მესამეს და დატოვეს მარტო.

განშორების სიმწარე, მძიმე მარტოობა და მძაფრი ვნება

მესამე ძმამ მარტო შემოუარა სიმაგრეს, ერთ გორაკზე მცირე რამ ჯოხი ჩაარჭო სანიშნოდ და გმირულად გაუდგა გზას.

(ამას მოსდევს „წარმტაცი აღწერანი" ბაღისა და ციხე-სიმაგრისა, რომელიც იხილა კალიმაქოსმა, როდესაც შიგ შევიდა; აღწერა სიმაგრის საბანელისა, ლავგარდანისა, კარისა, კარედსაბმელისა, კერისა, ტრაპეზისა, ბრწყინვალე მოსასვენებელისა (საგარძლისა) ტრაპეზთან და სხვა).

როგორ იპოვა გველეშაპის დარბაზი

იპოვა მთლად ოქროთი მოჭედილი ოთახი, რომლის მშვენიერებას და მოხდენილობას ენა ვერ აღწერს. დარბაზი იყო მომხიბლვე-

ლი, სახლი მშვენიერებისა. როგორ აღვწერო? ჭერი იყო სულ ოქროსი და მარგალიტისა. ელვარებდნენ პატიოსანი თვლები. დარბაზს ჭერი ჰქონდა ვარსკვლავთ სასრბოლო ცისა. მიკვირს ეს ცა და ვარსკვლავთა სასრბოლონი —მეტად ბრძნული ოსტატობა და უცხო ხელოვანება; დარბაზის მთლად ოქროვანი ჭერი. მაღალ ტახტზე მჯდომარე ოეთრთმიან კრონოსს ხელთ ეპყრა ცა. იქ ზევსიც იყო წარმოდგენილი — თეთრი ცადმსრბოლი, ვით დიდი მეუფე, მბრძანებელი, ალზევებული, მეუფე ყოველთა მთავართა და გვირგვინთა ყოველთა. იქ აფროდიტეს ელვარე ვარსკვლავი ნათობდა, სხივები ჰქონდა შორად მნათობი, ამო და უცხოდ სახილველი. ოსტატს არესი გამოეხატა, ვით სიყვარულით მლალობელი აფროდიტესთან. ტახტზე მჯდომარე ათენა და ქარიტები ამშვენებდნენ იმ ცას. შუაში დიდი თანავარსკვლავედი იყო.

აქა ტკივილიანი ამბავი

დიდი ხელოვანებით შეექმნა ოსტატს ჭერში სხვა ცის გამოსახულება. დიდი და საკვირველი ხელოვანების გამომხატველი იყო სხვა, მეორე ცა-სასრბოლი. მაგრამ ცას წუხილი ჰქონდა, დიდი სიმწარე ჰქონდა, გამუდმებული ენება და წამება. ვის შეეძლო გამოესახა ეს ტანჯვა ისე, რომ თვით არ ეტანჯა, ცრემლის მდინარეები არ ელვარა, სანამ ამ ამბის თხრობას შეუდგებოდა; ვისაც არ ექნებოდა გრძნობა დამსხვრეული და გული მილეული.

გვიამბობენ კვნესით, თუ როგორ ეკიდა ყმაწვილი ქალი

შუა ჭერში, მაგრამ ჩემს სიტყვას დიდი ტანჯვა ახლავს, ყმაწვილი ქალი ეკიდა თმებით (ამემლვრა გრძნობა, ამემლვრა გონება). თმით ჩამოკიდება — უჩვეულო გამოგონება ბედისა. ყმაწვილი ქალი ეკიდა თმებით ... ენა მიდუმდება. აჰა, ვდუმვარ. მომკვდარი გულით ვწერ. თმებით ეკიდა მადლიანი ყმაწვილი ქალი. მას, მხოლოს, დაეინებით უმზერდა მესამე ჭაბუკი —კალიმაქოსი, ეს ყვავილი სიყვარულისა, გულოვანი, ძლიერი და გამბედავი. იგი ადგილზე გაქვავდა. უყურებდა თვალმოუწყვეტლად, იდგა და უყურებდა. ესეც ნახატის ნაწილიაო, ფიქრობდა. ასე შეუძლია მშვენიერებას

სულის ამოხდა. იდგა და უმზერდა გულმკვდარი უძრავად. უსიტყვოდ და ორ გრძნობას შეეპყრო: ქალის მშვენიერება განაკრთობდა და წამება აწამებდა. დაწრეტილი სულისაგან კვნესაღა აღმოხდა. ქალი — სიმწრით განკაფული, ხმა — მტკივანი და ენა — ცეცხლში მგზებარისა.

ქალწულის ფრიად წუხილიანი სიტყვა ჭაბუკისადმი

ეტყვის მას: „ეჰეი, ვინ ხარ? საითგან მოხველ? ეგებ სწორედ ოცნება ხარ ანუ მოჩვენება, ადამიანის სახის მქონე, მამაცი, კეთილგონიერი, უსიცოცხლო და განწირული. ვინ ხარ უენო და მდუმარე? თქვი, რატომ დგახარ და ოდენ მიმზერ. ჩემმა ბედმა თუ მოგიყვანა განსაცდელად ჩემად. ჭირს არ უფრთხი და ბედისგან ხარ მოგზავნილი. შენ ხედავ, განსაცდელშია ჩემი სხეული. და თუ ამას ხედავ და ხილვა გიჭირს და თუ განსცდი ჭაბუკი ხვედრს ჩემსას ბოროტს, რომელმაც აქამდის ბევრი გაჭირვება გამომატარა და დღესაც გამოუგზავნიხარ შეგონებად. რათა დამაღწიოს ბევრ ტანჯვა-წამებას, მადლს ვწირავ ჩემს ხვედრს; დამაკალ და დღე დამიბნელე. ხოლო თუ დაასწარ უსახურს და სრულიად უსიტყვოს შეგონებად ჩემდა, ილაპარაკე. რატომ დუმხარ? სულ მცირედ სული მომათქმევინე. ეს გველეშაპის სამყოფელია. კაციჭამიას სასახლეა. არ გესმის ჭექა-ქუხილი? ვერ ხედავ ელვას? მოდის. რაღას უდგახარ? მოდის. მაშ, განერიდე, დაიმალე. ურჩხული ძლიერია, კაციჭამიების ჯიშისაა. თუ დაიმალები, იქნებ გადარჩე. იცოცხლო. აგერ, ხედავ ვერცხლის ავაზანს? თუ ამის ქვეშ შესრიალდები და ამოეფარები, იქნებ გველეშაპის ზღვარდაუდებელ ძალას დაუსხლტე. გაიქეცი, შეცურდი, დაიმალე და გაყუჩდი. აი, მოვიდა“.

ჭაბუკმა მიიღო რჩევა, ენდო თმებით ჩამოკიდებული ყმაწვილი ქალის სიტყვებს, იმ წუთს ამოეფარა ავაზანს და დაიმალა.

გველეშაპის შესვლა იმ დარბაზში

გველეშაპი მოვიდა არაადამიანური ვნებებით და განწყობით. ვის შეუძლია აღწეროს იგი, გულცივი, უალერსო და მკაცრი

გულისა, რკინისა? გველეშაპის გაქვავებულ გულს ვინ გადმოსცემს სიტყვით? აიღო მან ტირიფის ხნელი და გაწკეპლა თმებით ჩამოკიდებული ქალი თავიდან ფეხებამდე და თითის წვერებამდე. იქ მჯდომარედ გამოსახულ ეროსს, რომელიც აღანთებს გულს და იმონებს დაუმონებელსაც, არ შეეძლო გველეშაპის გულის მოლბობა და მისი გრძნობების სიმძაფრის შენელება. სულით ხეშეშმა გველეშაპმა თავი დააღწია სიყვარულის ცეცხლს, რადგან ცეცხლი და მშვილდი ეროსისა მას არ აშინებდა. იმ საზარელი ტანჯვის დასრულებისთანავე უცხო, მისთვის უჩვეულო სინაზით დადგა ოქროს სკამი ქალის ოქროს ფეხებქვეშ; გაჭირვებით პოვა საყრდენი სკამზე ყმაწვილმა ქალმა ისე, რომ თმებით მაშინაც არ ჩამოუხსნია გველეშაპს. ამან მცირე ლუკმა ჭამადი მისცა მწყაზარს და სმარაგდისფერი ქვის ფიალით ერთი ყლუპი წყალი შეასვა. მართალი რომ ითქვას, ამით მხოლოდ ხელახლა დასასჯელად შეინახა. ქალმა დალია წყალი, სატანჯველი სწვავდა, თმები აწვალებდა და ეწამებოდა სიუხეშით. გველეშაპმა მაშინვე გამოაცალა სკამი და ყმაწვილი ქალი ისევ ჩამოეკიდა.

პირობა, ბრძანება გველეშაპისა და მყის ყოვლისაგან სრული დამორჩილება ნახე, წაიკითხე და განცვიფრდი

ძალიან ძვირფასი პატარა საწოლი იდგა გველეშაპის საკვირველ დარბაზში, ანუ ქალის საწამებელში; არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ მხოლოდ წამების იარაღი იყო ეს. პატარა საწოლი, დაბალი, სულ ოდნავ ამაღლებული, მთლად პატიოსანი თვლებით გახლდათ მოოჭვილი. გველეშაპი აღიმართა თავის საწოლზე, ბრძანა და მაშინვე ნუგბარი კერძებით სავსე ტრაპეზი გაჩნდა მის მყრალ პირთან, კარგად გამოძღა, დანაყრდა, არ შეიბრალა ყმაწვილი ქალი, გადაიშხლართა, ვითომც არაფერი, და დაიძინა.

გველეშაპის ძილი და მოკვდინება წაიკითხე, ღრმა და სასიკვდილო ძილი

ყმაწვილმა ქალმა რა ნახა, რომ გველეშაპს ეძინა, თრობისა და ძღომის შემდეგ განმცხრალს, და ხვრინავდა მძინარე, მთლად გაშხ-

ლარიოული, — ძილი მოეგვარნა ჭარბად სმას და პურობას — მაშასადამე, ნახა რა ბოლოს ქრისოროემ, რომ გველეშაპს ძალიან ღრმად ეძინა და სულ ველარაფერს გრძნობდა,

ქრისოროეს სიტყვა დამალულისადმი

უთხრა დამალულს: „ჭაბუკო, ცოცხალი ხარ თუ შიშით მკვდარი? ნული შეშინდები, გამხნევდი მეტად. გამოდი, მაშ. ნუ გეშინია, თუ გაუძლებ ჩემი დიდი ტანჯვისა და ნადირის შიშის განცდას". ამ სიტყვების გაგონებისთანავე გამოვიდა მთრთოლვარე ჭაბუკი. ქალი ეუბნება მას: „სძლიე სიმხდალეს. დადგა ჟამი, რომ დაუბნელო დღე მძინარე ნადირს. უპირველესად თავი დაიხსენ. ხომ გაქვს ხრმალი, დაეც კაცთმოჭულეს, მოკალ კაცთა ბევრი სულის მკვლელი და განაბნიე წყვდიადი მოელი ჩემი გულისა". წამოდგა ჭაბუკი, ამოიოხრა, ალიწვადა მახვილი და სიმხნე-დამშვენებულმა და ბრძოლა-შვენიერმა სცა ხრმალი მძინარეს, როგორც შეეძლო ეხმარა ხრმალი, მაგრამ გველეშაპი ამ კვრამ ვერც კი გამოაღვიძა. ყმაწვილი ქალი კვნესით ეტყოდა კალიმაქოსს: „გადააგდე შენი ხის მახვილი, რომ არ დაგვხოცოს. გამოაცალე გასაღები, თავქვეშ აქვს. ხედავ გველეშაპის განჯინას? გახსენ და იქ გველეშაპის მახვილს ნახავ. უცხო ვადა აქვს პაროსის მარმარილოსი. რომ გქონდეს ღონე გაგლეჯისა, ნუკი იცახცახებ შიშისაგან, არკი დააყოვნო და მერმე არ ჰკრა. შუა გააპე ნადირი". მანაც (ჭაბუკმა) სასთუმალიდან გამოაცალა გასაღები, გააღო გველეშაპის განჯინა, გამოიღო ხრმალი, დაჰკრა და შუა გააპო უმალ. ასე იხსნა თმებით ჩამოკიდებული ქალწული; მოაშორა ტანჯვას მისი საცოდავი სხეული, დაჰხსნა საპყრობილეს და სიმწარეს სხეული მშვენიერი, საამებელი, ყოვლად ხატ-კეთილი და მწყაზარი.

მშვენიერი ქრისოროეს საბოლოო გამოხსნა უბედურებისგან, საბოლოო გამოხსნა ტანჯვისაგან და კალიმაქოსის სიყვარული

ქალი ტირილით კვალად ეკითხება: „ვინა ხარ? როგორ შემოაღწიე აქ, ურჩხულთა ხახაში? ვშიშობ, შენც ჩემს ბედზედ

ქმნილი არ იყო და მეორე საფრანგეთის ჩემიერ ბედისგან მოვლენილი, რადგან არა მწამს, ჭაბუკმა ბედს სძლიოს". ქალწული ეკითხება კალიმაქოსს მისი ტომის შესახებ და იგი უპასუხებს. მიმართავს ქალს. კალიმაქოსი უსსნის თავის წარმოშობას, ტომს, ქვეყანას, მიზეზს მოგზაურობისას, მას, თუ როგორ გამოეგზავნენ. უსსნის ძმების გაბრუნებას–ყველაფერს დალაგებულად. შემდეგ თავად გამოეკითხავს ქალწულის წარმოშობას, ტომს, აღზრდას, ქვეყანას, წინაპრებს, გველეშაპის ხელო იმ შემხარავ სატანჯველს.

კვალად ძიება კალიმაქოსისგან ქრისოროეს მამეული ჩამომავლობისა, სამშობლო ქვეყნისა და უბედურებისა

ქალი გმინავდა მწარედ, თითქოს გულის სიღრმიდან ისმოდა კვნესა, და დაიძრნენ თვალთაგან მისთა ცრემლის მდინარეები და ამბობდა: „ამაოდ მკითხავ, ჭაბუკო, ჩემს მამულს და გამწარებულ სიყმაწვილეს და გამწარებულ მოდგმას. დღეს მე მომკვდარს მხედავ, ტყვედ მყოფს, როგორც მხვეალს, ვერცხლის ფასად შესყიდულს, სხვად მოძიებულს. რისთვის გწადს ქვეყანა უბედური? რისთვის გწადს ქვეყანა უცხოსი, უიღბლოსი და უბედურისა? იკმარე ხილვა ჩემი, მომკვდარის ტანჯვით. დამტოვე მარტო. მე მარტო მოვიშუშებ წყლულებსა და იარებს, რომლებიც მარგუნა ჩემმა უკეთურმა ბედმა". ხოლო ჭაბუკი ეტყვის: „ნუ ამბობ. იარებს მარტო მე მოვიშუშებ. დღეიდან მე მონა ვექნები მაგ სხეულს". ყმაწვილი ქალი კვალად ტირიდა და გულის სიღრმიდან მოსთქვამდა: „მე ჩემი უბედური და უკეთური ბედის გვემულებანი და ნაიარევნი მარტომ დავითმინე, გვემულებანი და ნაიარევნი მარტომან ვუწყი". ჭაბუკს ქალთან ერთად აწუხებდა მისი ჭირი, ეგზომა გმირვა და განკაფული სახე და გამოუთქეული ტკივილი ნაწლევთა და დაწრეტილი გულის, და ტკივილი, გარეგნობით გამოსახული, და ესალბუნებოდა და ეუბნებოდა: „სხეული შენი ნათელს ხდის შენს კეთილშობილ წარმოშობას, მიმხელს შენს თავს, როგორც ყოვლად კეთილშობილს და მშვენიერს, სამეფო რტოს დიდებულს. ხოლო მე კვალად გეტყვი და უფრო გესალბუნები; ვამანდე შენი

მამეული მიწა, მიამბე შენს სიყმაწვილეზე, როგორ აღმოჩნდი სამეფო გვარის შვილი ულმობელი გველეშაპის ხელთ".

ქრისოროე უამბობს თავის ტომზე, თავის აღზრდაზე

მოტირალის და წამებულის სიტყვებია: „შენ ჰხედავ სრულიად დაუფარავს ჩემს საბრალობელ სხეულს, რომელს უწინ ემოსა. ჯერ მოშიტანე სამოსი, შიგნით შენახული, მით დამიფარე სხეული; გველეშაპმა ის სამოსი თავად ჩემი მშობლებისგან მიიღო. ყოველის შთამნთქმელის წარიღე გვამი, რადგან მძულს. თუნდაც მომკვდარის, აქ განრთხმულის დანახვა. აანთე ცეცხლი, დაწვი, აქციე ფერფლად და მაშინ შეიტყობ ჩემს ტომს, სამშობლოს, წარმოშობას, ადგილს, სადაც დავიბადე". კალიმაქოსმა გველეშაპის სხეული მყის მხრებზე მოიგდო და გარეთ გაიტანა. შემდეგ არწივისებრ მოვარდა კერასთან, აიღო ცეცხლი და დაწვა სამარცხვინო გვამი. შემობრუნდა უკანვე ქალთან, გააღო შიდა ოთახი, აიღო და მოუტანა წმინდად ნაქსოვი უცხო ქიტონი. ქალმა ჩაიცვა, დაჯდა და იწყო ამბის თხრობა სრულად და დალაგებულად; ტომი, აღზრდა, სამშობლო ქვეყანა და ყველა სიმწარე უკულმართი ბედისა გააცნო: „მშვენიერი და კეთილშობილი ასული ვიყავ მტრისთვის ზარდამცემთა ერთმთავართა, ბრწყინვალეთა და დიდძალი განძის მქონეთა. მოიხიბლა ჩემი მშვენიერებით (სადღაა ჩემი მშვენიერება?) ეს გველეშაპი და ცოლად წაყვანა ინდომა ჩემი. მწარე და უჩვეულო ქორწინებაზედ შეთანხმებისაგან უკან ვერ დაიხიეს ხელმწიფე მშობლებმა ჩემმა; დაჰყვნენ ნადირს შიშით. წყალს არ უშვებდა მთის წვერიდან მედინი მდინარიდან მამაჩემის სახელმწიფოს მიწებამდე და ციხე-კოშკებამდე. უწყალო ბედს ენება, რომ მთელ სახელმწიფოს და ჩემს მშობლებს არ ჰქონოდათ სხვა წყალი, გარდა ამ მდინარისა, და ესეც რისხვით თავაწყვეტილი გველეშაპის ხელთ ყოფილიყო. შეთანხმდნენ, მაგრამ მე არ დავყევი. საშინელი ნადირი... გველეშაპმა ჩემი ქვეყნის ყველა ოთხფერხი შეისრუტა, თითქოს ყლუპი წყალი ყოფილიყოს, და კვლავ ინება ჩემი ცოლობა და კვალად არ სურთ ჩემი გაცემა ჩემს მშობლებს და გოდებენ. რისხვამ აღანთო გველეშაპური ბუნება; განაახლა

მუქარა: სურს მაიძულოს, რომ ვიქორწინოთ, მე. რაც არ უნდა მოხდეს. ქორწინებაზე უარს ვამბობ. გველეშაპთან ერთ ჭერქვეშ ცხოვრება სიხბარშიც არ მსურს. მაშინ ყველას — დიდს თუ პატარას, კაცს. დიაცს, მოხუცებს და ბავშვებს — შთანთქამს. ყველა შთანთქა. არავინ არ გაუშვია. დადგა ჯერი მშობლების ჩემის. თავად სკიპტრის მპყრობელთა — ო, უბედურება და სატირალი. ო. განაჩენი — როგორ დავტოვე? როგორ ვცოცხლობ? როგორ ვძლებ? — შთანთქა, შესანსლა, კვალიც არ დატოვა ბოლოს და მხოლოდ მე გამომაცალა იმედი. ერთადერთი წყალობა, რომელიც გველეშაპმა მოიღო მათთვის. ის იყო, რომ ცალცალკე გადაყლაპა უაზნონი და მთავარნი. ო, სასჯელი! როგორ არ დაიფლითა. როგორ არ შეიმუსრა მაშინ ყოველის შთამნთქმელი გველეშაპის მყრალი წიაღი? რა მოჰყვა სიკვდილს? რა მოხდა ამის შემდეგ? ბიტაცებს და სურს, ეყავდე ჩემს უნებურად. მე არ ვუჯერებ ოდნავადაც და ვნებული ვარ ამგვარი ვნებით და ამგვარ ტანჯვათა შემდგომ ვძლევ გველეშაპის უწყალო გულს — დაძარხული და დაცული დღესაც უმწიკვლო ქალწულად". მერმე ჭაბუკმა უთხრა მას: „ეროსმა, რომელსაც უმზერ მჯდომარეს ბრწყინვალე სამეფო ტახტზე, თავად დაგიცვა, თავად დაგიფარა და აწ ხელთ მყავხარ და სიყვარულის ყოველი მადლი და სიმწყაზარე, რომელსაც შენი სახე მეტყველებს, თავად ყოველთა მეუფემან მე მომმადლა". ქალწული კვალად ცრემლთა ღვრით ეტყვის: „ჩემთა ჭირთა და გვემულებათა .ჰხედავ და მაინც ფიქრნი ჩემთვის გკრძიან? ეჭვი მიპყრობს. ჩემმა ბოროტმა ბედმა მარგუნა უბედურება და ილბალი აფროდიტეს ავბედითი ძაფისაგან მომექსოვა. გამიშვი ახლა მარტო და ჩემს ბედს დავიტირებ. ჭაბუკო, იწამე. უბედურებაა ჩემი ბედისწერა და ნუ ისურვებ ჩემთან ბედისწერის ერთობას. უკულმართ ბედს შეუძლია ადამიანური სახე წაართვას და ადამიანის გულსაც ურჩხულის ბუნება შესძინოს. დამანებე იარების დატირება. ამ ტანჯვას გავექცევი. ველარ ვითმენ, ვსახლობდე მტრის — გველეშაპის, ამ საზარელი ტირანის, მიწაზე. ნუთუ შენც ცოცხლით დამწვარი დარჩები... დღე დაუბნელე მას რისხვით, როგორც ბევრს დაუბნელა. მაგრამ გევედრები, ნუ ინებებ ჩემს გამოცდას;

იქმენ უფრო ადამიანური, მოწყალე, ვიდრე ჩემი უკეთესი ბედი. ნუ დაუკავშირებ შენს ბედს ჩემსას, ნუ გაიმეტებ თავს უბედური ბედისწერისთვის. თუ გაინაწილებ უბედურ ბედს, რომელიც უბედობის წერამ შემითხზა; თუ მას შენს ბედად განსცდი, იცოდე მაინც, რომ ერთი კარგი დღე არ გექნება მოსაგონარი". ეს თქვა ყმაწვილმა ქალმა, თან იტანჯებოდა, კვნესოდა და მოსთქვამდა. მაგრამ მგლოვიარემ, მტირალმა და მკვნესარემ უფრო მეტად სიყვარულით აღვსილი ჭაბუკი, დაიმონა მისი გონება, სული და გული და სიყვარულის მონად აქცია. ოხვრასა და კვნესაში ხშირად მშვენიერება გამოკრთებოდა. ქალწულის მთელს სიამესთან ერთად ესეც საფარველი იყო მისი, ჭაბუკი ეფერებოდა წყლულებზე და სალბუნისთვის ეტყოდა: „მოიშორე მოქუფრული იერი, დაცხრი და სული მოითქვი. ქვითინი სულს გიხუთავს, გკლავს, ხოლო ყოვლად კეთილშობილ სხეულს სულის შეხუთვა არ შეეფერის. თუ შენ დასწყევლი ბედისწერას, როგორც ავბედითობას, როგორც არაადამიანურ ხვედრს, მე ბედისწერას ვნატრი, რომ ურჩხულთა ხახისგან გიხსენ და დედოფლად გქმენ გველეშაპის საგანძურისა და მონად შერაცხულ ვარ მეც სხვებთან ერთად საშინელი მონობისათვის მთელი ჩემი გულით". მცირედლა მკვნესარე ქრისოროემ პასუხად ეს უთხრა: „იცან ჩემი უბედური წერა. მე წამებისგან არ გიხსნივარ; ბედმა რკინისებრი გული მოგცა, ფოლადის სული და კლდე — გონებად. ჰხედავ იარებს ჩემს უბედურ ასო-ნაკვთებზე და უფრო იმაგრებ სულს. მაგრამ მე ჩემი ბედი ვიცი, ბედის ბრძოლა გამოვცადე; ბოროტება მისგან ბევრჯერ ნივთიერად, ხელით საგრძნობად შევიცან და არ მიკვირს, რომ ეგ მეფური გული რკინისებრ, ულმობელ გულად გიქცია". მერმე სიტყვებს მეტი სილბო და სითბო დაჰყვა. არ აღვწერ დაწვრილებით, რაც მოხდა ამის შემდეგ. ეს გააგრძელებდა ჩემს მოთხრობას და მოსაწყენს გახდიდა. ინებეს თავიანთ სულთა და გულთა შეერთება დაურღვეველად და საშინელი ფიცით გაამაგრეს თავიანთი სიყვარული.

გიორგი აკროპოლიტესი

XIII საუკუნის ისტორიკოსის გიორგი აკროპოლიტესის (1217-1282 წწ.) „ქრონიკა" არის უმთავრესი წყარო ე. წ. ნიკეის იმპერიის შესახებ. როგორც ცნობილია, 1204 წლის 13 აპრილს კონსტანტინეპოლი ჯვაროსნებმა აიღეს და ბიზანტიის იმპერია დაიშალა რამდენიმე დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად, რომელთაგან ერთი ჩამოყალიბდა მცირე აზიის დასავლეთ ნაწილში, დედაქალაქით ქ. ნიკეაში, და იწოდა ნიკეის იმპერიად. მის სათავეში აღმოჩნდა მსხვილი ბიზანტიელი ფეოდალი თეოდორე ლასკარისი, რომელმაც 1208 წელს მიიღო „რომეების იმპერატორის" ტიტული. ლასკარისების დინასტიამ სულ 50 წელი მართა ნიკეის იმპერია. 1259 წ. იგი პალეოლოგოსებმა შეცვალეს, 1261 წ. კი მიხეილ VIII პალეოლოგოსმა აიღო კონსტანტინეპოლი, რითაც აღდგენილ იქნა ბიზანტიის იმპერია, რასაკვირველია ძალზე შემცირებულ მასშტაბში. სწორედ ლასკარისების, შემდეგ კი მიხეილ VIII - ის კარზე მოღვაწეობდა გიორგი აკროპოლიტესი[1]. კონსტანტინეპოლში დაბადებულ გიორგის მამამისი გზავნის ნიკეაში 1234 წ., ცნობილ რიტორთან თეოდორე ჰექსაპტერიგესთან განათლების მისაღებად. უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგ იგი სწავლას აგრძელებს საიმპერატორო კარის სკოლაში, ასევე ცნობილი რიტორისა და ფილოსოფოსის ნიკიფორე ბლემმიდეს ხელმძღვანელობით. აქ იგი ერთხანს განათლებას იღებდა უფლისწულ თეოდორესთან (მომავალი იმპერატორი თეოდორე II) ერთად, შემდეგ კი მისი მასწავლებელი ხდება.

გიორგი აკროპოლიტესმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწია საიმპერატორო კარზე; ლასკარისების დროსაც მონაწილეობდა ნიკეის იმპერიის პოლიტიკურ ცხოვრებაში, მაგრამ განსაკუთრებით დაწინაურდა მიხეილ VIII პალეოლოგოსის დროს, როდესაც მიაღწია უმაღლეს სამოხელეო თანამდებობებს, ასრულებდა მნიშვნელოვან დიპლომატიურ დავალებებს. მისი ასეთი მოღვაწეობა

---

1. აკროპოლიტესი, როგორც ვარაუდობენ, საგვარეულო ზედწოდებაა.

განაპირობებს იმას, რომ იგი კარგად იცნობს სახელმწიფოში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს. ამიტომაც მისი „ქრონიკა" ძირითადად სანდო წყაროდ ითვლება 1203-1261 წლების ისტორიისთვის.

გიორგი აკროპოლიტესი თავისი თხზულების შესავალში აღნიშნავს თავის კრედოს, როგორც ისტორიკოსისას; მისი განცხადებით, ისტორიკოსი მიუდგომელი უნდა იყოს, მან „უნდა აღწეროს ადამიანთა საქმენი, კეთილნი თუ უკეთილნი, არც მიდგომით ან შურით, არც სიძულვილით ან პირადი კეთილგანწყობით..." მაგრამ თვით გიორგი ამ იდეალს ყოველთვის არ მისდევს და საკმაოდ აშკარად ამჟღავნებს თავის განწყობას ამა თუ იმ პოლიტიკური მოღვაწის მიმართ. ასე, იგი ვერ მალავს უარყოფით დამოკიდებულებას თეოდორე II ლასკარისის პიროვნებისა და მმართველობისადმი, ამავე დროს თითქმის მონურ თაყვანისცემას ამჟღავნებს მიხეილ VIII პალეოლოგოსისადმი. გიორგი აკროპოლიტესის იდეალს წარმოადგენს მეომარი იმპერატორი, მაგრამ ამავე დროს მის აუცილებელ თვისებას განათლებულობა უნდა წარმოადგენდეს. გიორგი ისტორიულ მოვლენებში უდიდეს როლს ანიჭებს ღვთის განგებას. იგი რჩება რომაულ-ბიზანტიური ისტორიოგრაფიის ტრადიციულ პოზიციაზე ეთნიკურ თვისებათა განსაზღვრისას: მისთვის რომაელები სხვა ხალხებზე მაღლა დგანან, თუმცა იგი აღიარებს ცალკეული ხალხების ზოგიერთ დადებით თვისებასაც.

მოვლენათა უმეტესობას აკროპოლიტესი ძალზე დამაჯერებლად აღწერს და ამჟღავნებს პოლიტიკურ ალღოსა და სამხედრო გამოცდილებას. მისი „ქრონიკა" გამოირჩევა ლაკონიურობით, გადმოცემის ხერხების ერთგვარი სიძუნწით, მაგრამ საკმაო სიცხადით და დამაჯერებლობით.

გამოცემები: Georgii Acropolitae Opera, rec. A. Heisenberg, vol. I-II, Lipsiae, 1903; Georgii Acropolitae Opera, rec. I. Bekkerus, Bonnae, 1836; რუსული თარგმანი: Летопись Великого логофета Георгия Акрополита, перевод И. Троицкого, Византийские историки, СПб., 1863;

ნაწყვეტების ქართული თარგმანი: ალ. გამყრელიძე, გიორგი აკროპოლიტე და მისი ცნობები საქართველოს შესახებ: მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 31, თბ., 1954; შად. გეორგიკა, ტ. VII, თბ., 1967.

ლიტერატურა: V. Valdenberg, Notes sur oraison funèbre de Georgii Acropolite. Bz. Bd. 30, 1929/30; П.И. Жаворонков, Некоторые аспекты мировоззрения Георгия Акрополита, ВВ, 1986, т. 47; он же, Культура Никейской империи, Культура Византии, кн. III, М., 1991.

უბრძნესი და უწარჩინებულესი ლოგოთეტის გიორგი აკროპოლიტესის თხზულება, დაწყებული ქალაქის აღებიდან[1]

I. ისტორიის სარგებლობა ჩვენი წინამორბედი მემატიანეების მიერაც არის გამორკვეული და ჩვენ გვინდა ვთქვათ იმის შესახებ, რაც მათ აზრად არ მოსვლიათ: რასღა ვპოვებთ იმაზე ახალს აზრს, რაც ამდენმა მწერალმა მოგვითხრო თავიანთ თხზულებებში და რაც მათ თქვეს მშვენიერი ისტორიის შესახებ? ამიტომ, რაც ამჟამად ჩვენს სათქმელში მათ ნათქვამზე უფრო ღირსია მოხსენიებისა, იმას წარვუმძღვარებთ ჩვენს თხრობას. ესეც არის, რომ ჩვენ წინ გვიდევს ისეთი ახალი მოვლენები, რომლებიც არავის არ აღუწერია, უფრო ახალი და უფრო სასარგებლო, ვიდრე ადამიან-

1. სხვა ხელნაწერებში სხვა სათაურებია შენახული: 1. „წინამდებარე „საქრონიკო ისტორია" დიდი ლოგოთეტის აკროპოლიტესისაა, რომელმაც აღაშენა აგრეთვე ქრისტეს წმინდა აღდგომის მონასტერი. შეიცავს ამბებს კონსტანტინეპოლის აღებიდან ვიდრე მეფის მიხეილ პალეოლოგოსის გარდაცვალებამდე. 2. აკროპოლიტესის საისტორიო თხზულება, დაწყებული კონსტანტინეპოლის აღებიდან. 3. უფილოსოფოსესი დიდი ლოგოთეტის გიორგი აკროპოლიტესის „საქრონიკო მოთხრობა".

თა ცნობიერებაში მომხდარი ამბები. რაც უთავბოლოდ წარმოთქმულმა სიტყვამ სისწორით ვერ გადმოსცა. ჩვენ მავვარად მომოხრობი მწერლები სხვადასხვა საწყისს უდებდნენ საფუძვლად თავიანი ისტორიებს: ზოგნი ქვეყნის დასაბამიდან იწყებდნენ, სხვები კი რომელიმე სხვა ღირსშესანიშნავი მოვლენიდან, მაგალითად სპარსთა, ელინთა, რომაელთა ან რომელიმე სხვა ხალხის წარმოშობიდან, და თითოეული თავისი მიზნის მიხედვით გამართავდა ხოლმე თხზულებას.

ჩვენც არანაკლებ მივყვებით თხრობის ამგვარსავე წესს. ქვეყნის გაჩენიდან მოვითხრო მომხდარი მოვლენები ბევრმა და ხშირადაც, ხოლო არ არის საჭირო ვილაპარაკოთ იმაზე, რომ მეფეთა საქმეების გადმოცემისას, სხვადასხვა მხარეებსა და ქალაქებში გადატრიალებათა, აჯანყებათა და ომების, შეჯახებების და ადამიანთა დატყვევების, გამარჯვებათა და დამარცხებათა, სხვა ამგვარი მოვლენების შესახებ თხრობისას, რაც ჩვენში ხდება. ისინი მეტწილად ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან. მათ მიერ აღწერილი მოვლენები იმდენად მრავალფეროვანი და ურთიერთისგან განსხვავებული იყო, რომ ბოლომდე ცნობილი არ იყო თვით მასში მონაწილე მოღვაწეთათვის, როგორღა უნდა აღეღგინა ჭეშმარიტება ისტორიკოსს? ისტორიკოსმა მეტწილად უნდა ყურად იღოს ისიც, რასაც საერთო ხმებისა და მითქმა-მოთქმიდან გაიგებს, თუ არ სურს გააყალბოს ჭეშმარიტება, როგორც იქცევიან ფუალის გამყალბებელნი. არ უნდა აღწეროს ისტორიკოსმა ადამიანთა საქმენი, კეთილნი თუ უვარგისნი, არც მიდგომით ან შურით, არც სიძულვილით ან პირადი კეთილგანწყობით, არამედ მან უნდა წეროს მხოლოდ ისტორიისთვის, რათა არ ჩაიდიროს სილრმეში დავიწყებისა ის, რაც დრომ წარმოშვა, და გადაეცეს მომავალ თაობას ამბები, იქნება ეს კარგი თუ ცუდი. ჩვენი ისტორია დაიწყება კონსტანტინეს ქალაქის აღებით, იმ სახელოვანი და განთქმული ქალაქისა, რომელიც უკლებლივ ყველა ხალხისათვისაა ცნობილი.

2. ეამსა ალექსი კომნენოსისსა, რომელიც იყო ძმა მისი წინამორბედი მეფის ისააკისა (ორივენი ანგელოსთა საგვარეულოს

ეკუთვნოდნენ)[2] და რომელიც მარიავდა რომს მის (ე.ი. ისაკის) შემდეგ. იტალიიდან მოსულნი მიადგნენ კონსტანტინეპოლს. მოხდა ეს შემდეგი მიზეზით: ზემოხსენებულმა ალექსიმ რომელებზე მბრძანებლობას მიაღწია თავისი ძმის ტახტიდან ჩამოგდებისა და დაბრმავების გზით. მაგრამ ისაკს ჰყავდა ვაჟი, რომელიც ყველა პირველი ცოლისგან და რომელმაც ამ დროს უკვე სიმწიფეში შეაღწია ფეხი. დიდად აღშფოთებული იმ ბოროტმოქმედებით, რომელიც მამამისის მიმართ ჩადენილს, იგი გაიქცა, მივიდა რომში, დაეცა მუსლებზე მისი მღვდელმთავრის[3] წინაშე და დაეინებით ევედრა, რათა მას შური ეძია მისი დალუპული მამისათვის. ამ დროს კი მოხდა ისე, რომ იტალიაში უზარმაზარი რაოდენობით შეკრებილნენ მეომრები. ზოგნი საკუთრივ იტალიიდან, ზოგნი ფრანგთა სამეფოდან, ზოგნი ვენეციიდან და ზოგნი სხვა მხარეებიდან; აქ შეკრებილნენ, რათა აქედან გაელაშქრათ იერუსალიმისკენ, სადაც არის საფლავი ღვთისა. მაი მოუწოდა ძველი რომის იმჟამინდელმა მღვდელმთავარმა, რომელსაც, როგორც ვიცი, დაეინებით სთხოვდა მამისეული ხელისუფლების დაბრუნებას ისაკის ვაჟი. დაყვა რა ამ თხოვნას, უფრო კი დაპირებებს — ხოლო დაპირებები უხვი იყო, — პაპმა ქმაწვილი ჩააბარა ჯარების წინამძღოლებს, რათა მათ გაეყვანათ წინამდებარე გზიდან, აეყვანათ იგი მამისეულ ტახტზე და გამოერთმიათ მისთვის დანაბარები ბიზანტიისა და კონსტანტინეპოლთან შეკავშირებისათვის. ამის შემდეგ ისინი დასხდნენ ტრიერებზე და სხვა ხომალდებზე და, ბედნიერი ზურგის ქარის

---

2. აქ დაშვებულია გარკვეული უზუსტობა: ალექსი, რომელზეც აქა ლაპარაკი, კომნენისი კი არ იყო, არამედ ანგელოსთა გვარს ეკუთვნოდა. მხოლოდ დედით მარილაც კომნენოსთა გვარს ეკუთვნოდა. 1185 წ. კომნენოსთა დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი ანდრონიკე I (1183-1185) ტახტიდან ჩამოაგდო მისმა კარისკაცმა ისაკ II ანგელოსმა, დაიწყო ბიზანტიაში ანგელოსთა დინასტიის მმართველობა. 1195 წელს ისაკ II დაამხო და დაბრმავა მისმა ძმამ ალექსიმ და მიისაკუთრა კომნენოსთა საგვარეულო სახელი. ესაა იმპერატორი ალექსი III ანგელოს-კომნენოსი (1195-1203).

3. რომის პაპი ინოკენტი III. 1198-1216 წწ.

მეორე მოგზაურობის შემდეგ კონსტანტინეპოლთან მისულებმა, ამცნეს მცხოვრებთ ყმაწვილის, მის მიმართ ჩადენილი უსამართლობისა და რომის მღვდელმთავრის განკარგულების შესახებ. ორ მხარეს შორის მოლაპარაკება კარგა ხანს გაგრძელდა, შემდეგ კი დაიწყო ძლიერი ბრძოლა ხმელეთზე, რადგან მოლაპარაკებამ ელჩთა შორის შედეგი არ გამოიღო. მაშინ მეფე ალექსიმ, ნაწილობრივ დამფრთხალმა ამ ამბებით, უფრო მეტად კი იმის შიშით, რომ ერთურთს დაუპირისპირდებოდნენ მისი ქვეშევრდომები, საერთოდ ამბოხებისაკენ მიდრეკილნი და არასაიმედონი, იჩქარა გაქცეულიყო ნებაყოფლობითი იძულებით[4]. ამასთან, როგორც ამბობდნენ ისინი, ვინც ეს პირადად მოისმინა, მას განუცხადებია: „დავითიც გაქცევით გადარჩა"; მან თან წაიყვანა მეუღლე და გაიყოლია საკმაო რაოდენობა ფულისა.

3. როდესაც ალექსიმ კონსტანტინეპოლი დატოვა, მოქალაქეებმა გაუგზავნეს იტალიელებს ელჩები და ამცნეს, რომ თანახმა არიან მიიღონ ძე ისაკისა ალექსი, რომელიც, როგორც ჩანს, იყო მიზეზი ამ განხეთქილებისა, ამასთან აღიარონ ის მეფედ. მართლაც, ყმაწვილი შემოიყვანეს ქალაქში და ყველას მიერ ერთხმად იქნა გამოცხადებული მეფედ იმ შეთანხმების საფუძველზე, რომელიც მან დადო მის თანმხლებ იტალიელებთან. ამ დროიდან, როგორც ჩანს, ქალაქის მცხოვრებთა და იტალიელებს შორის მშვიდობა დამყარდა, მაგრამ როდესაც იტალიელებმა მოითხოვეს დანაპირების შესრულება და ხარჯების ანაზღაურება, ქალაქის მცხოვრებლებმა მიიჩნიეს ამდენი ფულის გადახდა შეუსაბამოდ მათ შესაძლებლობებთან და განუცხადეს, რომ ამდენს ვერ გადაიხდიდნენ. ამის გამო ქალაქში დაიწყო შფოთი. ალექსის მამამ, ისააკ ანგელოსმა (რომელიც იმ დროს ცოცხალი იყო, თუმცა მალე გარდაიცვალა), ჯერ კიდევ კონსტანტინეპოლის აღებამდე გამოთქვა აზრი, რომ საეკლესიო საგანძური გამოეყენებინათ პირველ რიგში და ამით დაეწყოთ იტალიელთათვის შეპირებულის გადახდა, დან-

---

4. აქ სიტყვების თამაშია: „ἑκὼν οὐκ ἐκόντι γε θυμῷ" –„ნებაყოფლობით არანებაყოფლობით".

არნენი კი გაელოთ სამეფო ხაზინის და ქალაქის მცხოვრებთა ქონებიდან. მაგრამ იმ დროს, როდესაც ამ საკითხზე მიდიოდა დავა და ორივე მხრიდან ელჩები იგზავნებოდნენ, ალექსი ისააკის ძე მოკლულ იქნა ალექსი დუკასაგან, რომელიც ალექსიმ პროტოვესტიარიოსის წოდებით დააჯილდოვა, ხოლო მცხოვრებლებმა, ერთი ბუნებრივი ნაკლოვანების გამო „მურზუფლე" შეარქვეს'. შემდგომ ეს ალექსი მურზუფლე მეფედ იქნა გამოცხადებული მოქალაქეთა მიერ. ამის გამო იტალიელები გამძვინვარდნენ და გააფორებული ბრძოლა დაიწყეს კონსტანტინეპოლელთა წინააღმდეგ. მაშინ ამათ სხვა რამეც მოიმოქმედეს შექების ღირსი: კერძოდ, მათ, ვისაც ჰქონდათ ძალაუფლება და გავლენა ქალაქში, გასცეს განკარგულება გასახლებულიყვნენ კონსტანტინეპოლში მცხოვრები ლათინები, რათა რაიმე შეთქმულება არ მოეწყოთ მათთვის. ამის შედეგად მრავალი ათასი ლათინი გადავიდა მტრის მხარეზე, თუმცა მანამდე ფიცულობდნენ, რომ არამცთუ არაფერს მოიმოქმედებდნენ მოქალაქეთა საზიანოდ, არამედ, თუკი საჭირო იქნებოდა, მოკვდებოდნენ მათთან ერთად, როგორც თანამემამულენი და თანამოქალაქენი. ქალაქში დატოვებული თავიანთი ცოლებისა და შვილებისათვის ისინი იმასაც კი არ ითხოვდნენ, რომ უშიშარ ადგილას მოეთავსებინათ. ამავე დროს, ქალაქიდან გასვლის შემდეგ მათ დიდი დახმარება გაუწიეს მტერს თავისი მრავალრიცხოვნებითაც და საქმის ცოდნითაც.

4. შემდგომად ამისა გავიდა ორმოცი დღე და კონსტანტინეპო-

---

5. საიმპერატორო გარდერობის მთავარ გამგებელს „პროტოვესტიარიოსი" ეწოდებოდა. XII ს-ის მეორე ნახევრის და XIII ს-ის დასაწყისის ქრონისტის, კონსტანტინეპოლის ლათინთა მიერ აღების მომსწრის და ამ მოვლენების თანამონაწილის ნიკეტა ხონიატესის აღწერით დედაქალაქის მცხოვრებთა აღშფოთება გამოიწვია სწორედ საეკლესიო საგანძურთა უბოდიშო ხელყოფამ; ბერძენთა რელიგიური გრძნობები იყო შეურაცხყოფილი, რაც გამოიყენა ალექსი დუკამ და დაამხო ალექსი ისააკის ძე. ზეწოდება „მურზუფლე", იგივე ნიკეტა ხონიატესის სიტყვით, შეერქვა, რადგან ის მუდამ წარბშეკრული იყო და წარბები ერთმანეთზე შეზრდილი ჰქონდა. Nicet. Chon. Historia, 738-740.

ლი ალეპულ იქნა იტალიელების მიერ; მოხდა ეს დასაბამიდან ქვეყნისა 6711 წელს აპრილის 12-ს. მოვიდნენ ისინი აქ 6710 წლის მაისში, ხოლო II თვის შუადღემ მოხდა განადგურება ქალაქისა[6]. ეს სასეფლოანი და უსარმაზარი ქალაქი, როგორც მოგვითხრობენ, ალეპულ იქნა ერთი თუ ორი მეომრის მეშვეობით; ესენი პირველნი აიფრინენ გალავანზე კიბით, რომელიც მიამაგრეს ყველაზე დიდი ბაჩიანი ხომალდის ანძაზე ის, რაც ამის შემდეგ ქალაქში მოხდა, იმდენად გრძელ აღწერას მოითხოვს, რომ დიდად სასურველია ჩვენი თხრობის მიზნებს. სულიმ ყველამ თვითეულ წარმოიდგინოს ყოველივე. რაც ტყვეებულ ქალაქს ემრიცა: ესაა მამაკაცთა ხოცვა, ქალთა მოტაცება-დამონება, ძარცვა, საცხოვრებელთა ნგრევა, ყოველივე იმის ქმნა, რასაც ჩვეულებრივ მოიმოქმედებს მასალი. ერთი სიტყვით, დაიმორჩილეს რა ქალაქი, იტალიელები მას მიეფენენ როგორც ზემოდან მოხეთქილი ნიაღვარი, მის დასავლეთ და აღმოსავლეთ უნაპირებში გაიშალნენ, მაგრამ თავდაპირველად მაინ შეტევა განიცადა ქალაქის დასავლეთმა ნაწილმა, სადაც მთელნ თავდაცვენენ, როგორც ზეკოური სასეფლოსაგან.

5. ამასობაში მეფე ალექსი ანგელოსი, რომელიც, როგორც ვიცით, კონსტანტინეს ქალაქიდან გაიქცა, მივიდა ფილიპოპოლიასთან. მაგრამ, რადგან მოქალაქეებმა არ მიიღეს, გაუმართა მოსინოპოლიში[8], სადაც დაეგულდა კიდევაც. ხოლო ალექსი დუკამ, რომელმაც მოკლა ისაკის ვაჟი (ის. ზევით, §3) იმ მიზნით, რომ ალექსი კეისარს დანთესავებოდა, ცოლად მოიყვანა მეფე ალექსის უკანასკნელი ქალიშვილი ევდოკია. ალექსის სამი ქალიშვილი ჰყავდა; ერთი მათგანი მიათხოვა ალექსი პალეოლოგოსს, რომელსაც დესპოტის წოდება მიანიჭა[9], მაგრამ

---

6. ეს თარიღი უდრის 1203 წ. ნიკეტა ხონიატესი უთითებს იმავე ოვეს და რიცხვს, ოღონდ დასაბამიდან ქვეყნისა 6712 წ., ე.ი. 1204 წ. (6712–5508=1204); ეს უკანასკნელი თარიღი ითვლება უფრო ზუსტად და მიღებულია ისტორიოგრაფიაში.

7. ფილიპოპოლი–დღევანდელი პლოვდივი ბულგარეთში.

8. მოსინოპოლი–ქალაქი ეგეოსის ზღვის სანაპიროსთან ახლოს.

9. ჩვეულებრივ ამ წოდებას ანიჭებდნენ იმპერატორის უფროს ვაჟს, ტახტის მემკვიდრეს, მაგრამ ზოგჯერ ეძლეოდა უფროს სიძეს, ან სხვა დაახლოებულ პირებს.

ეს უკანასკნელი გარდაიცვალა კონსტანტინეპოლის ალეპპიდე; მეორეს ერქვა ანა და იგი მან მიათხოვა თეოდორე ლასკარისს; ხოლო მესამე იწოდებოდა ევდოკიად და იგი მისმა მამამ ჯერ კიდევ მცირეწლოვანი მიათხოვა სერბიის მეფეს. რაღაც ეჭვის გამოისობით, როგორც ამბობდნენ, ამ უკანასკნელმა ის დააბრუნა მამასთან, სადაც დარჩა კიდევ[10]. სწორედ ეს ქალი ხსენებულმა ალექსი დუკამ გაიხადა ცოლად მას მერე, რაც მიატოვა კანონიერი მეუღლე. როდესაც იტალიელებმა აიღეს კონსტანტინეპოლი, ამ ალექსიმაც, სიმამრის მსგავსად, მიატოვა ქალაქი და თან წაიყვანა თავისი მეუღლე ევდოკია. გაიგო რა, რომ მისი სიმამრი მეფე ალექსი მოსინოპოლში იმყოფება, იმდენად გაკადნიერდა, რომ მასთან მივიდა. ხოლო ალექსის ის ეშინოდა მრავალი მიზეზის გამო და განსაკუთრებით თავისი ქალიშვილის გამო. მაგრამ მეფემ მიიღო ალექსი დუკა მოჩვენებითი კეთილგანწყობით და მისთვის და თავისი ქალიშვილისათვის აბანოს მომზადებაც ბრძანა. ხოლო როცა ალექსი დუკა აბანოში იყო, მას მოულოდნელად თავს დაესხნენ მეფე ალექსის მიერ მიგზავნილნი და იქვე თვალები დასთხარეს. ამ ამბის თვითმხილველნი მოგვითხრობენ, რომ აბანოს კარებში მდგომი ევდოკია მამას შეურაცხმყოფელი სიტყვებით ლანძღავდა, ხოლო მამა საყვედურობდა სამარცხვინო და თვითნებური საყვარულის გამო.

[შემდეგ მოთხრობილია დაბრმავებული ალექსი დუკას აქციიქით ხეტიალის, მისი იტალიელების მიერ შეპყრობის, კონსტანტინეპოლს ჩაყვანის და იქ სიკვდილით დასჯის შესახებ და იმპერ-

---

10. ნიკეტა ხონიატესი ამ მოვლენებს უფრო დაწვრილებით და დაზუსტებით მოგვითხრობს. მისი სიტყვით, ეს ევდოკია ბიძამ–ისაკმა მიათხოვა სერბიის მეფის ნემანის ვაჟს სტეფანეს, მაშინ, როცა ალექსი ლტოლვილი იყო პალესტინაში. მოგვიანებით სტეფანეს და ევდოკიას შორის უსიამოვნება დაიწყო ორმხრივი ეჭვიანობის ნიადაგზე. ბოლოს სტეფანემ ევდოკიას ბრალი დასდო ღალატში და პერანგისამარა გამოაძევა სასახლიდან. სტეფანეს ძმამ ვოლსკმა სცადა მეუღლეთა შერიგება, მაგრამ არ გამოუვიდა და ბოლოს ევდოკია მამასთან გაგზავნა შესაფერისი პატივით, Nicet. Choniat. Historia, ceph. III.

ატორ ალექსის ქალაქ თესალონიკში (ჩრდილოეთ ბალკანეთში) ჩასვლაზე].

6. ქალაქი (კონსტანტინეპოლი) დაიკავეს თუ არა, იტალიელებმა მისცეს მცხოვრებლებს სრული თავისუფლება არჩევანისა – დარჩენილიყვნენ იქ და დამორჩილებოდნენ მათ, ან, ვისაც ეს არ უნდოდა, წასულიყო – საითაც სურდა. ამის შედეგად წარჩინებულმა მოქალაქეებმა დატოვეს ქალაქი, ზოგმა აშკარად, სხვებმა კი ფარულად. ასე მაგალითად, თეოდორე ლასკარისმა, მეფე ალექსის სიძემ, რომელსაც, როგორც ვთქვით, მიენიჭა დესპოტის წოდება, თავის მეუღლესთან ანასთან ერთად აირჩია ქალაქის მიტოვება. გაეცალა რა იქაურობას ცოლთან და შვილებთან ერთად, მას ჰყავდა სამი ქალიშვილი, უფროსს ერქვა ირინე, შუათანას მარიამი, ხოლო მესამეს ევდოკია. იგი მივიდა ქალაქ ნიკეასთან და დაუწყო ნიკეელებს დარწმუნება, რომ მათ ის უნდა შეეშვათ ქალაქში[11], მათ (ე.ი. ნიკეელებს) არ სურდათ მისი შეშვება და მხოლოდ ხანგრძლივი თხოვნის შემდეგ ძლივს დაიყოლია, მისი ცოლი მაინც მიელოთ. ამრიგად დატოვა რა მეუღლე ნიკეაში, იგი გაემართა პრუსასა[12] და მის სანახებისაკენ იმ მიზნით, რომ დაემორჩილებინა ეს მხარე და ემართა ის მეფური ხელისუფლებით, თავისი სიმამრის ალექსის მაგივრად. და ეს მან განახორციელა კიდეც. და მივიდა რა სპარსთა გამგებელთან[13], თავის მოკავშირესთან, მიიღო მისგან დამხმარე ჯარი და მისი მეშვეობით მიზანს მიაღწია.

7. როდესაც ორი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ლასკარისი აღიარეს მბრძანებლად[14], წარჩინებულთა და ეკლესიის მსახურთა

---

11. ნიკეა – ქალაქი მცირე აზიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, მარმარილოს ზღვის სანაპიროსთან ახლოს.

12. პრუსა ან ბრუსსა – ქალაქი მცირე აზიაში, ნიკეის სამხრეთ-დასავლეთით.

13. რეალურად აქ უნდა იგულისხმებოდეს თურქ-სელჩუკთა რუმის ანუ იკონიის (მცირე აზიაში) სულთანი რუქნ-ად-დინი.

14. ტექსტში წერია „დესპოტად". განვლილი ორი წლის მანძილზე მცირე აზიაში მიმდინარეობდა რთული ბრძოლები ჯვაროსანთა ცალკეულ სარდლებსა და ადგილობრივ მმართველებს შორის.

ნიკეაში შემდგარ კრებაზე გადაწყდა ეცნოთ დესპოტი თეოდორე მეფედ. პატრიარქი იქ არ იმყოფებოდა; იგი — ეს იყო იოანე კამატეროსი[15], რომელიც ამკობდა საპატრიარქო ტახტს კონსტანტინეპოლის იტალიელთაგან დაპყრობამდე — საცხოვრებლად შეეკედლა დიდიმოტეიხონს[16] და, რადგან მას თავისთან უხმობდნენ ლასკარისიც და სხვა პირნიც, მან ყველას მისვლაზე უარი შეუთვალა და მისწერა თავისი გადადგომის შესახებ. ამის გამო არჩეულ იქნა პატრიარქად მიხაელ ავტორეიანოსი[17], კაცი განსწავლული, მცოდნე, არა მარტო ჩვენი, არამედ საეროთაშორისო მწერლობისა. სწორედ მან დაადგა სამეფო გვირგვინი დესპოტ თეოდორეს. მეფედ გამოცხადებული ლასკარისი დიდის ძალისხმევით მოეკიდა მის წინაშე წამოჭრილ საქმეებს და გადაიტანა ბევრი მძიმე ბრძოლა. ხოლო იტალიელები გადმოსული იყვნენ აღმოსავლეთში და არა მარტო მთელი ოფსიკიონის თემა, ეგეოსისა და თვით ატრამიტიონის ოლქები გახდა იტალიელებისა და აგრეთვე არა მარტო ვარისი, ავლონია, პიმანეონი, ლენტიანა და თვით ლოპადიონი სცნობდნენ თავიანთ ბატონებად იტალიელებს, არამედ მთელი ბითვინიაც ნიკომედიამდე[18]. ამიტომ ფრიად შეჭირვებული იყო მეფე თეოდორე და არანაკლებ წუხდებოდა იგი რომაელებისაგან: საქმე ისაა, რომ კონსტანტინეპოლის დაპყრობის შემდეგ დამკვიდრებულ არეულობაში მრავალი სხვადასხვა ბელადი გაჩნდა, რომელთაგან ზოგიერთმა, რომელსაც თავის ქვეყანაში ხელისუფლება ადრეც ჰქონდა, დაისაკუთრა ეს მხარეები. ზოგმა ეს გააკეთა საკუთარი სურვილით, სხვები კი დაჰყვნენ მოქალაქეთა მიწვევას დაეკავათ ის ადგილები. ასე მაგალითად, თეოდორე, რომელსაც მოროთეოდორესაც უწოდებდნენ,

---

15. ეს იოანე კამატეროსი იყო კონსტანტინეპოლის ეპარქოსი და ალექსი III ანგელოსმა 1198 წ. იგი პატრიარქად დასვა.

16. დიდიმოტეიხონი — იგივე ქ. დიმოტიკა თრაკიაში. პატრიარქი იოანე კამატეროსი აქ გარდაიცვალა 1206 წ.

17. მიხაელ ავტორიანოსი —კონსტანტინეპოლის პატრიარქი 1208-1214 წწ. იჯდა ქ. ნიკეაში.

18. აქ დასახელებული ოლქები და ქალაქები მცირე აზიის დასავლეთ ნაწილშია განლაგებული.

ქალაქ ფილადელფიის მმართველი გახდა; მეორე, სახელად სამა. ქალაქ სამპსონსა და მათ მიდამოებზე ბატონობდა[19]; ხოლო მოელი პაფლაგონია კი დავითმა დაიპყრო, ძმამ ტრაპეზონის მმართველის ალექსისა, რომელსაც დიდ კომნენოსსაც უწოდებდნენ: ესენი იყვნენ ანდრონიკე მეფის შვილიშვილები, მისი ძის მანუელის შვილები[20]. ამიტომ დიდ გაჭირვებაში ჩავარდა მეფე თეოდორე. მაგრამ მოროთეოდორეს და სამას ადვილად სწყალობა ამის შემდეგ უშიშრად მმართველობდა მთელ კელვიანონსა, მეანდროსის ფილადელფიაზე და ნეოკასტრონზე[21].

8. მაგრამ აქ ჩვენ სიტყვა უნდა გავწყვეტოთ, რათა გადმოვცეთ ისტორია იმისა, რა დაემართა მეფე ალექსის და მოვუთხრეთ ზოგიერთ სხვა მოვლენაზეც, რაც მოხდა დასავლეთში. ზემოხსენებული მეფე ალექსი, როგორც ვთქვით, ჩავიდა თესალონიკეში და აქ ივი მიიღო მისმა რძალმა, რომელიც იყო წარმომავლობით უნგრეთიდან და ცოლად ჰყავდა მეფე ისაიკს. პირველი ცოლის სიკვდილის შემდეგ; ეს ქალი გამოირჩეოდა, როგორც მისი მხილველნი ამბობდნენ, განსაკუთრებული სილამაზით. როდესაც იტალიელებმა დაიწყეს რომაელთა სამყაროებელობის თავიანთ შორის დანაწილება, ბალდუინ ფლანდრიელი გამოაცხადეს მეფედ[22], ხოლო ვენეციის დუკისს[23], რომელიც პირადად იქვე იმყოფებოდა, მიენი-

---

19. ფილადელფია და სამპსონი —ქალაქები მცირე აზიაში. სამპსონი მდებარეობდა მცირე აზიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში ქ. მილეტთან.

20. ანდრონიკე I კომნენოსი (1183-1185) — კომნენოსთა დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი, რომელიც დამხეს ანგელოსებმა. ქართული წყაროს — ბასილი ეზოსმოძღვარის თხზულების მიხედვით, ალექსი და დავითი ანდრონიკეს შვილები იყვნენ (ქართლის ცხოვრება, წ. II. 1959. გვ. 142). ბიზანტიური წყაროები რეალურ სიტუაციას ასახავენ.

21. კელვიანონი — მცირე აზიის სამხრეთ-დასავლეთი ოლქი, რომელშიც მოედინებოდა მდ. მეანდროსი და სადაც მდებარეობდა ქალაქები მეანდროსის ფილადელფია და ნეოკასტრონი.

22. ბალდუინი — ფლანდრიის გრაფი, ვაჭრობასთანაა ერთ-ერთი სარდალი. კონსტანტინეპოლის დაცემისთანავე, 1204 წ. მაისში, აირჩიეს იმპერატორად. ასე ჩაეყარა საფუძველი ლათინთა იმპერიას.

23. იგულისხმება ენრიკეის დოჟი დონღოლო.

ჭა დესპოტის წოდება და მანაც ნადავლის არამცირე ნაწილი მიიღო — მთლიანად ერთი მეოთხედი და კიდევ ნახევარი მთელი ნადავლის მეოთხედისა[24]. ხოლო მარკიზი[25], რომელიც დიდად დაეხმარა მოკავშირეებს, აყვანილ იქნა თესალონიკეს გამგებელის[26] ხარისხში ფლანდრიელი [ბალდუინის] მიერ; მანვე შეირთო ცოლად ზემოხსენებული მარიამ უნგრელი, მეფე ისააკის ცოლყოფილი. სწორედ ამ ქალმა მიიღო მეფე ალექსი, როგორც ნათქვამი მქონდა, მაგრამ ცოტა ხანში შეამჩნიეს, რომ ის ამბოხებას ამზადებდა და გააძევეს მეუღლესთან და ქალიშვილ ევდოკიასთან ერთად; უკანასკნელი მან ახლა კორინთოში გაგზავნა და ამ მხარის გამგებელს სგუროსს მიათხოვა[27]...

[მრავალი თავგადასავლის შემდეგ იმპერატორი ალექსი ანგელოსი ბოლოს და ბოლოს თავს აფარებს იკონიის (რუმის) სულთანს ყიას-ად-დინ ქეიხესრევ I-ს (1192-1196) იგივე ათატინს[27ა]. უკანასკნელის დახმარებით ალექსი ცდილობს თეოდორე ლასკარისის დამარცხებას, მაგრამ ანტიოქიასთან, მდ. მეანდროსზე, სულთანი და ალექსი მარცხდებიან, იმპერატორი ტყვედ უვარდება ლასკარისს და იგი მას იაკინთეს მონასტერში აღკვეცს ბერად].

11. სძლია აგრეთვე მეფე თეოდორემ პაფლაგონიის მბრძანებელ დავითს და დაიპყრო ჰერაკლეა, ამასტრისი და მთელი მიმდებარე ოლქი და დაბა-ქალაქები[28]. მაგრამ მე კვალად მინდა დავუბრუნდე დასავლეთის ისტორიას და გადმოვცე იქ მომხდარი ამბები. ხოლო

---

24. მოლაპარაკების თანახმად, კონსტანტინეპოლის აღების შემდეგ მთელი ნადავლის დიდი ნაწილი ეკუთვნოდა ვენეციელებს, რომელთაც თავიანთი ხომალდებით გადმოიყვანეს ჯვაროსანთა მთელი ლაშქარი.

25. ჰერცოგი მონფერატელი —ჯვაროსანთა ერთ-ერთი სარდალი.

26. ჰერცოგი მონფერატელი იღებს თესალონიკეს დუქსის ე.ი. მეფის ტიტულს და ხდება თესალია-სოლუნის მბრძანებელი.

27. ლეონ სგუროსი — ქალაქ კორინთოს და მისი ოლქის გამგებელი.

28. იხ. ზევით, §7. დავითმა თავდაპირველად მთელი პაფლაგონია დაიპყრო; ახლა ლასკარისმა ეს ოლქი წაართვა.

27ა. აქ შეცდომაა. ამ დროს რუმის სულთანი არის რუქნ ად-დინ სულეიმან II (1196-1204), ან იზ ად-დინ ყილიჩ-არსლან III (1204-1205).

რათა ჩემი თხრობა ყველასთვის გასაგები იყოს, დავიწყებ ცოტა შორიდან: როდესაც მეფე ისააკს, კონსტანტინეპოლზე მისი მბრძანებლობის დროს, მეუღლე გარდაეცვალა, მან ცოლად შეირთო, როგორც ნათქვამი მქონდა, უნგრელი ქალი, რომელიც უნგრეთის არქონტის ქალიშვილი იყო. მან მოისურვა, რომ საქორწინო ნადიმი მეფური ყოფილიყო, და საჭიროდ ჩათვალა საამისო გადასახადებიც შემოეღო. ამიტომ რომაელთა მთელი საბრძანებლიდან აგროვებდნენ ცხვრებს, ღორებსა და ხარებს; ხოლო, რადგან ყოველივე ეს ყველაზე მეტი მოიპოვებოდა ბულგარეთში, სწორედ მას მოსთხოვეს ეს საკლავი განსაკუთრებით დიდი რაოდენობით. მაგრამ ბულგართა ტომი ძველთაგან რომაელთა მიმართ მტრულად იყო განწყობილი და მრავალი ომი შეამთხვია, აგრეთვე ტყვეობა, გაუდაბურება და სხვა დიდი უბედურება. გრძელდებოდა ეს მრავალი წელი, სანამ მეფე ბასილმა არ დაიმორჩილა ისინი, რისთვისაც ბულგართმძლეტი ეწოდა[29]; და ამ დროიდან, ვიდრე მეფე ისააკამდე, უხდიდნენ რომაელებს ხარკს. ახლა კი, ზემოხსენებული მიზეზის გამო, ბულგარელებმა გადწყვიტეს ამბოხებულიყვნენ. აჯანყდა ვინმე ასანი, რომელმაც ამ მხარის მეფედ გამოაცხადა თავი და დაიქვემდებარა მიწები ჰემასა და თვით ისტროსს შორის[30]. ამას მოჰყვა არამცირე შედეგები რომაელთათვის, რადგან ბულგარელებმა, რომლებიც სკვითებთან იყვნენ დაკავშირებულნი, ბევრი ავნეს რომაელთა სამფლობელოებს. ამიტომ მეფე ისააკი იძულებული შეიქნა შეეგროვებინა რომაელთა ყველა ძალა ერთ ლაშქრად და მიემართა ის ბულგარელთა წინააღმდეგ.

[შემდეგ მოთხრობილია ბიზანტიელთა სასტიკი დამარცხება ქ. ჰემასთან, ბულგარელების მიერ ისააკის მოტყუების წყალობით, და ის მდიდარი ნადავლია აღწერილი, რომელიც გამარჯვებულებმა იგდეს ხელთ].

12. აქედან წარმოსდგა მრავალი საზრუნავი რომაელთათვის

---

29. ბასილ II ბულგაროკტონოსი — 976-1025 წწ.

30. იგულისხმება ბულგარეთის 1185 წლის აჯანყება ძმების ასანისა და პეტრეს მეთაურობით.

ბულგარელების მხრიდან. უკვე მას შემდეგ, რაც ისააკი დაბრმავებულ იქნა მისი ძმის ალექსის მიერ და ამ უკანასკნელის ხელში გადავიდა რომაული სახელმწიფო, ომი გრძელდებოდა რომაელებსა და ბულგარელებს შორის ფილიპოპოლისა და ვეროისთვის[31], სადაც, სხვათა შორის, დატყვევებულ იქნა ბულგარელთაგან პროტოსტრატორი კამიძესი მათი მაშინდელი ბელადის, ასანის ძმის, იოანეს მიერ. ზემოხსენებულ ასანს ორი ძმა ჰყავდა, რომელთაგან ერთი იწოდებოდა პეტრედ, ხოლო მეორე იოანედ. იოანე ასანს ყოველთვის გვერდით ჰყავდა, ხოლო პეტრეს გამოუყო თავის სამფლობელოთა ნაწილი და იქ გამგებლობა მისცა. ამიტომ დიდი პერსთლაბა[32], პროვატუსი და მათი სანახები, რომლებიც ასანმა პეტრეს მისცა, დღემდე „პეტრესეულ მხარედ" იწოდება. ასე მართავდა, ვითარცა მეფე, ბულგარელთა ტომს ასანი 9 წლის მანძილზე, ხოლო მოკლულ იქნა თავისი ბიძაშვილის ივანკოს მიერ, რომელიც მაშინვე გაიქცა[33]. ბულგარელთა ტომის მეფე გახდა ასანის ძმა იოანე[34], რადგან ბულგარელებმა არ ისურვეს პეტრე ეცნოთ მეფედ, ხოლო ასანის ვაჟი იოანე მაშინ მცირეწლოვანი იყო.

13. სწორედ ამ იოანემ, ბულგარელთა მეფედ წოდებულმა, მრავალი უბედურება შეამთხვია რომაელებს და იტალიელებსაც უწევდა მეტოქეობას. ის სწორედ იმ დროს იყო ბულგარელების მეფე, როდესაც კონსტანტინეპოლი აღებულ იქნა. როდესაც იტალიელებმა მაკედონია დაიქვემდებარეს კონსტანტინეპოლში მათი მეფის ბალდუინის მმართველობის დროს, მათ მოისურვეს ადრიანოპოლის დამორჩილებაც; ამავე დროს ბულგარელთა მეფე იოანე თავის

---

31. ბულგარეთის ქალაქი ფილიპოპოლის (პლოვდივი) ჩრდილოეთით.

32. აქ იგულისხმება ქალაქი დიდი პრესლავა (ძველი მეგაპოლისი).

33. ეს სახელი იოანეს ბულგარული ხალხური გამოთქმაა. XVII საის ბიზანტინისტი ლეო ალაციუსი სხვადასხვა წყაროთა ურთიერთშეჯერების საფუძველზე აღადგენს ასანის მოკლის სურათს. ივანკოს ბრალად ედებოდა ასანის ცოლთან კავშირი და მან დაასწრო მეფეს, მოკლა იგი და გაიქცა.

34. იოანე, იგივე კალოიანე, ბულგარეთის მეფე 1197-1207 წწ.

მხრივ · იზრახავდა ფილიპოპოლის ხელში ჩაგდებას და იქიდან რომაელთა სამფლობელოებზე ძლიერ თავდასხმებს. რადგან ადრიანოპოლელებს არ სურდათ იტალიელებს დამორჩილებოდნენ, იტალიელებმა ილაშქრეს მათ წინააღმდეგ, თავიანთი მეფის ბალდუინისა და კონსტანტინეპოლში ვენეციელი დოჟის წარმომადგენლის თანხლებით. ამრიგად, ძლიერ შეჭირვებაში მოხვედრილმა ადრიანოპოლელებმა მიმართეს ბულგარელთა მეფეს იოანეს და სთხოვეს, რომ ის შეერთებოდა მათ და ეხსნა მომავალი ხიფათისაგან. იგი სიამოვნებით დათანხმდა ამ თხოვნაზე და სკვითები[35] მოიწვია თავისთან დამხმარედ, გადაწყვიტა რა მიემართა ხერხისათვის, რადგან არ ჰქონდა იმედი ლათინთა აშკარა ბრძოლაში ძლევისა. იგი დარჩა ადრიანოპოლიდან საკმაოდ დაშორებულ ადგილას. იტალიელთა წინააღმდეგ კი გაგზავნა სკვითები და სკვითური სამხედრო ხერხის გამოყენება გადაწყვიტა მათ მიმართ. იტალიელები საერთოდ ცხენებზე ამხედრებულები და თავიდან-ფეხებამდე მძიმედ შეიარაღებულები იბრძოდნენ, რის გამოც ნელა და მოუხერხებლად მოქმედებდნენ მტერზე თავდასხმისას, ხოლო სკვითები, უფრო მსუბუქად აღჭურვილნი, სწრაფად ესხმოდნენ მოწინააღმდეგეს. რადგან იტალიელებმა არ იცოდნენ ეს, სკვითებმა ისინი დაამარცხეს და თვით მათი მეფე ბალდუინი ტყვედ შეიპყრეს და შებორკილი მიჰგვარეს ბულგარელთა მეფეს იოანეს. ამან, როგორც ამბობენ, ბალდუინის მოკვეთილი თავი, ბარბაროსული წესის თანახმად, თასად აქცია, გამოასუფთავა რა შიგნიდან და შეამკო ყოველმხრივ გარედან. ხოლო ადრიანოპოლელებმა გაიგეს მომხდარის შესახებ მოგვიანებით; დროზე რომ შეეტყოთ, მაშინვე გამოვიდოდნენ ქალაქიდან და დაისაკუთრებდნენ იტალიელთა კარვებს. ისარგებლეს რა ადრიანოპოლელთა არცოდნით, აქ დარჩენილმა იტალიელებმა დაანთეს დიდი კოცონები კარვებში და ამით შეუ-

35. ეს ამბები დაწვრილებით აქვს აღწერილი ნიკეტა ხონიატესს და ჟვაროსან რაინდს შამპანის გრაფის მარშალს ვილგარტუენს. მათი ნიშანდობლივი მითითებით აქ იგულისხმება რეალურად კუმანები ანუ ყივჩაღები: Villehardouin, Histoire de la conquête de Constantinople, ed. N. de Wailly, Paris, 1870.

ქმნეს მოქალაქეებს ყალბი წარმოდგენა, თითქოს-და აქ იყვნენ, ღამით კი გაიპარნენ კონსტანტინეპოლის სანახებისაკენ...

[ადრიანოპოლელები არც კალოიანეს დაემორჩილნენ, მან კი ქალაქი ვერ აიღო, სამაგიეროდ წარტყვევნა მთელი მაკედონია და აიღო და დაანგრია აქაური ქალაქები]

...გამოიყვანა რა ხალხი ამ ქალაქებიდან, მან დაასახლა ისინი ისტროსის[36] ნაპირებზე და მისცა ამ დასახლებებს სახელები იმ ქალაქებისა და სოფლებისა, რომლებიც წარტყვევნა. ამგვარად იძიებდა იგი შურს, როგორც თვითონაც ამბობდა, იმ ბოროტებისათვის, რაც ბულგართა მიმართ მოიმოქმედა მეფე ბასილმა და, როგორც ის იწოდებოდა ბულგართმჭეელტად, ისე უწოდებდა თავისთავს რომაელთამჭეელტს[37]. ასე მიაღწია თვით თესალონიკემდე და აქ მოკვდა გვერდის ტკივილისაგან, თუ, როგორც ზოგნი ამბობდნენ, ღვთის რისხვისაგან. მართლაც, მას ძილში გამოეცხადა შეიარაღებული კაცი, რომელმაც შუბი აძგერა სწორედ იმ ფერდში. ჭეშმარიტად არავის მოუტანია რომაელებისათვის იმდენი უბედურება, რამდენიც მან მოუტანა, და ამის გამო მათგან მიიღო ზედწოდება „ძაღლი". არავინ მოიხსენიებდა სხვაგვარად, თუ არა როგორც „სკილოიანეს"[38]. რადგანაც ის გაეცნო სკვითების ტომს და დაუკავშირდა მათ ნათესაობით, მან შეითვისა მათი მხეცური ბუნება და განსაკუთრებით სიამოვნებდა რომაელთა ხოცვა. მისი სიკვდილის შემდეგ ბულგარელთა მთავარი გახდა მისი დისწული სახელად ბორილა[39], რომელმაც ცოლად შეირთო თავისი ბიცოლა, სკვითი ქალი. ხოლო ასანის ვაჟი იოანე, რომელიც ადრე ვახსენე[40], ჯერ კიდევ ყმაწვილობისას საიდუმლოდ წაიყვანეს სკვითებთან. აი, რა უნდა მოგვეთხრო ბულგარელების შესახებ.

---

36. ისტროსი — მდ. დუნაი.

37. Ρωμαιοκτονος — რომაიოკტონოს.

38. „სკილაქს" (Σκυλαξ)-ნიშნავს ლეკვსაც საერთოდ და ძაღლსაც.

39. ბორილა, იგივე ბორისი, ბულგარეთის მეფე 1207-1218 წწ.

40. ასანის ვაჟის იოანეს შესახებ იხ. §12. იგი ერთგულმა ბოიარებმა ჯერ დუნაისპირელ კუმანებთან წაიყვანეს, შემდეგ რუსეთში თუ ყივჩაღეთში. 1218-1241 წწ. ჩანს ბულგარეთის მეფე იოანე II ასენად.

გიორგი პაქიმერესი
(1242-1310 წწ.)

გიორგი პაქიმერესმა განაგრძო გიორგი აკროპოლიტესის ისტორია და აღწერა 1261-1308 წლების ამბები. იმპერიის დაშლის პერიოდის მწერალთა ლტოლვას ანტიკურობისაკენ სიმ. ყაუხჩიშვილი ნათელჰყოფს, სხვათა შორის, გიორგი პაქიმერესის მაგალითით: ატიციზმი და არქაიზმი იქამდისაც კი ძლიერდებაო, რომ გიორგი პაქიმერესი აპირებს დაამკვიდროს ძველი ბერძნული თვეთა — სახელები (გამელიონი) ნაცვლად ქრისტიანული (რომაული) სახელებისა[1]. ჩვენ დავუმატებდით ზმნის ორობითი რიცხვის ფორმებს (მაგ. ἀπηλλαττέτην). ცოდნა გიორგი პაქიმერესის პიროვნების შესახებ მთლიანად ემყარება მისსავე ისტორიას.

მიქაელ პალეოლოგოსი
წიგნი პირველი

1. გიორგი დიდი ხნის დამკვიდრებული იყო კონსტანტინეპოლში, ხოლო დაიბადა და გაიზარდა ნიკეაში; კონსტანტინეპოლში ჩავიდა, როცა ქალაქი ღვთის ნებით რომაელებს ეპყრათ. მაშინ გიორგის ცხრამეტი წელი შეუსრულდა, სასულიერო პირად შეირაცხა და საეკლესიო ხარისხებით ღირსად გამორჩეულმა პროტეკდიკოსის პატივსაც მიაღწია; ამას გარდა, სამეფო კარზე შეჯულის-მმარხველის (δικαιοφύλακα) პატივი მიიღო. ეს თხზულება რომ დაწერა, დაუმოწმებელი და გადმოცემებთან შეუწამებელი სიტყვები არ უხმარია ისე, რომ მხოლოდ გაგონებას მინდობოდა (ხშირად მწერალი სარწმუნოდ თვლის ამბავს, თითქოს თვითმხილველის ან თავად გამგონის სიტყვებს დანდობოდეს, რაკი ასე გადმოსცემენ მავანნი); [გიორგი] მის მიერ აღწერილ ამბავთა თვით-

---

1. სიმ. ყაუხჩიშვილი, ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, თბილისი, 1963, გვ. 276-277.

მხილველი იყო მეტწილად ან ზედმიწევნით იკვლევდა მათგან, რომელთაც სულ პირველად ენახათ, რაც მოხდა, —რათა არათუ დაუმოწმებლად არ ეამბნა, არამედ ბევრი სხვა წყაროც მოეძია და, რადგან დროს ისეთი ბუნება აქვს, რომ ბევრს რასმე ჰფარავს განუწყვეტელი მოქცევით, არ დაეშვა მისგან მცირედი დაჩრდილვა და გამქრქალებაც კი მომხდარისა და ჟამთა დინებისათვის შერთულისა; აუცილებლად თვლიდა მოვლენები შეენახა, როგორც ერთ ბრძენს უთქვამს და ჭეშმარიტად განუსჯია. ჭეშმარიტება სიცრუეზე დაბლა არ უნდა დააყენო ასეთ საგანზე მსჯელობისას. როგორც ნათქვამია, ისტორიის სული ჭეშმარიტებაა, ხოლო ჭეშმარიტება გარდუვალად წმინდა საქმეა და, ვისაც მის ნაცვლად სიცრუე შემოაქვს, პირდაპირ მკრეხელობას იქმს. ჩვენ სრულებით არ გვინდა საქმენი განვადიდოთ და არც სიძულვილი ან კეთილი განწყობა გვამოქმედებს საამისოდ, რომ, რაც რამ ავი მომხდარა, სათრეველად გავხადოთ, ხოლო კეთილ საქმეს ვუგალობოთ, რომ სიტყვამ სასმენელნი მოხიბლოს. თუმცა შეიძლება გადმოიცეს სადარგინდა მომხდარი ამბავი, შეიძლება მოთხრობა მსურველთათვის, გამოუთქმელად დატოვებაც შეიძლება, როცა ამბის მოყოლა აუცილებელი არ არის; ჩემი აზრით, დადუმება სჯობს გადმოცემას სინამდვილისგან განსხვავებულად; სჯობს სრულიადაც არ გავანდოთ მსმენელებს, ვიდრე გავანდოთ სხვარიგად, არა ისე, როგორც ნამდვილ ისტორიას სურს, რადგან პირველ შემთხვევაში მოსალოდნელია მარტივად არცოდნა, რაც არაფერს არ აშავებს, მეორე შემთხვევაში კი — ორკეცად არცოდნა, რადგან არცოდნა უერთდება მცოდნეობის დაჯერებას, რაც ყველაფერზე უარესია. თავად ხელს არ მიკეთებდი წერას, გარდასულზე უარეს გადასავალს რომ არ მოვლოდებოდი, — მე, რომელი ამჟამინდელის მიხედვით ვხედავ მომავალს, ან, უკეთ, მომხდარის მიხედვით ვფიქრობ მოსახდენზე. ალბათ ბევრად უფრო საკვირველი იყო ყურს მოესმინა საქმის ასე გაუკუღმართება ისეთი წონასწორობის და განსაცხრომელი სიწყნარის შემდეგ, ვიდრე მოვლენათა იმგვარი განვითარება, როდესაც პირვანდელ ყვავილ-გარდაფენილობას მოსდევს საშინელი ზამთარი, ყვავილის დამაზრობელი; საკვ�-

ლი იყო, როგორც ის, რომ სული შემოდგომაზე არ ყვავილობს და სასიცოცხლო მოძრაობას სრულიად არ ინაწილებს.

2. ჩვენ არ მიგვაჩნია (თუმცალა ასე გვეწადა), რომ თხრობას სათავე მათი საქმეებით უნდა დავუდოთ, რომელნიც უწინ ჩვენში მთავრობდნენ, და მოვყვეთ, როგორ დაიწყეს, როგორ ფრთხილად წარმართავდნენ საქმეს, დიდის კეთილგონიერებით, რასაც არაფერი სჯობს, მით ძალაუფლება განიმტკიცეს, თუმცა სამეფო შემოიწერებოდა სულ მცირედ, ძველთაგანვე მომძლავრებული სამი ქალაქითლა — ეს იყო ნიკეა, პრუსა და ფილადელფია; განაგებდნენ სამშობლოს მოწყვეტილნი, რა მიზეზით, ხომ ვუწყით თავად. მათი განმგებლობის ხანაში შესაძლებლია ბევრი დიდი ამბავი მოხდა, რომელთა გადმოცემას ფრიადი მოცალება სჭირდება, მით უფრო, რომ ჩვენ გამოწვლილვით არ ვიცით, რა ხდებოდა და თითოეულ ამბავს რა მიზეზი ჰქონდა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ მათ შესახებ თხრობა სხვებს უხდებოდათ, რომელნიც, ვფიქრობ, საკუთარი თავისადმი გამყარებული რწმენით თავს კი არ იტყუებდნენ თითოეული ამბის კვლევისას, არამედ საქმეთა ზედმიწევნით მცოდნელნიც იყვნენ, თავადვე მოესწრნენ მათს გასრულებას და დროის მანქანება, [ყველაფრის წამშლელი] ჯერ უქმი ჩანდა, რადგან თან აღწერდნენ, რაც რამ ხდებოდა; ასე ებრძოდა ჰერმესი ლეტოს და მისი საქმის სანაცვლო აზრს სწონიდა, ან, უკეთ, ლეტოს განზრახულ სავალს წინდაწინვე ელობებოდა. მაშასადამე, იმჟამინდელი გადასავალი უნდა დავტოვოთ, როგორც ჟამთა აღწერად მოუქცეველი, ანუ, სხვარიგად, დასახული მიზნისათვის მიუკუთვნელი (ἐξαγώνια). მხოლოდ ერთი რამ გარდაუვალად უნდა ითქვას: ზოგნი ერთსა და იმავეს სთვლიან მიზეზად მაშინდელი წონასწორობისა და მისი ეხლანდელი რღვევისა, თითქოს ერთი და იგივე მიზეზი სხვადასხვანაირად მოქმედებს; საქმე, მასზე დაფუძნებული, ამ —მიზეზოვანი, ჯერისაებრ მყარდება და წონასწორდება, უამმიზეზოდ და მის უგულვებელად კი უჯეროდ იწეწება.

3. ისინი (რომაელები) ორ მტერს შუა მოემწყვდნენ: აღმოსავლეთით სპარსელები იყვნენ, დასავლეთით იტალიელებს არა მარტო ზღვისპირეთი ეკავათ, არამედ უზედაესი მიწებიც, და ორთავ

მხრივ ისე ავიწროებდნენ, რომ რომაელებს თავისუფლად ამოსუნთქვაც ეკრძალებოდათ. ხან იტალიელებთან ერთად სპარსელებს ეომებოდნენ, ხანაც იმჟამად ახლად მოვლენილ სკვითთა ძალებს იერთებდნენ და იტალიელებს უკუაქცევდნენ. მიზანი ის იყო, რომ გაეძლიერებინათ სიმაგრეებით შუაგული. ზღვისპირა მხარეს არ იცავდა სხვა რამ სიმაგრე, მხოლოდ ზღვით იყო შემოვლებული, რადგან ზღვათა და განაპირა მიწების მპყრობელ იტალიელებს იქ მყარად წინ არაფერი დაუდგებოდათ. აღმოსავლეთით გამაგრებული იყვნენ ფრიალოებით და უვალი მთებით, თუ წინდაწინვე დაიკავებდნენ. რომაელებს არ შეეძლოთ ერთდროულად ორსავ მხარეს ეომნათ. აღმოსავლეთით დიდხანს მთები იყო მათი პირიანი სიმაგრე, რომლის აღებაზედაც სპარსელები არ ფიქრობდნენ, რადგან გამაგრებულად მიაჩნდათ და ეს მათ სიფრთხილეს უკარნახებდა. რაც შეეხება ზღვის მხარეს, სიმაგრე რომაელებს არას არგებდა, სანამ იტალიელებს არ განდევნიდნენ, ამიტომ უფრო წყვეტდნენ ბრძოლას სპარსელებთან, დაეზავებოდნენ ხოლმე მათ და ყოველწლიურ, არა მცირე ხარკს უწესებდნენ, რათა იტალიელთა წინააღმდეგ მიემართათ მთელი ძალები. დიდი ჯაფის და გაუძლებელი ბრძოლების ფასად დევნიდნენ მათ, საკუთარი ხომალდებით ზღვას გადასცურავდნენ და გადაღმა მცხოვრებ რომაელებს მხარს უმაგრებდნენ, მერე სპარსელებს ნებსით თუ უნებლიედ ზურგს აქცევინებდნენ, მთებს მიაშურებდნენ, ყოველი მხრიდან შემოკრებილ მოსახლეთა დიდი ძალებით ციხეებს გაამაგრებდნენ და შიგ მათ (მთიელებს) რომის სახელმწიფოს მტერთაგან მოუხელთებელ მეციხოვნეებად ჩააყენებდნენ.

4. მთიელნი უნაღვლელად არ აიყრებოდნენ, საიდანმე მტერი რომ დასცემოდათ, მაგრამ არცრა სანდოდ დასარჩენად გააჩნდათ და ძალის პირისპირ გაგულოვნება ეჭირვებოდათ; ყველანი თავისუფალნი იყვნენ ხარკისაგან, წარჩინებულებს ზრუნვა არ აკლდათ, ხოლო მას, ვინც კადნიერ ზრახვას გულს ჩაიდებდა, იმპერატორის სიგელებით აკკილდოებდნენ. გადიოდა დრო, სულ უფრო შეძლებულნი ხდებოდნენ და სიმდიდრე სიმდიდრეზე ემატებოდა. მაგრამ რაც უფრო უხვად ეძლეოდათ საცხოვრებელი, უფრო თამამად

ებრძოდნენ მტრებს და ამით დიდ განსაცხრომელს პოვებდნენ. ღამლამობით ჩასაფრებულნი ცისმარე მოწინააღმდეგეებს ჩეხდნენ და დიდძალ ნადავლს იტაცებდნენ. ამას ის მოსდევდა, რომ მტერს მიმდგარნი და დადევნებულნი, მათს ქვეყანაში უფრო ღრმად იჭრებოდნენ, დაუბრკოლებლად სპობდნენ ყველაფერს, რაზედაც ეკიდა მათი იმედი, და თავნებად ექცეოდნენ; მხედართმთავარნი კი უდრტვინველად რჩებოდნენ უკან, ბრძოლას მიმართულებას ისე უცვლიდნენ, როგორც თავდასხმების გარეშე არ წარიმართებოდა, და სხვათა ბოროტად განწყობას ახერხებდნენ უფრო ადრე, ვიდრე მათ სხვა მხრივ საშინელება თავს დაატყდებოდათ. ეს ყველაფერი იმიტომ ხდებოდა, რომ მთების თავანი ციხეებით კარგად იყო გამაგრებული, და, რომ არაფერი მომხდარიყო ისეთი, რაც იქაურ მეციხოვნეებს დაათმობინებდა, თუ საპირისპიროდ განლაგებულნი როგორმე წინააღმდეგობას გაუბედავდნენ, მთავრობაც ახლოს იყო, ყოველმხრივ გამზადებული — წინააღმდეგობის გასაწევად. უპირველესად საქმის ვითარება ასეთი შეიქმნა: იმ გამაგრებულ ადგილებში მცხოვრებნი გამუდიდურდნენ არა მხოლოდ ხარკის გადაუხდელობით და განგების წყალობით, არამედ ყოველდღიური ხელმწიფური სადღეგრძელოებითაც, და არად დაგიდევდნენ მას, რასაც სიმდიდრის ბეჭედი არ ესვა; აქედან გამომდინარე, უფრო გულდადებითაც იცავდნენ, უფრო კადნიერადაც ეჭრებოდნენ მტერს და წინააღმდეგობას უწევდნენ, თუკი როგორმე იმძლავრებდა ჩვენზე ბოროტის მქმნელი.

5. ხოლო მას შემდეგ, რაც კონსტანტინეპოლი რომაელებმა დაიკავეს და გაჩნდა აუცილებლობა შვილების საშობლოში დაბრუნებისა, ჯერ სხვებს, რომელთაც ხელთ ჰქონდათ ძალაუფლება, უხდებოდათ ამ სიმაგრეთა შესუსტება სატახტო ქალაქიდან დიდი დაშორების გამო, მერე კი სიმაგრეთა მცხოვრებნი ყოველგვარ საგანგებო წყალობას მოაკლდნენ; ნაკლებ სითამამეს არც მაშინ იჩენდნენ, მაგრამ ბრძოლის ძარღვი მათთვის სიმდიდრე იყო. გამოხდა ხანი და, სახელმწიფო რომ ეცემოდა, ვინმე ქადენოსმა, ვისაც ხელისუფალმა შემდეგ ეპარქიის ღირსება მიანდო და ვისაც მისი (ხელისუფალის) რწმუნებულებით ბევრი რამ შეეძლო, რის მიზე-

ზებზედაც ჯერ არ ვლაპარაკობთ (რადგან, იქიდან გამომდინარე, წინამდებარე მატიანეც შესაფერის მიმართულებას მიიღებს), სასარგებლოდ ჩათვალა იმპერატორისათვის (ეს იყო მიქაელ პალეოლოგოსი) ერთი რჩევა მიეცა, ფრიად მერყევი და მცდარი, როგორც შემდეგ საქმემ გამოაჩინა. იმპერატორისაგან შეწყნარებული, ვითარცა სასარგებლოდ მოუბარი, იგზავნება, რათა განახორციელოს ის, რის რჩევასაც დაეშურა. მალე მოადგება. იმ ადგილებს (რადგან საქმის წამომწყებმა რომ გამგზავრება დააყოვნოს, ეს მთლად უჯეროა), ნახავს კაცთა, დიდი სიმდიდრით გაფუფუნებულთა და აღვსილთ საცხოვარით თუ ხვასტაგით, მათგან საკუთრად ქმნის ლაშქარს (თითოეული ხომ მხედრობით არის ნაკადი), ორმოც მონეტას უნიშნავს ყოველ მოლაშქრეს და მეტ ნაწილს იმ თანხიდან, რაც დადებული ხარკის გადახდის მერე რჩებათ (ეს ნაწილი კი ცოტა არ არის), სახელმწიფო ხაზინაში შესატანად განაწესებს. რომ გადახდებათ ციხე-სიმაგრეებში მცხოვრებთ ის, რასაც არასოდეს ელოდნენ, ქრება გულოვნება და ძალაც კლებულობს.

6. მას მერე, თუ სპარსელთაგან ზოგნი დაემორჩილნენ ტოხარებს, რომლებსაც, დიდი ხანი არ იყო, რაც სპარსეთზე მბრძანებლობა მოეპოვებინათ, გულოვან სპარსელ მეომრებს, მთელი სიცოცხლე მახვილშებმულებს, სასარგებლო საქმედ მიაჩნდათ უსადავეოდ ლტოლვა მთათა სიმაგრეებისაკენ და მათს შემოგარენში თარეში ყაჩაღურად. მათ ძალიან ბევრნი შეუერთდნენ და ძლიერნი ხშირად თავს ესხმოდნენ ჩვენს დაუძლურებულებს, ცოტ-ცოტა ჯაბნიდნენ შეუძლოთა და უკან ახვევინებდნენ. ყოველდღიურად მტრებთან შესაბმელად გამომხდართ სიმაგრეებიდან — შეიძლებოდა დაეთმოთ კიდეც ეს ციხენი; რომ არა დაწესებული საზღაურით დავალება (რადგან საკუთრება არ გააჩნდათ შესანახი და დასაცავი), აღარც გაუწევდნენ წინააღმდეგობას მეციხოვნენი. წინააღმდეგობას უწევდნენ, მეტწილად თავიანთი ნებით, და ისეც ხდებოდა, რომ ბევრ მტერს მოუშვებდნენ ჩვენს ჯარზე და მათი ერთად მოწყდომაც ხშირად უქმად ჩაივლიდა ხოლმე. ასე იყო, სანამ ჩვეულებრივად საზღაურს უხდიდნენ განსაზღვრულ დროს. ჯერ მხოლოდ თავის შენახვა იყო საჭირო კარს მომდგარი ბორო-

ტისაგან, –არა გამოსვლა, მტრის დაძლევა ან ცდა მისთვის ბოროტის დაწევისა, არამედ შინ დარჩენა და თავდაცვა; ბრძოლა იყო საჭირო, როდესაც ისინი ჩვენს შუაგულში შემოიჭრებოდნენ, და არ უნდა გვებრძოლა, თუ ბრძოლას არ ინებებდნენ. ხოლო როდესაც ხელისუფალთა ძუნწობა იწყეს და აღარც დროულად უხდიდნენ და უწინდელზე ნაკლებიც იყო საზღაური, ამას გარდა, რაც მხედართმთავართა იწყეს დროდადრო წილის დადება ნაძარცვში და მითვისება, წარხდა განაპირა სიმაგრეებში მცხოვრებთა რიცხვიც; ზოგი ბრძოლას შეეწირა, ზოგმა მოწინააღმდეგის მხარეს გადაინაცვლა, ზოგი სხვა ადგილას გადავიდა, რადგან, იქ რომ დარჩენილიყო, საშინელებას თავს ვერ აარიდებდა; სხვაგან სახლდებოდნენ და ცხოვრობდნენ, როგორც შეეძლოთ. მტრებს მეტწილად დამშლელი აღარ ჰყავდათ, ისე იკავებდნენ სიმაგრეებს, საიდანაც დასარბევად გამოდიოდნენ, როცა კი მოინებებდნენ, და ავნებდნენ არა მხოლოდ მომიჯნავეებს (ეს თავისთავად), არამედ დიდი მანძილით დაშორებულებსაც. არც რომაელთა მხედრობას აძლევდნენ მოსვენებას, მისგან მუდმივ ყურადღებას მოითხოვდნენ და, ამდენად, მიტოვებას სხვა მხარეებისას, რომელთაც არამცირედი მზრუნველობა ეჭირვებოდათ, მეტადრე დასავლეთით; როდესაც დაცალიერდა აღმოსავლეთის ციხე-სიმაგრენი, მოლაშქრეებმა, რომელთაც საზღაურს უხდიდნენ, არ იცოდნენ, არ გაეწირათ აღმოსავლეთი, თუ დასავლეთის მხედრობას შეერთებოდნენ, ხან ჩვენ შემოგვყურებდნენ, ხან მათ და მერყეობით საზრუნავს უჩენდნენ ორივე მხარეს. როდესაც ჯარებს ქვეშევრდომობის აუცილებლობა მოეხსნათ, დაზავების დროსაც ადვილად შეიძლებოდა მათი მიბრუნება ისევ სხვა მხარეს, სადაც ომის დროს იარაღით მისვლა იყო მოსალოდნელი. ასეთი ამბები ხდებოდა აღმოსავლეთში და ასე გაუარესდა მდგომარეობა, რის შესახებაც გიამბობთ და მიზეზებსაც დავსძენთ. რაკი თხრობა ვიკისრეთ, იქიდან დავიწყებთ, საიდან დაწყებაც უარესი არ უნდა იყოს.

7. მამის შემდეგ თვითმპყრობელი თეოდოროს ლასკარისი გახლდათ. მისი ბიძაშვილის ქალზე დაქორწინებული მიქაელ პალეოლოგოსი, დიდი კონსტავლოსის ღირსებით დამშვენებული (ეს

ლირსება ძველთაგან ერთგვარ ბედ ეძლეოდა მას, ვის ხელშიც გადავიდოდა მთელი იტალიის ჯარების სარდლობა), მუდამ ეჭვს იწვევდა, რომ სურდა სამეფო ძალაუფლების ხელში ჩაგდება, და, რადგან ამ საწადელს ინახავდა გულში, ცხადი იყო, რომ სახელმწიფო გადატრიალებას მოახდენდა, თუ ხელსაყრელი შემთხვევა მიეცემოდა. ხოლო ძალაუფლების მპყრობელის მამას ერთგულება მტკიცედ შეჰფიცა, სამღვდელთმთავრო წესიც ზღუდავდა და შერისხვას უქადდა, თუ ხელისუფალთაგან განდგომას და. აშკარად მათს მტრობას განიზრახავდა. ასეთი იყო საქმის ვითარება, როდესაც იმპერატორმა მიანდო დასავლეთის ჯარების სარდლობა და მიზეზიც მიეცა, რათა საიდუმლო კავშირი შეეკრა დასავლეთის მბრძანებელთან – მიქაელ ანგელოსთან. შეთანხმდნენ, რომ მიქაელ ანგელოსი ცოლად მისცემდა თავის ქალს მიქაელ პალეოლოგოსს, ხოლო ეს უკანასკნელი სანაცვლოდ გადასცემდა სამეფო ქვეყანას (χώραν), დაექვემდებარებოდა და, როგორც წესი იყო, გაამყარებდა მბრძანებელის და სიმამრის ძალაუფლებას. მაგრამ გაუმხილა ეს იმპერატორს ერთმა მსახურმა, რომლისთვისაც თითქოს გაენდოთ შეთქმულების შესახებ, როგორც იგი ამტკიცებდა. უმალ შეიპყრეს პალეოლოგოსი, აპყარეს ძალაუფლება და საპყრობილეში შეამწყვდიეს შებორკილებული. ეს ბრალდება შეიძლებოდა არ გამოაშკარავებულიყო: არ იყო ცხადი, მამხილებელი სწორს ამბობდა, როგორც თავად ირწმუნებოდა, თუ ცილს სწამებდა, როგორც ამტკიცებდა პალეოლოგოსი, რომელიც ჭეშმარიტების დასაცავად ორთაბრძოლასაც არ უარობდა. ეს ხელისუფალთა ძველი ჩვეულება გახლდათ; ორთაბრძოლას მიმართავდნენ მაშინ, როცა დამსმენელი მართალი არ ჩანდა. პალეოლოგოსი ეჭვს და უნდობლობას საბოლოოდ ვერ გაექცა და საკმაო ხანი დილეგში დაჰყო შებორკილმა და ეჭვშიტანილმა. მისთვის არავის გამოუდვია თავი, რომ ეშუამდგომლა იმპერატორთან. მხოლოდ მაშინდელმა პატრიარქმა მანუელმა, რომელმაც რამდენიმე თვე ლიდიაში იმპერატორის ახლოს გაატარა და, როცა წამოსვლას აპირებდა, შეიტყო, რომ ხელისუფალს სურდა მღვდელთმთავრისთვის რამით ესიამოვნებინა, სხვა ყველაფერი განზე დატოვა, შებორკილისათვის

შუამდგომლობა ითავა და სთხოვა იმპერატორს შეეწყალებინა ის, ვისაც ცილი დასწამეს. „ხელმწიფეო, — უთხრა მან, — თუ საეჭვოდ აღარ ჩათვლი და გაუშვებ ისე, რომ თუნდაც შენს მიმართ სუფთა არ იყოს, იგი ფიცს მოგცემს, რომ ეკლესიის მხრივაც მიიღებს გმობას, აზრადაც კი თუ გაივლებს განდგომას, და ამით უფრო შეიკრძალებს, რათა, ვითარცა ქრისტიანს, ღვთის სამართლის რიდი მიეცეს და უბოროტოდ და უხინჯოდ ერთგული დარჩეს შენდამი და შენი გვარისადმი მოცემული ფიცისა". ამ ვედრებამ ხელმწიფე კრძალვით აღავსო, დასჯილის შეწყალების დასტური დასცა და თავს იდო კეთილგანწყობა პალეოლოგოსის მიმართ, თუ ისიც შემდეგ კეთილგონიერებით ფიცს გაამყარებდა, როგორც პატრიარქი ჰპირდებოდა. მერე ბევრ მღვდელთმთავართან ერთად აქირაში მყოფმა მანუელმა, როდესაც იგი საკურთხეველთან დადგა ღვთისმსახურების წესის შესასრულებლად, ხელისუფალს გაუგზავნა კაცი ვინმე, წმინდა სამღვდელო ხარისხით დამშვენებული. მიიღო იგი ხელისუფალმა, მაშინვე გაათავისუფლა ტყვე, სიხარულით გაუშვა პატრიარქთან და სხვანიც აახლა. წარდგა მიქაელი სინოდის წინაშე, გულისხმით მისწვდა, რასაც წესით უნდა მიმხვდარიყო, და საყვედურიც შეეწყნარა იმპერატორისათვის მიცემული ფიცის განსამტკიცებლად. მერე ისევ ხელისუფალთან დაბრუნდა და მისი ფრიადი კეთილგანწყობა მოიპოვა. ასე გადიოდა დრო, ბევრითად ცდილობდა თავი შეენახა და ყოველგვარ ეჭვზე მაღლა დამდგარიყო, მეტადრე იმის გამო, რომ უმაღლეს ხარისხს და ღირსებას მიაღწია; განსაკუთრებით ფრთხილობდა, ძალაუფლების შემდეგი ხარისხის მპყრობელს ეჭვი არაფერში შეჰპარვოდა.

8. ხელისუფალი ყველაფერზე ეგზნებოდა, მოძულეთა აზრის გამო ღელავდა (რადგან სნეულება, რომელსაც შეეპყრო და უფრო და უფრო ქანცს აცლიდა, ყველაფერს საეჭვოდ აგულვებინებდა). მესამოსეთ-უხუცესის (პროტოვესტიარიოსის) პატივი აჰყარა რაულ ალექსიოსს და მის ნაცვლად ამ პატივით შემოსა გიორგი მუძალონი, ატრამიტიოსთა გვარისა; მას ცოლად შერთო კანტაკუზენთა ოჯახიდან თეოდორა, პალეოლოგოსის დისწული (ἀδελφιδῆν); მეორე ძმა ანდრონიკე დიდი დომესტიკოსი გახადა და შეაუღლა

რაულის ასულ კლოისტასთან, ხოლო მესამე ძმა დააწინაურა ბაზიერთუხუცესად (პროთიერაკარისად); ეს არ იყო საერთოდ კეთილშობილთა საქმე, მხოლოდ პირადად თეოდოროსს ახლდნენ სიყრმის წლებში. იმპერატორმა თვალები დასთხარა ორ დიდებულს, რომელთაგან ერთი, კონსტანტინე, სტრატეგოპულოს ალექსიოსის ვაჟი ,იყო, ღირსი და ბრწყინვალე ქორწინებით შეუღლებული იმპერატორ იოანეს ძმისწულთან (αδελφιδην), მეორე კი თეოდოროს ფილესი იყო. სხვაც ბევრი ასეთი საქმე მოიმოქმედა, დააცხრო სისხლით და ჩამომალობით მედიდურნი და მით, როგორც ფიქრობდა, პირდაპირ წინსავალი გზა გაიკაფა; სნეულება ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდა და დღედაღამე უკეთურებაზე აფიქრებდა.

9. როდესაც პალეოლოგოსი სათავეში ედგა მესოთინიებს, თვით წარჩინებულ გვარიშვილთა მხედრობასაც მეთაურობდა და ბევრი რამ მოიმოქმედა იტალიელების მიმართ, ეახლა მას ფრიად დაახლოებული სეფე-კაცი ვინმე, სახელად კოტისი, ცხადად აჩნდა ის შინაგანი ბრძოლა, რომელიც გამოევლო, და უთხრა: „თუ გაქცევის შესაძლებლობას ხელიდან გაუშვებ, რამდენიმე დღის შემდეგ დიდი უბედურება გელის. მაგრამ ამის გამო ვერც მე გადავრჩები უსაფრთხოდ; ორნივ სპარსელების მხარეს უნდა გადავიდეთ, თუ გენაღვლება და რადმე გიღირს საკუთარი თვალები". ეს მოახსენა და სრულ ერთგულებაში დაარწმუნა ის, ვინც მუდამ თავისთვის ფრთხილობდა, რადგან ძალაუფლებისკენ სწრაფვის ეჭვი სდევდა. ეჭვს უხიფათოდ ვერ დაღწია თავი ვერც მისმა ბიძამ, დიდ ქარტულარიოსად განწესებულმა, რომელიც აგრეთვე მიქაელ პალეოლოგოსად იწოდებოდა. ამბობენ, ერთხელ მისთვის უკითხავთ სახელმწიფო ძალაუფლების შესახებ და უპასუხნია, რომ, თუ ხელმწიფობის ვალი ადამიანს ღვთისგან ედება, საამისოდ მოწოდებული უბრალოა და უდანაშაულო. ამის გამო განურისხდა ხელისუფალი, რაკი, როგორც ასეთს, ასეთი კაღნიერი საგონებელი უნდა ჰქონოდა, და დილეგში გამოამწყვდია შებორკილი. ერთი სიტყვით, პალეოლოგოსმა შეიტყო და, ბუნებრივია, შეეშინდა, რომ, თუ დარჩებოდა, საფრთხეს გადაეყრებოდა, საშინლად საწყალი მოეჩვენა თავისი თავი და არჩია მოწინააღმდეგის მხარეზე გადა-

სულიყო, თუმცა ასეთ ხსნას სამარცხვინოდ თვლიდა. ორი საფიქრებელი ბოროტებიდან, შიშით ატანილმა, ნაკლები ირჩია. შეეცადა ბევრისათვის უჩინარი დარჩენილიყო, სანამ შეეძლო, თან წაიყვანა სახლეულიდან რამდენიმე კაცი, გადალახა მდინარე სანგარისი, პირდაპირ სპარსეთს მიაშურა და ეახლა სულთანს. მან სიხარულით და შესაფერისი პატივით მიიღო. ერთხანს უცხოეთში სახელმწიფო დროშებით მიჰყავდა ჯარი სულთანის მტრების წინააღმდეგ, თავი გამოიჩინა და მით, თუ ეს როგორმე ხელმწიფის ყურამდე მივიდოდა, მისი გულის მოგება სცადა. შემდეგ კი ინანა, უკან დაბრუნება მოიწადინა, მაშინდელ იკონიელ წინამძღვარს ეახლა და უნდოდა ესარგებლა მისი შუამდგომლობით მეფესთან, იქნებ მას როგორმე მიეცა ნდობის სიგელი, რომ რისხვას აღარ დააწევდა და ნებას დართავდა უკან დაბრუნებულიყო. მღვდელთმთავარმა სასწრაფოდ შეადგინა შუამდგომლობის სიგელი, ხელისუფალმა თანაგრძნობა გამოხატა და ხელმწიფურად ბრძანა, რომ არავითარ სასჯელს და ვნებას არ შეამთხვევდა უკან დაბრუნებულს. გულითადად შეიწყნარა კიდევაც დამდაბლებული, შეეგება თანაგრძნობით მას, ვინც აღიარა, რომ უპატიებელი შეცდომა დაუშვა, და უწინდელი პატივი დაუბრუნა.

10. მას მერე ჩვენამდე ამბავი მოვიდა, რომ დასავლეთში აღებულ იქნა ეპიდამნოსი და რომ მის მცხოვრებლებს სჭირდებოდათ მღვდელთმთავარი, სჭირდებოდათ წინამძღოლი (ჰეგემონი) და მხედრობა. მღვდელთმთავრად გამოაცხადეს ქალკუცე, რომელსაც ჰქონდა აგრეთვე პატივი დიდი ეკლესიის დიდი მეჭურჭლისა (სკევოფილაქსის); მასთან ერთად პალეოლოგოსი იგზავნება იქაური მხედრობის წინამძღოლად და ნაბრძანები აქვს საქმით თანადგომა სხვა იქაურ მთავართა (არქეგოსთა), განსაკუთრებით კი სამღვდელოთა. სწრაფად გაივლიან თესალიას და მდინარე ბარდარიოსის გადასალახავად ემზადებიან. წინამძღოლი პირველი გადადის თავისი მხედრობით, რომელშიც არეულობას და საღალატო განწყობას შეამჩნევს; ამას ქმნის მბრძანებელის — მიქაელის — უკანონო შვილი მანუელი. იგი საკმაოდ დიდი ჯარით გამართავს ბრძოლას, წინამძღოლს შეებმება და ჯერ თავად ჰკრავს შუბს და დასცემს,

მერე კი პალეოლოგოსი წამოდგება, შეჯდება ცხენზე და ისეთ მძიმე ჭრილობას მიაყენებს, რომლისთანაც თვითონ არ მიულია.

11. იმ დროს, როდესაც დირაქიის მმართველი არეულობის გამო თესალონიკესკენ მიბრუნდა და, ბუნებრივია, დიდად გაისარჯა, რათა იგი გადმოებირებინა არეულობის მოთავეთა და წინააღმდგომთა მხარეზე, ხმა გავრცელდა, რომ ხელმწიფის რაშთა კომსი ქადენოსი შემოვიდოდა თესალონიკეში და არ ექნებოდა სხვა მიზანი, გარდა ერთისა: პალეოლოგოსი შეეპყრო და შებორკილი მიეგვარნა იმპერატორისათვის. პალეოლოგოსზე (იმჟამად ის თესალონიკეში იმყოფებოდა) ამ ამბავმა საშინლად იმოქმედა და ფიქრს მიეცა, რათა მიმხვდარიყო, რა განეზრახა იმპერატორს, რომელმაც ის-იყო თავად გაგზავნა და უკანვე აბრუნებდა, ოღონდ პატივით გაისტუმრა და აიძულებდა უპატივოდ დაბრუნებულიყო; ჯერ თანაგრძნობის ღირსად ცნო წერილობით, ასე დიდსულოვნად, როგორც შეჰფერიოდა, არც უხსენა ჩადენილი საქმენი, ისე მიანიჭა უდიდესი წინამძღოლის ხარისხი, ეხლა კი პირობა უკან მიჰქონდა და სჯიდა აღიარებულ დანაშაულთა გამო. არ იცოდა, რა ელონა და რა გზას დასდგომოდა, ამიტომ ღმერთს შეუკრდა; თავისი გულისთქმა დირაქიელ წინამძღვარს გაუზიარა და შეეკედრა ელოცა მისთვის საუფლო საყდრის წინაშე. რაკი ეს საქმე თავისთავად ღვთის მოსაწონი ჩანდა, უმალ აკატონიის მონასტერში მწუხრის შემდეგ იგალობეს საღამეო პარაკლისი და ნუგეშინისცემანი, მეორე დღისთვის კი მღვდელთმთავარმა განაწესა მესაიდუმლოებითი (მისტაგოგიური) წმინდა მსახურების გადახდა. გათენდა ეს დღეც და ჩვეულებრივად ჟამნი უნდა წარმოეთქვათ, რომ მღვდელთმთავარმა ჟამის-წირვამდე დუმილი უბრძანა გარეშემო მყოფთა, თავად კი პირისპირ ღმერთს ესაუბრა და ფრიადი სიმშვიდით აღაელინა ჩვეულებრივი მსხვერპლვის-წინა ლოცვები. ამბობენ, რომ სამგზის ესმა ხმა, არა ერთიანად მოსხლეტით, არამედ ლოცვის შუალედებში. ეს არ იყო ჩვეულებრივი სიტყვა, არც ელინურად, არც სხვა რომელიმე ენაზე ნათქვამს ჰგავდა. ითქვა МАРПОУ, და სხვა არაფერი. გაკვირვებული მღვდელთმთავარი მაშინვე მივიდა თესალონიკელ წინამძღვართან (დისიპა-

ტოსი მანუელი გახლდათ) და აუწყა, როგორ აღმოჩნდა ფსალმუნებით ღმერთის მახლობელად და მოულოდნელად როგორ მისწვდა ხმა მოფიქრალს მასზე, რაზედაც ითქვა. კარგა ხანს აკვირდებოდა დისიპატოსი ამ გამონათქვამს, რაღაც აზრობრივი თანხვედრა შენიშნა ძველ ΒΕΚΛΑΣ-თან, მომეტებულის სიცხადით გახსნა სიტყვის კავშირები თუ ელემენტები და ნათელი გახადა, რომ ეს იყო პალეოლოგოსისათვის რომაელთა ხელმწიფობის დაპირება, რადგან გაგონილი სიტყვა ნიშნავდა: მიქაელს (Μ) მბრძანებელს (Ἄναξ) რომაელთა (Ρ) პალეოლოგოსს (Π) მაღლად (Ὀξέως) უგალობენ (Ὑμνηθήσεται). ზოგნი ამბობენ, რომ არც დირაქიელ მღვდელთმთავარს ჰსმენია ასეთი რამ, არც თესალონიკელს უწინასწარმეტყველია, არამედ თესალონიკელი წინამძღვარი დახელოვნებული იყო მკითხავობაში და ეს ამოიცნო უფრო ბეჯითად მეძიებელმა და მჩხრეკალმა ისეთი წიგნებისა, რომლებიც ხელმწიფობას განუჩენენ მავანთა მეცადინეთა. მას სურდა პალეოლოგოსისათვის ეცნობებინა, რომ ხელმწიფობა ელოდა, და შეემსუბუქებინა ამით მწუხარება, რომელიც მის სიცოცხლეს ემუქრებოდა, მაგრამ, რომ ეთქვა, რაც წიგნებიდან იცოდა, ვერ დაარწმუნებდა (რადგან არცთუ მტკიცე საყრდენად დაიგულებდა წიგნებს, როცა გამოსავალს ეძებდა), ამიტომ ცხადლივ ღვთისგან სმენილად უნდა აღეწერა იმის შიშით, რომ პალეოლოგოსს მას მერე ხშირად სიტყვის რწმენაც არ დაჰკარგოდა. ეს გახლდათ მიზეზი, რის გამოც დირაქიელ მღვდელთმთავარს მოელაპარაკა, რათა მას ეთქვა, რომ ხმა ესმა, ის კი (თესალონიკელი) ვითომ გახსნიდა თავის მიერ შენათხზენ გამოთქმას ისე, როგორც მოისურვებდა. დაარწმუნეს ამაში პალეოლოგოსი და კეთილი იმედებით შვება აგრძნობინეს, ხოლო, თუ ასე არ გამოვიდოდა, ორთავ დაიტოვეს საფუძველი იმის პატიებისა, რომ განმარტებაში შეცდნენ და რომ იმ გამონათქვამს უმალ სხვა რაღაც აზრი ჰქონდა, ვიდრე ის, რაც მათ მოეჩვენათ. ამასობაში ხელმწიფის რაშთა კომსი — ხსენებული ქადენოსი — გამალებული მოადგა კიდეც თესალონიკეს და მაშინ მომხდარმა გავრცელებული ხმის სისწორეც გამოაჩინა: პალეოლოგოსი შეპყრობილ იქნა. ოღონდ ფეხთ ბორკილები მან არ იცოდა, — შეიძლე-

ბა ასე ჰქონდა ქადენოსს ნაბრძანები, შეიძლება ვაუკაცის კეთილ-შობილებისა მოერიდა ან მეგობრობამ განაწყო ასე, რადგან მისთვის სიკეთის ქმნის ქვეშეცნეული ლტოლვა მრისხანებას არ ეფარდებოდა. როგორც შეეძლო, პატივაუყრელად შეინახა ტყვე და, რომ ქალაქის ბრბოსაგან უპატიობა არ შემთხვეოდა, ღამით დაადგა გზას. როდესაც ქალაქს საკმაოდ გასცდნენ, ქადენოსმა ამცნო განჩინებანი და ისიც უთხრა, რომ თავად მან ეს განჩინებანი ლამის უგულებელყო პალეოლოგოსის ღირსების გაფრთხილებაში, მაგრამ მეტად აღარ აპირებს კადნიერად მოეპყროს მათ (რადგან ეს ორთავე მყარ საყრდენს აცლის); ხოლო ტყვე, როგორც წესია, სიქველისათვის დიდ მადლობას უხდის და განეშზადება ნაბრძანების შესასრულებლად. დიალ, ბორკილებს თავად გაიყრის, ისე რომ ცხენზე მჯდომს ორივე ფეხი ერთ მხარეს ექნება ჩაშვებული, და განაგრძობენ გზას. არსებობს გადმოცემა, რომ აქ მათ თითქოს კეთილად ენიშნებათ ის, რაც ცოტა ხნის შემდეგ მოსახდენია. აი როგორ ენიშნათ. მიდიოდნენ და, ბუნებრივია, ერთი მათგანი მოსალოდნელის გამო შფოთავდა, მეორე კი, როგორც შეეძლო, მწუხარებას უმსუბუქებდა და ცდილობდა, მომტებულის დიდსულოვნებით (εὐθυμότερον) შეეცვალა მისი განწყობა. როდესაც პირველმა დიდი წუხილით გული იჯერა და სთხოვა მეორეს, რომ ხმანებიერად ეგალობა, რაც აზრად მოუვიდოდა (ეტყობა, ეს დახელოვნებული იყო გალობაში და საამისო ძალი შესწევდა), ეგებ მით მცირედ მაინც აღვიმსუბუქოთო ტვირთი, — მაშინ ქადენოსს უცბად მოუხდა ზომიერი შეზავებით წამოეწყო: „აწ მალე აღსრულდება ნაწინასწარმეტყველევი"; უგულისყუროდ და გაჭიანურებულად კი არ გალობდა, არამედ შთაგონებულად ხმის ამაღლებით და ფრიადი ძალის გამოჩინებით, რამაც ტყვე მართლაც მეტი დიდსულოვნებისათვის განაწყო და აამა არა იმდენად მელოდიის შემოსილობით, რამდენადაც ჭეშმარიტად შინაარსით, მაშინ როდესაც მგალობელი ვერ ხვდებოდა სასიკეთო მინიშნებას. რამდენიმე დღე მოუნდნენ ამ გზას იმპერატორამდე, წარდგა მალე მოციქული ხელისუფალის წინაშე და მათი მოსვლა შეატყობინა; მაგრამ ხელისუფალმა სულ არ მიიღო პალეოლოგოსი და პირდაპირ დი-

ლეგში შეაყენა როგორც მსჯავრდებული. ჟამი ეპოვნა და სხვარიგად ჩაეფიქრებინა, უფრო მეტად გამოეცადა, ვიდრე მაშინ ჰყავდა ნაცადი. დრო ილეოდა, თვითმპყრობელს კი სნეულება აწუხებდა და პალეოლოგოსი საკანში იყო გამომწყვდეული, აღიარებული წინასწარი მინიშნებების მიუხედავად. ბრალდება არ გახლდათ საკმარისი: ოდენ ეჭვი და გაოგნება ბევრისა, რომელნიც ენდობოდნენ ბედისწერას. საბრალდებო ჩანდა წინასწარმეტყველება, რაც შემდეგში მდგომარეობდა... მაგრამ ჯერ სიტყვა უწინარესზე გადავიტანოთ, რომ ამბავი უკეთ გავიგოთ.

12. ხელისუფალს სენი შეეყარა, სენი საშინელი; წამოუვლიდა და დაბლა დასცემდა ხოლმე. როგორც ჩანს, ეს იყო ფიზიკური გულის ხურვებისაგან, რისგანაც, ვფიქრობ, სახეც მეტად წამოენთებოდა. გული ველარ აკავებდა გზნებას, ამიტომ სისხლი მოიქცეოდა, საითაც იყო მოსაქცეველი, ოღონდ ხშირად ტვინს უსარგებლო და უქმ წარმოდგენებსაც და, მაშასადამე, ფიქრსაც აწვდიდა. ეგებ ვინმეს შეჯერებულიც ჰქონდეს სიბრძნისმეტყველთა დავა აზროვნების საკითხებზე: ფიქრთა წყარო არის გული, ყოველ შემთხვევაში, ტვინამდე აღწეულ ფიქრთა, რომელნიც მის სიმეტრიულობასა ან ასიმეტრიულობასთან შეფარდებულ სახეს იღებენ. იმას მოგახსენებდით, ხელმწიფეს სენი მოერეოდა თუ არა, ჯადოქრობისგან საეშმაკო ენების განცდა ეუფლებოდა. გარეშეთაგან ბევრი, ვისაც ასეთი საქმეებისა სწამდა, უაზროდ ადანაშაულებდა მუძალონებს, რომლებმაც ისეთი ჰატივი მოიპოვეს, რომ ვერც კი წარმოიდგენდნენ. სნეულს კი ყველა საეჭვოდ ეჩვენებოდა, თუკი ვინმეს ჯადოქრობაში დასდებდნენ ბრალს. ამიტომ ბევრ დარბაისელს იჭერდნენ მაშინ, როგორც კი ვინმეს დასცდებოდა სიტყვა დანაშაულზე. ვინც ჯადოქრობაში ბრალს დასდებდა სხვას, ხშირად თავისი ან ახლობელის ინტერესებისათვის, ბრალის დადება იყო და ხელად დასჯიდნენ. ხოლო როდესაც ბრალდება იმპერატორის ყურამდე აღწევდა, იგი დაუყოვნებლივ ბრძანებდა გამოძიებას, თითქოს საერთოდ სხვისთვის კი არა, თავისთვის წუხდებოდა. მსჯავრდებულის გამართლება არ შეეძლოთ არც მსაჯულთა ხმებს, არც მოწმეთა ჩვენებას, არც ფიცის მიცემას, არც მანამდე განვ-

ლილი ცხოვრების გამოძიებას, — შეიძლებოდა ყველაფერს ჰრეო-და სიყალბე; ერთადერთი, რაც მსჯავრდებულს გადაარჩენდა, ის გახლდათ, თუ გაბედავდა, ხელით გამოელო ცეცხლიდან, რომელ-საც წმინდას უწოდებდნენ, გახურებული რკინა, ხოლო ამისთვის ჯერ სამი დღე მარხვის-ჭერით და ლოცვით უნდა განწმენდილიყო, ხელს კი ბადეს და ტილოს შემოახვევდნენ და ბეჭედს დაუსვამდ-ნენ, რათა ვინმეს მალამო არ წაეცხო, რომ ცეცხლში არ დასწვო-და. შეესწრო კიდეეაც ამის დამწერი, მაშინ პირტიტველა ყრმა, სასწაულს. ასეთ განსაცდელში თავს რომ იგდებდნენ და უვნე-ბელნი გამოდიოდნენ. იმხანად ხელისუფალმა განაწესა ცოლად მოეყვანათ დიდგვარიანთა ქალნი მათაც, რომელნიც არ იყვნენ კეთილშობილთა ჩამომავალნი, ოღონდ მათი კეთილშობილება ხე-ლისუფალის შეხედულებისამებრ იწონებოდა, მას უნდა მიენიჭები-ნა პატივი და კეთილი სამსახურის წილ ორივე მხარის მიმართ მ'ბრუნველობა გამოეჩინა, რათა მამაკაცებს შესაფერისად ეამაყნათ თავიანთი მატრონებით, როგორც რომაელები იტყოდნენ, და მათაც გაეზიარებინათ მეუღლეთა პატივი. სხვათა შორის, უბრძანა ერთ სეფე-კაცს, ბ'ალანიდიოტესად წოდებულს, რომელიც ჯერ კიდევ იმპერატორის მამის სიცოცხლეში მის (იმპერატორის) პაჟთა შორის ირიცხებოდა, ექორწინა თეოდორაზე; ეს იყო ასული მარ-იამის თუ მართასი, პალეოლოგოსის დისა, რომელსაც თეოდორა ეყოლა დიდი დომესტიკოსის — ტარხანიოტესისგან. იმპერატორის სიტყვა მათთვის მტკიცე და ულალატო საწინდრად ფასობდა და ამიტომ მას მერე, რაც ერთმანეთს შორის შეთანხმდნენ ქორ-წინებაზე, სასიძო თავისუფლად დადიოდა საპატარძლოს სახლში. მაგრამ ცოტა დროლა იყო დარჩენილი დაწინდვამდე, რომ, არ ვიცი, რა მიზეზით, ხელისუფალმა თავისი ხელმწიფობა სა-მართლიანობაზე მაღლა დააყენა და ინება ხსენებული დიდგვარი-ანი ასული ცოლად მიეცა აგრეთვე დიდგვარიანი კაბალარიოსის ძის ბასილისთვის, რომელმაც ამ ჩუქებაში სიხარულით ამოიკითხა კეთილი საქმე და ქორწინებას დაეშურა, ხოლო, რადგან მანდილოს-ნებს პირველი შეთანხმება იზიდავდა და წინასწარ ჩაგონებული ჰქონდათ, რომ უპატიობა იქნებოდა მისი დარღვევა, ახალი სასიძო

არ მოსწონდათ. მაგრამ ხელისუფალი ბრძანებდა და ისინიც, ნებით თუ უნებლიეთ, ადათს იცავდნენ და დგებოდა ჰიმენეების დღესასწაული. რამდენიმე დღე ნეფე არ იქმდა მამაკაცთა საქმეს ქალწულთან და, როდესაც იმპერატორმა გამოჰკითხა ამის მიზეზი, მან ჯერ იგავი მიიჩრდილა, რადგან არ სურდა აღიარება, მერე კი, გადაწყვეტით რომ მოსთხოვა ხელმწიფემ პასუხი, ჯადოქრობით დაბრკოლება მოიმიზეზა. მაშინ ხელისუფალს თავის თავში შეეპარა ეჭვი და საშინელმა რისხვამ მოიცვა; ეტყობოდა, არაფერი შეაჩერებდა, თუ არა ჯადოქრობის აღიარება. მყისვე განამზადეს ბზის ტომარა და შიშველი მოათავსეს შიგ კეთილშობილი მოხუცი ქალი კატებთან ერთად, რომლებსაც გარედან ტირიფის წნელებით ძეწკავდნენ და რომლებიც ბრჭყალებით ფსოჭნიდნენ წამებულს; ეს აიძულებდა მოხუცს, ძალიანაც რომ არ სდომებოდა, გამოეთქვა გამოუთქმელი. მაგრამ მისგან იმის მეტი არაფერი ესმოდათ, რომ ასეთი რამის ცოდნა მისი საქმე არ იყო და არ იცოდა, იქნებ ნეფე სძულდა მის ასულს, პირველად სხვაზე დაწინდულს. ამის მერე იმპერატორი, ჯერ-ერთი, ვერ იშორებდა ეჭვს, რომ ჯადოქრობას ნაჩვევი მოხუცი მასზედაც გაბედავდა მსგავსი ხერხი ეხმარა, ისე როგორც ეჭვს იწვევდა ამ მოხუცის მიერ გაზრდილი და ნაფერები ძმა; მეორეც, საგონებელში იყო ჩავარდნილი, რომ პალეოლოგოსს, რომელიც ალბათ ამ ამბავს გაიგებდა, რისხვით აგზნებულს, როგორც ძმას, ამბოხებისკენ ლტოლვა არ აღძვროდა; სწორედ ამიტომ გაგზავნა კაცი, რათა აეყარა მისთვის წინამძღოლის პატივი და შებორკილი მოეგვარნა, მოსაჩვენებლად თითქოს იმ მიზნით, რომ ჯადოქრობის ბრალდებისაგან თავი დაეცვა, სინამდვილეში კი ამ საქციელს საფუძვლად ჰქონდა შიში, რომ, ამბავს რა შეიტყობდა პალეოლოგოსი, გადატრიალება არ მოეხდინა. ეს ცხადი იყო იქიდანაც, რომ ცოტა ხნის შემდეგ არათუ ისევ გამოუხმო მას საპყრობილიდან და თანაგრძნობით მოეკიდა, არამედ, ფრთხილობდა რა, თავად არაფერი დამართებოდა ან საქმეები არ ჩაშლოდა სნეულების გამო, ღირსად ცნო მიენდო თავისი ოჯახი და მოაგონა, რას უნდა უმადლოდეს, რომ ბოროტის დამართების ღირსი იყო იმის მიხედვით, რის ჩადენაც მოესწრო, მაგრამ თავად (ხელმწიფემ)

თანაუგრძნო და არაფერი უამური არ შეამთხვია.

13. იმავე წელს, შემოდგომა ახლოვდებოდა, როდესაც ხელისუფალი გარდაიცვალა და ოთხი ბავშვი დატოვა: სამი გოგონა და ერთი ცხრა წლის ყრმა, პაპის სეხნა —იოანე. უფროსი ქალიშვილებიდან ერთი გათხოვილი იყო ბულგარეთის არქონტ კონსტანტინე ტიქოსზე, მეორე ცოლად ჰყავდა დასავლეთის დესპოტის მიქაელის ძეს ნიკიფორეს. ხელისუფალის სიკვდილი რაღაცას მოასწავებდა, რადგან მეექვსე დღეს, სამ საათამდე, მზე დაბნელდა და ღრმა სიბნელემ მოიცვა ყველაფერი, ისე რომ ვარსკვლავები გამოჩნდნენ ცაზე. სიკვდილმა უდროოდ წარიტაცა კაცი, მეფურად შობილი და გაზრდილი, მეფურად ამაღლებული და აღზრდილი; თუმცა მამას არ შეეძრებოდა სიღრმითა და მიხვედრილობით იმისა, რასაც იტყოდა და რასაც იქმდა, არც აზრის სიმტკიცით და მოუშლელობით, მაგრამ პაპისაგან ჰქონდა სიმკვირცხლე ყველაფერში, დიდსულოვნება და სიმამაცე, დედისგან დაჰყვა ფრიადი სიყვარული ბოძებისა, რომ ორივ ხელით დაეცარიელებინა საფასე და ებოძებინა ქვეშევრდომთათვის, მერე კი არათუ არ ენაღვლა, არამედ ეხარნა კიდეც; განსაკუთრებით უყვარდა მეცნიერება და ყველა მეცნიერს რგებდა კეთილი საქმით, თავადაც არანაკლებ გულმოდგინედ იღვწოდა სწავლულთ შორის, იმდენად ნასწავლი კი არ ჰქონდა, ბუნებით უფრო შეეძლო აღწერა და საკმარისი იყო მოეწადინა, რომ ბევრი რამ გადმოეცა მჭევრმეტყველურად. (ბევრ რამეზე გავჩუმდები) თუ ბრწყინვალე დღესასწაული დგებოდა წმინდანის ხსენებისა, მას სხვა არაფერი არ სჭირდებოდა, ოღონდ საქმეები უნდა გადაედო და, მაშინ როდესაც ერთი მღვდელმსახური დინჯად და მკაფიოდ კითხულობდა ცისკრის მსახურების წინ დადებულ ექვს-ფსალმუნს, მეფე ფრიად წყობილ კანონს თხზავდა ხსენების დღეზე,. ამასთან, შეიძლებოდა დიდი სიკეთე გაეწია არა მხოლოდ მეფსალმუნეებისთვის, არამედ საგალობელთა მსმენელებისთვისაც, — სასახლის მცველთაგანი იქნებოდა ვინმე თუ იმპერატორის საჭურველთმტვირთველი ან სხეულის მცველი, სეფე-კაცი თუ გარედან მოსული. ხელმწიფის წყალობა და მადლი ერთნაირად დაუშრეტელად გადმოდიოდა ყველაზე, უფრო კი მხედრობაზე

და მათზე, ვინც მეცნიერებაში იღვწოდა; რადგან არ იყო დღე ისეთი, არც ღამე, არც დრო მწუხარებისა, არც ჟამი სიხარულისა, არც მზის ამოსვლის წუთი, არც დაისის, რომ ვინმეს შესძლებოდა ენახა ან მოესმინა, თითქოს მბრძანებელს ქველმოქმედებისაგან შორს დაეჭირა თავი, ან თვითონ აგრერიგად განწყობილს, ან სხვათა ამგვარადვე განწყობილთა მიზეზიანს. ასეთი რომ იყო, დიდკაცობას უმძიმდა მასთან, სწორედ რომ კეთილშობილების და სამეფო კართან ნათესაური სიახლოვის გამო კი არ აპატიოსნებდა და ასაჩუქრებდა ხარისხებით, არამედ ღირსებისამებრ —საქმეებით გამორჩევის შესაფერისად. ვისაც წარმოშობით და სისხლით ნათესავად ეკუთვნოდა, მათი დიდებულება ისეც საკმარისად მიაჩნდა; ეს კი, თუ ვინმე განჭვრეტს, ნიშნავდა მთავრისაგან (არქონტისგან) სიკეთის სარგებელის მოტანას და ბრწყინვალე საქმეებისაკენ მოწოდებას ქვეშევრდომთათვის, რადგან არა უნიათობისათვის, არამედ სიქველისათვის, მშვენივრად გაწეული სამსახურისათვის და კიდევ იმისთვის, რომ სხვებსაც ასე ამსახურებდნენ, მიითვლიდნენ მეფურ სადღეგრძელოებს. თავზარსაც სცემდა იმპერატორი, იმიტომ რომ, თუ ერთგულს სიკეთით შეეწეოდა, მეორე მხრივ, მზად იყო ჯერისაებრ დაესაჯა დასასჯელი: განა მცირე ბოროტებაა დიდებულის შეცდომა ან ფრიადი შეორგულება; იგი საჭურისს ჰგავს მაშინ, ერთი ასოს წართმევით რომ მთელი სხეული წაუხდება და ყოველმხრივ დარღვევას და გადაგვარებას განიცდის, და, პირიქით, თუ საქმეს უერთგულებს, წრის ცენტრს ჰგავს, რომელიც მდგრადობას ანიჭებს წრეს, სანამ თავის ადგილზე რჩება. ერთი სიტყვით, როგორ არ წარმართავდა სახელმწიფოს ჯერისაებრ, ვისაც ასეთი მამა ზრდიდა, როცა ჯერ არ ჰქონდა მეფის სახელი, მამისერთას, საფუძვლიანად განსწავლულს და დამოძღვრილს.

14. ერთხელ იგი, ოქროქსოვილი სამოსით შემოსილი, სანადიროდ გამოვა და დაბრუნებისას შემთხვევით გზად შეეყრება მამას. იგი თავვანს სცემს, ეს კი, თითქოს არ შეემჩნიოს, ყურადღებას არ მიაქცევს და მიახლებულსაც გულისყურით არ შეიწყნარებს, —ამას შვილი ნიშნად მიიღებს მის მიმართ მამის გულისწყრომისა, რაც, აღმოჩნდება, რომ მართლაც ასეა. შეწუხებული და საგონებელში

ჩაკარდნილი იმის ფიქრით, თუ რა უნდა შეეცოდა, მარტო მიეახლება მამას არცთუ დიდის გაბედულებით. შვილს თვალს ჰკიდებს თუ არა იგი, განრისხებული მასზე, სამოსის უდროო დროს ხმარებას უსაყვედურებს და ეტყვის: ცან, რა სიკეთე გიქნიაო რომაელთათვის. რაც რამ მათი გიხმარია, დაცადებას რომ მოითხოვდიო, ეს ხომ სულ არ იყო საჭირო. განა არ იციო, რომაელთა სისხლია ამ სირული (Σηρικά) ოქროქსოვილით მონიშნებული, მათია და მათს სარგებელად უნდა გეხმარაო. შენ განმარტებას მოითხოვო, მათს სარგებელად როდის ჩაგეცვა, — რასაკვირველია, მაშინ, როდესაც უცხოქვეყნელთა ელჩობა გვეწვეოდა და რომაელთა სიმდიდრის ბრწყინვალება უნდა გვეჩვენებინა; რადგან შეფეთა სიმდიდრე ქვეშევრდომთა სიმდიდრედ იგულისხმებაო და, თუ ეს დავიწყებულია და სხვა თავისიანების დამონება არის მიზანი, დიდის ფიცით უნდა დაიგმოსო მით სარგებლობა. ცუდუბრალოდ რომ იყენებ, ვერ გაგისაზრავსო, ეს რაოდენ უკანონო გამორჩენაა.

ასე იზრდებოდა იგი ხელმწიფობისთვის.

ნიკიფორე გრეგორასი
(დაახლ. 1295 წ. – დაახლ. 1360 წ.)

(თავისი დროის გამოჩენილი ისტორიკოსი, მეცნიერი და პოლიტიკური მოღვაწე, რომელმაც დაწერა მემუარული ხასიათის „რომაული ისტორია“ 1204-1359 წლების თავგადასავალზე*)

ბიზანტიის ისტორია
თავი VII

იმხანად აღმოსავლეთიდან დიდ უბედურებათა ზღვა აღბორგდა, თითქოს უეცრად მირიადი ქარტეხილი ერთად ამოვარდნილიყო და ზემოდან თუ ქვემოდან ზავთით მომწყდარიყო. როდესაც რომაელების სამბრძანებლოს აღმოსავლეთი ნაწილი უეცაროდ დარჩა, თურქთა სატრაპებმა მწყობრად გადაიარეს მთელი ქვეყანა ზღვამდე და მის სანაპიროებამდე დასახლდნენ. მტრის კერძნი გახდნენ მეტწილნი კაცნი და დედა-წულნი, იავარქმნილიყო საცხოვარი თუ საფასე. მათგან, რომლებიც გაიქცნენ და დაიმალნენ, ზოგმა მახლობელ ქალაქებს შეაფარა თავი, ზოგი თრაკიაში გადავიდა შიშველ-ტიტველი. აზიაში რომაელთა სამბრძანებლო მიწაწყალი მთლიანად თურქებმა გაინაწილეს შეთანხმებულად და წილისყრით. კარმანოს ალისურიელს ფრიგიის დიდი ნაწილი შეხვდა და ის მიწები, რომლებიც მდინარე მეანდროსთან მდებარე ანტიოქიიდან გადაშლილი იყო ფილადელფიასა და მის მეზობელ ადგილებამდე, ხოლო იქიდან სმირნემდე და ზღვისპირეთამდე გაშლილი მიწები იონიაში მიიღო სარქანესმა. სხვა სატრაპი, სახელად სასანი, დაეუფლა მაგნესიის, პრიენეს და ეფესოს გარეშემო მიწებს; კალამესმა და მისმა შვილმა, კარასესმა, დაიკავეს მიწები ლიდიიდან და ეოლიიდან ჰელესპონტის მიმდებარე მისიამდე. სხვა სატრაპმა, სახელად ატმანმა, დაიკავა ოლიმპოს შემოგარენი და მიყოლებით ბითინია მთლიანად.

---

*. იხ. სიმ. ყაუხჩიშვილი, ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, თბილისი, 1963, გვ. 278.

მდინარე სანგარიოსიდან პაფლაგონიამდე მდებარე მიწები წილად ხვდათ ამურიოსის შვილებს. მომდევნო წელს, როგორც ამბობენ, ათანასიოსმა, რომელიც იოანემდე იყო აღსაყდრებული პატრიარქად და მერმე ეს პატივი უარჰყო, საიდუმლოდ აცნობა იმპერატორს, თითქოს წინასწარ იხილა ღვთის რისხვა, მოწევნული რომაელებზედ, და ურჩია მას, დღისით თუ ღამისთევით ლოცვა-ვედრება აღევლინა ღმერთის მიმართ, სანამ მესამე დღე დადგებოდა. მეორე დღეს მიწისძვრა მოხდა და იმპერატორმა ეს ჩათვალა ათანასიოსისგან ნაწინასწარმეტყველებ ღვთის რისხვად. ამის მერე დაჟინებით ამტკიცებდა, რომ სხვა არავინ ეგულებოდა მასზე უფრო ღირსეული, რათა კვლავ აღსაყდრებულიყო პატრიარქად, რადგან მომავლის ხილვა უსაღმრთოესი გამონათების გარეშე არ ხდება; დარწმუნებულიც იყო, რომ მტერნი შორს განეელტოდნენ რომაელთა სამბრძანებლოს საზღვრებს, როგორც კი ათანასიოსი ავიდოდა პატრიარქის ტახტზე და, როგორც იტყვიან, გაზაფხული მოჰყვებოდა ზამთარს და სიწყნარე — შფოთს და ადვილად განივრცობოდა რომაელთა სამბრძანებლო. ამან რამდენადმე შეაშფოთა თითქმის ყველა მღვდელთმთავარი თუ მღვდელმსახური, მონასტერთა წინამძღვარნი, სრულად სამღვდელონი და, რაღა თქმა უნდა, ბაზრის ზედამხედველნი და საზოგადოდ ყოველნი მოხელენი, რომელთაც მოიგონეს მისი უწინდელი სულიერი სიმძიმე. ასე რომ იმპერატორს, რომელმაც ხალხს სიტყვით მიმართა მიწისძვრისა და ათანასიოსის წინასწარმეტყველების შესახებ, კი არ ენდვნენ, არამედ ჩუმად ბუზღუნებდნენ, რომ იმპერატორს ათანასიოსის განდიდება ეწადა, რის გამოც შეთხზა ეს სიცრუვე, რომ თავადაც გამართლებულიყო, როგორც მისი კეთილმოსურნე. მოფერებით და დასარწმუნებელი სიტყვებით იმპერატორმა ზოგი მღვდელმთავარი და მონაზონი თანამზრახველად გაიხადა. მათთან ერთად იგი ფეხით დაადგა გზას ათანასიოსის სამყოფელისაკენ ქსეროლოფოსში და, როგორც საჭირო იყო, ესაუბრა რა მას ტახტის შესახებ, დაითანხმა პატრიარქის ინსიგნიების ხელახლა მისაღებად. ხელმეორედ ხელთდასხმა და მასთან დაკავშირებული ზარზეიმი არ იყო საჭირო, რადგან ძველადვე გახლდათ ხელთ-

დასხმული და უარი თქვა ტახტზე მწუსარების გამო. ერთი კვირის შემდეგ ათანასიოსი უბრუნდება საპატრიარქო საყდარს. იმხანად სატახტო ქალაქში იმყოფებოდა ეგვიპტის ალექსანდრიის პატრიარქი, კაცი დარბაისელი და კეთილის მზრახველობით ზნე-შემკული. ამით მან იმპერატორის მხრივ პატივი და კეთილგანწყობა მოიპოვა. ხედავდა რა ალექსანდრიის პატრიარქი ათანასიოსისთვის იმპერატორის მხურვალე მხარდაჭერას და ესმოდა რა იმპერატორისაგან ათანასიოსის დიდი ქება სასწაულთან დაკავშირებით (უსალმრთოესი ოქროპირის სწორად დასახვა სიკეთით), ფრიხილად გადაუკრა სიტყვა და მიანიშნა, რომ შესაფერისი დრო არ იყო ათანასიოსის სადიდებელად...

2. ამ დროს დაიწყო ბრძოლა ორ მეფეს შორის. ესენი იყვნენ იტალიის მეფე კარულოსი და სიცილიისა — თევდერიქოსი. კუნძული სიცილია დიდია და ხალხმრავალი, ოცდაათი მილით დაშორებული დიდი ხმელეთიდან...

კარულოსი დიდი ხანია ისწრაფვოდა დაემორჩილებინა სიცილია, საიდუმლოდ აგებდა დიდ ხომალდებს და ამზადებდა ყველაფერს, რაც საჭირო იყო ბრძოლისათვის... როცა მტრობა გამოაშკარავდა, კარულოსი პირველად საშინელი ეჩვენებოდა მოუმზადებელ თევდერიქოსს, ძალიან ავიწროებდა, ხშირად გადადიოდა ხმელეთიდან კუნძულზე ქვეითი ჯარით და მხედრობით და ორი წლის განმავლობაში არბევდა, ზამთრობით შინ ბრუნდებოდა, გაზაფხულობით კი უფრო ძლიერი ლაშქრით უტევდა. ამ დროს ერთმა ლათინმა, სახელად რონცერიოსმა, შეკრიბა ლაშქარი ქვემო იბერიიდან[1] და გალატიიდან, რომელიც ალპების გადაღმა, დასავლეთით, მდებარეობდა; ოთხი ტრიერი აავსო ამ ჯარით და მეკობრეობას ეწეოდა. თავზარდამცემი შეიქმნა, — არა მხოლოდ ჩრდილოეთიდან სამხრეთით და სამხრეთიდან ჩრდილოეთით მიმავალ ხომალდებს

1. სქოლიასტი ბაკალავრი ი. შალფეევი დიუკანჟზე დამყარებით შენიშნავს, რომ აქ იგულისხმება კატალონია, სამხრეთ ესპანეთის პროვინცია.

ესხმოდა თავს, არამედ დიდი კუნძულების მცხოვრებთაც ავად მიუხდებოდა და საშინელი ჩანდა ქვემო ზღვაში[1]. რადგან სიცილია ყოველი მხრიდან გამაგრებული იყო კარულოსის საზღვაოსნო და ქვეითი ჯარით და თევდერიქოსს აუცილებლად სხვისთვის უნდა მიემართა საშველად, მიმართა კიდეც ზემოხსენებულ რონცერიოსს და სთხოვა შეეკრიბა კიდევ ათასი უძლიერესი მხედარი, რათა მხნედ და ძლიერად შებრძოლებოდნენ კარულოსის ჯარს, ხოლო, როდესაც იგი (რონცერიოსი) მოვიდა და მოიყვანა ხომალდებით ათასი ქვეითი მეომარი, ათასიც — მხედარი, სიცილიის ყველა ქალაქი, რომელიც კი კარულოსს აელო და დაემორჩილებინა, ისევ თევდერიქოსის მხარეს გადავიდა, შეუჩვეველი უცხოთა უღელს. კარულოსმა შეიტყო ეს, ფრიად დაუძძიმდა გული და წონასწორობა დაკარგა, რადგან ძველი იმედები გაუცრუვდა და თითქოს უკვე ნავსაყუდელს შეფარებული ნაყოფი შროშისა წარუხდა. გავიდა ზაფხული; იგი უფრო მძიმედ შეჭურვილი დაბრუნდა, მაგრამ თევდერიქოსიც, ვისთანაც ბრძოლა უნდა გადაეხადა, უფრო ძლიერი და დიდი ლაშქრის მფლობელი აღმოჩნდა და კარულოსს სურვილი განუსორციელებელი დაჰრჩა. წელიწადის ამგვარად დასრულების შემდეგ კარულოსმა, როგორც გადმოგვცემენ, გაზაფხულზე მთელი იტალია დაძრა სიცილიისაკენ, რათა საბოლოოდ გადაეწყვიტა და დაემთავრებინა დიდი ბრძოლების რიგი. მაგრამ დამარცხებული შინ ბრუნდება დიდი დანაკარგით და თან სდევს ამაღლებული ზარი. მისი მდგომარეობა გამოუვალია და თევდერიქოსს ელჩობას აახლებს დასაზავებლად და შვილთა დასაქორწინებლად.

3. ასე მორიგდნენ ერთმანეთში ხელმწიფენი, იარაღი გადადვეს და დაურღვეველი ზავი შეკრეს. მაშინ თევდერიქოსის თანამებრძოლებს უნდა ეფიქრათ, როგორ მოქცეულიყვნენ ასეთი ზავის პირობებში. მათ არ ჰქონდათ არც სახლები, არც მონაგარი, რომ შინ მიბრუნებას დაშურებოდნენ. სხვადასხვა ადგილიდან იყვნენ

---

1. მიღებულია, რომ ქვემო ზღვად იწოდება ტირენის ზღვა, ნაწილი ხმელთაშუა ზღვისა.

მოგროვილნი, შიშველ-ტიტველნი, ყაჩაღური მონაგებისთვის მოხეტიალე ცხოვრებას ეწეოდნენ. მათმა მთავარმა, რონცერიოსმა, საჭიროდ ჩათვალა, ელჩი გაეგზავნა იმპერატორ ანდრონიკესთან და დაჰპირებოდა თანადგომას თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში, თუ იმპერატორი ისურვებდა. ამანაც დიდი სიხარულით მიიღო ელჩობა და რონცერიოსი ჩამოვიდა სიცილიიდან ორი ათასი კაცით, რომელთაგან ათასს უწოდებდა კატალანოსებს, რადგან ისინი მეტწილად ამ ტომს ეკუთვნოდნენ, ხოლო მეორე ათასეულს შეადგენდნენ ამოგაბაროსები (ეს ქვეითად მებრძოლთა ლათინური სახელი იყო). იმპერატორმა დაუყოვნებლივ მიიღო რონცერიოსი, ცოლად მისცა თავისი დისწული მარია, ასანის ქალი, და დიდი დუკას პატივი და ღირსება მიაგო. ცოტა ხნის შემდეგ რონცერიოსის მიწვევით მივიდა სხვა კატელანოსი, სახელად პირინკერიოს ტენცასი; მაშინ იმპერატორმა რონცერიოსს კეისრის ღირსება უბოძა, ხოლო პირინკერიოს ტენცასს — დიდი დუკასი. ფულადი დანახარჯები, რომლებიც ტანისამოსისთვის, საჩუქრებისთვის და წლის განმავლობაში სარჩენად იყო საჭირო, იმდენად დიდი გახლდათ, რომ სულ მოკლე ხანში საიმპერატორო ხაზინა დაცარიელდა. აზიაში რომ გადადიოდნენ მტრებთან საბრძოლველად, გზად საშინლად შეურაცხყოფდნენ რომაელებს, რომლებიც გარბოდნენ ზღვისპირა ქალაქებში. ქალსა თუ კაცს მონებზე უარესად ექცეოდნენ. ყველაფერს ისე იხმარდნენ, როგორც საკუთარს, და, ბუნებრივია, თან სდევდათ ცრემლების ღვარი და წყევლა-კრულვა იმ უბედურთა გულის სიღრმიდან, რომელთაც უსამართლოდ მოექცნენ. ეს ხდებოდა პირველ წელიწადს. დადგა გაზაფხული[1]. გაეგზავნენ საბრძოლველად ფილადელფიის მოალყეებთან. ფილადელფიის მცხოვრებნი ორკეც საშინელებას უმკლავდებოდნენ: გარედან უკვე დიდი ხნის განმავლობაში მოალყედ მდგარ მტერს, შიგნით კი უარესს — ყოვლისავე აუცილებელის ნაკლებობას და შიმშილს, მაგრამ დიდებულად და მამაცურად გაუძლეს, ვინათგან ზეციერი მარჯვენა შეეწეოდათ ამ ქალაქის წმინდა წინამძღვრის — ღვთის-

1. 1305 წ. (დიუკანჟი).

ნიერი თეოლეპტოსის — დიდი სიკეთის გამო. მტრებმა რომ ნახეს ლათინთა მწყობრი მოძრაობა, საჭურველის ბრწყინვალება და მოუგერიებელი კვეთების ძალა, თავზარდაცემულნი გაიქცნენ. გარბოდნენ არა მხოლოდ რაც შეიძლება შორს ქალაქიდან, არამედ ძველი რომის საზღვრებსაც სცილდებოდნენ. ეს ლაშქარი ისეთი მწყობრი იყო, ისე დიდებულად აღჭურვილი, ისე ნაცადი ომში და ისე დიდი (იქ ლათინებთან ერთად იბრძოდნენ არა მხოლოდ რომაელთა რჩეული ჯარები, არამედ ალანთა ჯარიც) და ისეთი თავზარი დასცეს მოწინააღმდეგეს, რომ მაშინ ბევრი ამბობდა, იმპერატორს სიფრთხილით ბრძანება რომ არ გამოეცა და არ დაებრკოლებინა, არაფერი შეაფერხებდაო მოკლე ხანში რომაელთა მთელი ქალაქების და ქვეყნების გაწმენდას მტრებისგან და იმპერატორისათვის გადაცემას. მაგრამ ამას ამბობდნენ ადამიანები, რომლებიც მხოლოდ აწმყოს უყურებენ და არ შეუძლიათ განჭვრიტონ მოსალოდნელი. ჭეშმარიტად ღმერთმა განსაჯა, რომ უკანასკნელ ზღვარამდე მისულიყო რომაელთა საქმე, და ამის გამო განგებამ მოსალოდნელი წარმატებისა და სარგებელის ნაცვლად ბევრი უბედურება დაატეხა მათ, მაგრამ ეს საქმე გაზაფხულის ბოლომდე ადვილად იქნა დასრულებული. უფრო შორს გადევნება აღარ შეეძლოთ, იმიტომ რომ არ ჰყავდათ წინამძღოლები, რომლებიც გაუკვალავ გზებს გადაალახვინებდნენ (გარეშე უამრავი გვამით გზის მოფენისა, ვერ წარმოედგინათ წინ წაწევა უწინამძღოლოდ); რონცერიოსი არ იყო დიდ საფრთხეში გამოუცდელი, ბევრი ბრძოლა გადაეხადა და ადვილად არ შეიმთხვევდა განსაცდელს. უკან მიიქცნენ და დაიშალნენ: რომაელები შინ მიბრუნდნენ, ალანებიც ასევე; ლათინები კი კეისარ რონცერიოსს მისდევდნენ, გაიარეს რა საწყალი რომაელებისაგან მიტოვებული ქალაქები, ბევრი ბოროტება ჩაიდინეს მათს მიმართ, რომლებმაც უხმეს, თავს იმართლებდნენ, რომ საიმპერატორო ხაზინიდან წლიურ გადასახადს აღარ ღებულობდნენ და აუცილებელი იყო, სანამ შიმშილით დაიხოცებოდნენ, დაეხოცათ ისინი, ვინც უხმო და დანაპირები არ შეასრულა; ძარცვავდნენ სვეგამწარებულ რომაელებს, პატივს ჰყრიდნენ ქალწულებს და დიაცებს, ბორკილს უყრიდნენ მოხუცებულებს და

მღვდელმსახურებს და სვიდნენ ისეთი სასველით, როგორსაც კი ახლად მოიგონებდა ლათინთა სამტროდ შემართული ხელი. რომაელის თავზედ ნაშიშვლებ ხმალსაც ხშირად ნახავდით, სიკვდილს რომ უქადდა, თუ არ გაამხელდა განძთსაცავს; ერთნი ყველაფერს გასცემდნენ და შიშველ-ტიტველნი რჩებოდნენ, სხვებს კი არ ჰქონდათ თავის გამოსასყიდი, გზებზე ეყარნენ დაჩეხილები და თხოულობდნენ ლუკმა პურს ან ობოლ ფულს და სარჩენად აღარაფერი ებადათ, გარდა ენისა და ცრემლთა ღვარისა. ეს შეიტყო იმპერატორმა. იგი ხედავდა, რომ რომაელთა ქვეყანას მტრებზე მეტად არბევდნენ მოხმობილი უცხო ძალები, მაგრამ უსამართლობისათვის მიზღვა არ შეეძლო, რადგან სამეფო ლაშქარი სიმცირით აბუჩად ასაგდები შეიქმნა. ამ გასაჭირში რომ იყო ჩავარდნილი და საშველი არ ჩანდა, კეისარი რონცერიოსი ლათინთა მთელი ჯარით გადავიდა თრაკიაში; რომაელებს აღარ დარჩათ აზიაში აღარც ფული და აღარც ჯალათთა სარჩენი; მან გადაწყვიტა, მეომართა ნაწილი კალიუპოლისის ციხე-სიმაგრეში დაეტოვებინა და ორასი მეომრით ჰხლებოდა იმპერატორ მიქაელს, იმხანად თრაკიაში (ორესტიადს) მყოფს თავისი ჯარით, ეთხოვა მისგან დაწესებული წლიური გასამრჯელო და, თუ საჭირო იქნებოდა, კიდევაც დამუქრებოდა. ეს რომ მოიმოქმედა, იმპერატორი რისხვით აღენთო (ეს გრძნობა მანამდეც ჰქონდა მის მიმართ); მეომრებმა, რომლებიც გარს ერტყნენ იმპერატორს, იქვე აჩეხეს რონცერიოსი და მასთან ერთად მისნი მხლებელნი. მეტი წილი კი გაექცა საფრთხეს და მოსწრაფებით აუწყა მომხდარი ამბავი კალიუპოლისში მდგომ ლათინებს.

დანართი

მეორე გალობა

ჩვენს სადოქტორო დისერტაციაში, რომლის სახელწოდება გახლდათ „ჰიმნოგრაფიული კანონის კომპოზიცია", ერთი მონაკვეთი წარმოადგენდა ჰიმნოგრაფიული კანონის მეორე გალობის („მოიხილესას") ფუნქციონირების გარკვევის ცდას, კერძოდ, ვცადეთ მკაცრად ფილოლოგიური მეთოდოლოგიით დაგვეზუსტებინა, რატომ იქნა უგულებელყოფილი გალობანის მეორე ოდა იქნებ მართლაც ჯერ კიდევ ფსალმოდიის დონეზე და რად მოინაკლისეს X საუკუნის საქართველოში, „აღმოსავლური რენესანსის" სათავეში, მიქაელ მოდრეკილმა და მისმა დიდმა თანამოდასეებმა ეს მეორე ოდა, რად აღადგენდნენ მას (ეგებ სადღაც, ბიზანტიის იმპერიის შორეულ პროვინციებში, თუნდაც სამხრეთ იტალიაში[1], მოღვაწეთა პარალელურად), რად თხზავდნენ არარსებობის თუ დაკარგულობის შემთხვევაში ხელახლა და რა აზრი ჰქონდა შეფარულ სიმეტრიებს.

გვეგონა, რომ გალობანის „მოიხილესას" პრობლემა თითქმის გადაწყდა. რაც შეეხება „მოიხილესას" მარხვანში (მოგეხსენებათ, ტერმინოლოგია იმთავითვე ნათელჰყო ბატონმა კორნელი კეკელიძემ ნაშრომში „Литургические грузинские памятники в отечественных книгохранилищах") თითქოს გაურკვეველი არცრა იყო დარჩენილი, რამდენადაც (ისე როგორც უწინ ქართული მარხვანის ვრცელ, ცხრა-ოდიან კანონებში[2]) სამსაგალობელში (ტრიოდიონში) „მოიხილესა" მუდამ თავის ადგილზე რჩებოდა და მარტო ქართული სახელწოდების მიხედვითაც კი — „ხუედრნის" მიხედვით — ეს გარემოება ცხადმიზეზიანი ჩანდა. ხოლო თუ განწყობა და ბიბლიური მოდუსი იყო ამოსავალი,

---

1. J. Schirò, Analecta Hymnica Graeca, I, Prooemium.

2. უძველესი იადგარი, გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს ე. მეტრეველმა, ც. ჭანკიევმა და ლ. ხევსურიანმა, თბილისი, 1980.

სინანულის განწყობით მარხვანისათვის შესატყვისობაც ძნელი ამოსაცნობი არ უნდა ყოფილიყო. მაგრამ აქამომდე გაუთვალისწინებელი, რამდენადაც ვიცით, არის, უწინარეს ყოვლისა, იმის მიზეზი, რომ სამ-ოდიან „ხუედრნში" მეორე და მესამე ადგილი უკავია ჰიმნოგრაფიული კანონის მერვე და მეცხრე გალობებს: „აკურთხევდითსას" და „ადიდებსას", ანუ ტრადიციულად არაზუსტად დამკვიდრებულ „ადიდებდითსას". როგორია ბიბლიური მოდუსი ამ გალობათა, რომელნიც მთელს მარხვანს გასდევენ. გავიხსენოთ: „აკურთხევდით ყოველნი საქმენი უფლისანი უფალსა; კურთხეულ ხარ შენ ტაძარსა წმიდასა დიდებისა შენისასა და უფროჲსად ქებულ და უფროჲსად ამაღლებულ უკუნისამდე" და ა.შ. მეცხრე (ღმრთისმშობლის გალობა): „ადიდებს სული ჩემი უფალსა, და იხარებდინ სული ჩემი ღმრთისა მიმართ მაცხოვრისა ჩემისა" და ა. შ. ამის შემდგომ მარხვანში მეორე ოდის შენახვის ერთგვარი სიმარტივეც გაუცნაურდება, ხოლო წუთით დაფიქრება კმარა მარხვანში დამარხული ჰიმნოლოგიური საიდუმლოს გასაცნობიერებლად, რომ „აკურთხევდითსას" და „ადიდებსას" ამოთეოზით „მოიხილესა" სიხარულთან წილნაყარი სამძიმარია, ტრიოდიონი ზარზეიმია, — დიდი ფოლკლორი, საგალობელი როგორც „ერთი გრძელი კვნესა" (ილია ჭავჭავაძე).

ასე რომ, თუ „ხუედრნის" სამსაგალობელის მეორე ოდას უფრო ვრცელი სინტაქსის თვალსაწიერიდან გავხედავთ და სიტუაციურ მნიშვნელობას კიდევ უფრო დავუკვირდებით, ეს დიდმარხვის, ანუ იმგვარი წინასაალდგომო განწყობის გამომსახველია, როცა სული დამძიმებასთან ერთად სინანულით ძალას იკრებს, რომ გახარებაც შეძლოს განკაცებული ღმერთის აღდგომით, როცა მისტაგოგიის ძალით ეპოპტი უკვე ენის დიდი საიდუმლოს ზემხილვარია და მზადდება ძე ღმერთის, ანუ სიტყვის ზეობის აღქმა დიალექტიკური მთლიანობით; ეს იმასაც ნიშნავს, რომ განწვალებული სამყარო ერთ მთელად უნდა წარმოვიდგინოთ და ინიციაციის საყოველთაო ტკივილებით და საყოველთაო ე.წ. საუკვდავო მხილვარებით (რაზედაც უნდა მიგვანიშნებდეს კანონიკური „მოიხილეს" პირის და რიცხვის ცვალებადობაც გალობის დასაწყისში: „იხილეთ, იხი-

ლეთ", „ვიხილო, გიხილო", „ვიხილეთ" და ა. შ.), მწუხარება სიხარულს უნდა შეუთავსდეს, რადგან დასაბამითგან ერთი ყოფილან. „მწუხარების" სემანტიკურ ველზე სიტყვის განგრძობა აქ არ ღირს, მას ჩვენ სპეციალური სტატია ვუძღვენით („მაცნეში" დაიბეჭდა 1983 წ.). მხოლოდ შეგახსენებთ: ჩვენ ვამბობდით, რომ „დიდი სარგებელი უნდა მოიტანოს ეტიმონებზე დაკვირვებამ უძველესი ქართული ჰიერატიული პოეზიის დადასტურების თვალსაზრისით, მითოსის სამყაროსა და კულტმსახურების სხვადასხვა მხარის წარმოსადგენად". ამან განსაზღვრა მთელი ჩვენი შემდგომი კვლევის მიმართულება, რამდენადაც „მწუხარების" სემანტიკური სტრუქტურის შესწავლამ იმთავითვე გვიჩვენა გზა, ქართული ჰიერატიული პოეზიის სათავისკენ სავალი, და გვწამს, რომ უნდა გამოვლინდეს ხსოვნის უწინ დამარხული საგალობლები, უნდა გამოვლინდეს ქართული საგალობლის სიძველე, და არა ე. წ. დაძველება, როგორც მოხდა, ვთქვათ, ჰომეროსულ ჰიმნებში ან, უფრო თვალნათლივ, ორფიკულ საგალობლებში (უფრო გასაგებად, ჰომეროსამდე ან ორფეუსამდე აყვანა).

მაშასადამე, საკითხის არსი რაში მდგომარეობს. დღესდღეობით, ყოველ შემთხვევაში, — არსად, გარდა ქართული ჰიმნოგრაფიისა, არ დასტურდება X-XI საუკუნეებში მეორე ოდათა ხელახალი თხზვის ფაქტი. რას საზრავდა მიქაელ მოდრეკილი? იქნებ იმასაც, რომ წარსულის გადარჩენა საჭირო იყო მომავალი არაერთგზისი აღორძინებისათვის, იქნებ დიდ მგალობელს უკვე ესმოდა კიდეკაც რუსთაველის ნაბიჯების ხმა და წანამძღვარს უქმნიდა მას როგორც ლექსის მეტრით (დღეს კარგად ცნობილი დაბალი შაირის წყობის მქონე ერთი პწკარით), ისე მეორე ოდათა მოდუსის განახლებით, ვინათგან ნესტანის მშვენიერი ნატვრა — „თუ სიცოცხლე მწარე მქონდა, სიკვდილიმცა მქონდა ტკბილი" — სხვა არაფერია, თუ არა იმის შეგრძნება, რომ ქორწინება სიკვდილის პარადიგმაა, ცოდნაა ქართველი ჰიმნოგრაფის სიტყვისა — „ცხოველს-მყოფელსა მას სიკუდილსა ეტრფიალე"-ო (H-2336, ფ. 161). ქართული ჰიმნოგრაფიის გვირგვინი გალაკტიონია, მას კი მწუხარება ესმის როგორც სატკივარი ღვთაებრივი სიბრძნის წვდომისა, ტკივილი

საცნაური სახედველის ფართოდ გახელისა, „სახედველვრცელობისა", რაიც ჰომეროსულ საგალობლებში ზევსს ახასიათებს.

აკად. სიმონ ყაუხჩიშვილისადმი მიძღვნილი ქრესტომათიის მეოთხე ნაკვეთის დანართად გთავაზობთ ჩვენ მიერ ბერძნულად (ბიზანტიური კლასიკის ენაზე) შეთხზული „ხუედრნის" მეორე გალობას, რათა მოწონების შემთხვევაში შეიძლებოდეს თქმა, რომ ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის დიდი ტრადიციები გრძელდება აქაც, ბატონ სიმონის სკოლაში, ხოლო დაწუნების შემთხვევაში მე დაგარწმუნებთ, რომ, რაც დაკლებულია, მხოლოდ ჩემგან არს. ჯერ–ერთი, ძნელია გუთნისდედობა იქ, სადაც „ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი". მეორეც, მაშინ როდესაც თანამედროვე ბერძენს ჰომეროსი უთარგმნელად არ ესმის, ჩვენ ანდრეა კრეტელის, იოანე დამასკელის და კოზმან მაიუმელის და სხვათა და სხვათა და კონსტანტინე მანასეს, პალამასის და პლანუდესის ენის ბგერადი შესაძლებლობების აღდგენა განვიზრახეთ „ზეშთა თარგმანებისა". ძალა იმაში ვპოვეთ, რომ გვიპირობა ძლისპირმა: „οὐκ ἔστι μήτηρ ὡς σύ".

გალობა აღბეჭდილია დრამატული ელემენტის სიმძაფრით. დიალოგის ფორმის მქონე კანონებს იცნობს როგორც ბიზანტიური, ისე ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორია, თუმცა დიალოგს „ხუედრნში" და, მით უფრო, საშაგალობელის რომელიმე ცალკეული ოდის შიგნით არ შევხვედრივართ.

ალბათ საკვირველი არ დარჩება ანგელოზებზედ ღმრთისმშობელის და მით საზოგადოდ ადამის ძეთა დაზესთავება. XII-XIII ს. ქართულ მარხვანში (Ier. 56, ფ. 34ᲣᲐ) მგალობელის შეფრფინვით ნათქვამია: აჰმაღლდიო უფროის ძალთა ცისათა, რამეთუ ტაძრად იბილვეო საღმრთოდ, კურთხეულო ღმრთისმშობელოო.

ჩვენს საგალობელს ჰყავს მელოდოსი – ბატონი ვაჟა გვახარია. ვურთავთ ტექსტის რუსულ თარგმანს, ეკუთვნის ქალბატონ ლეილა წერეთელს. ერთი ნაკვეთი ინგლისურად თარგმნა ქალბატონმა ირინა პეტროვამ.

Ὠιδὴ δευτέρα ἐκ Τριῳδίου
Τῇ Ἁγίᾳ καὶ Μεγάλῃ Δευτέρᾳ
Βίων καὶ πολιτείων/ στενῶν ἐχομένων κ' εἰρηναίων
ὁ θάνατος ἡμέτερος/ θεοφόρος χ' ἡδὺς ἂν γένοιτο.
Σώθα Ῥουσθαύηλι

Ὦ τέκνα, θρηνῶμεν
ἀδακρυβόλον δεσπότην
φυλάξειν ἡμᾶς τὸ γένος ἀνθρώπειον,
ἐν τῇ ἀσφαλείᾳ.
Στιχολογοῦμεν· Χριστέ μου, Κύριέ μου, Θεὲ καὶ Ἄνθρωπε,
ποίησόν με πλέκουσαν ἐπινίκιον ὕμνον Σοι.
Μαρτύρων μεγάλων ἀνυμνουμένων καύχημα,
ἀνάστησόν με ἱστίον γὰρ ἐν τῇ θαλάσσῃ
συνερραγη μοι ἀνεστία.
Ἀντὶ τῆς ἀκλινῶς μενεούσης
τῆς εὐσήμου ἡμέρας
λίαν ἐβλάστησε νύχος
καὶ νυχεύομεν.
Ἐκ τοῦ σώματός μου συρραγέντος
βλαστήσει χόρτος
ὡς ἐξ αἵματος τοῦ Χριστοῦ παθόντος,
τιτρώσκομαι τοῖς στενάγμασι
στενάζουσα· Χριστέ μου ἴδετε...
Θεέ φύλασσε ἀγγέλους ἐν τοῖς οὐρανοῖς
τοὺς βοῶντας·
Ἡ προσκύνησις ἡμετέρα πρός Σοι
ἁπλόη καὶ σιγηρὰ καὶ τρανωσομένη,
σιγὴ γὰρ καταχεῖται καὶ ἀποκρύπτει
τοὺς τάφους τῶν χορῶν τῶν ἀνθρώπων

προπατόρων, ἰδόντων τὸ σὸν κράτος
ἐν τῇ τοῦ πτεροῦν ἡμᾶς
σκιᾷ καὶ σκηνῇ τῇ αὐλῇ.
Θεός Ἐγὼ μὲν διὰ τοῦ ἑωσφόρου αἵματος
τοῦ τεχθέντος μου
καὶ διὰ τῆς ἀποθεώσεως
τοῦ εἰς ᾅδην κατιέναι Αὐτοῦ
ἐτέλεσα τὸ τῆς ἀμυδρῆς καὶ ἀμενηνῆς
ἀνθρωπότητος ὑφῶσαι,
ἄγγελον δὲ πεπτηῶτα
καὶ τὴν φύσιν αὐτοῦ τὴν ἐχθραινομένην
οὐκ ἐλεήσω,
ἐπεποτησάμενος γὰρ ἐπ' ὤμοις ἐμοῦ
καὶ πεπτηὼς ἄγγελος
κατιόντος ἀστέρος καὶ πλανωμένου ἀνθρώπου
χείρων ἐστίν.
Ἄγγελοι Τὴν χρηστὴν Σου ἁγιότητα ἱστορεῖν,
τὴν ἀνεσπέρωσίν Σου καὶ τὸ τὸν ἥλιον
προσόμοιον σταθῆναι παρὰ Σου
ἀσθενοῦντες ἐσμέν,
ἀληθῶς δὲ ἠρησάμεθά Σοι
μὴ παραλλάξαι ἡμᾶς σὺν τῷ οὐδὲν ὄντι ἀγγέλῳ,
ὃς ἐποίησε πτερὰ ἑαυτὰ μέλανα
δι' ἀποστάσεως ἀπὸ Σοῦ.
Ἀρχάγγελος κατὰ Ματθαῖον
ὁ ζυγός μου χρηστὸς

1. ერცელი ჰომეროსული საგალობელი აფროდიტესადმი, 188:
"μή με ζῶντ' ἀμενηνὸν ἐν ἀνθρώποισιν ἐάσῃς
ναίειν"...
წილად ნუ მომცემ ფერმკრთალ სიცოცხლეს ჩემს ნათესავში.
2. მეორე რჯულისას თემა: Δευτερονόμιον, 32.

καὶ τὸ φορτίον μου ἐλαφρόν ἐστιν /II, 30/.

Θεός Ἐγὼ τοῦ μᾶς εἶναι ἀτιταλέω ἐνδυκέως[1]

ἐγὼ γὰρ ἀρετὰς πάσας ὑμῖν ἐξετάνυσσα,

εἶτα υἱοὶ τοῦ Ἀδὰμ βραχὺ παρ' ἀγγέλους

ἠλασσώθησαν δὶ ἑτερότητος·

φειδὼ μὲν ἐποίησα ἐκείνων

ἄλλοτε καὶ ἄλλοτε ὑπνώσας,

ὑμεῖς δὲ ἀκοίμητοι καὶ γρηγοροῦντες ἀεὶ

οὐκ ἴστε ὄνειρον οὔτε κοίμησιν·

καὶ ὁμοῦ τάδε ἐρησόμενα ἐστίν·

τοῦ γένους ἀνθρωπείου ἐκριζωθησομένου

τίς καύσει λύχνους τοῖς δεσπόταις;

Τανυσίπτεροι, ἔσπετε[2] αἶνος

τῆς τοῦ ἀνθρώπου γενέσεως.

Ἄγγελοι Ὦ υἱὲ τοῦ ἀνθρώπου σὺ ἐδυνήσω τεκεῖν

τὴν ἁγνὴν Θεοτόκον,

ἣν γένος τοῦ Ἀδὰμ βοᾷ ὅτι

(Εἰς τὴν Λιτὴν) ὦ δέσποινα εὐσπλαγχνε

ὦ Νύμφη ὑπερστᾶσα τοῦ γένους

ἀνθρωπείου ἐν θρήνοις,

ὑπάκουσον ἡμῖν,

τὰ στενάγματά Σου ἐστὼν ἡμετέρα.

Ἦν εἰς τὸ τῆς μετανοίας φῶς

---

1. მოკლე ჰომეროსული საგალობელი დიონისესადმი, 4: "ὃν τρέφον ἠύκομοι νύμφαι παρὰ πατρὸς ἄνακτος δεξάμεναι κόλποισι καὶ ἐνδυκέως ἀτίταλλον"...
თმამშვენიერნი ზრდიდნენ ნიმფები, უფლის მამისგან მიირქვეს მკერდზე, თავს შემოვლებით ეფერებოდნენ...

2. ჰომეროსული საგალობელი მოუსისადმი, I: "Μήνιν εἰνεσίπτερον ἔσπετε Μοῦσαι"...
ფრთებგაშლილი მოუსის ქება იგალობეთ, მუზანო...

χειραγωγέουσαν τοὺς ἄνθρώπους
δεώμεθα αὐγάζειν τήνδε στενὴν
καὶ εἰρηναίαν ὁδὸν
καὶ ἡμῖν τοῖς τὸ γένος ἄγγέλοις,
οἱ γὰρ ἄνθρωποι διὰ τῆςδες μετανοοῦσιν,
ἡμεῖς δὲ οὐδὲ διὰ πλάνην τῆς ὅλ[illegible]ης οἰκουμένης
γιγνώσκομεν τὴν μετάνοιαν
οὐδὲ διὰ τοῦ ἀποκτεῖναι τὸν Σὸν Υἱὸν
παραὶ ἑκάστου εὑρόντος Αὐτόν.

Θεός Ἡ σάρκωσις τοῦ Υἱοῦ ἐμοῦ ἐστὶ λίην ἐρόεσσα
καὶ ἐγὼ τῶν ἐκλεκτῶν[1] παρ' Αὐτοῦ
ἀνθρώπων ἀποθεωσιν ἐποίησα.
Σιγήσατε, ὦ ἄγγελοι τὸ γένος ἀληθῶς
Υἱὸς ὁ Θεὸς ἐν ἐμοὶ οὐ κρινεῖ τοὺς ἀποστόλους
καὶ ἀθέμιτον γεγόνη τὴν ἁμαρτίαν
οὐ προσελθεῖν ὑμῖν,
ἐπειδὴ οὐ ἀπεκτείναν πολλοὶ εὑρόντες Αὐτόν,
Ἡ θυσία ἀναίμακτος ἡ αἰτηθεῖσα
ὡς χόρτος εὐώδης
ἐντεῦθεν μή μοι μεταμορφούσθω
εἰς θυσίαν αἱμασιώδη...
Ἐγὼ ἑνώσω τὴν λευκότητα ἀγγελικὴν
καὶ ἀνθρωπίνην ἐλεγείαν
εἰς τὰς φωνὰς ἐκλεκτὰς τῆς συμφωνίας
τοῦ αἰώνου προσκαίρου[2].

---

1. მათე, 20, 16: "πολλοὶ γάρ εἰσι κλητοὶ ὀλίγοι δὲ ἐκλεκτοί"... „მრავალნი არიან ჩინებული და მცირენი რჩეული".
2. მათე, 13, 21-22: "οὐκ ἔχει δὲ ῥίζαν ἐν ἑαυτῷ ἀλλὰ πρόσκαιρός εστιν... ὁ τὸν λόγον ἀκούων καὶ ἡ μέριμνα τοῦ αἰῶνος [τούτου]... συμπνίγει τὸν λόγον.

Ὦ τέκνα μεγαλεπίβολοι καὶ μεγαλεπήβολοι,
ὦ τέκνα εἰθισθέντες ἐν τῇ λευκότητι νυκτερινῇ
πρὸς τὴν γῆν ἧς εἵνεκα ἡ Θεοτόκος ηὔχετο,
ἡ νὺξ ἡλιοειδὴς ἀποκαλυπτέτω αὐτὴν ὑμῖν.
Δίκαιοι μόνοι γιγνώσκουσι τὴν τῶν μυστηρίων σοφίαν

καί–γε ἡ γῆ ἀπῆρε[1] διὰ σοφόν,
καὶ οἱ οὐ σιγήσαντες ἐβασανίσθησαν
παρὰ τῶν ουκ αἰσθόντων ὅτι γῆ ἀπῆρε·
καί–γε ἡ νὺξ ἡλιοειδὴς μυστήριον ἐστίν.
"Ρανάτωσαν[2] γάλα καὶ μέλι, –
ειρημένον τι ὀλίγον ἐστίν...
ἡ δύναμις καὶ ἡ ἐνέργεια τοῦ λόγου
τὸ μέτρον τοῦ Θεοῦ ἐστίν.
Τῇ φυχῇ γε αποκεκρυμμένῃ ψάλλετε τὸν τῆς ψυχῆς εἰρμὸν
καὶ οὕτως ἥδεσδε ὅτι ὁ Θεὸς ἀγάπη ἐστίν".

Χριστὸς πάσχων

Μὴ ἀπτεσθε τῶν τῆς θεᾶς τῆς ἀγάπης εὐχῶν
τῶν ὡς ἐξαποστειλαρίων ζεφύρου μένους εἰμένων[3].

„ხოლო ძირი არა აქუნ გულსა თ'ესსა, არამედ საწუოო არნ... რომელმან სიტყუაჲ იგი ისმინის და ზრუნვამან ამის სოფლისამან... შეაშთვის სიტყუაჲ იგი".

1. რიცხუთა, 9, 17: "ἀπῆρον οἱ υἱοὶ Ἰσραήλ".
„წარიტრნიან ძენი ისრაელისანი".
2. ესაია, 45, 8: "αἱ νεφέλαι βανάτωσαν δικαιοσύνην"
„ღრუბელნი წთოდედ სიმართლესა".

3. იხ. გალაკტიონი: „ზეფირის ფრენა". შდრ. მცირე ჰომეროსული საგალობელი აფროდიტესადმი, პწკარი 3:
აქ აფროდიტე ზეფირის ფრენამ წარმოაულინა.

Ἐγὼ γιγνώσκω ὅτι διὰ τῆς Μητρὸς Θεοτόκου
ὁ χνοῦς καλὸς καὶ ἀρχαιοπινὴς[1]
ἐκομίζετο καὶ κομίζεται ὑμῖν,
ἐπεὶ ἡ ἡμέρα ῥόδων καὶ ἑτέραι ἑορταὶ ἦσαν
τῆς εὐστεφάνου Ἀφροδίτης.

1. ამოვიკითხე გრიგოლ წერეთელთან. სოფოკლესის ლექსიკონში „ერთხელ ნათქვამია“ /Dion. H./.

ხუედრნი

მოიხილესა

„თუ სიცოცხლე მწარე მქონდა, სიკვდილიმცა მქონდა ტკბილი“.
მოთა რუსთაველი

ქრისტეე ჩემო, უფალო ჩემო, ღმერთო და კაცო,
მქმენ მე მთხზველად შენი ძლევის საკვირველის
საგალობელის.
დიდთა მოწამეთა უგალობელთა სიქადულო,
ალმადგინე, რამეთუ ნავი ზღვასა შინა დამექცა მე,
კერის დედფალ — და კერაწართმეულს.
ნაცვლად მიუდრეკელად დასადგრომელის
კეთილ-ნათლიერი დღისა,
ფრიად გარდაიშალა ღამე და საღამისთეონით ვათევთ.
სხეულისაგან ჩემის შემუსრვილის
აღმომცენარდება ბალახი ვითარცა
სისხლისაგან ქრისტეს, წამებულისა,
ჭრილობა მაქვს და კვნესით აღმოვიკვნესებ:
ქრისტეე ჩემო, მოიხილე.
ღმერთო, დაიცავი ანგელოზები ცათა შინა,
მღაღადებელნი:
თაყვანისცემა ჩვენი შენდამო
მარტივია და მცხინვარედ მისათხრობელი და
აწ მდუმარე,
ვინათგან დუმილი იღვრება და ჰფარავს საფლავებს
წინაპარ ძეთა ადამისთა ქოროებისას,
რომელნი ჰხედავდნენ შენს ძრიელებას
ჩვენი ფრთეედობის უნივთო საგრილსა და ტალავარში.
ღმერთი: მე ძისა ჩემის აღცისკრებული სისხლით
და ჯოჯოხეთს შთასლვის აპოთეოზით

ნაფერმკრთალევი კაცება განვაღმრთე,
ხოლო დაცემულს ანგელოზს
და საეშმაკოდ ქმნილს მის ბუნებას
არ შევინანებ,
ვინათგან ჩემს ბეჭზედ აღყვანილი
და დაცემული ანგელოზი
უარეა დამავალი მნათობის და ცოთმილი კაცის.
ანგელოზები: შენი მარტივი სიწმინდის დაჰამბვებად,
შენი უსაღამოობის და თვით-სამსგავსო
მზის დაყენების, ანუ არდადეგის დაჰამბვებად
ულონონი ვართ,
ოლონდაც რომ გისანატრელებთ,
რათა არა აღვერიოთ ანგელოზ-ყოფილს,
რომელმან ფრთენი დაიშავა შენგან განდგომით.
მთავარანგელოზი მათეს პირით:
„ულელი ჩემი ტკბილ არს,
და ტკურთი ჩემი სუბუქ არს (XI, 30).
ღმერთი: მე თქვენს ყოფნას მოვეფერები,
მე ხომ ფრიად ხომრიელად
მოვიღე თქვენთვის ყველა სიკეთე,
მერმე მცირედღა დააკლდათ ძეთა ადამისთა
ანგელოზობა სასხვაფერებლად,
მაგრამ ისინი დამენანნენ და დროდადრო
ძილს მოვგვრი ხოლმე,
თქვენ კი, მარადღე მღვიძარეთა, ანუ უძილთა,
ხომ არ უწყით
არცა ძილი, არც სიზმარი ძილისშორისი.
და თან სათქმელი ესენია:
კაცთა მოდგმა რომ გადაშენდეს,
უფალთა სანთლებს ვილა აუნთებს...
განმარტეთ ფრთენი და ივალობეთ
ადამიანის დაბადების საგალობელი.
ანგელოზები: ძეო კაცისავ, შენ შეუძელ შობად

კრავაის მის ღმრთისმშობელის,
რომელს ტომი ადამისი შეჰღაღადებს:
„დედავ-ბატონოო, წიაღ-ლამაზო,
ერის ჭირის დედფალო,
გვიოხეო, შენი კვნესამ“.
ის სინანულის ნათლისაკენ მიუძღვის კაცთა;
ვეედრიდეთ, ჩვენც, ტომით ანგელოზთა,
განგვინათლოს ეს იწრო სავალი,
რამეთუ კაცნი მისგან შეინანებენ,
ჩვენ კი არა ვუწყით სინანული
არცა მრთელი სოფლის ცოდვის გამო,
არცა იმის გამო, / რომ ყოველმან მპოვნელმან
ძისა შენისამან მოკლა იგი.

ღმერთი: მე ისე ძლიერ მომეწონა და აღმიტაცა
განკაცებამ ძისამან ჩემის,
რომ რჩეულნი მისგნით განვაღმრთე ადამიანნი.
იყუჩეთ, ტომით მართ ანგელოზნო,
ჩემში ძე ღმერთი არ განიკითხავს მოციქულთა
და იქნებ თქვენაც არ შეგეხოთ ცოდვა იმიტომ,
რომ არ მოუკლავს იგი მრავალსა მპოვნელს მისას.
უსისხლო მსხვერპლი მოთხოვნილი—სურნელ ბალახის—
ამიერ ნულა შემეცვლება სიხლიან ზვარად...
მე შევაერთებ ანგელოზებრივ სისპეტაკეს
და კაცებრივ ელეგიას
წუთისოფლის სიმფონიის რჩეულ ბგერებში.
აღთქმულ ქვეყანას ოცნებაში მიჩვეულო დიდო ბავშვებო,
ამიერ იგი განგიცხადოთ მზიანმა ღამემ.
საიდუმლო სიბრძნე უწყიან მხოლოდ მართალთა,
დედამიწაც ბრძენისთვის ბრუნავს,
არ დაიდუმეს და აწამეს,
რომელნი ამ ბრუნვას არ გრძნობდნენ;
საიდუმლოა მზიანი ღამეც.
სწვეთს რძე და თაფლი,—

მაინც რა ცოტა ნათქვამია,
თუმც მოჭედილი ილეკრო—ვერცხლით;
სიტყვას ძალუძს ღმერთის ოდენი...
მაშ, სულს მარხულს სული შეუსატყვისეთ
და აგრე იამეთ, რამეთუ „ღმერთი სიყუარული არს“.

ქრისტე წამებული:

ნუ იავარჰყოფთ /აფროდიტეს, ზეფირის ფრენით
გამოელენილის,/ სამლოცველოებს,
მით რომელ /დედა ღმრთისმშობელი, ზედ/
რომ დაგვკანკალებს და გვანებივრებს,
თვისით ვარდობით, სხვა დღეებითაც სასწაულით,
მე ვუწყი, პირველ /აფროდიტეს მეშვეობით/
გესწავებოდათ.

ВТОРАЯ ПЕСНЬ ИЗ ПОСТНОЙ ТРИОДИ

"Жизнь была горька, но в смерти обрету души покой".

Шота Руставели

(В переводе Ш. И. Нуцубидзе)

Христе мой, Господь мой, о Богочеловек,
дай мне творить песнь пречудной Твоей победы.
Великомучеников не воспетых возгордение,
воскреси меня, ибо исчезла в пучине моря
погрузившаяся ладья у меня,
оторванной от царства очага
и лишенной ангела предтечей моих.
Взамен имеющего носить благую денницу
грядущего непреклонного озарения на вечные
веки,
невинную девственность свою преподнесла ночь,

и совершается нами ода всенощного бдения.
Из тела моего сокрушенного
расцветет трава как чистотел
в стылой дреме Христа Страстотерпца;
я ранима и стенаниями
ропщу: Христе мой, призри.
О Бог, да хранятся Тобою ангелы на небесах,
зовом зовущие:
Поклонение наше пред Тобою -
простое и имеющее ясно сказываться
в грядущие веки и безгласное ныне,
ибо молчание возлияется и покрывает
могилы хоров праотцев, сынов первого Адама,
видевших и видящих всемощь Твою
в без материи построенной сени и в скинии
окрыления нашего.

Бог Кровью Боготочною, носящею рассвет, -
кровью обогрившею рожденного мною,
и апофеозом развенечения и сошествия Его в
геенну
я совершил вознесение
ставшего хладным и бесцветным человечества,
но ангела павшего
и естества его диавольского не пощажу,
ибо вознесшийся на Божии плечи
и павший ангел
садящегося светила и заблудшего человека
пренизже.

Ангелы Мы немощны сказывать о простой святости
Твоей,
сказывать о невечерении и самоподобном
солнцестоянии Твоем,
воистину искренни мы в блаженном томлении
к Тебе,

дабы не смешаться с ангелом бывшим,
крылья у коего, отлучившегося от Тебя,
очернены.

Архангел по Матфею
Иго мое благо,
и бремя мое легко есть.

Бог Бытие Ваше будет взлелеяно мною,
ведь я в ширь распростер
и привнес в Ваше дарование все добро,
далее для разноцветения чуть были умалены
сыны адама, чем ангелы,
но над ними я сжалился
и временами предаю их сну,
Вам же, присно неусыпным и бессонным,
неведомы ни видение сна, ни успение:
к тому же сказ:
ежели изкоренится исчадие Человека,
кто ж поставит свечи патронам...
Раскройте крылья и воспойте песнью
Рождение Человечье.

Ангелы О сыно человечье, нелегко было тебе
родить агнца Богоматерь,
Ей племя Адамово молится:
"Матерь властная, мол, лоно-прекрасная,
о Невеста, прикрывшая племя наше человечье
в плаче,
внемли ипакоям нашим,
да будут Твои стенания нашими".
У Нее, ведущей человека за-руку
к прозрению покаяния,
испросим, дабы и для нас, рода ангельского,
просветлела эта тропа
тончайшая и умиротворяющая,
ибо людям дано покаяние чрез Нее,

нам же покаяние неведомо
ни по вине блуждания всего мироздания,
ни по вине убиения Сына Твоего
от каждого, Его узнавшего.

Бог Я так стихаю от воплощения Сына моего
и так восторгнут им,
что свершен мной апофеоз и обожение
избранных Им Человеков.
О, внемли молча, воистину ангельское племя,
Бог Слово во мне не осудит Апостолов,
и, возможно, и Вы остались неповинными
лишь потому,
что многие узнавшие Его не убивали.
Бескровная жертва, испрошенная мною
как душистая трава и анемоны,
да не будет преображена отныне в жертву,
обагренную кровью Святого Духа любви.
Я воссоединю ангельскую белизну
и человечью элегию
в изысканные звуки симфонии
века сего превременного.
О чада, замыслившие и совершившие
великие деяния,
о чада, что привыкли в бессонные ночи
думать о Земле, которой ради
молилась Богоматерь,
да откроет Ее, сокровенную, солнцеподобная
ночь.
Лишь прямодушные ведают мудрость
мистерий,
и Земля также совершает свой бег для
мудреца,
и не умолкнувшие были измучены
не чувствовавшими, что Земля совершает бег,

и ночь солнцеподобная есть мистерия.
Все же сколь мал сусальный сказ:
каплет мед и млеко...
Мощь и энергия Слова–Божий метр.
Душе сокровенной пойте же ирмос души
и блаженство ищите в этом, ибо
"Бог есть любовь".

Христос Страстотерпец

Да будет и впредь недосягаема
каждая малость молельной Святого Духа
и Его молитвенных эксапостиляриев,
явленных веянием Зефира:
мне ведомо, свежий дух старины
Матерью Богородицею доносился
и доносится до Вас
с той поры, как чудный день розоцветения
и другие празднества
Афродиты, любви венценосицы, были.

Liana S. Kvirikashvili

The Angels:

O Mankind, it was not easy for you to bring forth the ewelamb, the Mother of God. The tribe of Adam prays her:
"O mighty, fair-loined Mother,
O Bride, you who shield the race of men flowing with tears,
Hear our hypokoai,
May your moans be ours".

It is Her we shall exhort, Her who leads man by the hand towards the light of penance, that for us too, the race of angels, this path, so narrow and leading to serenity should also be made light, for through Her men are granted penance, while to us penance is unknown, neither through the wandering of the Universe, nor through the sin of slaying Thy Son by each one who knew Him.

God:

I am so comforted by the incarnation of my Son, I take such delight in Him that I have completed the apotheosis of the men chosen by Him.
O, lend ear in silence, true race of angels,
God the Word is me will not accuse the apostles and maybe you have remained blameless only because many of those who knew Him did not slay him.
The bloodless sacrifice required by me, like aromatic grass and the anemone,
May it never hereafter be converted into a sacrifice red with the blood of the love of the Holy Ghost.
I shall join the whiteness of angels with the human elegy in the exquisite symphony of this world's transient age.
O generations who have conceived and accomplished great deeds,
O generations who are accustomed in sleepless nights,
to ponder on the Earth for which the Mother of God prayed,
May the sunlike night reveal the sacred Earth.
Only the artless know the wisdom of mysteries,
And the Earth also runs its course for the sagacious,
And those who would not be silent were tortured by those

who did not feel that the Earth will run its course,
And that the sunlike night is a mystery.
Still, how trivial is the saying, - "dripping with honey and milk" ...
The power and vigour of the Word - this is the measure of God.

Sing, then, the hirmos of the soul,
Seeking beatitude in it,
for "God is love".

Christ the Martyr:

May ever hereafter be unattainable every modicum of the shrine of the Goddess of love,
and her prayer Exaposteilaria in revelations wafted by Zephyr: for I know, the fresh breath of olden times was and is brought to you by the Mother of God since the wondrous day of the rose's blooming and other feasts of Aphrodite,
the great sovereign crowned with violets.

ვაჟა გვახარია

(მცირე მოსახსენებელი)

ბატონ ვაჟა გვახარიას სამუსიკო თხზულება ჩვენს თვალთწინ შეიქმნა და ამით დიდი შემოქმედებითი სიხარულის მოწამეობა მარგუნა ბედმა. მაგრამ ბატონ ვაჟას ორმოცწუთიანი გამოსვლა ტელევიზიით აღარ შემდგარა მისი გარდაცვალების გამო და ჩვენ არ ვიცით და არასოდეს აღარ გვეცოდინება, რა მუსიკა ჩაიფიქრა მან ჩვენი საგალობლისათვის, რადგან მის საშემსრულებლო ოსტატობას სულ სხვა შეეძლო (შუმერით მინდა დავიწყოო, —მითხრა).

როდესაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სიმპოზიუმი რამ იმართებოდა ჩვენში, ბატონი ვაჟა საჭიროდ თვლიდა, როგორ წესი, ეკფონეტიკურ ნიშანთა სისტემაზე ელაპარაკა, რადგან ყველაზე უფრო საპასუხისმგებლოდ მიაჩნდა ეს თემა ქართველი ჰიმნოლოგისთვის. დიდ თანამედროვეთა შორის ეს უპირველესად ბატონ კარსტენ ჰოეგის სფეროა და მის ქალაქში, კოპენჰაგენში, ბიზანტინისტთა XIX მსოფლიო კონგრესზე, მეც მივუხარკებდი ამ თემას, მაგრამ სწორედ იქ მეტადრე მწარედ მაფიქრებდა ერთი გარემოება: ბატონი ვაჟა გვახარია სხვა ერის შვილი რომ ყოფილიყო, იქნებ სიცოცხლეშივე ეგრძნო, როგორ უყვარდა თავის ხალხს და რა საფასედ რაცხდა მის ნაშრომებს; მე სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, იქნებ მის სიცოცხლეშივე ჰიმნოლოგთა რომელიმე საერთაშორისო ფორუმი მის სამშობლოში ჩატარებულიყო ამ თხემით ტერფამდე ინტელიგენტის პატივსაცემად. იქნებ მისთვისაც მოერგოთ უცხო დიდი და საპატიო ორეულების სახელები, რის შესაძლებლობასაც მისი გამჭვირვალე და მშვენიერი გვარი იძლეოდა: ის ხომ ჩვენი გაუდენციუსი იყო.

წესად ჰქონდა მოწამებრივი ერთგულება და თავდადება კოლეგისათვის. თუ შეეძელი, მეც ასე მინდა ვუერთგულო. ეს რიგითი აღაპი არ არის. ეს სურვილია იმ დიდი სინათლის დაფასებისა, რომელიც მას სულში ედგა და, იქნებ სამწუხაროდ, რადგან ვერ დავაფასეთ, რომლის ამოკითხვაც ძნელი არ იყო. მისი მღელვარე ცხოვრების შემყურე, ადამიანი იფიქრებდა, კიდევ კარგი, რომ ზესთასოფლის სამკვიდრებელთან ერთად წუთისოფელიც არსე-

ბობს, ბინდისფერითაც აგრე ლამაზი; სხვანაირად ხომ, ფსევდოევკლიდესი არ იყოს, მხოლოდ „სიწყნარე და უძრაობა რომ ყოფილიყო, მდუმარებაღა იჭნებოდა“ (σιωπὴ ἂν εἴη). ჭეშმარიტად, ასეთი ერისკაცის ადგილი ქართველ მეცნიერთა საწმიდარში ხელუხლებელია.

ლიანა ქეირიკამეილი.

ᲒᲐᲜᲓᲣᲚᲘ

წინათქმა პასუხისმგებელი რედაქტორისა 3

იამბიკონნი ახალ-კვირიაკისანი

თარგმანი ლიანა კვირიკაშვილისა 5

უცნობი ავტორი, ღმრთისმშობელის მიძინების ხსენებაზედ, ანუ ფროების სინაზე

თარგმანი ლიანა კვირიკაშვილისა 6

თეოდორე დუკა ლასკარისი, გალობანი ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისანი პარაკლიტონიდან

წინასიტყვა და თარგმანი ლიანა კვირიკაშვილისა 7

მეოთხე სიტყვა საღმრთოთა საბელთათვის

თარგმანი ლიანა კვირიკაშვილისა 12

მაქსიმოს პლანუდესი, სიტყვა უფლისა საფლავს დებაზედ

წინასიტყვა და თარგმანი ლიანა კვირიკაშვილისა 24

ავგუსტინეს მე-15 წიგნიდან სამების შესახებ

თარგმანი ლიანა კვირიკაშვილისა 46

√ + გრიგოლ პალამასი, 34-ე ჰომილია უფლისა ჩვენის ფერისცვალებაზედ -+

თარგმანი ლიანა კვირიკაშვილისა 61

37-ე ჰომილია ღმრთისმშობელის მიძინებაზედ

თარგმანი ლიანა კვირიკაშვილისა 71

ნიკიფორე ბლემმიდი, ფსალმუნთა განმარტება

თარგმანი ლიანა კვირიკაშვილისა 83

თეოდორე მეტოქიტე, შესავალი

თარგმანი ლიანა კვირიკაშვილისა 88

ნიკიფორე ქსანთოპულოსი, სიტყვა მარიამ მაგდალენელისადმი

წინასიტყვაობა და თარგმანი ლიანა კვირიკაშვილისა 95

ლოცვანი

თარგმანი ლიანა კვირიკაშვილისა 101

სვიმეონ თესალონიკელი, წმინდა ტაძრის შესახებ

თარგმანი ოლდა ბერიძისა 105

კალიმაქოსის და ქრისოროეს სარტფიალო რომანი
წინასიტყვა ალექსანდრე ალექსიძისა 133
თარგმანი ლიანა კვირიკაშვილისა 134
გიორგი აკროპოლიტესი, ისტორია, დაწყებული ქალაქის აღებიდან
წინასიტყვა და თარგმანი
ნოდარ ლომოურისა 149
გიორგი პაქიმერესი, მიქაელ პალეოლოგოსი
წინასიტყვა და თარგმანი
ლიანა კვირიკაშვილისა 166
ნიკიფორე გრეგორასი, ბიზანტიის ისტორია
თარგმანი ლეილა წერეთლისა 186
დანართი
ლიანა კვირიკაშვილი, მეორე გალობა 193
რუსული თარგმანი ლეილა წერეთლისა 206
ინგლისური თარგმანი ირინა პეტროვასი 210
მცირე მოსახსენებელი ვაჟა გვახარიას შესახებ 213
ზანდუკი 215

ბიზანტიური მწერლობის ქრესტომათია
ХРЕСТОМАТИЯ ВИЗАНТИЙСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ
BYZANTINE LITERATURE READER

ტ. IV

პასუხისმგებელი რედაქტორი ლიანა კვირიკაშვილი

აეწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. «ალბაში»

თბილისი-1996

5ᴳᵗʰ